

ქალაქის სკოლა


პროცენტები
ბიბლიოთეკა

K 59641
2

სპორტული



ჭედი



აღიქსნდრა ქიქნუქე



სოციალური ზემი

ს. ს. ს. ს. ს.



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1974

796(47+57)(092)

7A8
796.092
კ499

საბჭოთა სპორტსმენები



ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი ალექსანდრე კიკნაძე თავის ახალ წიგნში „სპორტული ბედი“ საინტერესოდ მოგვითხრობს საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებზე მსოფლიოს პირველობებსა თუ ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში.

თ ა რ გ მ ნ ა

ნორა ქართველიძის მიერ

Александр Васильевич Кйкнадзе

СПОРТИВНАЯ СУДЬБА

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»

Тбилиси, Марджანიшвили, 5.

1974

К 59.641
2

691—156

413—74

М 601 (08)-74

სპეგ-2000
შემოწმებულია

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემათხვევა სანიჰოსნო არხში

ბაიდარაში ორი კაცი იჯდა. ისინი ნიჩბებს შეწყობილად, მძლავრად და სწრაფად უსვამდნენ. ორივეს ესმოდა ერთმანეთის სუნთქვა და გულისცემა.

მიცურავდა მსუბუქი ნავი ბელგრადის სანიჰოსნო არხში და მასში მჯდომი ორი კაცი ხედავდა, რა შორს იყო ფინიში. ჯერ მხოლოდ პირველი ათი კილომეტრი განვლეს და მარჯვნივაც და მარცხნივაც ისევ ნიჩბოსნებს ხედავდნენ. ხედავდნენ ბრძოლის აზარტით გაბრწყინებულ მათ სახეებს, მათ ხელებს, პაერში მოგრძო რვიანებს რომ ხაზავდნენ. სახეებზე ოფლის წვეთები ჩამოსდიოდათ თუ წყლის შხეფები, ვერ გაიგებდით.

შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე თავის რიგზე მიმდინარეობდა. არხის ნაპირებთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. რა გასაკვირია, სანახაობაა!

უცბად მკვეთრმა ბიძგმა ნავი შეარყია. მსუბუქი ბაიდარას შესარყევად ოღნავი ბიძგიც კი საკმარისია.

— ნიჩბის ფრთის ნახევარი მომიტყდა, — თქვა ერთმა და ერთი მოსმის შემდეგ ნიჩაბი ჩვეულებრივზე ოღნავ მალლა ას-

წია, რათა ამხანაგს დაენახა და გადაეწყვიტა, როგორ მოქცე-
ულიყვნენ, რა გაეკეთებინათ.

— ჰოო, თუმცა არა, ამაში დამნაშავე არავინ არის, ჩვენ
თვითონ ვართ დამნაშავენი, — თქვა ამხანაგმა და ბრაზით
შეხედა გვერდით მომავალ ნავს, რომელიც ცხვირით წამოედო
ნიჩაბს... თუ თავისი ნიჩბით წამოედო მისი მეწყვილე.

— რა ვქნათ?

— განცხადება შევიტანოთ გამოგვიცვალონ ნიჩაბი... ანდა
ხელახლა ჩაატარონ შევიბრება.

მათ ნავი ინერციით მიჰყავდათ. ჩვეულებისამებრ, თავი ერთ
მოსმაზე გადააგეს. მარჯვნივ მომავალი ნავი, რომელიც ნახე-
ვარი მეტრით ჩამორჩებოდა, წინ გავიდა. ორი მეტრით ჩამო-
რჩენილი მარცხნივ მომავალი ნავი კი წამოეწია და ქიმიტ მათი
ნავის ქიმს გაუსწორდა.

კეთილგონიერების ხმა ჩასჩურჩულებდა გამოსულიყვნენ
ბრძოლიდან. ბრძოლის გაგრძელებას მხოლოდ მაშინ აქვს აზ-
რი, როდესაც მრავალი შესაძლებელიდან ერთი შანსი მაინც
რჩება. აქ კი არავითარი შანსი აღარაა. ორი ნიჩბოსნის ძალა და
იარაღი ორი ოთხფრთიანი ნიჩაბია. როდესაც ყველა ნავი აღ-
ჭურვილია ოთხფრთიანი ორი „ძრავით“, ბრძოლა თანაბარ
პირობებში მიმდინარეობს. ის, ვინც მოწინააღმდეგეს დისტან-
ციის თუნდაც ერთ მეათიათასედს მოუგებს, ის, ვინც ფინიშზე
მხოლოდ ერთ მეტრს მოიგებს, გმირი ხდება. არის კიდევ ვე-
რცხლისა და ბრინჯაოს მედლები, მაგრამ ამ მედლებისთვის
ბრძოლასაც უკანასკნელი ძალ-ღონე უნდა შეაღიო. აქ ყველა
თანაბარ პირობებშია. ეს მსოფლიო ჩემპიონატია.

„გააშრე ნიჩბები, შემოაბრუნე ნავი უკან და ელოდე მსო-

ფლიოს მომდევნო ჩემპიონატს, ისიც, თუ მოხვდები ამ ჩემპიონატზე. ნუთუ ასე იქნება?“

რამდენი თვე და რამდენი წელი ელოდნენ ისინი ამ მომენტს? ახლა კი ერთ ნიჩაბს ფრთის ნახევარი აღარ აქვს. აღარც იმედია.

მშობლიურ მხარეში კი ახლა ღამეა. მაგრამ ბევრს არ სძინავს ბარნაულში და ელოდებიან, რას იტყვის რადიო 23 საათზე მოსკოვის დროით ამ შეჯიბრების შესახებ. არ სძინავთ ნათესავებს, მეგობრებს, მწვრთნელებს, არ სძინავს სახლს, არ სძინავს „დინამოს“ — ელოდებიან, რას იტყვის რადიო კონსტანტინე პეტრეს ძე კოსტენკოზე. ბარნაული ხშირად როდი აგზავნის თავის მემამულეებს მსოფლიო პირველობაზე. მის მოქალაქეთა შორის ბევრნი არ არიან მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები. სჯერათ კოსტენკოსი და ელოდებიან.

ქრება ელექტრული სინათლეები ვლადივოსტოკში. თენდება. ჩვეულებრივზე ადრე იღვიძებს კლუბი „ვოდნიკი“: „ნეტავ როგორ არის იქ ჩვენი ვიაჩესლავ ნიკოლოზის ძე კონონოვი? ამბობენ, ამ შეჯიბრებას „ორბიტათი“ აჩვენებენო“.

შორი გზაა ბელგრადამდე ვლადივოსტოკიდან. და კიდევ უფრო შორსაა ბელგრადი ამხანაგ ვიაჩესლავ ნიკოლოზის ძე კონონოვისათვის. იციან რაც გამოიარა მან: მრავალი გამოცდა შესარჩევ შეჯიბრებებში, რამდენი წაგება და გულგატეხილობა განიცადა დასაწყისშივე, როდესაც თავის თავს ეუბნებოდა: „ვერაფერი ნიჩბოსანი ვარ და ვერც ვერასოდეს გავხდები. უმჯობესია რაიმე სხვა ასპარეზი გამოვნახო“.

მაგრამ საბედნიეროდ, ერთმანეთი იპოვეს, ჩასხდნენ ერთ

ნავში, შინ ყველა დაამარცხეს და ბელგრადში დიდ შეჯიბრებაზე ჩამოვიდნენ.

წინ ცხრა კილომეტრია, ერთ ნიჩაბს კი ფრთის წახევა არა აქვს.

შემთხვევა. ასეთი რამ ემართებათ იმათ, ვინც ძალებს შეჯიბრებაში სცდის. ველოსიპედისტს, რომელიც თბრილში ვარდება, მოთხილამურეს, რომელსაც მუდამ სჯერა, რომ უცაბედად უქნიდან თხილამურზე ფეხი დაადგეს. მორბენალს, რომელსაც ვირაჟზე მხრით გზას უღობავენ.

ასეთი რამ ხდება.

არავინ დაუგმობს, თუ ისინი დისტანციიდან ჩამოვლენ. იმიტომ, რომ შეჯიბრების გაგრძელება სიგიჟეა. უბრალოდ პატივს არ უნდა სცემდე მოწინააღმდეგეს და გწამდეს სასწაულისა.

გაუმარჯოს ასეთ უპატივცემლობას და ასეთ რწმენას სასწაულისას!

თუ გამოჩვედი საბრძოლველად, არ ჩამოხვიდე დისტანციიდან, არ დანებდე, იბრძოლე ბოლომდე. ისე როგორც იბრძოდა ერთხელ გრძელ დისტანციაზე ამერიკელებთან სახელგანთქმული მორბენალი პიარნაკივი. მან სიცხისა და არაადამიანური დაძაბვისაგან გონება დაკარგა, მაგრამ ფეხები თავისით მიათრევდნენ ფინიშისკენ. მოკვეთილ მუხლებს ზიგზაგით მიჰყავდათ იგი ფინიშისკენ. როდესაც სტარტზე გამოდიოდა, მან იცოდა, რომ ბოლომდე იბრძოლებდა. თავის თავს ისეთი ფიცი მისცა. და მივიდა ფინიშამდე, რითაც თავისი სახელი ყველაზე სახელოვან სპორტულ მებრძოლთა სიაში ჩაწერა.

ღიახ, მათ დაკარგეს რამდენიმე წამი, რამდენიმე მეტრი.

მაგრამ სულ ცოტა დრო დასჭირდათ, რათა მისულიყვნენ მხოლოდ ერთადერთ შესაძლებელ გადაწყვეტილებამდე.

ეტყობა, თითოეულ მათგანს ადრეც ჰქონდა ცხრაცლიტულში რაღაც მარაგი, რომლის შესახებ არც ერთმა და არც მეორემ არაფერი იცოდა. ბუნება ინახავდა მათში ამ მარაგს დრომდე, ნებას არ აძლევდა ხელი ეხლოთ მისთვის, თითქოს სწამდა, რომ დადგებოდა მათ ცხოვრებაში ყამი, როდესაც იგი ყველაზე უფრო მეტად გამოადგებოდათ. ეს მარაგი ნელ-ნელა, წლების მანძილზე გროვდებოდა, იმ წლებისა, რომლებიც მათ სპორტს შესწირეს. სპორტს, ისევე როგორც საიმედო მეგობარს, ერთი თვისება აქვს — იგი აფასებს თავგანწირვას და სამაგიეროს ერთიასად მიუზღავს ხოლმე და აი, მათაც მიუზღო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივემ გაიფიქრა: „კი მაგრამ რატომ თავს არ დავანებებთ? თითქოს ნიჩბებსაც ვუსვამთ, როგორც წესია, მაგრამ რაღაც ძალა მაინც იკარგება ტყუილუბრალოდ. ძალის რაღაც პატარა ნაწილი იღვრება, წყალში მიდის თუ ჰაერში, ვერ გაიგებ, მაგრამ სადღაც კი მიდის. ნავს ადვილად მისწევ მარცხენა გვერდზე, მაგრამ ეს იოლი საქმე როდია, როცა ერთ მხარეს ერთ-ნახევარი ფრთაა, მეორე მხარეს კი ორი. ამიტომ როგორმე უნდა გაეთანაბრებინათ. ამას ისინი უნებლიედ აკეთებენ. გამოცდილება კარნახობს, როგორ მოიქცნენ. ნავი თანაბრად მიჰქრის, როგორც ისარი. როგორც ისარი, გვიან გასროლილი. იმიტომ რომ ის წამები, რომლებიც სწორედ იმ მომენტში დაკარგეს ჯერ კიდევ არაა ანაზღაურებული.

მაგრამ მათ მიიღეს გადაწყვეტილება. სხვა გზა არ იყო. უნდა გააკეთონ ყველაფერი, რაც უნდა გააკეთოს ასეთ მდგომარეობაში.

რეობაში ჩავარდნილმა ადამიანმა. დანარჩენი არცთუ ისე მნიშვნელოვანია. დანარჩენი — გაკეთებულია. მათ უნდა ჩვენთან სხვებს და საკუთარ თავს, როგორია მათი ხასიათი

მათ უკვე კარგა ხანია გადააბიჯეს იმ საზღვარს, რომელსაც „მეორე ამოსუნთქვა“ ჰქვია. „პირველსა“ და „მეორეს“ შორის მძიმე წამები დევს. ეს წამები ცნობილია ყოველი ადამიანისთვის, ვისაც ხანგრძლივ ფიზიკურ დატვირთვისთან აქვს საქმე. ორგანიზმი თითქოს გამოიფიტა, ნერვული სისტემა ციგნალს იძლევა ამის შესახებ, მაგრამ ადამიანმა იცის — კიდევ ცოტაც სულ ცოტაც, ოღონდაც არ დააგდოს ტემპი, არ დამორჩილდეს სულმოკლეობას და მოვა საიდუმლო, მაცოცხლებელი, სასურველი მეორე ამოსუნთქვა, რომელიც ძალას ჩაუღვრის კუნთებში. ოღონდაც ცოტა ხანს გაუძლოს. მეორე ამოსუნთქვაზე ხშირად წერენ. მესამეზე კი არა. შესაძლოა, ის საერთოდ არ არსებობს. თუ უიშვიათეს შემთხვევაში მოდის იგი სპორტსმენთან და ამიტომაც არ არის ჯერ კიდევ შესწავლილი და აღწერილი?

უკანასკნელი კილომეტრი ფინიშისაკენ როგორც ბურანში ისე განვლეს. გამორთული იყო ყველა გრძნობა, გარდა ერთისა — საკუთარი ღირსების გრძნობისა. მხოლოდ ამ გრძნობით მიიწვედნენ წინ.

ო, ეს დიდებული ძრავია!

ისინი სიტყვას არ ეუბნებიან ერთმანეთს. თითოეული სიტყვა ახლა არნახულ ჯაფას მოითხოვს — პირის, ყელის გაშრობას, ერთი სიტყვით, ხმის ამოღებისთვის საჭიროა ენერჯია. დუმილი! სიჩუმე! მათ უსიტყვოდაც მშვენივრად ესმით ერთმანეთისა. ის, წინ რომ ზის, კარგად გრძნობს თავისი ამხანაგის შრომას. ეს კარგი, პატიოსანი შრომაა. არც ერთი მოსმა


ძალდაუტანებლად. ნავი მიდის! ის, რომელიც უკან ზის, მსოფლიოში უპატიოსნესი გამრჯელია. ასეთებს არ ეშინიათ არავითარი საქმის გაკეთებისა. მადლობა ბედს და მადლობა მწვერთნელებს, რომ ისინი ერთ ნავში ჩასვეს.

ის, უკან რომ ზის, ყველაფერს ხედავს. ხედავს, როგორ მოძრაობენ მეგობრის ხელები, როგორ თამაშობენ ზურგზე კუნთები. ის ლიდერია, ის წამყვანია, მას ორჯერ მეტი მოეთხოვება. გარშემო რალაც ისეთი ხდება, რაც აიძულებს პირველ მენიჩბეს ზღვრამდე განავითაროს ტემპი. ამისთვის მაინც საიდანდა აქვს ძალა? განა არის რაიმე ისეთი ბუნებაში, რასაც შეუძლია ახალი ძალების წყარო გახდეს ერთისთვისაც და მეორისთვისაც? ღიახ. არის! არის! არის! არის! უცხო ნავი, რომელიც წინ მიდიოდა, თანდათან ჩამორჩა. ნაპირზე მყოფთათვის და მსაჯთა კატარღისთვის შეუმჩნეველად. რალაც კარნახობს ჩვენს ორ ნიჩბოსანს: ლიდერები აღარ არიან ისინი, ათი, რვა წუთის უკან რომ იყვნენ. მათთან შეიძლება ბრძოლა, მათ ენერჯია ელევათ. ო, რა ცოტა დარჩა ფინიშამდე! ხუთასი მეტრი კიდევ რომ რჩებოდეს, ისინი გაუსწორდებოდნენ ლიდერებს. კი მაგრამ, რატომ ასე შიშით იყურებიან ლიდერები მათკენ? წინასწარ გრძნობენ რაიმეს? აფსუს, რომ აქ უკვე აღარაფერი შეიძლება მოხდეს. ისინი მეორეები იქნებიან. არც ეს არის ცუდი ჯილდო იმისთვის, რაც მათ დღეს გააკეთეს. რაც... მათ... გააკეთეს... დღეს. მათ საოცრად უმუხთლა ბედმა. წავიდა... წავიდა... გამარჯვება... ეს ნათელია, მაგრამ არაფერია... არაფერი. მათ თავისი გააკეთეს.

ღა აი, ფინიშის სწორიც. ასე სასურველი, ასე ახლოს, ასე არასასიამოვნო. ცოტა შორს მაინც ყოფილიყო. ცოტა... შორს...

უკანასკნელი მოსმა.

მხოლოდ ახლა შეუძლიათ გულდასმით ნახონ თავისი ნიჩბი და გადაისროლონ ნავიდან. რათა დაივიწყონ სამუდამოდ წყეული!



* * *

შეჩერდით, მეგობრებო. არ გადააგდოთ ნიჩაბი! კიდევ გამოგადგება! ლუჩნიკების სპორტული მუზეუმის ფონდის დამცველი რომ ვიყო, არ ვიცი რას მივცემდი მაგ ნიჩაბში. იმიტომ რომ...

* * *

გონება ხელმძღვანელობდა მათს მოქმედებას ზედ ფინიშის სწორამდე. მაგრამ იქ გონებამ თავისი სამუშაო დამთავრებულად ჩათვალა და დასვენება მოითხოვა. გამოირთო.

ისინი ნავმისადგომთან ანგარიშმიუცემლად მივიდნენ. ვერ ხედავდნენ. როგორ უქნევდნენ მათ ხელებს, არ ესმოდათ რას ყვიროდნენ იქ, ნაპირზე. შესაძლოა ხედავდნენ და ესმოდათ კიდევც, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდნენ.

ნაპირზე კი მწვრთნელები, ბევრი რამ რომ უნახავთ ცხოვრებაში, კარგად რომ იციან რა არის ეს — უნარი ერთნაირი ღირსებით გადაიტანო შენი ბიჭების მწუხარებაცა და სიხარულიც, სწორედ ეს მწვრთნელები მზად იყვნენ ცეკვა დაეწყოთ... ნუთუ მართლა სლაგვა, — ამბობდა ერთი. — ნუთუ მართლა კოსტიია! — და რატომღაც თვალეზზე ცრემლი მოსდგომოდათ.

მწვრთნელებს კარგად ესმოდათ, რომ ეს არ იყო უბრალო შეჯიბრება, იცოდნენ, რომ ჩვენებს დისტანციაზე რაღაც შეემთხვათ. ოღონდ ჭერჯერობით ზუსტად არ იცოდნენ რა. მათ

ისიც იცოდნენ, რაც არ იცოდა ორმა ჩვენმა ნიჩბოსანმა ნელ-
ნელა რომ მოდიოდნენ მისაბმელისკენ. სწორედ უკანასკნელ
მეტრებზე გაუსწრეს თავიანთ მთავარ კონკურენტებს კოსტენ-
კომ და კონონოვმა და შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაი-
კავეს. ისინი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

...მათ ნავიდან გადმოსვლაში მიეხმარნენ. ფრთხილად აიყ-
ვანეს ხელში და უახლოესი სკამისკენ წაიყვანეს. გვერდით
მდგომი ადამიანები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ხმადაბლა
ელაპარაკათ, არ უნდოდათ მათი შეწყუბება. თუმცა ძალიან ძნე-
ლი იყო ხმადაბლა ლაპარაკი ასეთ წუთებში. და მხოლოდ ერთ-
მა კაცმა წარმოთქვა გაცეებით და ყველას მოეჩვენა, რომ მე-
ტისმეტად ხმამაღლა წარმოთქვა, თუმცა წაიჩურჩულა:

— შეხედეთ... შეხედეთ ამ ნიჩაბს.

• • •

საიდან არის ჩვენში გამძლეობის ეს მარაგი და ეს რეზერ-
ვები? რამდენად დიდია ისინი და სად არის მათი ზღვრები? ნუ-
თუ მართალია, რომ სპორტული პროგრესის შესაძლებლობანი
განპირობებულია ამ მარაგებით და მათგან სესხების უნარით?
დადგება კი ოდესმე ისეთი დრო, როდესაც ყველაფერი ამოი-
წურება და თუ დადგება... რა მოხდება მაშინ?

არის ასეთი მეცნიერება — ფუტუროლოგია — მეცნიე-
რება ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების მომავლის შესა-
ხებ. სპორტს იგი უახლოვდება ნელა და არცთუ ისე გაბედუ-
ლად; თუმცა ნებდება, რადგან მომავლის ადამიანის ჭეშმარი-
ტი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების წარმოუდგენ-
ლად, დღეს რომ სპორტის დახმარებით არის აღმოჩენილი, იგი
შორს ვერ წავა.



მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამ თემაზე ფიქრობენ, წერენ, დავობენ.


ერთი მათგანი პროფესორის წოდებას ატარებს და ბელის უნივერსიტეტში კურსს კითხულობს. მას ფრანსუა ეიდსეკი ჰქვია.

შენსველა ფუტუროლოგთან

მოხარული ვარ, რომ გავიცანი ეს სიმპათიური და გულთბილი ადამიანები, მაგრამ... არ ვიცი რატომ მოვედი აქ. საერთოდ ორი კვირის განმავლობაში ეს ერთადერთი თავისუფალი საღამო მქონდა და შეიძლებოდა მისი უფრო გონივრულად გამოყენება. ახლა კი უხერხულია ავდგე მაგიდიდან, ბოლიში მოვიხადო და დავემშვიდობო.

პროფესორი კი განაგრძობდა:

— იმას ვამბობდი, ყველა მოხარულია, რომ ჩვენთან გრენობლში ამდენი ახალგაზრდა ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნიდან. მეცა და ჩემი ცოლ-შვილიც ფრიალ გახარებული ვართ ამით, რაც არ უნდა იყოს, ოლიმპიადა კარგი ფესტივალია. ჩვენც ბევრ მეგობარს შევიძინეთ და გრენობლსაც უკეთ გაიცნობენ მსოფლიოში. მაგრამ ჩემში მეტისმეტად ღრმად ზის ფუტუროლოგი. და მე უკვე აღარ ძალმიძს ვაიძულო თავი ყველაფერ ამას მხოლოდ ჩვენი დღევანდელი დღის პოზიციიდან ვუყურო. მომიტევეთ და ეს ჩემი ჩვეულებაა — ყველაფერს „ოდნავ ხვალისაგან“ ვუყუარებ; ასე რომ, არ მინდა თავს მოვახვიოთ ჩემი აზრი, საერთოდ ამის გაკეთება არასოდეს არ ღირს, ოპონენტი თვითონ უნდა მივიდეს ჭეშმარიტებამდე, როცა მისი მრწამსი



მტკიცება... ასე რომ, მოხარული ვიქნები, თუ თქვენ დღეს თვე-
 თონ მიხვალთ ამ რწმენამდე: ყოველ ოლიმპიადზე ჩვენი
 სპორტი, ჩვენი დღევანდელი გაგებით, სულ უკან და უკან მი-
 დის. მას ძალა ელევა. ამაში ეჭვიც არ მეპარება. იმიტომ რომ —
 როგორ გითხრათ უფრო ზუსტად — ადამიანი მალე მიაღწევს
 აბსოლუტურ სპორტულ ზღვარს და დაკარგავს ყოველგვარ
 სტიმულს შეჯიბრებებისა და საკუთარი ძალის გამოცდისადმი.

პროფესორი თვალეზში მიყურებდა და ელოდა, როდის და-
 ვუქნევდი, ოდნავ შესამჩნევად მაინც, თავს. მერე მზერა ცოლ-
 ზე გადაიტანა და წყნარად ჰკითხა:

— შეთანხმები, საყვარელო?

ცოლმა მომზადებული პასუხი შეაგება:

— გეთანხმები, ჩემო ძვირფასო... მაგრამ მე მგონი, ძა-
 ლიან გადაღალე სტუმარი ლაპარაკით... უმჯობესია კი ეს გა-
 სინჯოთ — კექსი — ჩვენი საოჯახო სამზარეულოს მშვენება.
 ფრანსუა, დაუსხი, გეთაყვა, სტუმარს ყავა. იმანუილ, გეყოფა
 ბიძიას მხრებზე ჯდომა, ჩამოდი. ფრანსუა, რატომ არაფერს
 ეუბნები ბავშვს? იმანუილ, ბიძია სათამაშო ცხენი არ არის (ო,
 მომიტევეთ) და არც შენა ხარ ყოკეი. ყოკეი გუშინ იყავი,
 დღეს არქიტექტორი ხარ. წადი შენს ოთახში, ააშენე რამე და
 მერე ჩვენ გვაჩვენე. აბა, გთხოვ...

მადამ ეიდსეკმა მორცხვად გაიღიმა.

იმანუილი სამი-ოთხი წლის მოუსვენარი, ბუთხუზა ბიჭი
 იყო. მასთან როგორღაც თავიდანვე უფრო უშუალო ურ-
 თიერთობა დავამყარე, ვიდრე მამამისთან. მამა უკმაყოფილოდ
 უყურებდა მის ეკვილიბრისტულ ვარჯიშებს, მაგრამ შენიშვ-
 ნას არ აძლევდა... ჩემი აზრით, იგი ხვდებოდა, რომ ბავშვზე
 მისი შენიშვნა დაახლოებით ისევე იმოქმედებდა, როგორც

დედის რჩევა-დარიგებანი. ან შესაძლოა, პროფესორს უბრა-
ლოდ არ სურდა საუბრის შეწყვეტა.

— ნამდვილად, — განაგრძობდა მასპინძელი, — ამაში
არც თქვენ შემედავებით, ერთ მშვენიერ დღეს ადამიანები ეტ-
ყვიან თავის თავს: „შესდექით, ჩვენ უკვე მოვედით, ბატონებო,
სენიორებო და ამხანაგებო. ჩვენ უკვე აღარსად გვეჩქარე-
ბა. აი, ას მეტრზე რბენაში უკვე ნაჩვენებია ფანტასტიკური
შედგენი — ცხრა წამი და ელექტრონულმა მანქანებმა გამოით-
ვალეს, რომ ამ ზღვრიდან ადამიანი ვერასდროს ვეღარ გამო-
ვა. იგივე მოხდა სპორტის სხვა სახეობებშიც — ცურვაში,
ძალოსნობაში და ასე შემდეგ. ყველაფერი, რაც ჩვენ უნდა
აღმოგვეჩინა, გადაგვეწყვიტა და დაგვემტკიცებინა, უკვე აღ-
მოჩენილი, გადაწყვეტილი და დამტკიცებულია. ამიტომ, მო-
დით, გავაუქმეთ ყველა ოლიმპიადა და კეთილად მოვიგო-
ნოთ. ოდესღაც ხომ ისინი ჩვენს ახლო წინაპრებს სიხარულს
ანიჭებდნენ. მაგრამ წინაპრები მეტისმეტად ჩქარობდნენ და
აღარაფერი არ დაგვიტოვეს გასაკეთებელი. არავითარი აღმო-
ჩენები და საიდუმლოებანი. რა ვქნათ ბატონებო, რა ვქნათ?..
მოდით დავუშვათ ოლიმპიადის დროშა. უკანასკნელად და სა-
მუდამოდ“.

— მხიარული დრო დადგება, თუმცა დიდი სურვილი არ
მაქვს ასეთ დროში ცხოვრებისა...

— ნუ სწუხართ... ადამიანი, სულერთია, მაინც გამონახავს
რაიმე შეჯიბრებას, სადაც შესაძლებლობა ექნება თავის ძა-
ლების მოსინჯვისა. უამისოდ ის ჩამოხმება. სპორტის ნაცვ-
ლად რაიმეს გამოიგონებს. სპორტი თანამედროვე გაგებით
აღარ იარსებებს. ამაზე აზრს ვერავინ შემაცვლევინებს.

ახლა კი დროა, მოკლედ გაგაცნოთ პროფესორ ფრანსუა

ეიდსეკის პიროვნება, ვინ არის იგი, როგორ და რატომ შეეხვე-
დი მას.

საფრანგეთის უნივერსიტეტის ცნობარში სიტყვა „გონ-
ნობლის“ გვერდით პროფესორების გრძელი სიაა. ჯერ კიდევ
მოსკოვში, ამ ცნობარს რომ ვეცნობოდი, მასში ვიპოვე ფრან-
სუა ეიდსეკის გვარი. ცნობარში ეწერა, რომ ის სოციოლოგია
და კაცობრიობის მომავალს სწავლობს. სწორედ მაშინ გავი-
ფიქრე, რომ საინტერესო იქნებოდა ბატონ ეიდსეკთან შეხ-
ვედრა, მით უმეტეს, რომ საყოველთაოდ იყო ცნობილი
ოლიმპიური პრესცენტრის თავაზიანობა — იგი ჰპირდებოდა
სტუმრებს, რომ დაუყოვნებლივ შეახვედრებდნენ გრენობლის
ყველა მცხოვრებთან, ვისთანაც კი მოისურვებდნენ შეხვედ-
რას.

— ოღონდ, გეთაყვა, არ იფიქროთ ვიღაც ფუქსავატთან
საუბრობდეთ, რომელსაც არ უყვარს სპორტი და რომლის-
თვისაც სავსებით სულერთია, მისი შემდგომი ბედი, — გა-
ნაგრძობდა მასპინძელი და თან სირჩებში კონიაკს ასხამდა.
თვითონ მე ვთამაშობდი ფეხბურთსა და კალათბურთს, ახლა
კი თხილამურებზე დავდივარ. სხვათა შორის, ჩემი ბავშვებიც
მოთხილამურეები არიან. ასე რომ, მე მიყვარს სპორტი. და
თავს უფლებას ვაძლევ ვთქვა, რომ მესმის იგი. ოლიმპიადი-
თაც აღფრთოვანებული ვარ. კიდევ იმიტომაც, რომ იგი გვიჩ-
ვენებს მომავლის ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ, დიან,
გონებრივ შესაძლებლობებს. ის, რაც დღეს ერთ ადამიანს
აწევს მხრებზე, ხვალ ბევრისთვის გახდება ხელმისაწვდომი.
ოლიმპიადა სპორტს დიდ სტიმულს აძლევს, აჩქარებს მას.
სამწუხაროდ, აჩქარებს. რაც უფრო სწრაფად იზრდება დღეს

რეკორდები, მით უფრო ნელა გაიზრდება ისინი ხვალ და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ზრდა სავსებით არ შეწყდება.

— ვფიქრობ, თქვენთან დავა შეიძლება ბატონო პრინცი-სორო, — ვუთხარი მე, — ვგონებ, ადამიანი ძალიან ცუდად დაიწყებს ფიქრს, თუ უცბად დაადგენს, რომ რომელიღაც დარგში, ვთქვათ სპორტში, გაკეთდა ყველაფერი, რაც მას უნდა გაეკეთებინა და რომ მას უკვე აღარა აქვს რაიმე მისწრაფება. დადგება ალბათ ისეთი დრო, როდესაც სპრინტერები იბრძობლებენ წამის მეათასედისთვის, ხოლო ძალოსნები გრამებისათვის. სხვათა შორის, შესაძლოა, თქვენ გსმენიათ კიდევ ამის შესახებ, უკვე არაერთგზის სცადეს სპორტული რეკორდების ზღვრების დადგენა.

— გახსოვთ მისტერ ჰამილტონი?

— მოხარული ვარ, რომ თქვენთვის ცნობილია ამ ამერიკელი მწვრთნელის სახელი. რამდენი წლის წინათ შეადგინა მან თავისი ზღვრების ცხრილი მძლეოსნობაში?

— ვფიქრობ, ოცდაათი წლის წინათ. ვიცი, თქვენ ახლა გაიხსენებთ, რომ ეს „ჰამილტონისეული ზღვრები“ გადალახულ იქნა ერთ-ნახევარი — ორი ათწლეულის განმავლობაში. მაგრამ გეტყვით, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დავითვლით და დროის რომელი კატეგორიებით ვისარგებლებთ. უბრალოდ, საჭიროა ზღვრების განსაზღვრის უფრო სერიოზული და ზუსტი სისტემა... მანქანებიც დაგვეხმარება. შემდეგ ჩვენ, ფუტუროლოგები, იშვიათად ვსარგებლობთ ისეთი ცნებებით, როგორიცაა „ათი წელი“, „ოცი წელი“, ჩვენ ვცდილობთ შორს ვიყუროთ. იქ, „შორს“, მე ვხედავ ზღვრებს. გჯერათ თქვენ თუ არა, რომ ადამიანი ასწევს სამას კილოგრამიან შტანგას, ანდა სიგრძეზე ცხრა ან ათ

მეტრზე გადახტება? უკვე რამდენი წელია, ვერ იქნა და ვერ დაძლიეს რევამეტრანახევარი. რვა მეტრზე შორს კი ვერ დადევ რამდენიმე ათეული წლის წინათ გადახტნენ.

თანამოსაუბრე გაჩუმდა, რაღაცაზე ჩაფიქრდა და ცოლს სთხოვა ტელევიზორისათვის ხმა მოემატებინა. ეკრანზე ფიგურისტების შეჯიბრებას უჩვენებდნენ „სკოლაში“. მეც მივაჩერდი ეკრანს, იმის ფიქრით, რომ, აი, სადაცაა დამთავრდება შეჯიბრება და შევძლებ მასპინძლებთან თავაზიანად დამშვიდობებას-მეთქი.

— ოღონდ არ იფიქროთ, გეთაყვა, რომ მე ვიღაც პესიმისტი ვიყო. მშვენივრად მესმის, რომ არის სპორტის ისეთი სახეობა, როგორც, მაგალითად, ფიგურული სრიალია, სადაც ყველაფერი ბალებზეა დამოკიდებული და სადაც დაოსტატება შეიძლება მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდეს. არის სათხილამურო სპორტი, სადაც ყოველი ახალი შედეგი დამოკიდებულია დისტანციის სირთულეზე, ამინდზე, თოვლის საფარზე და არის, ვთქვათ, ჰოკეი, სადაც დიდ როლს თამაშობს არა მხოლოდ ძალა, ამტანობა, შეთამაშება, არამედ ძალიან ხშირად შემთხვევაც. რაც შეეხება რბენას მიწაზე და ყინულზე, ხტომებს, ორბურთულებს, აქ, როგორი არასასიამოვნოც არ უნდა იყოს ამის აღიარება, დგება ზღვარი.

იმანუილს არ მოსწონდა, რომ დიდები, რომლებიც რაღაც საუბრით იყვნენ გართულნი, მას ცოტა ყურადღებას უთმობდნენ. მან მაინც მოახერხა დამოუკიდებლად შემჯდომოდა მხრებზე; მერე ჩამოუშვა ხელები და აღმუვლდა: „რრრ-რრ-რრრ“. ახლა ის რეაქტიული თვითმფრინავის წამყვანი იყო და მთხოვა გაენძრეულიყავი. აქ მამა საკმაოდ სწრაფად დაბრუნდა შორეული წარსულიდან აწმყოში: „ო, ღმერთო ჩემო!“

2. ა. კიკნაძე

149-65 X

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედამ წამოიძახა: „ო, ეს ბავშვი“, მე კი ვკითხე, ხომ არ თვლის პატივცემული პროფესორი, რომ ჩვენს საუკუნეში აქსელერაციას ხვდებიან ცალკეული ახალგაზრდები, რომლებიც რაღაცით განსხვავდებიან თავიანთი წინაპრებისგან; აი, მაგალითად, გამბედაობით, შეუპოვრობით და ასე შემდეგ.

— დიახ, თქვენ სავსებით სწორი ბრძანდებით, — მიპასუხა ქმრის მაგივრად ქალბატონმა ეიდსეკმა. იმანუილს ყველაფერზე, უკლებლივ ყველაფერზე, აქვს საკუთარი შეხედულებები და ძნელად თუ შეაცვლევინებ რაიმეზე აზრს. მან იცის, რა უნდა და რა არ უნდა და ახალი, სულ უმნიშვნელო შთაბეჭდილების გულისათვის მზადაა კისერი მოიტეხოს.

— ხომ არ შეგვედავება პროფესორი იმაში, რომ ყოველი ახალი თაობა რაღაცით სჯობია წინა თაობას? მაშასადამე, ყოველი ახალი თაობისგან შესაძლოა ველოდოთ აღმოჩენებს... მე მგონი ჯერჯერობით ვგაქვს გარკვეული წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის ადამიანის ჭეშმარიტი რეზერვები, ფიზიკური და სულიერი. სპორტის მეშვეობით ადამიანი უკეთ შეიცნობს თავის თავს...

— შესაძლოა, შესაძლოა, — დაბნეულად წარმოთქვა მას-პინძელმა.

მისი ვაჟიშვილი ახლა ხალიჩაზე, ტორშერის გვერდით, დამოუკიდებლად გვაჩვენებდა, როგორ კეთდება ორმაგი მკვდარი მარყუჟი და ჩემი თანამოსაუბრის საუბარი აღარ იყო ისეთი მწყობრი, როგორც შეხვედრის დასაწყისში. ოპონენტის მოსაზრებებს ის ბევრად უფრო ხალისიანად ეთანხმებოდა, ამასთან თვალს არ აშორებდა ბავშვს და ემუდარებოდა მოქალაქეობრივი სინდისის გამოჩენას. ბოლოს, საქმეში ქალბატონი ეიდსეკი ჩაერია. მან უსიტყვოდ ამოიღლია ბი-

ჭი და სცადა მისი მეორე ოთახში გატანა. მაგრამ ეს საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდა. იმანუილმა მოხერხებულად გაჩაჩხა ფეხები, რომლებითაც წირთხლს ეყრდნობოდა, და ავტომატურად ამბობდა უარს კარში გაძრომაზე. მაშინ ფუტუროლოგიის პროფესორმა ბოდისი მოიხადა, ადგილიდან წამოდგა და დამუშავებული მოძრაობით შეაერთა ბიჭის ფეხები. იგი გაიტანეს და საუბარი ისევ გაგრძელდა.

— ნამდვილად, უკანასკნელ ხანს მეცნიერებამ ადამიანის შესახებ საკმაოდ ბევრს მიაღწია და მოულოდნელი ვარაუდები გამოთქვა ადამიანის, როგორც საინჟინრო კონსტრუქციის, როგორც კარგად დაპროგრამებული კონსტრუქციის, ჭეშმარიტ შესაძლებლობებზე. და მაინც, როგორი იმედის მომცემი ცნობებიც არ უნდა მოგეაწოდონ დროდადრო ფიზიოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, ანთროპოლოგებმა, ადამიანის ჭეშმარიტი შესაძლებლობა მკაცრად შეზღუდული. მან შეიძლება გაიკეთოს ხელოვნური ხელი და ასწიოს ტონა, მაგრამ საკუთარი ხელით მხოლოდ იმის გაკეთება შეუძლია, რასაც დღეს აკეთებს. ჰო, შესაძლოა წლების განმავლობაში ცოტა მეტი ისწავლოს. ეს არის და ეს. იგივე ითქმის სპორტზეც. მაშინ უკვე ვეღარ უშველიან წამის ვერც მეთათასელები, ვერც მეთათათასელები, ვერც მილიმეტრები.

— მინდა გულახდილად გითხრათ, ბატონო პროფესორო, როდესაც თქვენთან მოვიდი, ვფიქრობდი, რომ რაღაც პირდაპირ საწინააღმდეგოს მოვისმენდი იმისას, რაც მოვისმინე. არ დავმალავ, დასაწყისში დაბნეული და ოდნავ იმედგაცრუებული ვიყავი, მაგრამ ახლა... ახლა პატარა იდეა დამებადა. რა იქნება, პირობა რომ დავდოთ, მოდით, მივწეროთ ხოლმე ერთმანეთს ხუთ ან ათ წელიწადში ერთხელ.

ეს წლები დაგვეხმარებინ თვითონ დავრწმუნდეთ იმაში, ვინ არის ჩვენს შორის მართალი. მე კი ჩვენი საუბარი მაიძულებს, ცოტა უფრო სერიოზულად ჩავუჯდე ადამიანში სპორტული რეზერვების გამოვლენის თემას. რას ფიქრობთ თქვენ ყოველივე ამის შესახებ?

— ათი წელი მოკლე დროცაა და ხანგრძლივიც. თუმცა ჩვენ ხომ თითქოს თანატოლები ვართ. მართლაცდა, რატომ არ უნდა გავიხადოთ დრო მოკავშირედ. მას შეუძლია დაამტკიცოს თქვენი სიმართლე... მაგრამ ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ის დაამტკიცებს ჩემს სიმართლესაც.

— გმადლობთ საუბრისათვის, ბატონო პროფესორო. ფიცი დამეხმარა მომავალი სამუშაო თემის ჩამოყალიბებაში: „სპორტული ბრძოლის ექსტრემულ პირობებში ადამიანის ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური რეზერვების ძიება“. მოგწონთ? ოღონდ, ღვთის გულისათვის, არ იფიქროთ, დისერტაციის დაწერას ვაპირებდე. არა, შევეცდები დავწერო წიგნი და დავარქვა, რასაკვირველია, არცთუ ისე უცნაური სათაური. ხუთი წლის შემდეგ შევეცდები გამოგიგზავნოთ ჩემი დავრეზერვების მოკრძალებული შედეგები. თუ მისამართი შეიცვალეთ, მაუწყეთ, გეთაყვა.

ასე დაედო სათავე ამ წიგნს.

საუბარი გრენობლის უნივერსიტეტის პროფესორ ფრანსუა ეიდსეკთან შედგა 1968 წლის 3 თებერვალს.

უხილავი რეზერვი

ინგლისელი მეცნიერი არტურ კლარკი ფიქრობს, რომ უახლოესი შვიდი ათასი წლის განმავლობაში კაცობრიობა

მზის სისტემის ყველა პლანეტას აითვისებს და დაასახლებს. დედამიწაზე ადგილი აღარ დარჩება. „ჩვენ უსაშველოდ გავმრავლდებით“. სხვა პლანეტებზე ცხოვრების პრობლემთან შეგუების პრობლემა არც ისეთი რთული აღმოჩნდება, როგორც დღეს გვგონია. უბრალოდ, იმ დროისთვის ადამიანი შეიცვლება. არა, გარეგნულად ის ალბათ ისევე ოდნავ იქნება ჩვენგან განსხვავებული, როგორც ჩვენ განვსხვავდებით შვიდი ათასი წლის წინათ მცხოვრები ჩვენი წინაპრებისგან. ის უბრალოდ ისწავლის იმ რეზერვების უკეთ გამოყენებას, რომლებიც მას ბუნებამ მისცა თავდაპირველი „კონსტრუქციის“ დროს და რომლებზეც ჩვენ ჯერჯერობით უადრესად შედარებითი წარმოდგენა გვაქვს.

თუმცა დღეს ჩვენ მაინც ვიცით რაღაც; მაგალითად ის, რომ მსოფლიო რეკორდის დამყარების მომენტშიც კი ძალისხმევა თვისი „ძალის რესურსების“ მხოლოდ 35—40 პროცენტს იყენებს („დანარჩენი“ პროცენტები ჯერჯერობით რაღაც ხელუხლებელი რეზერვია, რომელსაც ბუნება ჩვენში ინახავს; იმისათვის ხომ არა, რომ მომავალ თაობებსაც დაუტოვოს რაღაც აღმოსაჩენი). ჩვენს ძვლოვან და კუნთოვან კონსტრუქციას გააჩნია გამძლეობის მარაგი საოცრების მოხდენისთვის. ამტკიცებენ, რომ თეორიულად ადამიანს ძალუძს თავს ზემოთ აღმართულ ხელებზე ექვსასი-შვიდასი კილოგრამი დაიკავოს.

ეს რაც შეეხება ფიზიკურ რეზერვებს. ახლა კი ორიოდ სიტყვით ჩვენი აზროვნების რეზერვებზე.

ის, რასაც ჩვენ ნაცრისფერი ნივთიერება დავარქვით, შეიცავს თხუთმეტ (ან დაახლოებით ამდენს) მილიარდ უჯრედს.



ამ უჯრედებს, ან იოგებს შორის იბადება აზრი და ინახება მოგონება; იდეა, რომლითაც ადამიანი წინ ისწრაფვის. მესსიერება, გამოცდილებას რომ ინახავს და ეხმარება ადამიანის წინსვლაში. ასე ამბობენ! ამასვე ამბობენ ისინიც, ვისაც დაეჯერება — რომ ჩვენ თავის ნაცრისფერ ნივთიერებას არცთუ ძალიან კარგად ვიყენებთ. ადამიანი, რომელიც გადაღლილი არ არის რაიმე ფიქრებითა და მისწრაფებებით, ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია შორეული მიზნები და რომლის ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, წელიწადი კი წელიწადს, ასეთ ადამიანს, უკაცრაული პასუხია, ხმარებაში შეაქვს თავისი აზროვნების მარაგის სამ-ოთხ პროცენტამდე. ეს კიდევ დასაჯერებელი ამბავია. მაგრამ რაღა „შეაქვს“ ხმარებაში ადამიანს, რომელიც გონებრივი საქმიანობითაა დაკავებული, ადამიანს ურყევს, ნიჭიერს, შრომისმოყვარეს? ნუ ესგვრით ქვას მათ, ვინც დაასახელა ეს ციფრები; ექვსი-რვა პროცენტი. ამ საკითხზე სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე მეცნიერთა აზრი ერთმანეთს ემთხვევა.

გთხოვთ ამის შემდეგ ცუდს ნუ იფიქრებთ საკუთარ თავზე და ახლობლებზე. იმას, რაც ჩვენ გვაქვს მოცემული „მდგომარეობის მიხედვით“ გამოსაყენებლად მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებისთვის, „სრული ასი პროცენტით“ გამოვიყენებთ. სხვანაირად არც შეიძლება. მაშინ აღარ იქნებოდა საპლანეტაშორისო ხომალდები, ატომური ელექტროსადგურები, ადნრეი ვოზნესენსკის ლექსები, პაბლო პიკასოს სურათები და ვასილი ალექსეევის რეკორდები.

მაგრამ მთელი ეს ასი პროცენტი მცირე ნაწილია იმისა, რისი გამოყენების შესაძლებლობაც მიეცემა ჩვენს შთამო-

მავლობას. ღინჯ მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებ ჩვენს პაპებს რომ სკოდნოდათ ინფორმაციის რა ნიაღვართი დაეძინებოდათ საქმე მათ შვილიშვილებს, გაოცებულნი დარჩებოდნენ. დღევანდელი ინფორმაციის ნიაღვარი ას ოთხმოცჯერ განიერია, იმ პატარა ნაკადულთან შედარებით, საიდანაც ჩვენი პაპები წვეთებს ხაპავდნენ. თუმცა... როგორც ასეთი, ცნება „ინფორმაციის ნიაღვარი“ პაპების დროს არ არსებობდა, ისევე როგორც არ არსებობდა ჩვენი საუკუნის სოციალური და მეცნიერული რევოლუციის შედეგად წარმოშობილი მრავალი სხვა ცნება.

და აქ თავისთავად ჩნდება ერთი დიდი „მაგრამ“. ნუთუ მოთმინებით უნდა ველოდოთ, სანამ დავბერდებით და სანამ ჩვენი შვილიშვილები დაიზრდებიან, რომ დავრწმუნდეთ ადამიანის ორგანიზმისა და სულის ახალ, გამოუცნობ შესაძლებლობებში? ნუთუ ჩვენს დროშიც არ შეიძლება განვახორციელოთ აკრძალულ ზონაში შეღწევის ცდა და თამამად წამოვიდეთ იქიდან ხელუხლებელი მარაგი, რომელსაც მზრუნველი და შორსმჭვრეტელი ბუნება ცხრაკლიტულში ინახავს? თუ ასეთი ცდების დაყენება შეიძლება, მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ ვიცოდეთ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გულმოდგინედ აღვწეროთ ისინი.

ცნობილია არა ერთი შემთხვევა, როდესაც ადამიანი სიკვდილის საფრთხის წუთს ერთი დარტყმით ტეხდა კლიტეს და მრავალი წლის შემდეგ, გარდახდილს რომ იხსენებდა, თავის თავს ეკითხებოდა: საიდან მოვიკრიბე მაშინ ამდენი ძალღონეო.



საღლაც მაღლა მძიმე ბომბდამშენი მიფრინავს. მან ეს-ესაა გერმანელთა ღრმა ზურგში მტრის სადგური დაბომბა და ახლა შინ ბრუნდება. აღრიანი დილაა. ხმელეთზე ჯერ კიდევ სიბნელეა. მაგრამ მალე ამოხდება მზე და ბომბდამშენს გაანათებს. ცაზე კი ღრუბლის ნაგლეჯიც არ ჩანს. ფრონტის ხაზამდე ჯერ კიდევ დაახლოებით სამასი კილომეტრია. თვითმფრინავში სამარისებური სიჩუმეა. ღუმს მეთაური, ღუმს მეორე პილოტი, ღუმს შტურმანი. ისინი ხანდისხან ქვევით იხედებიან. რადისტი-მსროლელი გვერდზე იყურება...

მათ ერთი საათის წინ მოათავეს დაბომბვა. ხედავდნენ როგორ ფეთქდებოდა ბენზინიანი ცისტერნები. ცეცხლის ენები ცას სწვდებოდნენ. სადგური სამხედრო ტვირთით იყო გატენილი. პარტიზანებმა აღმოსავლეთისკენ ორ ადგილას გადაჭრეს გზა და სარდლობამ გადაწყვიტა იქ შორი მოქმედების ბომბდამშენთა რგოლი გაეგზავნა.

სამი თვითმფრინავიდან შინ ერთი ბრუნდებოდა. თვითმფრინავში სიჩუმეს დაესადგურებინა. თუკი საერთოდ შეიძლება ბომბდამშენში სიჩუმემ დაისადგუროს.

მათ გვარიანად დამბობეს მტრის ობიექტი. თავიანთი საქმე გააკეთეს. ოღონდ ამხანაგები დაკარგეს, ვერაფრით ვერ უშველეს. ახლა კი შინ ბრუნდებოდნენ. მათ ბედმა გაუღიმა, მათ ბედმა გაუღიმა, მათ ბედმა გაუღიმა... მაგრამ წინ კვლავ ფრონტის ხაზია. ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც არ ჩანს. მალე ამოხდება მზე.

შტურმანი, თხელ პირისახიანი, უუღვაშო, ოცდასამიოდე წლის ბიჭი მარშრუტს კვალავს. ასეთ საქმეზე ის მეორედაა.

თვითმფრინავში, რომელიც აღარ დაბრუნდება, მისი მეგობარი იყო, კარის მეზობელი და სასწავლებლის ამხანაგი. მას ცოლი და სამი თვის გოგონა ღარჩა. მათ ჯერ არაფერი იცოდნენ.

შტურმანი ჩუმად ტირის. პატარა, უწვერულვამო შტურმანი. მან ყველაფერი დაივიწყა, რაც თვითონ გარდახდა თავს. ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რას და როგორ მისწერს მეგობრის მეუღლეს.

თუ ცოცხალი გადარჩა... შტურმანმა სახე ფანჯრისკენ მიიბრუნა. ცრემლები ზომ არავის შეემჩნია. მან ყველაზე ადრე დაინახა „მესერშიტი“, რომელიც ვზის გადასაჭრელად მოდიოდა.

— მეთაურო, მარჯვნივ მესერია!

რა ხდება იქ, რატომ აყოვნებს მსროლელი? უკვე დროა ცეცხლი გახსნას.

ინათა, ფრონტის ხაზამდე კი ოციოდე კილომეტრია დარჩენილი, რაღაც ხუთი წუთის საფრენი მანძილი. მაგრამ უკვე ინათა. „ტყუილად ფიქრობდი, შტურმანო, რომ მისწერდი მეგობრის მეუღლეს, ტყუილად არჩევდი სიტყვებს. ახლა შენზე მისწერენ: დაიღუპა საბრძოლო დავალების შესრულების დროს“. გამანადგურებელმა ცეცხლი გახსნა. რადისტ-მსროლელმა ორი ჯერი გაუშვა და ჩაჩუმდა. „მესერშიტიში“ მყოფმა პირველ რიგში მსროლელის თავიდან მოცილება გადაწყვიტა. მერე გვერდზე ჩაუფრინა, ფრთები დააქნია და წინადადება მისცა დასდევნებოდა მას.

ხომალდის მეთაურმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ შეამჩნია სიგნალი. მან მკვეთრად დაუშვა მანქანა ქვევით, მაგრამ დიდი, ნელი თვითმფრინავი ვერსად დაიძალა. ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც არაა.

„მესერშიტი“ ნელა შემობრუნდა და შეტევაზე გადავიდა. ახალგაზრდა შტურმანმა სახე იდაყვებით დაიფარა. როგორ ავლებს ნაკერს ზედ ყურთან ტყვიამფრქვევის მერე აფეთქების ხმა გაიგონა. მეთაური უსიცოცხლოდ გადაწვა სავარძლის ზურგზე, მეორე პილოტის პირიდან სისხლი ნაკადულად ასხამდა. ორივე მაშინვე დაიღუპა. თვითონ რაღაც სასწაულით გადარჩა. გადარჩა... თვითმფრინავი დედამიწისკენ მიექანება.

შტურმანმა რაღაც ზებუნებრივი ძალა მოიკრიბა და კარებისკენ გაბობლდა. ის აქეთ-იქით ეხეთქებოდა და მაინც მიბობლავს. და აი ისიც, სასურველი კარი. მან კარის გაღება სცადა. მაგრამ ვერ მოახერხა. კარი თითქოს ჩალურსმული იყო. ის, რაც ოდესღაც თვითმფრინავი იყო, ჰაერში კვამლის კვალს ტოვებდა და დედამიწაზე ვარდებოდა. შტურმანმა ერთხელ კიდევ სცადა კარის გაღება. ამაოდ.

მრავალი წლის შემდეგ ავიაციის დღისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში გამოვიდა ჭალარა, ორდენებით მკერდლამშვენებული შტურმანი.

— ვიცოდი, უსახლოდ დავიღუპებოდი, — თქვა მან, — თუ რაიმე საგანგებო ზომებს არ მივიღებდი. უმწეო მდგომარეობამ გამაბოროტა. გავიფიქრე, ნუთუ ასე ბრმად უნდა დავიღუპო-მეთქი. წამოვდექი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი დავარტყი კარს. მოხდა რაღაც სასწაული. კარი ანჯამას მოსწყდა. პირველად თვალებს არ დავუჯერე. მაგრამ კარი ქვედა ანჯამის ნაგლეჯზედა ეკიდა, რამდენიმე წამის შემდეგ კი მთლიანად ჩამოვარდა. დანარჩენი ძნელი საქმე აღარ იყო. ჯერ კიდევ საავიაციო სკოლაში გვასწავლეს, როგორ გამოვმხტარიყავით დაზიანებული თვითმფრინავიდან. ხუთასი-

შვიდასი მეტრი იყო დარჩენილი, როდესაც გადმოვხტი და მიწაზე მშვიდობიანად დავეშვი. ხან ფეხით, ხან ხოხებით, ერთგორც იქნა, ჩვენთანებამდე მივალწიე. ვუამბე რაშიც იყო საჭი-
მე — როგორ ჩამოვაგდე კარი მუშტით. ვილაცამ წყნარად თქვა: „მას ბოდვა ეწყება. ეტყობა, ახალია, მეტისმეტად მგრძობიარე“. მე მათ ვუთხარი ნაწილის ნომერი, მეგობრების გვარები, ვისთან ერთადაც დავალემაზე გავფრინდი, მათ ყველაფერი ჩაიწერეს, მაგრამ მაინც ყველა უნდობლად და ცერად მიყურებდა. მე თვითონაც არ დავიჯერებდი, ვინმეს რომ ეთქვა, თვითმფრინავის კარი მუშტით ჩამოვიღეო. ერთხელ, უკვე ოწის შემდეგ, როდესაც სამოქალაქო ცხოვრებას დავებრუნდი, სამხრეთის ქალაქის ბულვარში გოგონასთან ერთად ვსეირნობდი. უცბად მომესმა სროლის ხმა, თითქოს მკირეკალიბრიანი შაშხანიდან გაისროლესო. მივიხედე და იქვე ახლოს უამრავი ხალხი დავინახე. მივედი, ვხედავ ატრაქციონია. ძალმზომი იდგა. მას მუშტი უნდა დაარტყა და თუ ძლიერად დაარტყამ, სროლის ხმა გაისმის. ძალმზომის გარშემო მხიარული კომპანია შეგროვილიყო. ერთ ახალგაზრდა კაცს დასცინოდნენ. ას კილოგრამამდე იქნებოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა ვაზნიანი მაქოს ბოლომდე აგდება. როდესაც კომპანია წავიდა, ჩემს მეგობარ გოგონას ვუთხარი, ახლა მე ვსინჯავ-მეთქი. გულში ვფიქრობდი, რომ პირველსავე დარტყმაზე ბოლომდე ავაგდებდი ვაზნიან მაქოს. ჯერ კიდევ იმ დროიდან მქონდა ჩემი მუშტისა და ძალის იმედი. ძალზე მორიდებულად მივედი, დავარტყი და მაქო დარტყმის შუა ადგილს ოდნავ ასცდა. ვიფიქრე, უხეიროდ დავარტყი-მეთქი. კიდევ ერთხელ ვსინჯე... კვლავ არაფერი გამომივიდა. მეორე დღეს მარ-



ტო შოვედი, მოწმედ არავინ წამომიყვანია. და მაინც ვერ ვიცი, რატომ
 ლაც ვერ გავისროლე. მას შემდეგ ხშირად ვფიქრობ, ნაწილი ქმნილებაა ეს აღმანი. გართობისას ძალას ვერსაიდან
 მოიკრებ, ხოლო როდესაც საქმე ეხება სიცოცხლეს... მაინც
 საიდან მოვიკრიბე მაშინ ეს ძალა? არიან, ცხადია, ისეთები,
 ვისაც ჩემი ამბავი დღესაც არ სჯერათ. მაგრამ მე თვითონ
 ხომ კარგად მახსოვს, როგორც იყო ყველაფერი ეს. სიცოცხ-
 ლის უკანასკნელ დღემდე მემახსოვრება იგი.

* * *

კიდევ ერთი მფრინავის შესახებ. მას ნური ალიევი ჰქვია.
 ვოლგის თავზე მოიერიშე თვითმფრინავი მიფრინავს. მდი-
 ნარის მარჯვენა ნაპირზე ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს.
 თვითმფრინავი მესამე დავალებიდან ბრუნდება. შტურვალს
 ყოფილი მოკრივე უზის, რგოლის მეთაური. აქ, სტალინ-
 გრადთან, ომი მოკრივეს მკაცრ გამოცდას უმზადებს, რომე-
 ლიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგება.

რადიოს ყურსაცვამში გაისმის ხმა:

— მეთაურო, მარცხნივ, ხუთ კილომეტრზე „მესერში-
 ტების“ ექვსეულია.

— გავაღწევთ?

— არა მგონია.

— მოემზადეთ ბრძოლისთვის.

სხვა გზა არ არის. მეთაური გადაწყვეტილებას ღებუ-
 ლობს. დედამიწაზე სიგნალი მიდის. მოუსწრებენ თავისიანე-
 ბი, აეროდრომი ახლოსაა. თუმცა იცის რგოლის მეთაურმა
 ნური ალიევმა, რომ დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს გამანად-

გურებლებისა. მათ დღეს ისედაც ბევრი საქმე აქვთ. ვის სცხელა მათთვის, „იუნკერსები“ ტალღებად აწყდებიან სტალინგრადს. გერმანელები პედანტურად გაიჭრნენ ვიდან და ქვევიდან ურტყამენ, ბრძოლის დასასრულს ალიევი მარტო იბრძვის ექვსის წინააღმდეგ. იცის, რითაც დამთავრდება მისთვის ეს ბრძოლა...

მერე მოარტყეს, თავში დაჭრეს. მოტორი ჩაჩუმდა. არა, მოტორი აღრე ჩაჩუმდა. მას ეს კიდევ ახსოვს. მაგრამ რა მოხდა შემდეგ, ველარ იხსენებს, სულ დაავიწყდა. რამდენს ეცადა, გაეხსენებინა, რა მოხდა შემდეგ, მაგრამ ვერ გაიხსენა. თუმცა რა უნდა მომხდარიყო კიდევ? თვითონ „შემდეგ“ მისთვის საერთოდ არ შეიძლებოდა არსებულები იმიტომ, რომ მოიერიშე თვითმფრინავში მხოლოდ ერთი პილოტი. თუ პილოტი თავშია დაჭრილი და გონება დაკარგული აქვს, თვითმფრინავი ჩამოვარდება და დაიმსხვრევა. პილოტმა ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, რომ ამას ვერ ხედავს, ვერ გრძნობს და ვერ გებულობს.

მაგრამ ალიევმა ჩამოვარდნისგან იხსნა თვითმფრინავი.

წაიყვანა თავის მხარეს.

იპოვა აეროდრომი.

მიიყვანა მძიმედ დაზიანებული მანქანა აეროდრომამდე. მოაბრუნა.

დასვა.

და ყველაფერი ეს გონებადაკარგულმა გააკეთა, ღრმა ნოკაუტში მყოფმა.

ის კარგი მოკრივე იყო. ბედი სწყალობდა. რინგზე ნოკაუტი არ მიუღია. ერთხელ იყო ნოკაუტში, ჭერ კიდევ აღრე ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის წლებში. ავიდა რინგ-

ზე და ბრძოლაში ჩაერთო, ჩაერთო ისე, რომ არ დაელოდა იმ რამდენიმე წამს, რომელიც მოკრივეს ძალისა და სულიერი სიმხნევის მოკრების საშუალებას აძლევს. ყველა ხელშეშობდა. ფიცხი იყო და თავმოყვარე, რომ ის შემთხვევით წამოეგოდარტყმას, რომ მას არაფერი ისეთი არ დამართნია. მან წააგო ის ბრძოლა, დიდხანს იტანჯებოდა და მაინც ელოდა იმავე მოკრივესთან ხელმეორედ შეხვედრის შესაძლებლობას, მაგრამ წადილი ვერ აისრულა. ომი დაიწყო.

როდესაც მოკრივე ღრმა ნოკაუტშია, იგი მზრუნველად ჩამოჰყავთ რინგიდან სეკუნდანტებსა და მსაჯებს. ჰოიერიშე თვითმფრინავის მფრინავს კი მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. ადგილამდე მიფრინდება — გადარჩება, თუ არა და ვერა.

ტექნიკოსები, რომელთაც ის დაჭეკყილი კაბინიდან გამოიყვანეს, და სასწრაფო დახმარების კარეტის სანიტრები, ყველაფერი რომ უნახავთ ცხოვრებაში, გაოცებულნი იყვნენ—ნამდვილად არის, არის რაღაც ისეთი ადამიანში, ჩვენთვის იდუმალი, ამოუცნობი, რასაც მიჰყავს გონებადაკარგული ადამიანი თავის აეროდრომზე.

ნური ალიევი ჩემი ძველი მეგობარია და მე ვთხოვე მას შეძლებისდაგვარად ზუსტად აღეწერა ის ეპიზოდი.

— აბა, რა გითხრა? ყველაფერი, რაც ვიცი, ვიცი სხვებისაგან. გაზეთში ასე დაწერეს.

— მაშ, შენ გინდა, რომ ყოველივე ეს რაღაც ზებუნებრივი გარემოებებით ავხსნა?

— აბა, რა საჭიროა ასეთი უკიდურესობა? უბრალოდ, ალბათ საქმე ის იყო, რომ მე... მანამ, სანამ ეს მოხდებოდა...

ვფიქრობდი იმაზე, როგორ მოვქცეულიყავი, თუკი ჩამომავ-
ლებდნენ.

— ალბათ ამის შესახებ შენ ფიქრი მაშინ დაიწყე, ამხანაგები დაკარგე და როდესაც იგრძენი, რომ მოტორი, რო-
გორც თვითონ ამბობ, ჩაჩუმდა.

— მე მგონი, ამაზე ყოველი სამხედრო მფრინავი ფიქრობს
გაფრენის წინ. როგორ მოიქცეს, თუ... მან უნდა გაითვალისწი-
ნოს მომავალი ბრძოლის ყველა მოულოდნელობა იმიტომ,
რომ ყოველი გაფრენა ფრონტის ხაზზე ბრძოლაა.

— შენ ფიქრობდი არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეას-
რულებდი დავალებას და როგორ მოახსენებდი მერე... არამედ
ითვალისწინებდი იმასაც, რომ შეიძლებოდა შენ ჩამოეგდე და
ფიქრობდი, როგორ მოქცეულიყავი, თუკი ასე მოხდებოდა.

— ეშმაკმა უწყის, როგორ გითხრათ უკეთ. თუ შენ დავა-
ლებაზე მიფრინავ და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, რომ ჩამოგაგ-
დებენ, შენი, როგორც მეგრძოლი მფრინავის, ფასი კაპიკია.
უნდა ფიქრობდე გამარჯვებაზე და საკუთარი არსების ფა-
სად შეასრულო დავალება. დავალება ეს შენი სიცოცხლეა —
სიცოცხლეზე მეტიც, იმიტომ რომ იმაზე, თუ როგორ შეასრ-
ულებ დავალებას, ბევრი შენი თანამემამულის სიცოცხლეა და-
მოკიდებული, ზოგჯერ ძალიან ბევრის სიცოცხლე. შენც იცი
ეს და მიდიხარ საბრძოლველად ერთი მიზნით — გაიმარჯვო.
მაგრამ ბრძოლაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და სადღაც
ტვინის უკიდურეს წერტილში გიტრიალებს აზრი, როგორ მო-
იქცე, რა მოიმოქმედო, რა უბრძანო ამხანაგებს... და საკუთარ
თავსაც, თუკი ჩამოგაგდებენ. გახსოვდეს, სად რომელი აერო-
დრომია, რომელი მხრიდან მოუარო მას, ისწავლე რაღაცის გა-
კეთება მექანიკურად. გამოიმუშავე ასეთი ვარჯიშის უნარი.

ისწავლე თვითმფრინავის ბრმად წაყვანა. უნდა გრძნობდე, სად, ცის რომელ წერტილში აღმოჩნდები წინასწარ ჩაფიქრებულ წამს. დაიმახსოვრე ყველაფერი, რისი დამახსოვრებაც იქ შეგიძლია.

— საინტერესო ამბებს ჰყვები. მაშასადამე, სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მანამდე, სანამ გრძნობას დაკარგავდი, გონებაში რამდენჯერმე აწონ-დაწონე, რაც უნდა გაგეკეთებინა.

— არა, მთლად ასეც არ არის. განა ყველაფერს გაითვალისწინებ? დაახლოებით ასეა. ალბათ, ჩემი გოგრა რაღაცა მანქანით კიდეც მუშაობდა. და მიკარნახა, როგორ მოვქცეულიყავი, რაც მთავარია, მოტორი არ იყო დამსხვრეული. ის რომ მწყობრიდან ყოფილიყო გამოსული, ვერაფერი ფსიქოლოგია ვერ მიშველიდა: ვერც პარაშუტით გადმოხტომას მოვახერხებდი.

— რატომ ვერ მოახერხებდი? შენ ხომ კიდეც გქონდა ძალის რაღაც მარაგი?

— მართალია, მაგრამ იმაზე იშვიათად ფიქრობ. მიატოვო მანქანა და გადმოხტომით უშველო თავს. რაც არ უნდა იყოს, უმჯობესია მანქანაში დარჩე. ის კიდეც გამოგადგება. ესეც არ იყოს, ძალიან ადვილია მიზანში ამოღება კაცის, რომელიც ნელ-ნელა ეშვება პარაშუტით. არ იცი სად დაეშვები და რამდენს იხობებ შენიანებამდე.

— ხომ არ ფიქრობ, რომ ამ ეპიზოდში სპორტული ჩვევები დაგეხმარა?

— რატომ მეკითხები? თითქოს თვითონ არ იცოდე, რომ არ მქონოდა სპორტული წრთობა, დიდი ხნის დასამარებელი ვიქნებოდი. სამჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალეში. ასე რომ არ ყოფილიყო, საეჭვოა დღეს მეფრინა.

* * *

დაახლოებით ისეთივე დღეები იდგა, ორმოცდაორე წელსული
ლენინგრადში რომ იყო...



უშუა "C" ვიტამინით

1942 წლის 6 მაისის საღამოს, ლენინგრადის რადიოში მო-
მუშავე ავსტრიელმა კომუნისტმა, ფრიც ფუკსმა პატარა ცნობა
მიიღო. მას სთხოვეს ეთარგმნა და ფიროზე ჩაეწერა იგი. სახვე-
ვი ქაღალდის ფურცელზე ფანქრით იყო დაწერილი რამდენიმე
სტრიქონი. ფრიც ფუკსი მიუჯდა საბეჭდ მანქანას და სწრა-
ფად ჩამოებეჭდა ტექსტი. მერე მეორე ოთახში გავიდა და ხმის
ჩამწერ აპარატს მიუჯდა.

— ლაპარაკობს ლენინგრადი, ლაპარაკობს ლენინგრადი.
გადმოგცემთ სპორტული ცხოვრების ამბებს. დღეს ჩვენთან
შედგა ფეხბურთის მატჩი. თამაშობდნენ...

მერე ეს ფირი ეთერში გადასცეს. ჩაბნელებულ, ბლოკადა-
ში მოქცეულ ქალაქში, ფრონტზე, გერმანელთა სანგრებში გა-
ისმოდა სიტყვები:

— ლაპარაკობს ლენინგრადი, ლაპარაკობს ლენინგრადი.
დღეს ჩვენთან შედგა ფეხბურთის მატჩი.

* * *

დაახ, 1942 წლის მაისში ალყაშემორტყმულ ლენინგრადში
გაიმართა ასეთი მატჩი. ლენინგრადის ფრონტის შტაბში ბალ-
ტიის ფრონტის ხომალდებიდან, მოწინავე პოზიციებიდან და
მილიციის ქვედანაყოფებიდან გამოიძახეს ლენინგრადის „დი-
ნამოს“ ყოფილი მოთამაშეები. მათ ერთი დღე მისცეს სავარჯი-

შოდ, რათა გავხსენებინათ, როგორ თამაშობენ ფეხბურთს, როგორ ურტყამენ ბურთს და მიიწვიეს სტადიონზე, სადაც მათ ბალტიის ფლოტის ეკიპაჟი ელოდებოდა.

შედგა მატჩი. შევეცდებით გავიხსენოთ მის მონაწილეთა ნაამბობი.

ბორის ორეშკინი, სადარაჯო კატარღის ყოფილი მეთაური, უფროსი მამასახლისი, ამჟამად მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, იგონებს:

— ყველაზე მეტად ბალახი დამამახსოვრდა. გავიფიქრე — რაც არ უნდა ხდებოდეს მსოფლიოში, ბუნება მაინც თავისას აკეთებს-მეთქი. ადამიანიც ასევეა. აი, ვთამაშობდით ფეხბურთს ჩვეულებრივად... მაისში, ოღონდ ბურთი ბევრად უფრო მძიმე გვეჩვენებოდა. ველარც ისე მოხერხებულად ვურტყამდით, როგორც ადრე და აღარც ისე შორს მიფრინავდა. თამაშის შემდეგ ოდნავ ვკოჭლობდი, კუნთები მტკიოდა, მაგრამ ყოველივე ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რასაც განიცდიდა ყოველი ჩვენგანი. გვესმოდა, რომ ფეხბურთში არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ადრე გვეგონა. ჩვენ გამოგვიხმენ მოწინავე პოზიციებიდან. ქვედანაყოფებში დავტოვეთ შაშხანები, პისტოლეტები, ქორდიკები, მაგრამ ახლა გვქონდა ახალი იარაღი, აი ეს ბურთი, ძველი ბურთი, რომელმაც კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ როგორი მტკიცე და შეუღრეკელია ლენინგრადელის ხასიათი და მისი სიძულვილი მტრისადმი.

აი, რას გვიამბობს ალექსანდრე ფიოდოროვი, ბანდიტიზმთან ბრძოლის ყოფილი ოპერარწმუნებული, ამჟამად სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი, სპორტის ოსტატი.

— თითოეული გრძნობდა, რომ გააკეთა რაღაც მნიშვნელოვანი, საჭირო არა მხოლოდ გუნდისთვის. თითოეულმა ახლე-

ბურად შეხედა ამხანაგებს (ფარ-ხმალი არავის დაუყრია, ყვე-
ლამ ბოლომდე იბრძოლა). საკუთარი პიროვნებისადმი განსა-
კუთრებული პატივისცემის გრძნობა გაუჩნდა.

რაკი სირბილი და ბურთის დარტყმა შეგიძლია, მაშასადა-
მე, ცოცხლობ არა მარტო როგორც ადამიანი, არამედ როგორც
ფეხბურთელიც. ყველას აღგვაფრთოვანებდა ის გარემოება,
რომ ფეხბურთის ფრონტის ხაზიდან სულ ახლოს ვთამაშობდით.
ასეთ მატჩში მონაწილეობას ყოველი ფეხბურთელი დიდ პატი-
ვად ჩათვლიდა და საჭირო ძალებსაც მოიკრებდა. მჯერა, რომ
მოიკრებდა.

მაგრამ ჰქონდათ კი მათ დიდი ძალა? ყოფილ ფეხბურთე-
ლებს, რომლებიც აგერ უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში
მშვივრები, ბლოკადის ულუფაზე იყვნენ?


საბრძოლო კატარღის ყოფილი მეთაური, ამჟამად რადიო-
კომენტატორი, სპორტის ოსტატი ვიქტორ ნაბუტოვი იგონებს:

— ჩვენ შემოგვთავაზეს ორი ოცდაათ-ოცდაათწუთიანი ტა-
იმი გვეთამაშა. მატჩის დაწყების წინ ორივე გუნდის მოთამაშ-
ებმა ერთად მოვიყარეთ თავი და ერთმანეთს ვუთხარით: „მო-
დით, ვითამაშოთ ნამდვილი ფეხბურთი, რომ სამუდამოდ და-
გვამახსოვრდეს, ვითამაშოთ ორი სრული ტაიმი“.

როდესაც მატჩი დამთავრდა, მინდორს ხვევნა-კოცნით ვტო-
ვებდით, ერთმანეთს ვულოცავდით და მხარში ვედექით, რათა
ტრიბუნებთან ღირსეულად ჩაგვევლო.

* * *

ღიახ, მათ ორი ორმოცდახუთწუთიანი ტაიმი ითამაშეს და
აჩვენეს მსოფლიოს, აჩვენეს მტერს, რომ ლენინგრადი ცოცხ-



ლობს, იბრძვის და სწამს გამარჯვებისა. „გვესმოდა, რომ ფეხბურთში არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ადრე გვეგონა“.

განა ნათელი არაა, რომ საქმე გვაქვს იმის კიდევ ერთ მხარე-ლითთან, თუ როგორ აჭარბებს ადამიანი ჩვეულებრივ ნორმატივებს. განა ნათელი არაა, რომ თითოეულმა ამ ოცდაორ ფეხბურთელთაგან აღმოაჩინა თავის თავში რაღაც ახალი, მანამდე უცნობი წყარო ძალისა, რომელიც დაეხმარა კიდევ მინდორზე ოთხმოცდაათ წუთს გაეძლოთ. შემთხვევითი არ იყო (ამას თითქმის ყველა მოთამაშე იგონებს), რომ თამაშის წინ მათ ცოტაოდენი შტოშის ექსტრაქტი მისცეს. ჯანჯავეს და დალიეს. და დარჩათ მოგონება მთელი ცხოვრების მანძილზე.

მაგრამ ისინი სპორტსმენები იყვნენ. ისინი იყვნენ მებრძოლებაც და არაფერი გასაკვირი არ არის, რომ თითოეული მათგანი ატარებდა და თან ინახავდა რაღაც სამალავებში იმ მარაგს ძალისას, რომელიც ფეხბურთს დასჭირდა... სხვანაირად რომ ვთქვათ, ფრონტის შტაბის საბრძოლო დავალების შესრულებას.

მაგრამ ამ ფეხბურთის მატჩის ისტორიასთან გაცნობაში საშუალება მომცა გავცნობოდი ადამიანს, რომელმაც იმავე ბლოკადის დღეებში გმირობა ჩაიდინა. იგი თავისი წარსული ცხოვრებით არ ყოფილა მომზადებული რაიმე არაჩვეულებრივის მოხდენისათვის.

გავიხსენოთ, ვინ გადასცა ეთერში გერმანულ ენაზე ცნობა ფეხბურთის მატჩის შესახებ. ეს გახლდათ ფრიც ფუკსი. კაცი, რომელიც ჯერ ოცდაათისაც არ იყო, მაგრამ შეგეძლოთ ორმოცდაათამდე მიგეცათ. ის კიდევ დარჩება ამ გაზაფხულს ლენინგრადში. კიდევ ბევრჯერ მოასწრებს ეთერში გასვლას. ის იქნება კიდევ ერთ-ერთი ორგანიზატორი კონკერტისა, რო-

მელზეც მოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია შესრულდება. ყოველდღე რამდენჯერმე მივა მიკროფონთან და სიტყვიერებას ვიშვებოთ თავს გერმანელ ჯარისკაცს.

ის კიდევ გაძლებს ზაფხულსა და შემოდგომაზე.

მერე კი დადგება ზამთრის ერთი დღე, როდესაც რადიოკომიტეტში შეიტყობენ, რომ ფრიც ფუკსი დაუძღურდა და ლოგინად ჩავარდა. ცოლიც ლოგინად ჰყავს ჩავარდნილი. ორივეს სურავანდი სჭირს. ლენინგრადული სურავანდი. სწორედ ის მიძიმე ფორმა, სურავანდისა — ბლოკადის ფორმა — რომლის შემდეგ იშვიათად თუ წამოდგებიან ფეხზე.

ფრიც ფუკსი ოცდაათიანი წლების დასაწყისის ვენის ბარიკადების მონაწილე იყო. მან ბევრი მეგობარი დაკარგა ბარიკადებზე. ბევრი მეგობარი დაკარგა ალყაშემორტყმულ ლენინგრადში. მისი ცოლი ანნი, რევოლუციონერის იატაკქვეშა ცხოვრების მთელი სიმძიმე მასთან ერთად რომ გადაიტანა სამშობლოში და ბლოკადის მთელი სიმძიმე ქალაქში, რომელიც მისი მეორე სამშობლო გახდა, ცოლი რომელიც მისი ბურჯი და დასაყრდენი იყო, იწვა გვერდით, რადიოკომიტეტის პატარა გაყინულ ოთახში.

პოეტი ქალი ოლღა ბერგოლცი. რომელიც ახლოს იცნობდა ფრიც ფუკსს, იმ დღეს წერდა: „ჩვენი ფრიცი კვდება“. ასე ერქვა მისი ლენინგრადული დღიურების ერთ-ერთ თავს.

— ვკვდებოდი და იყო ქვეყნად მხოლოდ ერთი რამ, რასაც შეეძლო ჩემი ხსნა.

ასე ამბობს ფრიც ფუკსი. ჩვენ ვსაუბრობთ ოცდახუთი წლის შემდეგ ვენაში.

— იყო მხოლოდ ერთი რამ, რასაც შეეძლო ჩემი ხსნა. საჭირო იყო ვიტამინი „C“. ერთი ფლაკონი. მისი შოვნა ლენინ-



გრადში იმ დროს ოცნება იყო. ამ ვიტამინს არ ჰქონდა ფასი... საერთოდ რაიმე ექვივალენტი. იმიტომ რომ, მაღალფარდოვნად არ ვამბობ, ასეთ შუშას ჰქონდა მხოლოდ ერთი ღირებულება — ადამიანის სიცოცხლე.

— ვიცი რამდენი ადამიანი ეძებდა მას ჩემთვის. და მოხდა სასწაული. იშოვეს. აქ შემიძლია ათასი მაღლობის სიტყვა ვთქვა მათზე, ვინც ის იშოვა. მაგრამ არ შეიძლება ამის შესახებ მხოლოდ ბევრი ილაპარაკო. ზოგჯერ საკმარისია ცოტა სიტყვები. ისინი თვითონ განმარტავენ ყველაფერს. მოკლედ გეტყვით, თქვენი პოეტი ქალი, მშვენიერი ლენინგრადელი პოეტი ქალი ვერა ინბერი დამეხმარა ამ შუშის შოვნაში. მისი ქმარი ექიმი იყო სამხედრო ჰოსპიტალში. და აი გვაცნობეს: არის ფრიცისთვის ასეთი შუშა. როგორც იცით, იმ დროს ტელეფონები არ მუშაობდა და კაცის კაცით გვაცნობეს. იშოვეს. მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდ ნახევარი იყო. იყო მეორე ნახევარი, ვფიქრობ, არანაკლებ რთული. ეს არანაკლებ რთული პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ საჭირო იყო იმ შუშის სამხედრო ჰოსპიტლიდან რადიოკომიტეტში მიტანა. ზამთარი იყო, ქუჩებში თოვლი და ყინული იდო. ჯანმრთელ ადამიანსაც გაუჭირდებოდა სიარული. გარშემო კი დაუძლურებულნი იყვნენ! მცირეოდენი ძალაც თუკი ვინმეს შემორჩა, ეკონომიურად უნდა გამოეყენებინა. სამხედრო ჰოსპიტლამდე ექვსი კილომეტრი იყო. ვინ წავიდოდა? მანქანები არ იყო. ტრამვაი და ტროლეიბუსი არ დადიოდა. იშოვეს, მაგრამ რა გამოვიდა, ამაო იყო ყოველივე.


ერთხელ დღისით ღრმად ჩამეძინა. ჩანს ძალიან ცუდად ვიყავი. დიდხანს მეძინა. როდესაც თვალები გავახილე, არ და-

ვიჯერე, ვიფიქრე კიდევ მძინავს-მეთქი. მაგრამ არა. ეს ნამდვი-
ლად ყვითელი ტაბლეტებით სავსე შუშა იყო.

ახლა ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში: ვის უნდა მოეტა-
ნა? ყველაზე ვიფიქრე, მხოლოდ ცოლზე არა. ისიც იწვა. მაგ-
რამ ზოგჯერ ქალები ჩვენზე — მამაკაცებზე უფრო ძლიერი
არიან. თურმე მე რომ მეძინა, ის წასულიყო ჰოსპიტალში. მე
მხოლოდ შემედლო წარმომედგინა, როგორ მიდიოდა, რამდენ-
ჯერ დაცურდა, დავარდა და წამოდგა. ვიცოდი ანნის ხასიათი.
ის არასდროს არ მეტყოდა, თუ როგორი წვალებით წავიდა და
მოვიდა. მაგრამ ვინმეს ოდესმე რომ ეთქვა, ჩემთვის ჩვეუ-
ლებრივმა ქალმა ასეთი რამ გააკეთაო, არ დავიჯერებდი.

რასაკვირველია, მათ შეეძლოთ, როგორც გადასცემდნენ
ერთიმეორეს სიტყვებს, ისე შუშაც ხელიდან ხელში გადაცე-
მით მოეტანათ. ჩვენ ბევრი ჭეშმარიტი მეგობარი გვყავდა
ლენინგრადში, რომლებმაც უსაზღვროდ მჯეროდა, მაგრამ,
ვინ იცის, მისცემდა კი ვინმე უცხოს ხელში ვიტამინიან შუ-
შას სამხედრო ჰოსპიტლის ექიმი? არავითარ შემთხვევაში არ
მისცემდა. საჭირო იყო წასვლა. ჩემი ცოლის გარდა კი სხვა
ვერაღინ წავიდოდა და ის წავიდა.

იცით, ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს. პროფესიული რე-
ვოლუციონერი ვარ. მაგრამ ვიცოდი, რომ ყველა ჩემი გაჭირ-
ვებისა და მწუხარების შესამსუბუქებლად ზენამ მომივლინა
ასეთი ცოლი. როგორც ხედავთ ცოცხალი ვარ. რომ შემედ-
ლოს ლექსების ან მუსიკის წერა, მუსიკას დავწერდი, რადგან
სიტყვით შეიძლება გადმოსცე რასაც ფიქრობ, ხოლო ის, რა-
საც გრძნობ, უმჯობესია მაინც მუსიკით გადმოსცე. სიტყვები
ყოველთვის არ გყოფნის...



ეს სამი ეპიზოდი ომისდროინდელია. მაგრამ არის შემთხვევები — ზოგჯერ ტრაგიკული, ზოგჯერ კი მხიარული, როდესაც განსაკუთრებულ სიტუაციაში ჩავარდნილი ადამიანი ნებისით თუ უნებლიეთ იყენებს იმას, რასაც ბუნება მომავალი თაობების მარაგად ინახავს, სხვა, ცოტა უფრო მოსაწყენი სიტყვებით რომ ვთქვათ, აჭარბებს ჩვეულებრივ ნორმატივს.

ერთმა მწერალმა და რეჟისორმა, რომელმაც დაამთავრა მეზღვაურებზე ფილმის გადაღება, თქვა, რომ ახლა უკვე აღარაფრისა არ მეშინიაო. მან გადალახა ცეცხლი, წყალი, სპილენძის მიღები და იმდენად გაგულოვნდა, რომ მზად იყო ანძიდან პირდაპირ წყალში გადაშვებულიყო (ოდესღაც ახალგაზრდობის წლებში მან სცადა ეს და გამოუვიდა კიდეც). მას ეფექტური ნომრები უყვარდა და ამაყად განაცხადა:

— თუ აქ არიან მსურველები, წამომყვენენ მეწყვილეებად, მზად ვარ ვემსახურო მათ.

მსურველი ბევრად უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე რეჟისორი ვარაუდობდა. მათ შორის იყვნენ არტისტებიც, რომლებიც უკანასკნელი თვეების მანძილზე ბევრს ითმენდნენ თავნება რეჟისორისაგან და ახლა სურვილი ჰქონდათ თავალი ეღვენებინათ იმისათვის, თუ როგორ გამოზობლდებოდა დიდად პატივცემული მოქალაქე სიტუაციიდან, რომელშიც თავისი თავი თვითონ შეიტყუა. ვილაცამ საკმაოდ ხმამაღლა წამოაყენა წინადადება, დათმობაზე წასულიყვნენ ასეთი ღონისძიების გულისთვის. უკანდახვევა ყოვლად შეუძლებელი იყო. პატარა ჩასქელებულმა ორმოცდაათი წლის რეჟისორმა,

მიუხედავად იმისა, რომ თავის თავს სწყევლიდა ყბედობისთვის, მშვიდად დაიწყო გახდა. ხომალდის ბოცმანმა, რომელზეც ვადალებები მიმდინარეობდა, განკარგულება გასცა ჩაემვით ტრაპები და მოემზადებინათ მშველი რგოლები. რეჟისორმა ზიზლით შეხედა მას და წაიბუტბუტა, რომ ხუთი წუთის შემდეგ ასეთი რგოლები წაგებულ წყვილებს დასჭირდებათ, ის კი ტრაპამდე ისედაც მიცურდება.

რაც უფრო მაღლა აღიოდა ანძაზე რეჟისორი, მით უფრო მცირე იმედი რჩებოდა იმისა, რომ ეყოფოდა აქედან წყალში გადახტომის გამბედაობა. გემბანიდან ანძა არც ისეთი მაღალი ჩანდა, როგორც სინამდვილეში იყო. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე პატივმოყვარეებს, თავმოყვარეობამ გაიმარჯვა და ახლა ჩვენი ნაცნობი ხელოვნების ოსტატისთვის ცხოვრებაში აღარაფერი რჩებოდა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ანძიდან გადახტომა იყო. ქვემოდან ესმოდა კოლეგების სარკასტული რეპლიკები.

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი რეჟისორის ამხანაგებს სულაც არ ამოქმედებდათ შურისძიება. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ როგორც კი ის მაღლა აღმოჩნდებოდა და იქიდან გადმოხედავდა „ყველაფერს“, ძალები, ისევე როგორც გამბედაობა, არ ეყოფოდა და პატიებას ითხოვდა. ისინი უკვე წინასწარ ტკებოდნენ იმით, რომ ნახავდნენ, თუ როგორ ჩამოვიდოდა იგი ქვევით და მოსწრებული ხუმრობისთვის ემზადებოდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რეჟისორი ვერასოდეს ვერ გადმოხტებოდა იქიდან.

როდესაც ხელოვანი გაბედულად მოემზადა ნახტომისათვის, მას ურჩიეს, არ ჩაედინა სისულელე და საღ-სალამათი ჩამოსულიყო. რეჟისორი ფრიალოზე ეკიდა. იგი თავს ძალას

ატანდა, რომ მუხლები არ აჰკანკალებოდა. მერე დაიყვირა: „პიჟონებო, ნახეთ როგორ იქცევიან ნამდვილი სპორტსმენები“, ღრმად ჩაისუნთქა, გაიფიქრა: „დედა, რა მომეფა“ ამ დროს მოესმა ტკბილი სიტყვები:

— გნებდებით, ჩვენ წავაგეთ. ჩამოდი.

რეჟისორმა იგრძნო თუ არა თავისი სიტუაციის ხელსაყრელობა, დაიწყო ვაჭრობა. იგი ზრდიდა მოგების ფასს. შემდეგ დიდსულოვნად დაიძახა:

— მე თქვენგან არაფერი არ მინდა!

და გადმოხტა.

როგორც ოდესღაც, ოცდაათზე მეტი წლის წინათ.

მაგრამ ვერ გამოზომა, გვერდზე დაეცა. მარჯვენა ხელით მოსმა სცადა და ტკივილისგან დაიღრიალა. ხელი ვერ გაანძრია.

გემბანზე იგრძნეს, რომ რაღაც არასასიამოვნო ამბავი ხდებოდა. მხიარული განწყობილება მყისვე გაქრა. გაისმა შეძახილები: „გადაუგდეთ მაშველი რგოლი“, „მიაწოდეთ თოქის ბოლო!“

— მგონი, მართლაც საჭიროა თოქის ბოლო, ხელის განძრევა არ შემძლია.

მან იცოდა, რომ ტრაპამდე ვერ მიცურდებოდა. მაშველი რგოლი რაღაც უხერხულად ისროლეს, მოშორებით დავარდა. მერე, იქვე, თავს ზემოთ, ტროსი დაინახა. სცადა მას ჩასჭიდებოდა, მაგრამ კინალამ გონება დაკარგა. ხელი თვითონ ჩაეჭიდა ბოლოს და მიხვდა ჩვენი რეჟისორი, რომ სხვების დაუხმარებლად ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა თითების განცალკევებას. და როდესაც უკვე ტრაპამდე მიიყვანეს და იგრძნო, რომ კიდევ შეეძლო რაღაცაზე ფიქრი, გაახსენდა ის-

ტორია, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ წაიკითხა. ზამთარში ოხოტის ზღვაში ტალღამ გაიტაცა მეზღვაური, მასაც გადაუგდეს ტროსის ბოლო; ის ჩაებლაუჭა გაყინულ ტროსს და მხოლოდ იმიტომ არ ჩამოუსრიალდა ხელი, რომ ბოლოში ტროსს კვანძი ჰქონდა; იგი გემბანზე აათრეეს და... დიდხანს ვერ შეძლეს ტროსს ჩაბლაუჭებული თითების ვაშლა.

და აი, ჩვენი რეჟისორიც რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ ანძრევდა ხელს. პროფესორმა, რომელსაც ტრავმის მიზეზი უთხრა, ურჩია მოთმინებით ემკურნალა.

ეს იყო ახალი, მაგრამ რეჟისორისთვის ცნობილი მკურნალობის მეთოდი. მაგრამ მერე დაწმუნდა, რომ კუნთებს უბრალოდ ცოტა დასვენება სჭირდებოდა. იმ უკიდურესი დაძაბულობის შემდეგ, რომელიც მათ განიცადეს რაღაცა ძალის გამო, როდესაც ადამიანი საფრთხეში იყო. მეზღვაურსაც, რომელიც ყინულოვან ზღვაში ჩავარდა, ხშირად იგონებდა ჩვენი რეჟისორი. რა ძალამ აიძულა მისი თითები, ასე მაგრად ჩასჭიდებოდნენ სრიალა ტროსს? საიდან მოვიდა ეს ძალა? გარედან ხომ ვერ მოვიდოდა. იყო ადამიანში, მაგრამ მას არ ეგონა, რომ იყო. არ იცოდა მისი არსებობა. ის კი იმალებოდა რომელიღაც ჯადოსნურ სამალავებში და თითქოს ელოდა შემთხვევას, რომ სიკვდილის საფრთხის ყამს „პატრონის“ დასახმარებლად მოსულიყო.

...მოსკოვის ცენტრში მცხოვრებ ცნობილ მწერალს ასეთი რამ შეემთხვა.

ერთხელ აგარაკიდან სახლში დაბრუნდა და დაინახა, რომ ელექტროგაყვანილობა იწვოდა. ცეცხლის ენები ფანჯრების ფარდებს მოსდებოდა და უკვე დიდ, წიგნების ძველისძველ კარდას ლოკავდა. ამ კარადაში გამოუქვეყნებელ ნაწარმოებ-

თს ხელნაწერები ჰქონდა. ვიდრე ტელეფონთან მივიდოდა, მწერალმა კარადა მეორე ოთახში გაათრია. და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიძახა სახანძრო რაზმი. მეხანძრეებმა საკმაოდ სწრაფად ჩააქრეს ცეცხლი და ცნობილ მწერალს ბინის მოწესრიგებაში დაეხმარნენ. სამმა ბრგე ახალგაზრდამ ძლივს გადმოაჩოჩა კარადა თავის ადგილას. არაფრით არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ ამ ხანში შესულმა და გამხდარმა მწერალმა მარტომ, სხვის დაუხმარებლად შეძლო ასეთი მძიმე კარადის გადატანა. ისინი ვერ ხვდებოდნენ, თუ რას ნიშნავდა მწერლისთვის ხელნაწერები კარადაში რომ ინახებოდა.

...აღწერილია შემთხვევა, რომელიც ერთ პოლარულ მფრინავს შეემთხვა. იგი იჯდა ფრთის ქვეშ და რაღაც ნაწილს არემონტებდა. მფრინავი ისე იყო გართული საქმით, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია იმისათვის, რომ ვიღაც უკნიდან მხრებზე შეეხო. მერე იმ ვიღაცამ მსუბუქად ჩაუტყაპუნა თავში. „თავი დამანებე“,—წარმოთქვა პილოტმა, რომელსაც ამხანაგი ეგონა. თუ რა „ამხანაგი“ იყო, პილოტი მაშინ მიხვდა, როდესაც იმ „ვიღაცამ“ ყურში მძიმედ ჩაჰბერა. ის შემობრუნდა და... რანაირად აღმოჩნდა სხვის დაუხმარებლად თვითმფრინავის ფრთაზე, თვითონაც არ ახსოვდა. დაბლა იდგა დიდი თეთრი დათვი, რომელსაც დაბაში უახლოესი ხორგიდან შემოედწია. როდესაც დათვი წავიდა, ამხანაგებმა პილოტი ფრთაზე მჯდომი ნახეს. იგი ღრმა საგონებელს მისცემოდა. მან რატომღაც ვიღაცას სთხოვა მოეტანა დასაკეცი მეტრი და ყოველი შემთხვევისთვის გაეზომა სიმაღლე მიწიდან ფრთის სიბრტყემდე. თუმცა კარგად იცოდა, რომ სიმაღლე მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი იყო. მისი ამხანაგები ვერ მიმხვდარიყვნენ, რისთვის უნდოდა პილოტს ყოველივე ეს, სანამ თვითონ არ თქვა:

— გესმით, მე ავხტი ამ სიმაღლეზე. ორპირა ქურქსა და უნტებში გამოწყობილი.

— ახტი კი არა ალბათ ძლივს ახვედი.

— არა, მართალს ვამბობ...

— რატომღაც აქ ტარტანის საფარიანი ბილიკი არ ჩანს. თუ ის გინდა თქვა, რომ ამ დაუტყებნავ თოვლზე ფეხის ერთი დაკვრით ახტი მალლა.

— ჰო, — ნაღვლიანად წარმოთქვა პილოტმა. — ალბათ მე თვითონაც არ დავიჯერებდი.

— მაშასადამე, სპორტული ფორმით რომ გადამხტარიყავი და არეკნი რაიმე მაგარი საფარიდან შეგესრულებინა, ოლქის რეკორდს მაინც მოხსნიდი?

— ალბათ, — არც ისე დამაჯერებლად უპასუხა პილოტმა.

— ჩვენც ხომ არ გვეცადა?

საქმე დიდი ხნით არ გადაუდვიათ. ყველა, ვინც ამ დროს „აეროდრომზე“ იმყოფებოდა, მუშაობას შეუდგა. დატყებნეს ბილიკი, გაწმინდეს ფრთები, სადღაც კეტები მოძებნეს და რეკორდის დაბადების მოწმეებად გახდომის მოლოდინში საპატიო ყარაულში გაირინდნენ.

პილოტი მარჯვედ გაქანდა, ახტა და... ფრთის ქვეშ მოაღინა ზღართანი.

მერე კიდევ ორჯერ თუ სამჯერ ასეთივე „წარმატებით“ გადახტა. მაშინ ვილაცამ თქვა, რომ გვხვდებიან ამ ქვეყნად წვრილმანი პატივმოყვარენი, რომლებსაც წატრაბახება უყვართ...

— ძმებო, დამიჯერეთ, სინდისს გეფიცებით, — მე ხომ დათვისაგან ვიხსენი თავი... მოვიდა წყეული და ზურგიდან მიაჩერდა ჩემს სამუშაოს.



— ჰო, დათვისგან, ხდება ხოლმე, — უბასუხეს ამხანაგებ-
მა, — მაგრამ რატომ აღრევე არ გვითხარი?

... მაინც საინტერესოა, რამდენზე გადახტებოდნენ მიწი-
ტი, გვერდით დათვი რომ დაინახა, თუკი ჩაცმული იქნებოდა
არა ისე, როგორც ჩრდილოეთ პოლუსზე იცვამენ, არამედ
ისე, როგორც იცვამენ ქვეყნებში, სადაც უფრო ზომიერი
კლიმატია. მაგალითად... არგენტინაში.

არგენტინა შემთხვევით არ გამსხენებია.

ამონაწერი „ნედელიადან“.

„სამი წლის წინათ არგენტინელ ხორხე ალოსიოს თავს
დაესხა ხარი, რომელიც ახალგაზრდა კაცის ქურთუკის წი-
თელმა ფერმა გაახელა. შიშმა ალოსიოს ძალები გაუორკეცა.
იგი არაჩვეულებრივი სისწრაფით გაიქცა. მოხდა ისე, რომ
ეს რბენა ნახა მძლეოსანთა ცნობილმა მწვრთნელმა მა-
ნუელ კაიემ. მან ხორხე თავის ავტომობილში მიიპატიჟა.
ამჟამად ხორხე ალოსიო არგენტინის ჩემპიონია 100 მეტრზე
რბენაში“.

მაგრამ ხარი რომ არ ყოფილიყო? ანდა იქვე ახლოს
მწვრთნელი რომ არ გამოჩენილიყო? გახდებოდა ხორხე ჩემ-
პიონი? ტყუილად კი არ ამბობენ: ტალანტის აღმოსაჩენად
სულ ცოტა, ნახევარი დუჟინი სასურველი დამთხვევა მაინცაა
საჭიროო.

* * *

სპორტსმენი მზვერავია, პირველად მომჩენია ადამიანის იმ
საიდუმლო და, ალბათ, უსაზღვრო ფიზიკური რეზერვებისა,
რომელთა არსებობასაც ჩვენ ვხვდებით და რომელთა შესა-
ხებ ჯერჯერობით ასე ცოტა ვიცით.

არის მშვიდობიანი ყოფიერების კიდევ ერთი დარგი, — რომელიც თითქოს და მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ ადამიანს შეეძლოს სწორი წარმოდგენა შეიქმნას თავის შემოქმედებაში მარიტ ძალებზე.

ჩვენი ცხოვრების ეს ნაწილი სპორტია.

ინფორმაციის საუკუნეში მცხოვრები ადამიანი მიეჩნევა ციფრთან საქმის დაჭერას, სწამს მისი, გაიაზრებს მას. მსაჯ-თა სპორტული ოქმების ციფრებს თავისი ენა აქვს. ეს ციფრები ყველასათვის გასაგებია. განა ციფრები უკანასკნელი ორმოცი-ორმოცდაათი წლის რეკორდების ცხრილში აშკარად არ მოწმობენ კაცობრიობის წინსვლით მოძრაობას? სრულყოფილი ხდება ტექნიკა? სპორტს ეხმარება მეცნიერება? ათლეტი თავის განკარგულებაში იღებს ყველაზე უფრო თანამედროვე ინვენტარს? ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ უახლესი საშუალებების დახმარებით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით ადამიანს შეუძლია სრულად, ნამდვილად და დამაჯერებლად აჩვენოს, რაც მასში არის, რისი უნარიც მას შესწევს.

... მე და პროფესორი ფრანსუა ეიდსეკი შევთანხმდით მრავალი წლის შემდეგ მიგვეწერა ერთმანეთისთვის. მაგრამ მე პირობა დავარღვიე. შვიდი თვის შემდეგ მასთან წერილის დასაწერად დავჯექი. კონვერტზე, რომლითაც წერილი გავგზავნე, მექსიკური მარკა იყო.

მე მქონდა საშუალება ზაფხულის მექსიკის ოლიმპიადაზე მენახა სანახაობა, რომლის ნახვის ბედნიერება ადამიანს, ალბათ ერთხელ თუ მიეცემა ცხოვრებაში.

სიგრძეზე ხტებოდა ამერიკელი ათლეტი ბიმონი — გოგონა და კანჭა ახალგაზრდა. იგი შორიანლოს გადიოდა მოთელ-

ვას. სრულიად არ ჰგავდა სხვებს. მკვრივად ჩასხმული, განიერმხარბეჭიანი, უაღრესად განვითარებული ფეხები და ფეხები კი ბიმონს ასანთის ღერებივითა აქვს. გაქცევის დროსაც რაღაც უცნაურად მირბის — ხტუნვა-ხტუნვით. არეკნის დროს ხელებსაც მთლად „წესების მიხედვით“ არ შლის, ფეხისგულეებსაც რაღაცნაირად იშვერს. ახალბედას, რომელსაც ასეთი ტექნიკა აქვს, არ მოუწონებს და გადააჩვევს ყველა პატივცემული მწვრთნელი.

ბიმონი კი რვა მეტრსა და ოთხმოცდაათ სანტიმეტრზე გადახტა და მსოფლიო რეკორდი თითქმის ნახევარი მეტრით გააუმჯობესა. როდესაც სანტიმეტრით აუმაჯობესებენ რეკორდს, სიხარულია, როდესაც ორით — დღესასწაული. იშვიათად თუ ვინმე გააუმჯობესებს ხუთი სანტიმეტრით. მაშინ ტრიუმფატორისთვის არ იშურებენ ყველაზე მკვეთრ საღებავებს. მაშინ რაღა უნდა დაიწეროს ზანგ ბიმონზე? საიდან შესძლო მან ეს?

მსაჯები დიდხანს გონს ვერ მოდიოდნენ. ერთი მათგანი, დაშვების ორმოსთან მდგომი, ყვებოდა, რომ მომეჩვენა, თითქოს დიობტრიან საზომ სახაზავზე არასწორად იყო აღნიშნული ციფრები. მერე თვალეები მოვიფშვნიტე და დავინახე, რომ ეს ბიჭი ზედ ორმოს ნაპირთან დაეშვა... სახტომი ორმო ასეთი ნახტომისათვის არ იყო გამიზნული. დაეშვა, წამოხტა და მიწას დაუწყო კოცნაო.

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ გადახტა ბიმონი, რომელსაც უგრძესი ხელები მალლა ჰქონდა აშვერილი.

ეშმაკმა დალახვროს, ხომ არ დაგვაახლოვა მან შორეულ მომავალთან, ხომ არ დაგვანახა, როგორი იქნება შეჯიბრებები და შედეგები, ვთქვათ ოთხმოც წელს?

თუმცაღა...


ეს სტრიქონები დაიწერა „მომხდარი ამბების კვალდა-კვალ“. ავტორი უნდა გამოვიტყდეთ, რომ მისი „ოთხმოცი წლის“ შესახებ, წმინდა ემოციურია, მკაცრი შეცნიერული გამოთვლები სხვას ლაპარაკობენ.

შვედმა მეცნიერმა რიოსტრანდომმა იოლად განსაზღვრა, როგორ იზრდებოდა მძლეოსნური რეკორდები „მელბურნიდან მეხიკომდე“, ე. ი. 1956 წლის ოლიმპიადიდან 1968 წლის ოლიმპიადამდე. მერე კი ზრდის ამ პროცენტებზე დაყრდნობით 1980 წლის მსოფლიო რეკორდების ცხრილის შედგენა სცადა. შედეგად მან მიიღო, რომ იმ დროისთვის ვიღაც სიგრძეზე 9 მეტრსა და 75 სმ-ზე გადახტება, ვიღაც ას მეტრს 9,7 წამში გაირბენს, ხოლო ვიღაც შუბს თითქმის ას მეტრზე ტყორცნის.

მაშინ ნუთუ იმ დროისთვის, ოთხმოცი წლისთვის, ადამიანი გადალახავს იმ ზღვარს, „რომლის იქითაც უკვე ადრაფრის გაკეთება არ შეიძლება“ და რომელზეც ასეთი დარწმუნებით ლაპარაკობდა პროფესორი ეიდსეკი?

ანდა გამოჩნდება სხვა მეცნიერი, რომელიც იმ დროისთვის რეკორდების ცხრილს შეადგენს, ვთქვათ, ორი ათასი წლისთვის, და გამოჩნდებიან ათასობით ყველაზე უნარიანი, გულადი და თავდადებული ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების საუკეთესო წლებს ბარიერების დამსობას შესწირავენ? ხომ არ დაიწყებენ შთამომავალნი ჩვენს თანამედროვე რეკორდსმენებზე ნიშნის მოგებით ფიქრს და გაოცებულნი ხომ არ იტყვიან: „რა ცოტას გაკეთება შეძლეს მათ, რა შორს წავიდა ადამიანი მას შემდეგ“.

და გაიხსენებენ ბიძონს.



საქართველო
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

და გაიხსენებენ ალექსეევს — დღეს სახელგანთქმულ ძა-
ლოსან ვასილი ალექსეევს და ღიმილით დაიწყებენ კითხვას
თუ როგორ მოდიოდნენ ალტაცებაში ერთ დროს მისი რეჟიმის
კორდებით. ისევე როგორც ჩვენ დღეს ვკითხულობთ ერთ
სპორტულ შედეგზე, ბრწყინვალე გამარჯვებაზე, 1960 წელს
რომის ოლიმპიურ თამაშებზე რომ იქნა მოპოვებული. მე
ვმლი ჩემს ძველ რეპორტაჟს და ნაღვლიანად ვფიქრობ —
რა სწრაფად მოძველდა ყველაფერი ეს. მერე კი ვიტყვი ხო-
ლმე — რა კარგია, რომ ყველაფერი ეს მოძველდა... ასე სწრა-
ფად! ოლიმპიადის უკანასკნელი დღის, ათი სექტემბრის, ღამის
შეორე საათი იყო. როდესაც კამერებმა ჭრიჭინი შეწყვიტეს,
გაისმა მსუბუქი ხვრინვა. კეთილმოწყობილი სასახლის სხვადას-
ხვა კუთხეში შეიძლებოდა დაგეთვალიათ სულ ცოტა ერთი დუ-
ჟინი დაღლილი მაყურებელი მაინც. მათ ითხოვეს გაეღვიძე-
ბინათ, როდესაც ფიცარნაგზე რუსი გამოჩნდებოდა, სასახლი-
დან წასვლა არავის უნდოდა. ჩემს გვერდით იტალიის ცნობილ
სპორტულ მიმომხილველს თავქვეშ ორი-სამი მსხვილი გაზეთი
ამოედო და მოკუნტულს ტკბილად ეძინა.

იმ დროს კარგი, საშუალო და სუსტი ათლეტები ერთად
ასპარეზობდნენ. შეჯიბრება მძიმე წონის ძალოსანთა სამჭიდის
უკანასკნელ სახეობაში ხანგრძლივი და ცოტა ერთფეროვანი
იყო მანამ, სანამ ფიცარნაგზე ორი ამერიკელი და ერთი რუსი
არ გამოვიდა. მათი შერკინება ერთგვარი ჯილდო იყო მოთმენ-
ისთვის. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

დიდი, შავი და ჩამრგვალებული ჯეიმს ბრედფორდი და
ბრტყელსახიანი, მსხვილძვლიანი ნორბეს შემანსკი — ამერიკის
გუნდის იმედები. თითოეულ მათგანს კარგად ესმოდა, თუ რას
ნიშნავდა მოგება იური ვლასოვისთვის და მედლის მოპოვება

თავისი ქვეყნისთვის ყველაზე სანუკვარ „აბსოლუტურ კატეგორიაში“.

სხვათა შორის ვლასოვსაც კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა მისთვის მოგება და რას ნიშნავდა წაგება. საეჭვო იყო თავმოყვარე, ნიჭიერსა და პატივმოყვარე კაცს შემდგომ კიდევ გამოენახა ძალები „მთელი ამ საქმის“ გასაგრძელებლად, თუკი წააგებდა ამ, თავის ცხოვრებაში ყველაზე მთავარ შეჯიბრებას.

ორივე ამერიკელს მხოლოდ თავისი თავი ახსოვდა, გეგონებოდათ, რომ ისინი ორი სხვადასხვა გუნდიდან იყვნენ და საერთოდ ერთმანეთს არ იცნობდნენ. ამის შესახებ იმიტომ კი არ ვწერ, რომ დავგმო ისინი: ბრძოლა არის ბრძოლა, იგი მოითხოვს ყურადღებიანობას, თუ გნებავთ, გულჩახვეულობას. თითოეული თავისებურად განეწყობა. გარეგნულად ამერიკელები ისე გამოიყურებოდნენ, რომ მზად იყვნენ მთელი ძალები გამარჯვებისათვის მოეხმარებინათ. ისინი სოლიდურნი ჩანდნენ და ღირსეულად ეჭირათ თავი. სწორედ იმ წუთამდე, სანამ შემანსკის უმწეოდ არ გაუვარდა ხელებიდან შტანგა... ზანგი სიზარულით აცეკვდა.

ვლასოვს უკანასკნელ ცდაზე რომ არ დაეძლია სიმძიმე, ის, ბრედფორდი, ინარჩუნებდა პირველი ადგილის იმედს.

შტანგაზე კი უჩვეულო წონა იყო. პირდაპირ ვიტყვი, ფანტასტიკური წონა იყო: ორას ორ-ნახევარი კილოგრამი. ეს იყო წონა ოლიმპიურისაც და მსოფლიო რეკორდისაც.

ჩვენი მწვრთნელების თვალეზში ამოიკითხავდით ვედრებას: „დაძლიე, დაძლიე!“

და მან დაძლია ეს წონა! რა ხდებოდა დარბაზში! ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ იტალიის დარბაზში მოხდეს, იტალიელი სპორტის მოყვარულებით გაჭედილ დარბაზში. აქ, ამ ქვეყანა-

ში, ყველას აქვს თავისი განსაკუთრებული ემოციური გამოხატვა — მწუხარებისაც, სიხარულისაც, აღფრთოვანებისაც. აქ ჯერ კიდევ არსებობს „ყველაზე უმაღლესი თვისების აღტაცების“ ცნება, მაგრამ ამანაც კი, ამ გამოხატვამ საშუალება არ მისცა ტელეკომენტატორებს თუნდაც დანაწევრებულად გადმოეცათ ვითარება. ისინი იგუდებოდნენ საჭირო სიტყვების ძებნაში, მიუხედავად იმისა, რომ იტალიური ენა მდიდარია ეპითეტებით.

ჩვენც ვიგუდებოდით უსაზღვრო სიხარულისგან, რომელსაც მხოლოდ მაშინ განიცდი, როდესაც მშობლიური ქვეყნიდან შორს შენი თანამემამულე აგრერიგად განადიდებს თავის თავს, თავის ქვეყანას და შენც, დიახ, დიახ შენც.

„ყველაფერს, რაც ამ წუთს იური ვლასოვმა გააკეთა, ჩვენ შევიგნებთ, შევიგრძნობთ და გავიზიარებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ოდნავ მაინც მინელდება განცდილი. ჯერჯერობით კი გონებაში ერთი სიტყვა ტრიალებს: „გმირობა“. ამას სხვას ვერაფერს დაარქმევ. სამჭიდის ჯამში ვლასოვმა 537,5 კილოგრამი დააგროვა მძიმე წონის კატეგორიის ათლეტთა შეჯიბრებაში, პირველი ადგილი დაიკავა და ბევრად ჩამოიტოვა უკან აშშ-ის ძალოსნები. ერთი მათგანი — შემანსკი თავს იმაგრებდა, მეორე კი წყლიდან ამოყვანილივით დადიოდა.

რომში, ქალაქში, რომელიც ოდითგანვე მიჩვეულია არაჩვეულებრივ მასშტაბებს, შეძლეს ღირსეულად დაეფასებინათ საბჭოთა გოლიათის გმირობა. ღამის მესამე საათზე „პალაცეტოდან“ ოლიმპიური სოფლისაკენ დაიძრა გრძელი პროცესია. იტალიელებს არ უნდოდათ ვლასოვის გაშვება. ვიღაცამ „კატიუშა“ წამოიწყო და იშვიათი მანქანების მძღოლებმა საყვირები ააყოლეს“.

მე გავიფიქრე — რა მოხდებოდა, როგორი სტილით დაწერდნენ ანგარიშებს გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები, რომ დღეს მიძიმე წონის ძალოსნებიდან ვინმეს სამჭიდის ჯამში ხუთასოცდაჩვიდმეტნახევარი კილოგრამი დაეგროვებინა.

„ჩვენ თვალს არ დავუჯერეთ... აკვრაში, სადაც ჩვეულებრივად სძლევს ორას ოც—ორას ოცდახუთ კილოგრამს, მან შევიბრება მოულოდნელად პირველ ცდისთანავე ორას ორნახევარი კილოგრამით დაამთავრა. სამწუხაროდ სპორტსმენმა, რომელმაც ეს წონა ძალდაუტანებლად დაძლია, აშკარად გადაჭარბებულად შეაფასა თავისი ძალები და აი შედეგიც.“

ჩვენ დავწერდით ან ასე, ან დაახლოებით ასე.

„დრო წინ მიდის და ჩვენც მასთან ერთად ვიცვლებით“. ამ აფორიზმის ავტორი არა მგონია ფიქრობდა, რომ დადგება ისეთი ათწლეული, როდესაც დრო ნავარდით გაირბენს და ადამიანი... ადამიანი კი არ ჩამორჩება, არამედ გაუსწრებს კიდეც მას.

მიძიმე წონის ყველა ათლეტი ვინც კლასიკური მრავალჭიდის ჯამში ხუთას კილოგრამს დააგროვებდა, საპატიო კლუბის წევრი ხდებოდა.

მერე ხუთასი კილოგრამი ქვემიძიმე წონის ძალოსნებმაც დაძლიეს. შემდგომ რიგელმა გენადი ივანჩენკომ არც თუ ისე მსუბუქი ხელებით გახსნა საშუალო წონოსანთა თავისი „კლუბი“.

„საით მივდივართ? როგორი ტემპებით? თუ ყველაფერი ასე გავრძელდა... მაშინ გაფიქრებაც კი სანშიშია, რა შედეგებს უჩვენებენ მალე მსუბუქი წონის ძალოსნები. და საჭირო კია ყოველივე ეს?“

ეს საჭიროა, რათა სწორად და საიმედოდ ვივარაუდოთ, რათა გავიგოთ, როგორ იცვლებიან ადამიანები.

მეცნიერმა და ფანტასტიკოსმა არტურ კლარკმა დაასახელა ძალზე მოკრძალებული ციფრი — ჩვენ გვჭირდება შვიდი ათასი წელი, რათა ავითვისოთ მზის სისტემის ყველა პლანეტაო. გვხვდებიან არანაკლებ სერიოზული მეცნიერები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ბევრად უფრო ადრე მოხდება. როგორები იქნებიან მოხალისენი, რომელთაც წილად ხვდებათ ახალ პლანეტებზე დასახლება? განა ნათელი არაა, რომ ის შორეული შთამომავალნი რაღაცას აიღებენ ჩვენი დროის გმირებისგან — კოსმონავტებისგან, წყალქვეშა ფლოტის მეზღვაურებისგან, მოგზაურებისგან, მოაზროვნეთაგან. ასევე სპორტსმენებისგანაც აიღებენ რაიმეს.

მზვერავები მხოლოდ კოსმოსს როდი ჭირდება. ისინი საჭირო არიან დედამიწაზეც. საკუთარ თავშიც ბევრი რამ უნდა დავხვეროთ და აღმოვაჩინოთ ადამიანი.

აი რატომაა, რომ მეცნიერებას სულ უფრო დაჟინებულად უჭირავს თვალი სპორტზე. ეს არ არის უბრალო ინტერესი ფიზიოლოგებისა და ანთროპოლოგებისა, რომლებიც გულშემატკივრობენ ამა თუ იმ გუნდს და ცდილობენ შეძლებისდაგვარად დაეხმარონ მას. ეს გუნდია მთელი კაცობრიობა.

გავიხსენოთ ვასილი ალექსეევი, რომელმაც ვლასოვის რეკორდი არც მეტი, არც ნაკლები ას კილოგრამზე მეტით გააუმჯობესა.

გავიხსენოთ ბიმონი.

გავიხსენოთ ორი ნიჩბოსანი, ბაიდარში რომ ისხდნენ და ფინიშთან გატეხილი ნიჩბით მივიდნენ.

ყველაფერი ეს სპორტია. და ყოველივე ეს ცხოვრებაა.

ცხოვრება მშვენიერი და მკაცრი, ბრძოლის თავისი კანონებითა და პატიოსნების თავისი კოდექსით, ცხოვრება, სადაც განსაკუთრებული სიცხადით გრძნობ ამხანაგის იდაყვს და დაყვას მოწინააღმდეგისას, რომელიც ეშვადება გაგისწროს ვირაჟზე.

ეს ცხოვრება კვლავ ელის თავის მკვლევარებსა და მხატვრებს. განა კიდევ სადმე მკვლავნდება ადამიანის ხასიათი ისე ნათლად, სწრაფად და ნახტომისებურად, როგორც ეს ხდება სპორტულ შერკინებებში?

ო თ ხ ნ ი

ეს ყველაზე საინტერესო სათხილამურო შეჯიბრებაა ოლიმპიადაზე. შემთხვევით არაა შემონახული დესერტად. თამაშები ამ შეჯიბრებით იხურება. ნორვეგიელები, შვედები, ფინელები, ყველა, ვინც მოთხილამურეთა წინა მრავალრიცხოვან შეჯიბრებაში ნავარაუდევზე ნაკლები მედლები მოიპოვა, განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს ესტაფეტაზე — ოთხი ათზე.

პირველ ეტაპზე საბჭოთა კავშირის გუნდიდან ვლადიმერ ვორონკოვი გამოდიოდა. მან იცოდა, რომ მხოლოდ მის გამო იყო დავა. სამი სხვა კანდიდატი ერთხმად გავიდა. მხოლოდ მასზე დავობდნენ, ის წაეყვანათ თუ ვლადიმერ დოლგანოვი.

ვორონკოვი ხვდებოდა, თუ როგორი განაწყენებული იყო მისი სეხნია. ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე დოლგანოვმა მოიგო შესარჩევი შეჯიბრება ბაკურიანში. უგერგილობის გამო სტარტზე მთელი თხუთმეტი წამი დაკარგა. გაგულისდა და ყველას ნახევარი წუთით გაუსწრო. ეს დოლგა-

ნოვი თხილამურებზე ისე მიჰქრის, თითქოს ერთი მიზანი დაუ-
სახავს — დაარღვიოს რბენის ტექნიკის ყველა კლასიკური წესი
ნონი. აბა, სცადე და დაეწიე მას. როდესაც რბენის შემდეგ
მოთხილამურეებს თავს უყრიან, რათა აჩვენონ კინოკადრები,
ვინ როგორ მიდიოდა, დოლგანოვის ტექნიკის შემყურე
მწვრთნელები გაოცებული რჩებიან ხოლმე — როგორ შეიძლე-
ბა ასე დადიოდე და პირველ ადგილს იკავებდე! ოპერატორე-
ბმა იციან, რომ მწვრთნელები კადრებისადმი, რომლებშიც
დოლგანოვია გადაღებული, არ ამყდავენებენ განსაკუთრებულ
ინტერესს: „ისინი მხოლოდ იმითაა სასარგებლო, რომ ასწავ-
ლიან, როგორ არ უნდა დადიოდე“. ამიტომაც, რომ დოლგა-
ნოვს ნაკლებად იღებენ. დოლგანოვი კი მებრძოლია. ასეთი ძა-
ლზე ჭირდება გუნდს პირველ ეტაპზე. მას უყვარს რელსივით
მაგარი ნათხილამურევი. აქ საპროოში ასეთი ნათხილამურევი.
მას არ გაუმართლა — ერთ-ერთ პირველ გარბენაზე თხილამური
გაუტყდა და მეთექვსმეტე ადგილი დაიკავა. სამართლიანი
იქნებოდა საპროოში დოლგანოვი რომ გამოეყვანათ. ეს სამარ-
თლიანი იქნებოდა, მაგრამ ვორონკოვმა არ იცოდა, როგორ გა-
დაიტანდა ამას. ერთხელ მან უკვე განიცადა რაღაც მსგავსი
იმისა, რაც წინააღმდეგ შემთხვევა.

ეს მოხდა ერთი წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონატზე მა-
ღალმთიან ტატრებში. მაშინაც მიმდინარეობდა დავა — ვორონ-
კოვი წაეყვანათ თუ იური სკობოვი. ის წაიყვანეს, თუმცა მა-
ნამდე ოცდაათ კილომეტრზე შეჯიბრებაში შეცდომა მოუვიდა.
მეტისმეტად ინტენსიურად ჩაატარა ვარჯიში სტარტის წინ,
ვერ გაანაწილა ძალები და ფინიშთან მხოლოდ ოცდამეხუთე
მივიდა. მაგრამ მას ენდვნენ. პირველ ეტაპზე დააყენეს და და-
არიგეს: არ გაეშვა წინ ნორვეგიელი მარტინსენი, რომელსაც

ყველაზე უკეთ შეეძლო აღმართის მარჯვედ ავლა. ჩვეულებ-
რისამებრ, შეჯიბრების ლიდერთა ჯგუფში მიდის ხოლმე და თა-
ვში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებს არ ჩამორჩეს სხვებს.
ახლა კი მარტო იმას ელოდება — ბოლოს და ბოლოს როდის
დაიწყება აღმართი.

მწვრთნელებმა ყველაფერი ზუსტად განუმარტეს ვორონ-
კოვს, მათ იცოდნენ, რომ პირველ ეტაპზე მიდიოდა საიმედო
ადამიანი გვარად ვორონკოვი. აღმართზე იგი კვალში ჩაუდგა
ნორვეგიელს და ერთი წამითაც არ აძლევდა თავისუფლად
ამოსუნთქვის საშუალებას. როდესაც ერთმანეთს გაუსწორდ-
ნენ, ნორვეგიელმა ორი-სამი ნაბიჯი გვერდზე გადადგა და ვო-
რონკოვი წინ გაუშვა.

„არავის ეგონა, რომ მე მას მოვუგებდი, არც მეორე ეტაპზე
მიმავალ ვალერა ტარაკანოვს. ყველაფერი კარგად იყო. შემ-
დეგ მიდიოდნენ ფედია სიმაშოვი და სლავა ვედენინი — მათ
დიდი ბრძოლები გადაიტანეს, მაგრამ ყველაფერი კეთილად
დამთავრდა — ტატრებიდან მსოფლიოს ჩემპიონები დაებრუნ-
დით.

ახლა ტარაკანოვის ადგილი სკობოვმა დაიკავა. კიდევ ერთი
პატარა ცვლილება მოხდა გუნდში. ტატრებში ის მეოთხე ნო-
მრით გამოდიოდა. მაშასადამე, სიძლიერით მეოთხე იყო. ვო-
რონკოვის მეტოქე არანაკლებ საშიშია, ვიდრე მარტინსენი.
ისიც ნორვეგიელია — ბრო. უამრავი სხვადასხვა საერთაშო-
რისო შეჯიბრება აქვს მოგებული, მაგრამ მასთან ბრძოლა შეი-
ძლება.

მაშ ასე, მოთხილამურეები გაუდგნენ გზას.

უფრო ახლოს გავეცნოთ ჩვენი გუნდის პირველ ნომერს.

ვლადიმერ პეტრეს ძე ვორონკოვი, ლეიტენანტი, სპორტის

დამსახურებული ოსტატი. ტექნიკურ სასწავლებელში მიიღო ზეინკლის პროფესია და პირველი სპორტული პრიზი (როგორც ბევრმა სხვამ ვორონკოვმაც სპორტულ გზა ფეხბურთით დაიწყო. ქალაქ კანაში ცხოვრობდა. იქ გაძელი ზამთარი იცის, ზამთარში კი მთელი ქალაქი თხილამურს იმეღებდა. ვალოდია ვორონკოვიც დადგა თხილამურებზე. დასრიალებდა ისე, როგორც ყველა, მაგრამ ვერ გაეგო, რატომ ასე უთვალთვალებდა მას მწვრთნელი ვლადიმერ იაკობის ძე გრიგორიევი.

არიან ყველაზე შორეულ, არცთუ ისე ცნობილ ქალაქებში სპორტის ისეთი ენთუზიასტები, რომლებიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე უჩუმრად, ერთგულად და გულმოდგინედ ემსახურებიან. ასეთი ადამიანია გრიგორიევიც. მისი ცოლიც პირველი კლასის მოთხილამურეა, ქვეყნის ნაკრების კანდიდატი, ვაჟიშვილიც მომავალი სპორტსმენი, ხოლო მოსწავლეები სერიოზული ადამიანები არიან. ერთი სიტყვით, მისთვის სხვა ინტერესი არ არსებობს.

ვორონკოვიც სერიოზული კაცია. იცის — თუ გინდა ნამდვილი სპორტსმენი დადგე, უნდა დაივიწყო გართობები, ადამიანური სიამოვნებანი, არ უნდა აჩქარდე. სპორტი ყველაფერს ადგილს მიუჩენს. აქ ადგილს მზის ქვეშ ნათქვამი სიტყვით ვერ მოიპოვებ, აქ ადამიანისგან საქმეს ელიან.

ვორონკოვმა იცის — თითოეულ მის ნაბიჯს ახლა ტელევიზიით მთელი მსოფლიო უყურებს, ამბობენ, რომ პირდაპირ გადაცემას და ვიდეოჩანაწერს მილიარდი ადამიანი ნახავს — ოღნავ მეტი თუ ოღნავ ნაკლები — რა მნიშვნელობა აქვს. იცის ვორონკოვმა, რომ ახლა მას უყურებენ ცოლი და ორი ქალიშვილი და სურს აჩვენოს მათ თავისი ძალა.

კეთილსინდისიერი მშრომელია ეს ვორონკოვი. საპორტოში

გამგზავრებამდე სამოცდახუთმეტი დღის განმავლობაში ორი ათას კილომეტრამდე გაირა ვარჯიშებზე. რამდენი გამოდის ერთ დღეში? რამდენი ოფლი დაღვარა, რამდენი კილოგრამი დაკარგა?

მაგრამ სპორტი სწორედ იმითაა კარგი, რომ არაჩვეულებრივ კომპენსაციას იძლევა ყველა დროებითი დანაკარგისა და გაჭირვებისათვის. რომ არ გაერბინა ის ორი ათასი კილომეტრი, თავის თავისთვის მცირეოდენი შეღავათიც რომ მიეცა ვორონკოვს, განა ასე მსუბუქად ირბენდა ახლა?

...ესტაფეტის მონაწილე პირველსავე მეტრებიდან მთელი ძალით იბრძვის, ცდილობს პირველი გავიდეს იქ, სადაც ერთდებიან სათხილამურო გზები. აქ ზოგჯერ ბრძოლა მიმდინარეობს როგორც სპრინტერული რბენის დროს — წამის მეათედებისთვის. ხდება ისეც, რომ ეჯახებიან, ეცემიან, უტყდებათ თხილამურები და ბრძოლას ეთიშებიან.

ბრძოლის აზარტში ყველაფერი ხდება. ის მიდის პირველი ნომრით. ის უნდა იყოს არა მარტო სწრაფი, არამედ წინდახედულიც. რაიმე რომ მოხდეს, თავს ვერავისთან ვეღარ იმართლებ. უყურებ ვორონკოვს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი არ ცდილობს თავიდანვე წინ გაჭრას. მას ჯერჯერობით სავსებით აკმაყოფილებს მესამე ადგილი. წინ ათი კილომეტრია. მთავარია, ძალიან წინ არაეინ გაუშვას.

ერთ თოვზე ჩაბმულებივით მიდიან ნორვეგიელი, შვედი და რუსი. უკან დარჩა პირველი ორკილომეტრიანი აღმართი. შუა აღმართში ტელეკამერები და რაღაც აკუსტიკური ხელსაწყოები დგას. არა მხოლოდ ჩანს, ვინ როგორ მოდის, არამედ ისმის, ვინ როგორ სუნთქავს.

მეშვიდე კილომეტრზე ვორონკოვი აკეთებს სპურტს, წინ



გადის, მაგრამ გრძნობს, რომ ორივე მთავარ მეტოქეს ზუსტად იმდენივე ძალა აქვს, რამდენიც მას, არც ერთ მათგანს არ სჯობს ჩამორჩეს. შესაძლოა სხვა, უფრო იმპულსური და სკოპულური მოცდილი მოთხილამურე ვორონკოვის ადგილას სცდიდა რისკზე წასვლას — მოუმატებდა ტემპს, შეეცდებოდა წინ გაჭრას... ვორონკოვი ერთი იმათაგანია, ვინც ყოველგვარ გრძნობას ცივი გონებით ამოწმებს. მისი ამოცანაა, არ ჩამორჩეს. იცის რომ, გუნდის მთავარი ძალები ბოლოსთვისაა შემონახული. იქ, სკობოვის შემდეგ მოდიან სიმაშოვი და ვედენინი, ისინი, ვისი იმედიც გაქვს. მან ჯერ კიდევ არ იცის, რა შეემთხვევა მესამე ეტაპზე სიმაშოვს, რომ სცოდნოდა, უკანასკნელ ძალონებს მოიკრებდა, რისკზე წავიდოდა, უკანმოუხედავად ივლიდა... იქ კი, ვინ იცის, დაეწეოდნენ მას, თუ ვერ დაეწეოდნენ, გაუსწრებდნენ თუ ვერ გაუსწრებდნენ. შეინარჩუნებდნენ მასზე მეტ ძალას, თუ ვერ შეინარჩუნებდნენ...

ისინი მიდიან როგორც მწყობრში. მარცხენა, მარჯვენა. მარცხენა, მარჯვენა. მერე ზედ ფინიშთან შევდმა მოიგო ერთი წამი და ესტაფეტა ნორვეგიელთან ერთად გადასცა. ორი წამის შემდეგ დაამთავრა ეტაპი ვორონკოვმა.

წავიდა იური სკობოვი.

მზერა ნორვეგიელ ბროს მიაპყრო. გაახსენდა, ჯერ კიდევ ჭაბუკი როგორ ებაექრებოდა მას საერთაშორისო შეხვედრებში, ახსოვს მისი ძალა და იცის, რა იმედებს ამყარებდნენ მასზე.

ამ ოლიმპიადაზე სკობოვს აშკარად არ გაუმართლა წილისყრამ, წინასწარ გარბენში მას პირველი ნომერი შეხვდა. უკვე ყველამ იცის შენი წამები, შენი გრაფიკი, სხვა გუნდების მწვრთნელები პატარა რადიოაპარატებით ღვანან დისტანციაზე

და ფინიშიდან იჭერენ ცნობებს რბენადამთავრებულთაგან ვის როგორი შედეგი აქვს. ამის შემდეგ ისინი ეხმარებიან თავისიანებს კორექტივი შეიტანონ გრაფიკში ისე, რომ მიიღონ თუნდაც წამი, თუნდაც წამის მეათედი.

ახლა ესტაფეტაა. პირველი ასეთი მნიშვნელოვანი ესტაფეტა იურის ცხოვრებაში.

იგი ჩვეულებისამებრ უქუდოდ მიდის. იცის თავისი საქმე და ხელებს ნორმალურად ამუშავებს. თითქოს ამ რამდენიმე ხნის წინათ ბაკურიანში არ ამოვარდნოდეს ხელი. მეორედ, პირველად აქ, საპორტოში, ამოუვარდა ზუსტად ერთი წლის წინათ, წინაოლიმპიურ კვირეულში. ოცდაათ კილომეტრზე რბენაში ცდილობდა გაესწრო ამერიკელისთვის. ვირაჟზე. მკვეთრ დაღმართზე, სადაც განსაკუთრებული ოსტატობით და წინდახედულებით უნდა გაუსწრო, თბილამურების ბოლოთი ამერიკელს წამოედო, თავი ვერ შეიკავა, მხარზე დაეცა და იღრძო. ხელი უმწეოდ ჩამოუვარდა. უნდოდა აეწია, მაგრამ ვერ შესძლო. მას მიეშველნენ. თვალწინ უსიმბათიო წრეები ცურავდნენ, ხელიც და თავიც გავარვარებული ჰქონდა, ოფლის წვეთებს დაეფარა. მადლობა გადაუხადა, ბოდიში მოუხადა. თბილამურებზე შედგა და თავისიანებისკენ გასწია. სადღაც წინ მწვრთნელები იყვნენ. სანამ მათთან მივიდოდა, თვითონ გაისწორა ხელი.

როდესაც ბაკურიანში იგივე განმეორდა, სრულიად მშვიდად იმოქმედა. ასე თუ ისე გამოცდილება ჰქონდა.

საერთოდ არც ისე იღბლიანია მისთვის სპორტული კენჭისყრა. სულით ძლიერი ადამიანი რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა, ნაადრევად ჩამოშორებოდა სპორტს: ჰქონდა შემთხვევები სათბილამურო ბილიკზე და წყალში სახტომ კომპურაზეც კი. იგი

ჩამოვარდა 9 მეტრისან კოშკურიდან. ოღონდ არა „იქ“ გზით
სულ მაღლიდან დაცურდა და უმწეოდ დაეცა ციცაბო კიბეზე
სცადა მოაჯირს ჩასქიდებოდა, მაგრამ ჰაერში გამოეკრდა ამის
შემდეგ სამი თვე ფეხზე ველარ წამოდგა. როდესაც პირველად
თხილამურებზე შედგა, იგრძნო, როგორ ეკეცებოდა ფეხები.
გადაეჩვია. იმ წუთს არა მგონია იმედი ჰქონოდა, რომ ოდესმე
კიდევ გამოვიდოდა ოლიმპიურ სათხილამურო ბილიკზე.

სკობოვი საპოროში ომუტნინსკიდან ჩამოვიდა. ომუტნინ-
სკი ქალაქ კიროვიდან ჩრდილოეთით სამას კილომეტრზე მდებ-
არეობს. იგი ოცდასამი წლისაა, თხილამურებზე კი რამდენი
ხანია ახსოვს თავისი თავი. მამას სურდა თავისი ბიჭები ნამ-
დვილ მამაკაცებად დაეზარდა. როდესაც იურის ცხრა წელი
შეუსრულდა, მამისაგან საჩუქრად ერთლულიანი სამონადირეო
თოფი მიიღო. დედა სულ ვიშვიშებდა, რად უნდა ასე პატარას
შენი თოფიო, მაგრამ მამა თვლიდა, რომ რაკი ადამიანი ჩრდი-
ლოეთში იზრდებოდა და ტყიან მხარეში ცხოვრობს, ადრე უნდა
დავაეჭვადესო. მაშინ, ტყეში, თხილამურებზე შემდგარ ბი-
ჭუნას არაფერში არ უნდოდა დაეთმო დიდებისთვის. მარდად
დადიოდა და მარჯვედაც ისროდა. „მე იქ ყველა მიცნობს უფ-
რო როგორც მონადირეს, ვიდრე როგორც სპორტსმენს“. იგი
ამაყობს ამით. ორი წლის წინათ კურდღლებზე სანადიროდ წა-
ვიდა, დათვი შეხვდა და იქვე მიაწვინა.

იქ, სახლში, ომუტნინსკში, ვინ გებულობს ამბებს იურის
შესახებ? მამა, გიორგი იაკობის ძე, ტყემრეწვის მეურნეობის
დირექტორი. დედა პოლინა თევდორეს ასული. შესაძლოა უფ-
როსი ძმა გენადიც, შტურმანი. კიდევ და. ორი ყველაზე მთავა-
რი მაყურებელი: ცოლი სვეტლანა და გოგონა ანჟელა. „ორი
კვირა რომ ვერ ვხედავ მათ, ლამის გავგიჟდე, ისე მენატრებიან“.

და, რასაკვირველია, მწვრთნელი. ძვირფასი ამხანაგი ბაბაი-
ლოვი გენადი ივანეს ძე, რომელმაც ოდესღაც გულისადა მი-
იღო ის სპორტ-სკოლაში და თვალყურს ადევნებდა, როგორც
მზრუნველი ძიძა. თუმცა უკანასკნელ წლებში იური კიროვში
ვიჩქესლავ გიორგის ძე ვანევეთან ვარჯიშობს, ბაბაილოვი
დღემდე ეხმარება მას, რითაც შეუძლია და როგორც შეუძლია.
უწინარეს ყოვლისა, ბაბაილოვის დამსახურება ხომ არაა ისიც,
რომ იურიმ მწვრთნელის პროფესია ამოირჩია? მწვრთნელთა
სკოლაში სწავლობს. ნამდვილი მწვრთნელი მხოლოდ მას შე-
უძლია გახდეს, ვინც იცის სპორტული ვარჯის ფასი, ვინც თა-
ვის თავზე გადაიტანა ყველა განსაცდელი, იგემა არა მხოლოდ
სიხარული, არამედ სპორტული მწუხარებაც. „საერთოდ ეს
საქმე — მწვრთნელობა საპატიო და საინტერესოა“.

სკობოვის ანგარიშზეა არა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება
როგორც ჩვენი ქვეყნის შეჯიბრებებში, ისე მის ფარგლებს გა-
რეთაც. როდესაც ბაკურიანში მას გამარჯვებულის პრიზი გა-
დასცეს, საერთო სიცილი გაისმა, საქმე ის იყო.. რომ სახლში
სკობოვის პრიზად მიღებული ოცი ცალი სხვადასხვა საათი
აქვს...

ჩვენ გვახსოვს, რომ პირველი ეტაპის დასასრულს სამ
გუნდს ჰქონდა ერთნაირი შანსი. მეორე ეტაპზე სამიდან წინ
ორი ვავიდა: ნორვეგიელი ტილდუმი და სკობოვი. აღმართის
მეექვსე კილომეტრზე შევედმა ოსლუნდმა ვერ გაუძლო მათ
მიერ შემოთავაზებულ ტემპს და ჩამორჩა.

ანგარიშიდან რბენის შესახებ:

„ოსლუნდი გამოეთიშა შეჯიბრებას — დადლილობისგან
ველარ შეძლო ბრძოლის ვაგრძელება. ამასობაში სკობოვი გა-
ნაგრძობდა ბრძოლას ტილდუმთან. მას კარგად ესმოდა, რომ

ის იყო მისი მთავარი მეტოქე. სკობოვი სასტიკია სპორტულ ბრძოლაში და ამიტომ უცვლელად გამოდის ესტაფეტაში. ხან ერთი გადის წინ, ხან მეორე. ხან ტილდუმი, ხან სკობოვი. ლოს ტილდუმი დარწმუნდა, რომ სკობოვი არ დაუთმობდა იურიც ამას ელოდა, რომ ტილდუმი დანებდებოდა. წინ გაიჭრა და ფინიშთან პირველი მივიდა“.

ჩვენი გუნდი ერთ წამს იგებს. სკობოვმა გააკეთა თავისი საქმე. ახლა ყველაფერი ნორმალურად წავა. დარჩა ორი ეტაპი და ამ ორ ეტაპზე გამოდიან ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ფიოდორ სიმაშოვი და ოლიმპიადის ოქროს პრიზიორი ვიაჩესლავ ვედენინი. ვინ შეედრება მათ, ვინ გაუწევს კონკურენციას?

ქანცაგაწყვეტილი სკობოვი უძლურად დაყრდნობია ჯიხებს და ისმენს გუნდის ექიმის ბორის სარონენკოვის ალერსიან სიტყვებს. ბორისი თვითონაც საუცხოო მოთხილამურეა და კარგად იცის, როგორც დამთავრდება დღევანდელი ესტაფეტა.

მაშ ასე, ეტაპზე გავიდა ფიოდორ სიმაშოვი.

იგი ჩვენი გუნდის კომორგია.

კაცი მრავალი წლის მანძილზე სპორტთან მეგობრობით გამოწრთობილი. მისი დამახასიათებელი თვისება? მწვრთნელი ვიქტორ ნიკოლოზის ძე ბუჩინი დაუფიქრებლად უპასუხებს: „ის საიმედო კაცია. ცხოვრებაშიც და სპორტშიც. მას ყველაფერში ენდობი.“

არასდროს არ უღალატია გუნდისთვის.

დაე, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ როდესაც დისტანციაზე სიმაშოვია, ჩვენი მწვრთნელები მშვიდად არიან.

ის თუ რამეს აკეთებს, აკეთებს გვარიანად.

სწავლობს მოსკოვის კრუპსკაიას სახელობის პედაგოგიურა

ინსტიტუტის მეოთხე კურსზე. სწავლის მთელი ამ წლების მანძილზე არასდროს არ უთხოვია რაიმე შეწყნარება და შეღავათი. არც მწვრთნელებს უხდებათ მოსვლა ინსტიტუტში რექტორისა თუ დეკანისთვის გამოცდის გადატანის სათხოვნელად.

მწვრთნელებს მიაჩნიათ, რომ ასეთი სპორტული ხასიათის კაცი შეიძლებოდა დამდგარიყო ბრწყინვალე მოცურავეც, მორბენალიც და ტანმოვარჯიშეც. სიტყვამ მოიტანა და, მან ძალიან სწრაფად აითვისა სპორტის კიდევ რამდენიმე სხვა სახეობა.

მაშ ასე, წესიერება და საიმედოობა... არა, უფრო სწორად ზესაიმედოობა ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია სიმაშოვისა.

ის მესამე ეტაპზე მიდის. მისი მოვალეობაა — ჩამოიტოვოს ნორვეგიელი. შეუქმნას მარაგი უკანასკნელ ეტაპზე ვედენის. რათა გამორიცხულ იქნას უმცირესი შემთხვევითობაც, რათა ყველაფერი იყოს ისე, როგორც საჭიროა.

მასაც ჰყავს თავისი გულშემატკივარი ქალები. ცოლი ზოია — სტუდენტი და წლინახევრის ქალიშვილი იულია.

ის წავიდა დისტანციაზე. ალბათ ცოლი გოგონას ეკრანზე უთითებს და ეუბნება: შეხედე, აი, მამა.

მანაც, როგორც ქვეყნის სხვა წამყვანმა მოთხილამურეებმა, ვაიარა მკაცრი წინაოლიმპიური შერჩევა: შეჯიბრებათა მთელი სერია. ამას ერთი შეხედვით ჰქონდა თავისი დადებითი მხარე, რადგან ქვეყნის ნაკრების კარი არც ერთი ნიჭიერი ახალბედასთვის არ იყო დახშული.

ახალბედები ბევრნი იყვნენ. რა დასამალავია, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც თავიანთი სპორტული ფორმის პიკს ოლიმპიადას კი არ უკავშირებდა, არამედ სწორედ ამ შესარ-

ჩევ ტურნირებს. ასეთებისათვის მთავარია მთელი ძალები მოახმარონ წინაოლიმპიურ შეჯიბრებებს, მოხვდნენ ნაკრებში, იქ კი... იქ გამოჩნდება.

ახალბედებს ეუბნებოდნენ: იბრძოლეთ თავდაუზოგავად ჩვენ გვინდა შეგამოწმით და თქვენი დახმარებით შევამოწმით ვეტერანები. ახალბედა, დაბნეულად რომ აცეცებს თვალს, შესძლებს ოლიმპიადაზე სასწაულის მოხდენას? არა, ოლიმპიადა ახალბედებისთვის არაა. დაე, მათ ძალები უფრო დაბალი რანგის შეჯიბრებებში მოსინჯონ, ოლიმპიადა კი სპორტულ ბრძოლებში გამოცდილებისა და გამოწრთობილებისთვისაა.

შერჩევის ერთი პრინციპი ჰქონდათ არა მხოლოდ მოთხილამურეებს. ყველას, ზამთრის ოლიმპიადაზე ჩამოსულებს. მე კი... მე ოლიმპიადის წინ ვეტერან და ნაცად მოთხილამურეებს მივცემდი ორი კვირის მშვიდი ძილის საშუალებას. და დავტოვებდი ორ საგზურს რვიდან, მეტს არა, რათა ახალგაზრდებს მხოლოდ ამ საგზურებისთვის ებრძოლათ. ვეტერანებმა კი დაე მშვიდად იცხოვრონ და მშვიდად მოემზადონ.

მაგრამ განა არ არის შემთხვევა, რომ ოლიმპიადაზე პირველად ჩამოსული ახალბედა მაშინვე ჩემპიონი ხდება? განა სამოცდარვა წელს ტრამპლინიდან ხტომაში ჩემპიონი არ გახდა ჩვენი, ყველასთვის უცნობი, ბელოუსოვი? და განა იქვე, საპაროში, ჩემპიონი არ გახდა ყველასათვის უცნობი პოლონელი ფორტუნა? ასეთი რამ შესაძლოა მოხდეს სპორტის რომელიმე სხვა სახეობაში. მაგრამ თხილამურებით შეჯიბრებაში არა. სათხილამურო ბილიკზე ახალბედა გამორიცხულია! ოლიმპიურ სათხილამურო ბილიკზე ახალბედას ადგილი არა აქვს! ჩვენი მოთხილამურეთა მწვრთნელები უკანასკნელ წუთამ-

დე არ ასახელებენ საბოლოო შემადგენლობას. მე კი მათ აღ-
გილას სხვანაირად მოვიქცეოდი.

ყველაფერ ამის შესახებ ასე დაწვრილებით იმიტომ ვწერ, რომ მოთხილამურეების საპრობოში გამგზავრებამდე სიმაშო-
ვისაგან გავიგონე:

— ოლიმპიადის წინ თორმეტი სერიოზული სტარტი მქონ-
და, ოლიმპიადის წინ აზრი არა აქვს მოთხილამურეთა ასეთ
დატვირთვას.

ხომ არ ვპოულობთ ამ სიტყვებში პასუხს კითხვაზე: რა
შეემთხვა სიმაშოვს დისტანციაზე? რატომ არ უჯერებენ ეტაპ-
ზე მიჩერებულ საკუთარ თვალებს მწვრთნელები და არ უჯე-
რებს თავის ყურებს ვედენინი, რომელიც ესტაფეტის მისაღე-
ბად ემზადება.

შუა დისტანციაზე სიმაშოვი ნორვეგიელ ფორმუსთან ოც
წამს აგებდა:

რა მოუვიდა ფიოდორს? თხილამურები ვერ დაიმორჩილა?
საცხმა უმტყუნა? თუ დაიღალა? იგი ხომ უკვე მონაწილეობდა
ოლიმპიადის ყველა სათხილამურო რბენაში, ნორვეგიელებმა
კი დაასვენეს ფორმი ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძნელ ეტაპზე.
შემოინახეს და აი ჯილდოც გამჭრიახობისათვის.

მაგრამ არ შეიძლება, სიმაშოვმა დაკარგული რომ არ აინაზ-
ღაუროს.

ყველას ახსოვს, რა შეემთხვა მას ერთხელ, სამოცდაცხრა
წელს ფინეთის ქალაქ ლახტში საერთაშორისო შეჯიბრებაზე,
რომელსაც მსოფლიოს მცირე პირველობად მიიჩნევენ. ორ-
მოცდაათ კილომეტრზე რბენის დამთავრებამდე რვაასი მეტრი
ჩჩებოდა, როდესაც მან გონება დაკარგა. ალბათ, ძალზე კარ-
გად იცნობდა მას მწვრთნელი ბენედიქტე კამენსკი, რაკი არ



სთხოვა გვერდით მდგომ სანიტარს, დაეწვინათ ფიოდორი სა-
კაცეზე და სათხილამურო ტრასიდან შორს წაეყვანათ. იცოდა
მწვრთნელმა, რომ საპრიზო ადგილს სიმაშოვი უკვე ვეღარ
დაიკავებდა. უბრალოდ, მისთვის... საშუალებას აძლევდა მას
თვითონ გაეგლო ეს უკანასკნელი რვაასი მეტრი. სიმაშოვი წა-
მოდგა. ისე წავიდა წინ, რომ ვერაფერს ვერ ხედავდა. მან რამ-
დენჯერმე იკითხა: „უკვე დავამთავრე რბენა? ფინიში უკვე
იყო?“. სანიტარი გვერდით მიაბიჯებდა და გაოცებული იყო ამ
კაცის სულის სიმტკიცით. 800 მეტრი ფიოდორმა ათ წუთში
გაირა. „მე უკვე დავამთავრე რბენა?“ „ჯერ არა, მაგრამ ფინი-
ში ახლოსაა“. და სიმაშოვი განაგრძობდა წინსვლას.

ერთი დღის შემდეგ კი, მხოლოდ ერთი დღის შემდეგ სი-
მაშოვი კოაპიოში გამოვიდა ოცდაათკილომეტრიანი რბენის
სტარტზე. მას გამოსვლის ნება დართო ექიმმა, რომელმაც
იცოდა მისი ორგანიზმის თავისებურებანი. მწვრთნელმაც
დართო ნება, რომელმაც იცოდა მისი ხასიათის თავისებურება-
ნი. ამ რბენაში ასი უძლიერესი მოთხილამურე მონაწილეობდა.
მათ შორის ყველა ორმოცდაათ კილომეტრზე რბენაში გამარ-
ჯებული. როგორ ფიქრობთ, მერამდენე მივიდა სიმაშოვი?
იგი პირველი მივიდა.

ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე სიმაშოვმა მოიგო თხუთ-
მეტ კილომეტრზე რბენა ბაკურიანში. მოიგო ასეთი შეჯიბრე-
ბა, მასასადამე, პატიოსნად ჩააქსოვა მთელი ძალები. ის ერთი
იმათთაგანია, ვინც ვალდებული იყო უმაღლესი ფორმის ორი
პიკი ჰქონოდა, რომ მოეხაზოთ, იალბუზის მსგავსი რაღაც
გამოვა. ერთი პიკი ბაკურიანის თავზე ებჯინება ცას, მეორე
საპოროს თავზე.


... ცნობა დისტანციიდან: სიმაშოვი ნორვეგიელთან ნახევარ წუთს აგებს.

ასეთი რამ ფიოდორს არასდროს დამართვია. ნორვეგიელი სულ უფრო წინ მიდის. ცნობა ტრასიდან: სიმაშოვი წუთს აგებს, თითქმის წუთს. ათკილომეტრიანი დისტანციის დასასრულამდე კი სულ ცოტა რჩება. ისინი, ვინც სტადიონზე არიან, ხედავენ, როგორ ზეიმობენ ნორვეგიელები.

ამ ესტაფეტის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ტელევიზიით გამოსვლისას ვიახესლავ ვედენინი იტყვის, რომ მთელი გუნდი პატიოსნად იბრძოდა და თითოეულმა ყველაფერი იღონა გამარჯვებისთვის. მას ჰკითხავენ სიმაშოვის შესახებ და იტყვის, რომ თხილამურის საცხის ბრალი იყო. ამას ის დიდი ტაქტით და გასაგებად იტყვის. სხვები დაწერენ, ილაპარაკებენ, რომ სიმაშოვი დაიღალა, ვედენინი კი ყველაფერს თავისებურად აუხსნის — თავდაჭერილად და დიდსულოვნად. აღვნიშნავთ ვედენინის როგორც მოქალაქის ამ ორ თვისებას მანამ, სანამ გავიხსენებდეთ ესტაფეტის უკანასკნელი ეტაპის იმ დაუვიწყარ გაჭიმულ წუთებს, როდესაც მან ჭეშმარიტად სპორტული თვისებები გამოავლინა — ნებისყოფა, თავდადება, დაუოკებელი სწრაფვა გამარჯვებისკენ, როდესაც ყველაფერი, თითქოს ყველაფერი უკვე დაკარგული იყო.

ნორვეგიელებმა თავისი ფორმუ ჰაერში აიტაცეს. ვილაც მიეშველა სწრაფად მოეხსნა თხილამურები და ახლა ჰაერში ისვრიან. ის კი მაინც ფინიშს უყურებს — რამდენი მოუვო სიმაშოვს?

ერთი წუთი მოუვო. და კიდევ ერთი წამი. ეს ბევრს ნიშნავს. ათკილომეტრიან დისტანციაზე მას ვერ ამოიგებ. ფორმუს



კიდევ უფრო მაღლა ისვრიან. მხიარულად აფრიალებენ დრო-შებს ნორვეგიელი გულშემატკივრები.

აი, ასეთი წამებია — მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ გახსოვს. მხარზე ამხანაგი შეგეხო. სხვადასხვანაირად შეიძლება ამის გაკეთება. შეიძლება თამამად ჩაგვიდოს ხელი და გითხრას — წადიო. მე ყველაფერი კარგად გავაკეთე, ვნახოთ შენ რა შეგიძლიაო. შესაძლოა, გულგრილად. სულერთია, ველარაფერი გიშველის, ვაგებთ. ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ კენჭისყრაში აშკარად არ გავიმართლა — მიდიხარ უკანასკნელი, როდესაც წინ არც იმედის სხივია, არც ნაპერწკალი, სხვები უკვე შორს წავიდნენ.

ტელევიზორით ისე მომეჩვენა, თითქოს სიმაშოვი მორცხვად შეეხო თავის ამხანაგს. მას დიდი შრომა დასჭირდა ხელი აეწია და შეხებოდა ვედენინის მხარს. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სასტიკად დაიღალა. ვისთვისაა საპიამოვნო იცოდეს, რომ შენს გამო, მხოლოდ შენს გამო კარგავს ყველაზე საპატიო ჯილდოებს სამი შენი ახლობელი მეგობარი, ჯილდოებს, რომლებიც უკვდავყოფდნენ მათ სახელებს სპორტის ისტორიაში და რომელთა გულისთვისაც ისინი ცოცხლობდნენ, სწავლობდნენ, მუშაობდნენ, ვარჯიშობდნენ ამდენი წლის განმავლობაში.

დისტანციაზეა ვედენინი. სადღაც შორს, მოსახვევში, გაუჩინარდა ნორვეგიელი ხარვიკენი. ტრასა რთულია — აღმართები, მოსახვევები, დაქანებები და არყის ტყე, როგორც მშობლიურ მხარეში. ამ ხეებში გაუჩინარდა ნორვეგიელი. შორიდან მაინც დანახვა, ცალი თვალით მაინც შეახედა, როგორ მიდის იგი, დაჯერებულია თავის თავში, თუ არა; ხშირ-ხშირად ხომ არ იყურება უკან?

...ვედენინი არ ყოფილა ბაკურთანში, წინაოლიმპიურ შეკრე-

ბაზე. იგი ბაკურიანიდან შორს პავლე კოლჩინთან ერთად გადიოდა წვრთნას ინდივიდუალური გეგმით. გაუმარჯოს სპორტსმენებს მეთოდს სპორტშიც — ერთი მასწავლებელი და ერთი მოსწავლე. კოლჩინმა, რომელიც არცთუ ისე შორეულ წარსულში ქვეყნის საუკეთესო მოთხილამურე და საპატიო ნადავლის მფლობელი იყო, კარგად იცის, ვიდრე სხვა ვინმემ ვედენინის მძიმე ხასიათი. იგი თავის თავშია ჩაკეტილი, სიტყვაძუნწია. არცთუ ისე ყურადღებიანი, მაგრამ სამაგიეროდ... რომც არ აჩვენოს მან მაღალი შედეგები, ასეთი კაცის ყოლა გუნდში მთელი სიამოვნებაა. ყველა ხედავს და ყველამ იცის, როგორ ვარჯიშობს იგი და როდესაც შენს გვერდით ასე ვარჯიშობს კაცი, თვითონაც გინდა დაამტკიცო, რომ შენც შეგიძლია ასე ვარჯიში... თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ყველას არ შეუძლია ასე ვარჯიში, ასეთი დატვირთვით და მუყაითობით.

ვორონკოვი ბაკურიანში მორიდებით ამბობდა, რომ მხოლოდ ერთი ვარჯიშის დროს დაახლოებით სამოც კილომეტრს გაგვივარო — ოცს ქვემოთ, ოცს ზემოთ, ათს ქვემოთ, ათს ზემოთ. არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე ადამიანია.

აქ საპოროში მან უკვე დაგვანახვა, რით და როგორ აფასებენ ყოველივე ამას.

ოქროს მედალი მოიხვეჭა ოცდაათკილომეტრიან დისტანციაზე. ეს იყო საბჭოთა გუნდის პირველი მედალი, მოპოვებული ოლიმპიური პროგრამის პირველსავე ნომერში. კიდევ მას აქვს ბრინჯაო ორმოცდაათკილომეტრიან რბენაში. ახლა ვედენინის ხელშია ოლიმპიური ჯილდოების სრული კომპლექტი — ოთხი წლის წინათ გრენობლში ვერცხლი მიიღო ორმოცდაათ კილომეტრზე რბენაში. მაშინ ის უფრო მეტისთვის იყო მზად. ეს თვითონაც კარგად იცოდა და მწვრთნელმაც. ვედენინს კი

გადასცეს პრიზი „მოულოდნელობისათვის“. კაცი, რომელმაც
ეს პრიზი გადასცა, სასიამოვნოდ იღიმებოდა, ფიქრთბდა, რო-
კარგს საქმეს აკეთებდა. ვედენინს კი არც გაუღიმიდა. ვარეგნუ-
ლადაც არ შეუმჩნევია, რა ცოტათი ახარებდა მას ეს პრიზი.
მისი მეორე ადგილი მოულოდნელ წარმატებად მიიჩნის.

ესტაფეტაში ერთი ყველასათვისაა.

ისე, როგორც ახლა ვედენინი. მან სპორტული გმირობა უნ-
და ჩაიდინოს, მაგრამ იგი მაღალ მატერიებზე არ ფიქრობს. პა-
ტიოსნად და დაჟინებით აკეთებს თავის საქმეს. მისი უპირვე-
ლესი მიზანია საკუთარი თვალით დაინახოს ხარვიკენი.

პირველ ერთ-ნახევარ კილომეტრზე მან თერთმეტი წამი
ამოიგო. ამის შესახებ მწვრთნელმა ვ. კუზინმა აუწყა, რო-
მელსაც „პირველი სათვალთვლო პუნქტი“ ეკავა. ეშმაკმა და-
ლახვროს, თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა. ერთ-
ნახევარი კილომეტრი დისტანციის მეექვსედია, ექვსჯერ
თერთმეტი სამოცდაექვსია, მოგროვდება ხუთი ზედმეტი წუ-
თი. თუკი ყველაფერი შემდეგშია ც ასე წავიდა...

ყოველივე ეს საკუთარი თვალით უნდა გენახათ და მხო-
ლოდ მაშინ შეგეძლოთ გადმოგეცათ გასაოცარი ბრძოლის
დრამატიზმი, დისტანციაზე რომ გაჩაღდა. აი ამ კაცის, ქვეყნის
ნაკრების უფროსი მწვრთნელის ბენედიქტე კამენსკის ნაამ-
ბობი:

— მე ვიდექი აღმართთან მეხუთე კილომეტრის წინ. აქ თა-
ვი მოეყარა ყველა მწვრთნელს — ნორვეგიელებს, შვედებს,
იტალიელებს, ამერიკელებს... სპორტსმენები აღმართს შეუდ-
გნენ. ამ აღმართზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მე ვედე-
ნინს ველოდებოდი. კუზინს შევეკითხე: „როგორაა საქმეები-
მეთქი“, მესმის — სხვაობა რჩებაო. გადავეცი: „ვამზადებ რა-

ციას, მივდივარ ფინიშზე“. რას იზამ, ვერცხლია. ფინიშამდე
ოთხი კილომეტრი დარჩა. შორიდან მოისმის: „ხეია, ხეია“
ეს ხარვიკენს ამხნევებენ და აჩქარებენ.

მე ფინიშისკენ გავექანე. ფინიშამდე ოთხი კილომეტრი
დარჩა. და უცებ ვილაცა ამბობს: „ვედენინი მინუს 32...“ ერთ-
ბაშად ვერ გავიგე, რას ნიშნავდა „მინუს 32“. წინ სამი აღმარ-
თია. ორი სოლიდური, ერთი პატარა-დისტანციის ოთხი კილო-
მეტრი. მთიდან დავეშვი. ხარვიკენმა გვერდზე ჩამიარა, მერე
სლაგაც გამოჩნდა. სხვაობა მცირდება. აქ უკვე მე ფეხდაფეხ
მივყევი და მივაძახე: „ახლა მას დაინახავ! ახლა დაინახავ!“

ამერიკელმა თოვლზე დამიწერა — მინუს 25.

რჩება ორი კილომეტრი. მე მაშინვე ვიშოვე რაცია. ანტე-
ნის დაყენებაც ვერ მოვასწარი, რომ პრივალოვის ყვირილი მო-
მესმა (ჩვენი ბიატლონისტების მწვრთნელი ალექსანდრე პრი-
ვალოვი ფინიშიდან ერთი კილომეტრის დაშორებით იდგა):
„მან მას გაუსწრო!“

დაუჯერებელი ამბავია!

უკვე მას შემდეგ, როცა ყველაფერი დამთავრდა, გამარჯვე-
ბით გახარებული პრივალოვი გასახდელში ყვიროდა: „ბიჭე-
ბო, მე ვნახე როგორ გაუსწრო ვედენინმა დაღმართზე ხარვი-
კენს. სადღაც ბოლოში, პარალელურ სათხილამურო ბილიკზე
სლავა რომ წინ გავარდა, ხარვიკენმა უკან მიიხედა — მესამეც
ხომ არ მეწევათ. ნორვეგიელი გაფითრდა, ფეხები აუქანკალდა.
მე დავრწმუნდი, რომ სლავა გაიმარჯვებდა...“

* * *

მრავალი მილიონი გული აძგერდა აჩქარებულად და სიხა-
რულით სწორედ იმ წამს, როდესაც ჩვენმა მოთხილამურემ ფი-

ნიშის ხაზი გადაკვეთა. უბრალოდ ერთ-ერთმა ჩვენთანვე კვლავ დევ ერთხელ აჩვენა მსოფლიოს, როგორი ხასიათისაა ვართ. როგორ შეგვიძლია გამარჯვება ყველაზე მძიმე და მკაცრ ბრძოლაში.

გაივლის ათი-თხუთმეტი წელი და ამ გამარჯვების ტალღები მოაღწევენ ჩვენამდე, რადგან გავიცნობთ იმათ, ვინც შეიყვარა თხილამური, შედგა თხილამურებზე, გადაწყვიტა მოესინჯა თავისი ძალები სწორედ იმ ზამთარს, როდესაც ვედენინმა და მისმა მეგობრებმა მოიგეს ოლიმპიური ესტაფეტა.

ექიმი ბორის მიხეილის ძე საპრონენკოვი ერთი იმათგანია, ვინც იშვიათად იღიმება. ის ერთი იმათგანია, ვისაც ძალუძს შეინარჩუნოს სულიერი მხნეობა სიხარულისა თუ მწუხარების უამს. ის ექიმია და სხვებზე უკეთ იცის, რა შეემთხვევა ადამიანს, რომელიც სპორტის სამყაროში ცხოვრობს და რომელსაც ყველაფერი მეტისმეტად ახლოს მიაქვს გულთან. სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გაგყვება ასეთი ადამიანი, გული ვერ უძლებს.

ჰო, ტელევიზორში ფართო პლანით უჩვენებდნენ ექიმ საპრონენკოვის სახეს. და მისი ღიმილი, ტრიუმფატორთან პირველი შემხვედრი კაცის ღიმილი, რომელმაც მიულოცა და ნაზად აკოცა მას, მთელი ქვეყნის ღიმილი იყო.

ოლიმპიადის უკანასკნელ დღეს ვედენინი ტელევიზორით გამოვიდა. მას ჰკითხეს, სწამდა თუ არა გამარჯვებისა იმ წუთს, როდესაც უკანასკნელ ეტაპზე დაიწყო რბენა.

ვედენინი ცოტა ხნით დაფიქრდა და როგორც კაცმა, რომელმაც კარგად იცის თავისი სიტყვის ფასი, თქვა:

— მე ყოველთვის მჯერა გამარჯვებისა. სხვაგვარად... რა

აზრი აქვს მაშინ სათხილამურო ბილიკზე გამოსვლას, თუ არ გჯერა გამარჯვებისა.

უბრალოდ და ღირსეულად ნათქვამი ეს სიტყვები დაგვემარნენ, ოდნავ უკეთ გაგვეცნო კაცი გვარად ვედენინი და ყოველივე ის, რაც მან ზამთრის ოლიმპიადის უკანასკნელ დღეს ჩაიდინა.

სტარტის წინ


მაშ ასე, ჩვენ მოვიგეთ ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ოლიმპიური შეჯიბრება — სათხილამურო ესტაფეტა.

საერთოდ მოთხილამურეები გმირები არიან. 1972 წლის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის გუნდურ გამარჯვებაში მთავარი წვლილი მათ შეიტანეს.

ქება-დიდებას იმსახურებენ თვითონ სპორტსმენები, მათი მწვრთნელები, მათი ექიმები და საერთოდ ყველა, ვინც გუნდის მომზადებასთან იყო დაკავშირებული. აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა. ან უკეთესი იქნებოდა ძახილის ნიშანი.

მაგრამ იქნებ... იქნებ მაინც დავბრუნებოდით ესტაფეტას, გაგვეხსენებინა, რა მოხდა მესამე ეტაპზე? თვითონ ხომ არ შევქმენით სიძნელები იმისათვის, რომ წარმატებით გადაგველახა იგი? ეგების ეს ისტორია ჭკუის სასწავლებლად გამოადგეს შემდგომი გაწვევის ოლიმპიელებს და, რაც მთავარია, მათს მწვრთნელებსა და ორგანიზატორებს?

დიდი ცოდვაა გამარჯვებულების გასამართლება! ეს სასამართლო არაა. ეს ფიქრებია შეჯიბრებამდე სპორტსმენის მომზადების ხელოვნებაზე.



მაგრამ განა ჩვენი სისტემა ყველაზე უფრო გონივრული და სწორი არ იყო? — იკითხავს მკითხველი. — განა ღირსეული წერილმანებზე ლაპარაკი, როცა ასე დიდი გამარჯვებები მოხერხდა პოვებული? ტყუილად კი არ ამბობენ — სიკეთისთვის სიკეთე არავის უქნიაო.

და მაინც...

* * *

თამაშების დაწყებამდე ერთი თვით ადრე მიმიწვიეს მოთხილამურე-ოლიმპიელებთან ბაკურიანში, სადაც წავიკითხე ლექცია თემაზე „სპორტული მეტოქეობის ხელოვნების შესახებ“. მე ვუამბე უბრალო დაკვირვებებზე ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონატების დღეებში, საზღვარგარეთ სპორტსმენთა მომზადების გამოცდილებაზე. გავიხსენე ოლიმპიურ ჩემპიონთა გასაძლიერებელი იაპონიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან საუბარში მოსმენილი სიტყვები: „ჩვენ ვთვლით, რომ არაა აუცილებელი სხეულის დასვენება, აუცილებელია ნერვების დასვენება, რათა კაცმა მშვიდად ისუნთქოს და იცოდეს, რომ მისი სჯერათ. რასაკვირველია, გუნდში თითოეულ ადგილზე ჩვენ გვყავს რამდენიმე კანდიდატი. მაგრამ ჩვენს ელიტას ვეუბნებით: ბატონებო, თქვენ შეგიძლიათ მშვიდად იცხოვროთ, იფიქროთ, იძინოთ, სავსებით ვენდობით თქვენს შრომისმოყვარეობასა და ოსტატობას. მხოლოდ რამდენიმე საგზურს ვათამაშებთ ყველაზე ღირსეულ ახალგაზრდა ბატონებს შორის. დაე მათ იბრძოლონ ამ საგზურებისათვის. ასეა ჩვენთან ტანვარჯიშშიც, ცურვაშიც, ჭიდაობაში და თხილამურებშიც. ჩვენ, ცხადია, დაზღვეული არა ვართ შეცდომებისგან. ხდება

ზოლმე, რომ კაცი, რომელიც გავათავისუფლეთ წინაოლიმპიური შერჩევის მღელვარებისგან, შეჯიბრებებზე ვერ უჩვენებს ისეთ მაღალ შედეგებს, როგორც შეიძლებოდა ეჩვენებინა სხვა, უფრო ახალგაზრდა სპორტსმენს. ჩვენ გვესმის, რომ ასეთი შეცდომები სავსებით დასაშვებია, თუმცა კი საწყენია. მაგრამ საერთო ჯამში ასეთი სისტემა დადებით შედეგებს იძლევა. ეს პრინციპია, ეს კანონია და ჩვენ ვცდილობთ იგი გავატაროთ, უკან არ დავიხიოთ“.

იოხდა ისე, რომ ამ პირველი ლექციით გამოსვლამ ბაკურიანში ჩამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ მომიწია — უნდა ეჩვენებინათ ფილმი, მაგრამ მექანიკოსი ავად გახდა და აი, სადამო რომ არ დაკარგულიყო, გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ ლექცია. არ მეგონა, რომ იაპონიის ოლიმპიური ორგანიზატორის ეს საშუალო განცხადება ასეთ დიდ ინტერესს გამოიწვევდა.

ლექციის შემდეგ ჩემთან მოვიდა ვლადიმერ ვორონკოვი:

— რა თქმა უნდა, მპატიეთ და არ იფიქროთ, რომ რაიმე საჩივრით ვიყო მოსული... უბრალოდ, მინდა გაგიზიაროთ... მე ამის შესახებ მწვრთნელებსაც ვესაუბრე და საერთოდ ყოველ წუთს, სადაც საჭირო იქნება დავამტკიცებ იმას, რასაც ამჟამად ვიტყვი. საქმე იმაშია, რომ მე, ასევე ჩემი ამხანაგები ჩვეულებისამებრ ვვარჯიშობთ დიდი შეჯიბრებების წინ. და როგორ დავილაღე, თქმაც არ შეიძლება. დატვირთვა ვარჯიშზე ჩვეულებრივია, მე კი დავილაღე. მე, მსოფლიოს ჩემპიონმა, ყოველ წუთს რატომ უნდა ვიფიქრო მხოლოდ ერთზე წავალ თუ ვერ წავალ? რატომ უნდა ვცდილობდე, ყველა შესარჩევ შეჯიბრებაში აუცილებლად საუკეთესო შედეგი ვაჩვენო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვალდებულები ვარ ყველაფერი გადმოვა-

ლაგო? და თუ მაინც წავალ ოლიმპიადაზე, შეეძლება კი ძაღვ-
ბის შენარჩუნებას, რომ იქაც ვაჩვენო ყველაფერი, რისი ძა-
ლაც შემწვევს? თუ იქ უკვე აღარ მექნება ძაღვ-
ჩვენებისა? ძაღვების აღდგენა კიდევ შეიძლება. მაგრამ
ნერვული უჯრედები? ისინი ხომ აღარ აღსდგებიან?

— ძვირფასო ვლადიმერ, ძალიან კარგად მესმის თქვენი.
მაგრამ თქვენც გამიგეთ... მე შევეცდები ყველაფერი დავწე-
რო, რასაც თქვენ ახლა ამბობთ. მაგრამ ამან შეიძლება სამსა-
ხური გაუწიოს სხვებს და არცთუ ისე ახლო მომავალში. ჯერ-
ჯერობით კი... გესმით, როგორი უხერხულია ჩემთვის რაიმეს
თქმა მწვრთნელებისთვის ამჟამად... ჩაერიო მომზადების აწ-
ყობილ პროცესში, მისცე რაიმე რეკომენდაციები, ურჩიო, რა-
ღაც შეცვალონ მეთოდში...

— გეთანხმებით, მაგრამ ამის შესახებ მარტო მე ხომ არ
გთხოვ, საქმე მხოლოდ ჩვენ ხომ არ გვეხება. საქმე იმაშია,
რომ ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მთელი გუნდის
შედეგებზე იქ, საპროში. ერთი შეხედვით კარგი წესია —
გინდა წასვლა, დაამტკიცე ამის უფლება, მაგრამ რატომ აღარ
ფიქრობენ იმას, რამდენი ენერჯია უნდა შეალიო ამ დამტკი-
ცებას. ისე ნუ გამიგებთ, რომ მე ჩვენი მწვრთნელების წინა-
აღმდეგ გამოვდიოდე. პირველი წელი არაა, რაც ერთად ვართ
და ვიცით, რა ბევრს აძლევენ ისინი გუნდს... დიახ, ამბო-
ბენ ეს არც მათგან მომდინარეობს — ასეთი კურსის აღება
საერთოდ. აი, მე პირადად, ვლადიმერ ვორონკოვი წინააღმ-
დეგი ვარ ასეთი კურსისა. იაპონელებისგან ამის სწავლა შე-
იძლება.

ამ საუბრიდან ორი კვირის შემდეგ, როდესაც უკვე ყველა
შესარჩევი შეჯიბრება უკან დარჩა და როდესაც საქმე ბოლო-

მდე მივიდა, მოვიდა ვორონკოვი და ძალზე ნაღვლიანად მი-
თხრა:

— ეს-ეს არის გამოაცხადეს, რომ ჩვენთვის ბილეთებს
ყიდულობენ... თითოეულისთვის სახლამდე. ხოლო თუ ვის
აიყვანენ გუნდში, ამას მოსკოვში გამოაცხადებენ. მოსკოვის
გავლით მივდივართ და მხოლოდ იქ გამოაცხადებენ.

— ვალოდია, კი მაგრამ თქვენ ხომ უნდა იცოდეთ, რომ
გუნდში ხართ.

— არა, ამაზე მე მხოლოდ მარჩიელობა შემიძლია. ცო-
დნით კი არაფერი ვიცი. ოფიციალურად ეს არავის არ უთ-
ქვამს. მაშასადამე, კიდევ რამდენიმე დღე ეჭვები და განცდე-
ბი. კარგით, მე როგორმე ამ საქმეს გადავდებ. მაგრამ აი, მო-
ლის პრონინი და მეუბნება: მშვიდობით ძმაო, ყველაფერი
დამთავრდა, მე შინ ვბრუნდები. ვეკითხები, რატომ გგონია,
რომ შინამდე მარტო შენ გაქვს ბილეთი; სხვებსაც აქვს. მი-
თხრა, მომეცი პატიოსანი სიტყვაო. მივეცი პატიოსანი სი-
ტყვა. მას კი არ სჯერა, ჰგონია, ამას მე იმიტომ ვაკეთებ, რომ
იგი დავაწყნარო. მე კი თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ვცდილობ
გავიგო, რა თვალთ მიყურებენ მწვრთნელები. წარმოვადგენ
თუ არა მათთვის ინტერესს, როგორც ოლიმპიელი.

— აბა, მაშინ დამელოდე აქ, მე ახლავე დავბრუნდები.
მან, როგორც მომეჩვენა, ნაძალადევად გაიღიმა.

— კარგი, დაველოდები.

მასთან ხუთი წუთის შემდეგ დავბრუნდი და ვუთხარი:

— ამხანაგურად გთხოვ, მომავალში აღარ მომეცე ასეთი
დავალება, თუმცაღა მოხარული ვარ, თქვენო კეთილშობილე-
ბავ, რომ მომეცა შემთხვევითი შესაძლებლობა გაუწყოთ:
თქვენ დიდი ხანია წამსვლელთა სიაში ხართ, ისევე როგორც

თქვენი პატივცემული ამხანაგი პროზინი. გადაეცით მას, გეთაყვა, რომ დამშვიდდეს. ახლა კი ნება მომეცით დაგეგმვად დობოთ.

— კარგით, მაგრამ... თუკი სიაში ვართ, როგორც თქვენ ამბობთ, რატომ ჩვენც არ უნდა გვითხრან?

— იმიტომ, რომ თქვენ კონტაპრუფიები კი არა ხართ, არამედ ოლიმპიელები.

მე სხვა არაფერი მრჩებოდა, გარდა იმისა, რომ წარმომეტქვა ორი ოლიმპიადის წინათ გაგონილი ფრაზა იმხანად ერთი ჩვენი ცნობილი სპორტული მოღვაწისა.

— კეთილი. იურაც არის იმ სიაში?

— არის?

— აბა, მაშ კარგად იყავით. გმადლობთ.

ამ ორი კვირის განმავლობაში მოვასწარი ოდნავ დავახლოვებოდი სკობოვს. ისიც შერჩევის სხვაგავარი მეთოდის მომხრე იყო. ჩემი ამხანაგის, კომკავშირული შტაბის წევრის შეკითხვაზე: „მითხარი, იურა, რა მოგცა ამ შეჯიბრებამ?“ სერიოზულად უპასუხა:

— სვიტერი, პატარა დოქი და კიდევ საათი.

— არა, არა, როგორც სპორტსმენს?

— როგორც სპორტსმენს... დაღლილობა.

როგორც ვიცით, სკობოვმა და ვორონკოვმა დაღლილობა გადაიტანეს, სიმაშოვმა კი ვერა.

გვიხსნა ვედენინმა, რომელიც ცალკე ვარჯიშობდა და მგონი ერთადერთი ოლიმპიური გუნდის ყველა კანდიდატიდან თავისუფალი იყო შერჩევის მომქანცველი პროცედურისგან. და მან გვიჩვენა რა ფასი აქვს ოლიმპიადის წინა წყნარ ღამეებს.

...ორმოცდაათკილომეტრიანი სათხილამურო რბოლის ანგარიშში კი ეწერა: „უდავოა, ჯერ კიდევ სტარტამდე წააგეს ეს შეჯიბრება ჩვენი ოლიმპიური გუნდის დებიუტანტებში ივანე პრონინმა და ივანე გარანინმა, ისე ძალიან ნერვიულობდნენ.“

რას იზამ, ოლიმპიური გამოცდა არ არსებობს დებიუტანტისთვის, ახალბედისთვის. და თუკი უკვე გადაწყვეტილია დებიუტანტის წაყვანა...

გამახსენდა ვორონკოვის სიტყვები: „...მოვიდა ჩემთან პრონინი და მეუბნება, მშვიდობით ძმაო, ყველაფერი დამთავრდა, მე შინ ვბრუნდები“.

იმიტომ ხომ არ წააგო მან „ჯერ კიდევ სტარტამდე“.

* * *

აი, რატომ მინდა შერჩევის პრინციპების წინაღმდეგ გამოვიდე. იგი შეეხო არა მარტო მოთხილამურეებს, არამედ ოლიმპიური ნაკრების ყველა კანდიდატს.

„სხვაგვარი გახდა ოლიმპიური გუნდის შექმნის პრინციპები. წინათ არსებობდა რალაც წინასწარგანსაზღვრულობა ნაკრებში კანდიდატთა შერჩევისა. ბევრი რამ დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად სახელგანთქმული და პოპულარული გახლდათ სპორტსმენი. ასეთი პრაქტიკა არ აგულიანებდა სხვებს, წინდაწინ შერჩეულ სპორტსმენებს გამუდმებული დაოსტატებისათვის. კიდევ უფრო დამლუპველი იყო უიმედობის ვირუსი, ობიექტურად რომ აღმოაჩნდებოდათ ხოლმე ახალბედებს: სულ ერთია მაინც ვერ წავალო!

ახლა ოლიმპიური გუნდი შეიქმნა მკაცრი სპორტული შე-

რჩევის საფუძველზე — უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში იქნა მიღებული სპორტსმენთა პირადი მიღწევები. გადამწყვეტ შეჯიბრებაში, მათი სანებისყოფა განსწავლეს. განა შეიძლება წინააღმდეგი იყო პათიოსანი სპორტული შერჩევისა? განა ვალდებული არა ვართ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა შერჩევისას შორს ვიხედვოდეთ? განა...

მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ ყურადვილოთ ამ სისტემის ოპონენტთა ხმაც. როცა წარმატებებს ვიხსენებთ, არ უნდა დავივიწყოთ დამარცხებებიც. არ დავივიწყოთ ის, რაც შეემთხვა ესტაფეტის მესამე ეტაპზე ნიჭიერ და კეთილსინდისიერ მრბოლელ სიმაშოვს და ორმოცდაათკილომეტრიან დისტანციაზე ორ ჩვენს ახალბედს.

საპორტოში გაიმარჯვა არა ახალგაზრდობამ, არამედ გამოცდილებამ. იყო სასიამოვნო გამონაკლისი — ფიგურისტთა ჩვენი ახალგაზრდა წყვილის მეექვსე ადგილი. მაგრამ ასეთი გამონაკლისები სასიამოვნოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ მეექვსე ადგილის გარდა შეჯიბრების იმავე სახეობაში მოპოვებულია კიდევ პირველი და მეორე ადგილებიც. საერთოდ კი მეექვსე ადგილი ოლიმპიადაზე იდეალი არაა.

* * *

აი ფიქრები, რომლებიც აღგვეძვრება ოთხი X ათ კილომეტრზე ესტაფეტის გახსენებისას.

რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ ოლიმპიური გუნდისთვის ყველაზე უფრო ღირსეული კანდიდატების მოძებნის პრობლემა — ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა. შეიძლება თუ არა რაიმეს სრულყოფა, გაუმჯობესება ამ სისტემაში?



უეჭველად! და ამ მიმართულებით უნდა წარმართონ ძიება ფსიქოლოგებმა და პედაგოგებმა, რომლებიც სპორტს ემსახურებიან.

საიმედოობის საზღვრები

ბუნებამ შექმნა ადამიანი „შემოწმების, შეცდომებისა და ამ შეცდომების გასწორების მეთოდით“. თითქოს იმისათვის, რომ არ დაუშვას რაიმე შეცდომები მომავალში, უკიდურეს შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ ადამიანი, როგორც ის არის დღეს, არ აღმოაჩენს მთლიანად თავის თავს, მთლიანად თავის თავს არ ამოწურავს და არ დაიწყებს შეცვლას, რათა ოდესმე ხელახლა აღმოაჩინოს თავისი თავი, თითქოს იმისათვის, რომ თავი დააღწიოს შესაძლო შეცდომებს სწორედ იმ დრომდე, ბუნებამ მისცა ადამიანს გამძლეობის საუკეთესო მარაგი.

ჩვენ დროდადრო გაცეებით ვისმენტ მასზე ფიზიოლოგიებისგან, მედიკებისგან, ანატომებისგან, ანთროპოლოგებისა და სხვადასხვა მეცნიერებათა წარმომადგენლებისგან, რომელთაგან თითოეული ცდილობს თავისებურად გაიგოს და აღწეროს ადამიანი. ეს თავშესაქცევი წვრილმანებია.

აი მაგალითი.

„შედარებით გვიან ნათელი გახდა, რომ ჟანგბადის გადა-
მტანები — ერითროციტები — შეიცავს არა მხოლოდ ჰემოგ-
ლობინს, არამედ სისხლის შედედების ყველა იმ ფაქტორსაც,
რომლებიც სისხლის სხვა უჯრედებშია — ტრომბოციტებში.

ტრომბოციტები კი არა მხოლოდ მონაწილეობენ სისხლის შედედებაში, არამედ შეიცავენ სასუნთქი ფერმენტების აქტივაციას, ვატორებს რკინას და სპილენძს, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობენ გადაიტანენ უანგბადს. აღმოჩნდა, რომ სისხლის ამ ორ სისტემას საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს ერთმანეთი“.

ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ „საძილე არტერია, უფრო სწორად მისი კედელი, უძლებს ოც ატმოსფერულ წნევას, დაახლოებით როგორც ორთქლმავლის ქვაბში“.

მსგავსი მაგალითები უამრავია. რატომ აღმოჩნდა ბუნება ასე მფლანგველურდ ხელგაშლილი ადამიანის „კონსტრუირების“ დროს? რატომ ამზადებდა ჩვენს შიგნით სათადარიგო სისტემებს ასე მზრუნველობით?


იმისთვის ხომ არა, რომ ადამიანმა შესძლოს დღეს იღუპალი ფსიქო-ფიზიკური საზრუნავის იმ დიდი ტვირთის მორევა, რომელსაც ნებაყოფლობით თავისი მხრებით ატარებს შორეულ მომავალში?

ადამიანის ფიზიკური რეზერვების გამოთვლა და წარმოდგენა, როგორც ვხედავთ, მაინც შეიძლება. მაგრამ როგორ წარმოვიდგინოთ მისი ნებისყოფის რეზერვები? მის გარეშე, ნებისყოფის გარეშე, უიმისოდ, რასაც მიღებულია მორალური დანადგარი ვუწოდოთ, ადამიანი ხომ ვერ გააკეთებს ვერც ერთ, ცოტათი მაინც ღირსეულ საქმეს.

აქ, ამ დარგშიც, ჩვენ გველის საოცრად საინტერესო აღმოჩენები.

ექიმი-ფსიქიატრის ა. ალექსეევის სტატიიდან, რომელიც სპორტის ფსიქოლოგიის დარგში მუშაობს:

„ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი



ინსტიტუტის მუშაკების ლ. გისენისა და ტ. ალიკის გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა შემდეგობა წვრთნის შემდეგ სპორტსმენი ნახევარი საათის განმავლობაში უბრალოდ ისვენებს, მაშინ საწვრთნელი დატვირთვით გამოწვეული დაღლილობა, როგორც წესი, არ გაივლის. როდესაც იგივე ნახევარ საათს სპორტსმენს სძინავს, დაღლილობა ქრება, მაგრამ ძალების სრული აღდგენა არ ხდება. და თუ ამ ოცდაათ წუთს გაატარებს თვითშთაგონებულ ძილ-ღვიძილში, მაშინ ორგანიზმის ენერგეტიკული რესურსები არა მხოლოდ აღსდგება, არამედ მეტიც კი ხდება, ვიდრე ვარჯიშამდე იყო. ეს არ შეიძლება არ დააფასო ამყამად, როდესაც ასე გაიზარდა და განაგრძობს ზრდას საწვრთნელი დატვირთვა, როდესაც ძალების აღუდგენლად უბრალოდ შეუძლებელია ყოველდღიური ინტენსიური მეცადინეობის ჩატარება“.

მაშასადამე, ყველაფერი სიტყვაზეა! ანდა ძალიან ბევრი რამაა სიტყვაზე. თავისთვის ნათქვამ სიტყვაზე. და სპორტსმენისათვის მწვრთნელის მიერ ნათქვამ სიტყვაზე.

ა. ალექსეევის სტატიაში არის უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნა:

„დადგა დრო, როდესაც მწვრთნელებმა, რომლებიც თავისი განათლებითა და საქმიანობით პედაგოგები არიან, საჭიროა ისწავლონ, სამედიცინო ცოდნით მოეპყრან სიტყვას. სხვაგვარად მათი აღსაზრდელები ვერ შესძლებენ დაიძრან სპორტში ახალი მწვერვალების დასაპყრობად ისე სწრაფად, როგორსაც გარემოება მოითხოვს. სამედიცინო ცოდნა არა მხოლოდ მკვეთრად ამცირებს სპორტსმენებში ყოველგვარი ფსიქიკური დისპარმონიის რიცხვს, არამედ საშუალებასაც გვაძლევს სპორტულ წრეში შევქმნათ ურთიერთობათა ის

პარმონია, ურომლისოდაც შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობა“.

„თუკი ყველაფერი დღევანდელი დღის პოზიციებზე დაიჩეზა, მაშინ კიდევ დიდხანს მოგვიწევს უკვე მოყირპებული მსჯელობის მოსმენა სპორტსმენების მორალურ-ნებელობითი მომზადების დასუსტების სხვადასხვა მიზეზებზე“.

მაშასადამე, განსაკუთრებული წყობის ადამიანი ისაა, ვისაც ჩვენ სპორტსმენს ვეძახით. ე. ი. მას აქვს განსაკუთრებული სიცოცხლემდეგობა. მაშასადამე, მისი ორგანიზმი და მისი ნებისყოფა მზადყოფნაშია „ჩვეულებრივი ადამიანისთვის“ მომზადებული ყოველდღიური ნორმატივების გადაჭარბებისთვის.

აი რეკომენდაცია „ადამიანს საერთოდ“: სიარულში ვარჯიშისას დაღლას რომ იგრძნობს, „მან თავს ძალა აღარ უნდა დაატანოს და შეწყვიტოს მოძრაობა“ (პროფესორი ა. მარკოსიანი).

აი რეკომენდაცია სპორტსმენს: „სიარულში ვარჯიშისას დაღლას რომ იგრძნობს, აუცილებლად თავს ძალა უნდა დაატანოთ და განაგრძოთ მოძრაობა“.

თუ სპორტსმენი ამ ხელოვნებას არ შეისწავლის, ის ვერასდროს ვერაფერს ვერ მიაღწევს.

სიტყვა ვერცხლია? არა, — ოქრო.

სიტყვა ოქროა

მადრიდი, 1965 წლის გაზაფხული, ევროპის ჩემპიონატი ძიუ-დოში.

უზარმაზარი, ათასი ათზე, დახურული ველოტრეკის შუა-

გულში ძალიან თხელი ჭილობებია — ტატამები, სადაც მოჭი-
დავები ძალებს სინჯავენ. როგორც ჩანს, მადრიდელებმა
იციან ეს სპორტი. ქალაქში ძიუ-დოს, სულ ცოტა, თორმეტი
სკოლაა. ამ სკოლებს საქვეყნოდ სახელგანთქმული კადოკანის
ინსტიტუტის თანამშრომლები, იაპონელი პროფესორები ხელ-
მძღვანელობენ, რომლებიც აქ დროდადრო ჩამოდიან.

— ყველაფერი კარგია ძიუ-დოში, — გვეუბნება ერთი
მადრიდში მცხოვრები სიმპათიური ფრანკო, რომელსაც თა-
ვისი სკოლა აქვს. — ყველაფერი კარგია ძიუ-დოში, გარდა
ერთისა, ცუდია, როცა ტატამზე დაგდებენ. მეტისმეტად თხე-
ლი საგებელია, მტკივნეულია. ამიტომ, თუმცა ჩვენთან ძიუ-
დო მოდაშია, მაგრამ ბრწყინვალე მოჭიდავეები არა გვყავს.
ეს... ესპანელებს არ უყვართ დალილავებულებმა იარონ.
ესპანელს მეტისმეტად დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ პე-
რსონაზე. მაგრამ უყვარს ყურება, როგორ დადებენ სხვას
ჭილობზე. აი ნახავთ, შეჯიბრების დღეებში ველოტრეკი სა-
ვსე იქნება.

ჩემპიონატის გახსნის წინა დღეს სტუმრები მიგვიწვიეს
ველოტრეკის გასაცნობად, სადაც შეჯიბრება უნდა ჩატარე-
ბულიყო. ტატამები უკვე გაშლილი იყო და ამ ტატამებზე კა-
თოლიკური სკოლების ჩემპიონატი ტარდებოდა. კომონოიანი
და შავქამარშემორტყმული მორჩილები საჭიდაოდ გამოს-
ვლამდე მწვრთნელთა დარიგებებს ისმენდნენ. მწვრთნელების
როლს პადრეები ასრულებდნენ. ტრიბუნებზე სხვა პადრე-
ები ისხდნენ, რომლებიც თავშეკავებულად და ღირსეულად
გულშემმატკივრობდნენ. დარბაზში ნეტარი სიწყნარე იდგა.
მოსწავლეს რომ ტატამზე უშვებდა, წმინდა მამა პირჯვარს
გადასწერდა და კურთხევას გარდმოუვლენდა. თუ მოჭიდავე

წააგებდა, პადრე არ ვიშვიშებდა, არც ვიშვიშებდა და არც ბედს სწყევლიდა. იგი მშვიდად ეხმარებოდა მოჭიდავეს გაბდაში და ხმადაბლა რაღაცას ეუბნებოდა. რას იზამ, წააგე, წააგე. რაღაცით მესიმპათიურა ხანშიშესული, სათვალეებიანი, გრძელი პადრე. ცუდი არ იქნებოდა, სხვა მწვრთნელებს მისგან ესწავლათ თავდაჭერა.

ერთი გენახათ თქვენთვის ცნობილი ბატონი ფრანკო, როდესაც მისმა მოსწავლემ როდრიგესმა ერთ-ერთი პირველივე შეხვედრა წააგო. მწვრთნელს ლოყებზე პროტუბერანცები გაუჩნდა, ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი მსაჯმა მოაწყო ასე, საშინლად ბრაზობდა და ჯავრით თავს იკლავდა. და წარმოთქვამდა შემთხვევის საკადრის უამრავ სხვადასხვა სიტყვას. თვითონ როდრიგესსაც გვარიანად მოხვდა.

მაგრამ რატომ ვლაპარაკობ ამას უცხო მწვრთნელზე? განა ჩვენი მწვრთნელი ვლადლენ ანდრეევი ნაკლებად საინტერესო ობიექტია დაკვირვებისთვის? მის სახეზე ყველაზე უფრო თბილი ტონების საღებავებია, ძალიან სწრაფად ლაპარაკობს, კბილებში სცრის: „შენ იცი, რა უნდა უქნა, ახლა მას? რომ ჩვენმა თვალებმა იგი აღარ დაინახოს. რა უყვარს მას ყველაზე მეტად? ჰა? ხომ არ დაგავიწყდა? მაშ წადი და მალე დაბრუნდი... ასე. შენ უკვე აქა ხარ? კარგია. ახლა წადი იმ ხალიჩაზე და უყურე ინგლისელის ბრძოლას. ჩემის აზრით, საინტერესო ხილია, მასთან ხვალ მოგიწევს შეხვედრა. მიაქციე ყურადღება აჩეხას. მერე მომიყვები. ექიმო, წაიყვანეთ იგი და ნახეთ ინგლისელის ბრძოლა. მე კი ამ ხალიჩასთან დავრჩები“.

მას გაჩერებულს ვერ ნახავთ, უამრავი ნაცნობი ჰყავს. ჩემი აზრით, იგი ყველა მოჭიდავეს იცნობს და ყველა მოჭი-

დავე მას იცნობს. გუნდურ ტურნირში ჩვენი საქმეები არც-
თუ ისე ცუდად მიდის. მაგრამ აი, ერთმა ჩვენმა მოჭიდავემ
წაავო. ანდრეევი მზადაა შეჭამოს იგი.

— რა ქენი ეს? ვისთან წააგე? შეხედე მას და შეხედე
შენს თავს! ეს რა ახალი ამბავია? დიდი ამბავი, ევროპის ჩე-
მპიონი იყო. ჩვენ რა, არ გაგვეგება არაფერი? და იცი, რო-
გორ ეშინოდა მას შენი? შეხედე, როგორ იღებს მოლოცვებს.
ჩემი აზრით, ფრაერს ჰვავდი.

ჩვენ ერთი-ორი წუთი მარტო ვრჩებით და მე შეძლების-
დაგვარად ტაქტიანად ვეკითხები ჩემს ძველ ამხანაგს:

— მე მგონია მეტისმეტად მკაცრი ხარ. რაც უნდა იყოს,
პირველადაა გუნდში და ევროპის ჩემპიონს შეხვდა....

— შენ არაფერი არ გესმის. გაჩუმდი და მომისმინე. მას
წაქეზება სჭირდება. გასაგებია? გაგულისება და წაქეზება.
სჭირდება, ასეთი ხასიათი აქვს. საერთოდ ნახავ, როგორ ჩა-
ატარებს პირად ტურნირს; ახლა რომ წაავო, ეს არაფერია.

— აი, კიდევ მოიგონე... როგორი სიტყვა იპოვე „ფრა-
ერი“.

— მე ეს სპეციალურად მისთვის გამოვიყენე. ხომ გითხა-
რი, არაფერი გესმის-მეთქი. საერთოდ კი ყველაფერი ისე
მიდის, როგორც საჭიროა. დაინახავ გუნდურში ყველას დავ-
ლეწავთ. შენ გგონია გეეზინკი ტყუილად უთვალთვალებს
ჩვენებს?

და აი ჩვენები გუნდური ტურნირის ფინალში არიან. მო-
წინააღმდეგეები პოლანდიელებია. ერთმა ჩვენმა მოჭიდავემ
მოიგო, მეორემ მოიგო, მესამემ — მოიგო, ეს უკვე ყველა-
ფერია, ეს უკვე გამარჯვებაა.

მაგრამ ყველა ელოდება მძიმე წონის მოჭიდავეთა გამო-

სვლას. არა, ახლა ჰოლანდიის გუნდში აღარ არის მსოფლიოს
სახელგანთქმული ჩემპიონი ანტონ გეეზინკი. იგი დაწინაურდა
და, რომ მის შემცვლელად გაიზარდა ღირსეული მთავრები
ამ მოჭიდავეს ვიმ რიუსკა ჰქვია. იგი ას ოც კილოგრამს იწო-
ნის. მუშაობს ბარმენად და ჰგავს ზღაპრულ მეტყევეს, რო-
მელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ცუტს ვერ შეეღია და
უზარმაზარ ხეებს ჭრიდა. იგი ფეხებს ნელა აბიჯებს. და მე
მეჩვენება, რომ განსაკუთრებული სიამოვნების გარეშე მი-
დის ანზორ კიკნაძესთან შესახვედრად.

მე მხარი უნდა დავუჭირო ანზორს არა უბრალოდ როგ-
ორც თანამემამულეს, არამედ კიდევ როგორც ახლობელ მეგ-
ობარსა და ნათესავს. ანზორი ევროპის აბსოლუტური ჩემ-
პიონია და პოპულარობის მხრივ ჩვენი პაწაწკინტელა მთის
სოფლის ჩხერის აბსოლუტური ჩემპიონი. ის კეთილი ადამიან-
ია, გულისხმიერი და ხანდისხან მგონი მორცხვიც... მიუხე-
დავად თავისი ას ათი კილოგრამისა.

აი ახლაც მან რატომღაც ბრძოლა მორცხვი ღიმილით დაი-
წყო. მახსოვს ერთი წლის წინათ ასეთსავე ჩემპიონატზე ბე-
რლინში როგორ გაუსწორდა ანზორი რიუსკას. ეს იყო და-
უვიწყარი პრინციპული ბრძოლა ფინალში აბსოლუტური ჩე-
მპიონის წოდებისთვის. ანზორი იბრძოდა გაბედულად, მძაფ-
რად და ლამაზად გაიმარჯვა.

აქ კი მთელი უზარმაზარი ველოტრეკი რიუსკას მხარეზეა.

„რა გავუკეთე მე მათ ცუდი, — ფიქრობს ანზორი, — რა-
ტომ ყველა ჩემს წინააღმდეგაა? იმიტომ ხომ არა, რომ ახა-
ლგაზრდაა?.. მე კი ჩემპიონი ვარ და მაყურებელს ყოველ-
თვის უნდა ახალგაზრდამ გაიმარჯვოს. შეიძლება ამაშიც არაა
საქმე... ბილეთები ძვირი ღირს. მაშასადამე ყველას არ შეუ-

ძლია აქ მოსვლა. მაშასადამე... შეიძლება კიდევ იმიტომაც... და კიდევ იმიტომაც, რომ მის გვერდით გეეზინკია. მაგრამ ჩვენი ორთაბრძოლა ხომ ბევრს არაფერს ნიშნავს, უფრო უნდა ლაფერი გადაწყვეტილია, ჰოლანდიელებმა წააგეს. და თუ მაინც... შეჩერდი, რა საჭიროა ეს სულელური ფიქრები? რა უფლება მაქვს მასთან წაგებისა. ჩვენ ხომ მალე მოგვიწევს პირად ტურნირში შეხვედრა და, ღმერთმა ნუ ქნას, ახლა რომ მასთან წავაგო. იგი თავის ძალებში დარწმუნდება... დარწმუნდება იმაში, რომ შეუძლია მეორედაც მოიგოს. არა, საჭიროა ბრძოლა“.

მეხუთე წუთზე რიუსკამ დასცა ანზორი. მან იგი სწრაფად და მოულოდნელად ასწია. ილეთი ტატამის ზედ კიდეში წამოიწყო და შორს ტატამს გარეთ დასცა. ასე მოხდა... ასე მოხდა, არავინ არ არის დამნაშავე. ანზორმა კეფა იატაკს დაარტყა.

ანდრეევმა ჩუმად შეიგინა. მივარდა ანზორს და ორჯერ ლოყაზე წამოარტყა. ანზორი თვალდახუჭული იწვა. მერე ტკივილები დაძლია და წამოდგა. წინ წავიდა, როგორც რაღაც არცთუ სასიამოვნო, მაგრამ აუცილებელ საქმეზე. სახეზე ღმიილი გაუქრა. იგი ცოტათი გაჯავრებული იყო თავის თავზე. იმის გამო, რომ განიმუხტა. მოწინააღმდეგეს შეტევის საშუალება მისცა. თუ სხვა ილეთები აღარ იქნება, გამარჯვებას რიუსკას მიაკუთვნებენ. რაღაც უნდა გააკეთოს, რაღაც უნდა გააკეთოს.

მაგრამ რა გააკეთოს, როცა თავი სტკივა, როცა საფეთქლებში მძიმე ხმაურა ჩაქუჩის ურტყამენ და აგრერიგად ძნელია ყოველი მოძრაობის შესრულება. რიუსკამ იცის ყველაფერი ეს და მიდის წინ და წინ.

ანდრეევი:

— რა ვუთხარი, გახსოვს, რა ვუთხარი? არა, მაპატიე და ჯიუტი ვირი უნდა იყო, რომ რიუსკას ასეთი საჩუქარი მისცე. მე ხომ ვუთხარი: ნუ იღიმები, მოემზადე, მერე ხელი იქნება-მეთქი. შენ გაიგონე, გაიგონე? და ასეც ვიცოდი, არც ერთი იღეთი. ახლა მსაჯები რიუსკას ხელს აუწვევენ, ხედავ როგორი გახარებულია გეგზინკი.

გეგზინკი ალერსიანად უსვამდა ხელს რიუსკას და პირსახოცით ოფლის წვეთებს სწმენდდა სხეულიდან, ყოველ წვეთს. ცალ-ცალკე. მერე კი, როდესაც მოჭიდავეები ტატამის შუაგულში მიიხმეს, გეგზინკი ღიმილად დაიღვარა და თავის ამხანაგს პირსახოცი ზურგზე გადაუტყაპუნა.

ანდრეევი ძლივს იკავებდა თავს.

— აბა, ამის შემდეგ მაინც მომისმენ, მომისმენ? რა გითხარი მე შენ?

— ძალიან გთხოვ, როგორც მეგობარს, ცოტახანს გაჩუმდი. მერე მიტირე რამდენიც გენებოს. თავი მტკივა, ცოტა გამიაროს.

— არა, ამას უყურე ერთი, კიდევ რომ მარიგებს, როგორ მოვიქცე. ასე წააგო და კიდევ სხვებს დარიგებებს აძლევდე. ჩემი აზრით, ამისათვის განსაკუთრებული ტალანტია საჭირო.

შაგრამ ეს სიტყვები ანდრეევმა უკვე ხმადებლა წარმოთქვა. ისე, რომ ანზორს არ გაუგონია. იცის ანდრეევმა მისი ხასიათი. ტკივილებზე ტყუილად არ იწუწუნებს. მაშასადამე, ნამდვილად რაღაც მოხდა. ოღონდაც შერყევა არ იყოს.

მოვიდა ექიმი და მოახსენა:

ყველაფერი რიგზეა. იცოცხლებს და იჭიდავებს კიდევ.

ახლა კი ნება მომეცით დიდად პატივცემულო სენიორო, მოგლოცოთ ევროპის გუნდური პირველობის მოპოვება.


ანდრეევთან მოვიდნენ სხვა გუნდების მწვრთნელები. პოლონელები, ფრანგები და ინგლისელები. მიულოცეს და ჰკითხეს — რა დაემართა „მიმეს“.

— ყველაფერი რიგზეა. ხვალ ვნახოთ.

თვრამეტ საათზე დაიწყო პირადი პირველობა. ანზორი კვლავ ტატამზეა. ის ბევრ რამეს მისცემდა, რათა თავი დაეღწია ამ სიამისგან, მაგრამ წოდება ავალდებულებდა. ისინი, ვინც ახლა საბრძოლველად გამოვლენ ყველაზე მაღალ, და შესაძლოა, ყველაზე საპატიო კატეგორიაში, „მას“ ხომ წოდებას ეცილებიან. იმ წოდებას, რომელსაც იგი ატარებს. მათ სურთ დაამტკიცონ, რომ ფუჭად არ ჩაუვლია ერთ წელს, რომ გახდნენ ძლიერები, ჰკვიანები, თუ გნებავთ, უფრო ეშმაკებიც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო გამოცდილნი.

წილისყრით რიუსკა ანზორის ერთ-ერთი პირველი მოწინააღმდეგეა.

ეს შეჯიბრება სპორტის სხვა, ნებისმიერ სახეობაში რომ ყოფილიყო და არა ძიუ-დოში, ღირდა ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებისთვის მთელი ძალების ჩაქსოვა, რათა ბრძოლიდან გამოეთიშა მთავარი კონკურენტი. მაშინ დაივიწყებდა მას, რადგან ეცოდინებოდა, რომ მასთან შეხვედრა აღარ მოუწევდა. მაგრამ ძიუ-დოს წესები ჰუმანური და სამართლიანია („ვინ მოიგონა ასეთი სულელური წესები“, — ფიქრობდა ალბათ ამ წუთას ანზორი). შენ შეგიძლია წაავო ერთი შეხვედრა შემთხვევით. თუ ყველა სხვა დანარჩენს მოიგებ, ფინალამდე მიადწევ და, შესაძლოა, კვლავ შეხვდე მას, ვისთანაც წააგე. წესები არა მხოლოდ შანსს იძლევა რეაბილიტა-



ციისათვის. იმას, ვინც უფრო ახალგაზრდაა (რიუსკა), წესები საშუალებას აძლევენ პირველ ორთაბრძოლაში იმასთან, ვინც უფროსია (ანზორი), აირჩიოს ძალისმიერი უკომპრომიზო ბრძოლა. არა აქვს მნიშვნელობა მოიგებ თუ წააგებ. მთავარია სული ამოხადო მოწინააღმდეგეს. თვითონ კი განეწყო მეორე შეხვედრისთვის და მაშინ უკვე უნდა წახვიდე გამარჯვებაზე.

ჰოლანდიელმა იცოდა, რომ სხვა უფრო საშიში მოწინააღმდეგე ტურნირში არ ჰყავდა. ანზორმაც იცოდა, რომ შეეძლო გაეტეხა ყველას წინააღმდეგობა. მაშასადამე, პირველ მატჩში რიუსკასთან უნდა აირჩიოს განსაკუთრებული ტაქტიკა. ცხადზე უცხადესია, პირველივე წუთებიდან უნდა შეუტოს და შეეცადოს საქმე სწრაფად დაამთავროს. სასურველია მოუგოს მას, თუმცა შეიძლება წაგებაც, თავის თავში დაჯერებული რომ იყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს რისკია. მწვრთნელმაც და გუნდმაც საეჭვოა, რომ მოუწონონ. წააგებს და იტყვიან ბერდებო. წინათ ასე არ იქცეოდა. წინათ ასე არ ვარაუდობდა. რაკი გამოდიოდა ტატამზე, გამოდიოდა მოსაგებად.

დაიწყო!

გეიზინკი ტატამთან დგას და კარნახობს რიუსკას. დგას და კარნახობს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. მსაჯები საყვედურით უყურებენ მსოფლიოს ჩემპიონს, მაგრამ შენიშვნის მიცემა რატომღაც რცხვენოდათ. ის კი განაგრძობდა:

— მიდი, მიდი, წინ და შეეში დისტანციას. ილეთი არ ჩაატარებინო, ცოტა შეანჯღრიე.

ანზორმა სცადა ფეხის წამოკვრით წონასწორობა დაეკარგვინებინა მოწინააღმდეგისთვის, წაექცია იგი, თვითონ კი ზეზე ღარჩენილიყო (ამ ილეთით მან ერთხელ უკვე მოუგო

რიუსკას. ეს მოხდა რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ჰოლანდიელი ის-ის იყო გამოჩნდა ევროპულ ტატამზე). ანზორმა მთელი ძალები ჩააქსოვა ამ ილეთის ჩატარებას, მაგრამ რიუსკა ადვილად დაუძვრა. ჰოლანდიელი უკვე სულ სხვა იყო, გამოცდილი, ძლიერი. მათ იქ, ჰოლანდიაში, აქვთ სპეციალური კინოკადრები, სადაც სხვადასხვა წერტილიდან აღბეჭდილია რიუსკას ძლიერი მეტოქეების ყოველგვარი ილეთები. იქ ძიუდოს სწავლობენ იაპონური სიმტკიცით. მეტოქეებსაც ასევე სწავლობენ.

— მტკიცედ, მტკიცედ, — ყვირის გეეზინკი. ანზორმა არ იცის ჰოლანდიური, მაგრამ იცის ძიუდოს კანონები და ის, თუ რა შეუძლია ურჩიოს გეეზინკმა თავის მეგობარს.

მაშასადამე...

და მაინც ანზორმა მოახერხა ერთადერთი ილეთის ჩატარება და თუმცა მოიგო ნახევარი ქულა, მეტის გაკეთება ვეღარ შესძლო. მან შეხვედრა ბოლომდე გაჭიანურებულად მიიყვანა, რადგან მეტოქე პირდაპირ ბრძოლას თავს არიდებდა, თუმცა არც ერთი წამით მოსვენებასაც არ აძლევდა.

ორთაბრძოლა მოსაწყენი იყო, გამარჯვება ნაკლებად დამაჯერებელი. ანზორი ცდილობდა მწვრთნელისთვის არ შეეხედა. რიუსკამ მართალია წააგო, მაგრამ მაინც ყოჩივით დადიოდა.

ეს იყო დღის პირველ ნახევარში. საღამოს კი ისინი კვლავ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. მათ დაამარცხეს ყველა სხვა მეტოქე და ახლა ელოდებოდათ ევროპული ჩემპიონატის მთავარი მატჩი — ფინალური მატჩი აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის.

ბეტონის ლენტით შემოქობილი ველოტრეკის მოედნიდან

ორი სხვა ტატამი აიღეს, მხოლოდ ერთი დატოვეს ცენტრში და ახლა მაყურებელთა, მსაჯთა, კინო და ტელეფონატორთა ყურადღება მიპყრობილი იყო პროექტორებით უხვად განათებული კვადრატისკენ.

გამოიძახეს რიუსკა. იგი თავის თავში დაჯერებული კაცის ნაბიჯებით გამოვიდა, ღირსეულად დაუკრა თავი, მზერა მოავლო ოთხსავე ტრიბუნას და მხიარულად დაუქნია ხელი. ტრიბუნებმა სკანდირება დაიწყეს: „რიუს-კა! რიუს-კა! რიუს-კა!“ ტონი ჰოლანდიელებმა მისცეს, მათ აპყვნენ შვედები და დანიელები, ტრიბუნები ტაშისცემით ინგრეოდნენ. ხოლო როდესაც ჩვენი მოჭიდავის გვარი დასახელეს მხოლოდ მისკენ და მისი მწვრთნელისკენ მიმართული აპარატების ჭრიჭინი ისმოდა.

— დაიცადე. ნუ ჩქარობ, გესმის, ნუ ფაციფუცობ. დაეცოტა ხანს დაგელოდოს. არაფერი არ მოხდება. იცი, რომ ეს შენი მთავარი ორთაბრძოლაა? იცი, ხო? მე ეს უკვე გითხარი? ასე. და იცი სად მიდის ეს ტელეგადაცემები? არა?

...ოჰო, მან ტელეხედვაზე დაიწყო ლაპარაკი. მე ახლოს ვდგევარ და მესმის მისი სიტყვები. მაშასადამე, გადაწყვიტა... ახლა მე ყველაფერი მახსოვს. და ვფიქრობ, რომ იგი სწორად იქცევა. არც ვიცი მხოლოდ, რას ვიფიქრებ ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ. ანზორი მთელი დღე ჩუმად იყო. ბიჭები მას არ ეკარებოდნენ. არაფერს არ ეკითხებოდნენ. იცოდნენ, გუნება გაუფუჭდებოდა. სასტუმროდან წასვლის წინ, მე მასთან შევედი. დავინახე როგორ ჰიმავდა პირსახოცს. ეტყობოდა თავზე იღებდა. მას რატომღაც შერცხვა და დაუდევრად მიაგდო პირსახოცი სკამის ზურგზე.

— როგორ ვრძნობ თავს?



— თავი მტკივა. არ ვიცი, რა მომივიდა.

— იქნებ...

ანზორმა ცუდად შემომხედა.

— იქნებ გვეთქვა ანდრეევსთვის.

— ესლა მაკლდა. პირველი შეხვედრა, რომ არ წამეგო, შეიძლებოდა გვეთქვა.

— შიშობ, არ იფიქროს, თითქოს შედრკი?

— რატომ უნდა იფიქროს ასე? ჩვენ დღეს კი არ გავიცანით ერთმანეთი. განა არ იცის, რომ არ მეშინია რიუსკასი? მე მისი სულაც არ მეშინია, მაგრამ თავი მისკდება. ჩანს, ძალიან მაგრად დამარტყმევინა იატაკზე.

ანზორმა საათს დახედა.

— აბა გვეყოფა, რა გამოვა ლაპარაკით. დროა წავიდეთ. ავტობუსში ანდრეევმა მკითხა:

— როგორ ფიქრობ, ანზორი კარგადაა?

— ჩემი აზრით, მთლად ვერა.

— მეც ასე ვფიქრობ. მაგრამ მე მას ერთი ოინი მოვუმზადე. მინდა მოგელაპარაკო... არ ვიცი მხოლოდ, კიდევ უფრო მეტად ხომ არ მიიტანს გულთან?

და ანდრეევმა გამანდო თავისი საიდუმლო.

ის ეტყვის ანზორს... ეტყვის, რომ ევროხედვისა და ინტერხედვის სისტემის მეშვეობით ტელეგადაცემები მიდის მოსკოვსა და თბილისში. ეს მან მოიგონა. დაე, ანზორმა, ტატამზე რომ გამოვა, იფიქროს არა ამ აუდიტორიაზე, რომელსაც ჰოლანდიელის გამარჯვება სურს. დაე, იფიქროს თავის ნათესავეებსა და მეგობრებზე, თბილისში რომ არიან. დაე, იფიქროს, რომ ისინი ტელევიზორებს უსხედან და მის ჭიდაობას უყურებენ.

...ნახევარი დუქინი სტაციონარული და მოძრავი სატელე-
ვიზიო კამერა დამიზნებულია რიუსკასკენ. ანდრეევმა ყუბანში
ჩასჩურჩულა ანზორს.

— მომეცით პატიოსანი სიტყვა, — უთხრა ანზორმა.

რამდენადაც მე ანდრეევს ვიცნობ, ის ისეთი კაცი არაა
სიტყვას ჯიბეში დაუწყოს ძებნა. მან სხაპასხუპით წარმოთქვა
რაღაც „პატიოსანი სიტყვის“ მსგავსი. ანდრეევი გულჩათხ-
რობილია. არ იღიმება. ანზორს კი ყველაზე დიდობიექტივი-
ანი კამერა დაუმიზნეს.

— აბა, მიდი! მიდი! მიახრჩვე, ოღონდ ძალიან არა.

ანზორმა ქოჩორზე ხელი გადაისვა და გაბედული ნაბიჯე-
ბით წავიდა ტატამის შუაგულისკენ. აი, ახლა შედგება მთავა-
რი ორთაბრძოლა.

— საინტერესოა, საინტერესოა, როგორ არის ის იქ. მე
სწრაფად გავალ ორჯერ მოვქაჩავ სიგარეტს.

— შენ რა, დაგავიწყდა რომ აქაც შეიძლება მოწევა.

— ჰო, მართლა, დამავიწყდა.

ანდრეევმა ყუთიდან ძლივს ამოაძრო სიგარეტი, ჯი-
ბეები მოისინჯა და აკანკალებული თითებით ასანთი ამოიღო.
მანც ვერ მოუკიდა. გაინაბა. იმიტომ, რომ, იქ, ტატამზე,
ხდებოდა რაღაც ისეთი, რამაც აიძულა მწვრთნელი ამქვეყნად
ყველაფერი დაევიწყებინა. მე ჩვენს ბიჭებს შევხედე სახეებ-
ზე. ვიცოდი რამდენ რამეს გაიღებდა თითოეული, მათ ამხა-
ნავს რომ მოეგო. ისეთ მიწაზე, როგორიც ესპანეთია, ძალიან
გვინდოდა, დაგვემტკიცებინა, როგორი იყო ჩვენი სპორტული
სული. ძალიან გვინდოდა, რომ ჩვენს მოჭიდავეს არ წაეგო
ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა საპატიო პირველი ადვი-
ლისათვის.

იქ ლამაზი, უკომპრომისო ორთაბრძოლა მიდის. არც ერთს არ სურს წაგება. ერთს უნდა დაამტკიცოს, რომ იგი უკეთესი და ძლიერი გახდა, რომ მას აქვს უფლება ატაროს ტიტული, რომელიც ჯერ კიდევ სხვას ეკუთვნის. ის სხვა კი თითქოს ამბობს: „ნუ ჩქარობ, ყველაფერი ასე სწრაფად და მალე არ ხდება ამ ქვეყანაზე. სხვათა შორის, თუ შენ ნამდვილად ეს გაინტერესებს, მე სულაც არ ვაპირებ ჩემი ტიტულის დაკარგვას, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მაქვს საკმარისი ძალები... და კიდევ იმიტომ, რომ ჩემს გამოსვლას უყურებენ ჩემი მეგობრები, ჩემი ნათესავები. და იმიტომ...“

ანზორმა მთელი ძალები ჩააქსოვა ამ იღეთს. რიუსკა ტატამს მოსწყვიტა და მისი კიმონოს საყელოს ჩასჭიდა ხელი ისე, რომ თითებმა გაიტყაცუნა, ბეჭებზე დასცა, ზემოდან დააწვა და დაუვიწყებელი სამბოს იღეთით (ტყუილად კი არ ატარებდა მრავალი წლის მანძილზე ქვეყნის ჩემბიონის წოდებას სამბოში) ტატამს მიაჯაჭვა. თუ ოცდაათი გაჭიმული წამის განმავლობაში რიუსკა ვერ დაძვრება მისი სალტიდან, ან თუ ვერ გაუძლებს მტკივნეულ იღეთს, ანზორი გაიმარჯვებს. რიუსკა გაება როგორც დიდი ზღარბთევზა, რომელიც მეთევზის ბადიდან დაძრომას ცდილობს. ანზორმა დაიმორჩილა იგი. გეეზინკმა წინ წაიწია და მთელი ხმით დაიყვირა:

— ადექი, წადი!

გაჯავრებულმა ხელები წვივებზე შემოიტყაპუნა. დიდი საათის წამზომის ისარს შეხედა.

— გყავდეს შებოჭილი, ანზორ, არ გაუშვა!

ანდრეევი ამაოდ ცდილობს ასანთის ანთებას. დარბაზში სიჩუმეა, როგორც ეკლესიაში. მაგრამ რა არის ეს (თუ ჩვენ ვვეჩვენება?) რიუსკა ხელის გულს ტატამზე უტყაპუნებს.

როგორღაც უხალისოდ და უსიცოცხლოდ. წარმოუდგენელია, ეს უბრალოდ მოგვეჩვენა!

— მან ხელისგული დაჰკრა ტატამს, დაჰკრა, მსაჯო/შეაჩვენა რე ბრძოლა, — დაიყვირა ანდრეევმა, თითქოს მსაჯს ესმოდა მისი.

— გაუშვი უტყაპუნოს როგორც ჯერ არს, რათა მსაჯმა დაინახოს. ცოტა გაათავისუფლე ეგ უბედური, — დაუყვირა ანზორს ვილაც ჩვენთანმა.

— ეხლავე ვუჩვენებ, — ფლეგმატურად უპასუხა ანზორმა და იმავე წამს რიუსკამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა მარცხენა გაშლილი ხელით კილობზე დააბრაახუნა.

— ეს ნიშნავს „გნებდები“. ანზორთან ტელეკამერა მიგორდა, მან ქოჩორი გაისწორა და მეგობრულად ჩაუკრა თვალი ობიექტივს.

დარბაზი აგუგუნდა იმიტომ, რომ უფრო ბრწყინვალე და ხანგრძლივ სანახაობას ელოდებოდა. იქნებ იმიტომ აგუგუნდა, რომ რიუსკას ჰგომობდნენ. ან იქნებ იმიტომ, რომ ულოცავდნენ ხანში შესულ ჩემპიონს შორეული ქვეყნიდან, რომელმაც აჩვენა როგორ უნდა იბრძოლო და გაიმარჯვო... წაგების შემდეგ.

მსაჯმა ანზორის მარჯვენა ასწია. მან ოდნავ დაუკრა თავი მოწინააღმდეგეს და ტატამზე ერთი ნაბიჯი გადადგა. მეორე ნაბიჯის გადადგმა კი აღარ აცალეს. ბიჭები მისცვივდნენ, ხელში აიყვანეს და ჰაერში აისროლეს. და საიდანღაც იქიდან ანზორი მწვრთნელს შეეკითხა:

— ჰო მართლა, მე ნამდვილად მაჩვენეს თბილისში?

ანდრეევმა სინანულით უპასუხა ქვევიდან:

— იცი როგორი უსიამოვნება მოხდა...



საქართველოს
ქვეყნური ბიბლიოთეკა

— რა უსიამოვნება? თქვენ რა, მომატყუეთ?

— არა, არ მომიტყუებინარ... უბრალოდ ეს-ეს არის მისცემული ნობეს, რომ სადღაც ბერდიჩევის რაიონში კავშირი გაწყდა. ანდრეევმა ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გადაეხარხარებინა.

— მომატყუეთ ხომ? — კიდევ ერთხელ წყენით ჰკითხა ანზორმა.

— მო-გა-ტყუეთ, მო-გა-ტყუეთ, — შეწყობილად წაიმღერეს ბიჭებმა, რომლებმაც უკვე იცოდნენ ამ ხუმრობის ამბავი.

ხუმრობა — ხუმრობად, მაგრამ კაცი ევროპის ჩემპიონი გახდა. იმიტომ რომ მწვრთნელმა სიტყვა იპოვა. და იცოდა, როდის რა ინტონაციით წარმოეთქვა ეს სიტყვა.

მე მგონია, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იმ დღის შემდეგ გახდნენ ისინი მეგობრები — მწვრთნელი და მოჭიდავე.

* * *

ამბობენ, „ჩვენს შიგნით“ ცხრაკლიტულში რეზერვებია. აღამიანი სწავლობს მათთვის გასაღების მორგებას. ეს არ არის უბრალო და საჩქარო საქმე.

მაგრამ ცნობილია, რომ იმ გასაღებში სამი ენაა: ნებისყოფა, გამბედაობა, მოხერხებულობა.

ალექსანდრე მელვედის კორტრეხისთვის

მოკიდავე ალექსანდრე მელვედს ცხოვრებაში ბევრი ბედნიერი წუთი ჰქონია. მე მოწმე ვიყავი იმისა, თუ როგორ სწყალობდა სპორტული ბედი და შევეცდები ვიამბოთ, რაც ხსოვნასა და უბის წიგნაკებში შემომრჩა. ეს წარმოდგენას შეგვექმნის ამ ადამიანის ხასიათზე, თორემ ჩვენს დროში რა არის კუნთები მტკიცე ხასიათის გარეშე?

სანამ გადავშლიდე ფურცელს, რომელსაც აწერია „1962 წელი“, მინდა ცოტა უკან დავიხიო.

მეხიკოს ცნობილ ანთროპოლოგიურ მუზეუმში არის სურათი — „ატეკები ბურთს თამაშობენ“. ამ სურათთან მისულებს გიდი უყვებოდა:

— ძველ ინდიელთა გადმოცემით, წაგებულები ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს, ადიოდნენ ზეცაში და ღმერთებად იქცეოდნენ.

— წაგებულები ღმერთებად იქცეოდნენ? — ეჭვით იკითხავილაცამ.

— დიახ, სწორედ წაგებულები. ითვლებოდა, რომ მათ მე-

ტი განიცადეს და გადაიტანეს, რომ მათ მეტი სიბრძნე და გამოცდილება მიიღეს, ვიდრე იმან, ვისაც დამარცხება არ უგემია.

1961 წელს იაპონურმა გაზეთმა ალექსანდრე მედვედის სურათი მოათავსა: წევს ბეჭებზე გაშლართული, სახეზე მსოფლიოს ყველა სევდა აღბეჭდვია, თავზე ადგას ოლიმპიური ჩემპიონი უილფრიდ დიტრიხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. დიტრიხს სერიოზული საქმიანი სახე აქვს, თვალები გამარჯვების სიხარულით უბრწყინავს, მედვედი მხოლოდ მის სახესა და მხრებს ხედავს. ეს სახე და მხრები ფარავს მის წინ მთელ სივრცეს, მთელ სამყაროს. ის მაშინ მართლაც ამის მეტს ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ ის ესმოდა, როგორ ულოცავდა დარბაზი გერმანელს გამარჯვებას.

ასეთი „გაკვეთილი“ მისცა მედვედს ჭიდაობამ, რათა შეეხედა მისთვის და თავის თავისთვისაც. იგი თითქოს ეკითხებოდა სპორტსმენს:

— აბა, გეყო ცქერა? როგორი ვყოფილვარ? არც ისე სიმატიური და ალერსიანი, ხომ? ხედავ, ყელიც გაგიშრა, ამხანაგებს, მწვრთნელებს თვალებს ველარ უსწორებ. ენაც თითქოს წაგერთვა და ხმას ველარ იღებ. დაუფიქრდი, აწონ-დაწონე, ხომ არ დავწორდეთ ერთმანეთს მშვიდობიანად?

მას ახსნა-განმარტების მიცემა არ სჭირდებოდა. ყველაში იცოდა, რისთვისაც გასწია რისკი — შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამილა იყო დარჩენილი — მას კი უნდოდა მოეგო და ერთბაშად მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო. თვითდაჯერებულს ეგონა მოუგებდა ოლიმპიურ ჩემპიონს — მისი ოცნებები ძალიან შორდებოდა... ხალიჩას. სინამდვილემ კი სწორედ იმ ხალიჩაზე გააკრა ბეჭებით.


არა, მას ახსნა-განმარტების მიცემა არ დასჭირდებოდა არა-

ვისთვის, მხოლოდ თავისი თავისათვის უნდა აეხსნა ყველაფერი, გაეცა პასუხი კითხვაზე — რას უმზადებს მას სტუდენტის ეს სახეობა, ცხოვრება, რისი იმედი აქვს, რას უნდა მოელოდეს თავისი თავისაგან?

... რა თქმა უნდა, ახლა, როცა ალექსანდრე მედვედი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოჭიდავე გახდა, ადვილია პირფერობის გარეშე დაწერო, რომ იოკოჰამაში დამარცხების მომდევნო თვეებში მან ბევრი იფიქრა, უფრო მეტი გულმოდგინებით დაიწყო წვრთნა, ყველაფერი ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ ახლობელმა ადამიანებმა მის ხასიათში ერთი მცირე ცვლილება შეამჩნიეს — უფრო მკაცრი, მომთხვავნი გახდა თავისი თავისადმი და უფრო სერიოზულად შეხედა ცხოვრებას.

ინსტიტუტის აუდიტორიებში თუ სტუდენტთა საღამოებზე ისევ წინანდელი საშა იყო — გულღია, შინაურული, მხიარული. ხალიჩაზე კი, წვრთნის დროს, თუნდაც სულ უბრალო შეჯიბრებებზე, ერთბაშად გარდაიქმნებოდა. იოტისოდენას არ აპატიებდა არავის — არც მოწინააღმდეგეს და არც, მით უმეტეს, თავის თავს. და როცა ჭიდაობის სექციაში რაიმე ახალი კომპინაციის შესწავლა მიმდინარეობდა, მწვრთნელებმა იცოდნენ, რომ საშა გულმოდგინე ახალბედასავით უთვალავჯერ გაიმეორებდა ამ ილეთს, სანამ არ ეტყოდა თავის თავს: “ახლა მგონი, არა უშავს რა“.

ტურნირზე რომ გამოდიოდა, რალაცნაირად ჩაიკეტებოდა. გამომწვევ მზერას მოავლებდა იქაურობას. ცდილობდა შერკინებებს შორის შუალედები ხალიჩიდან მოშორებით გაეტარებინა. დარბაზში შედიოდა, რათა მოწინააღმდეგისთვის შეეხედა. მინსკელმა და მოსკოველმა მწვრთნელებმა, რომლებიც



საბჭოთა კავშირის გუნდს მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებდნენ, იცოდნენ საშას ახირებები და ცდილობდნენ არ მოეხერხებინათ ხანგრძლივი დარიგებებით.

პირველად საპასუხისმგებლო შეხვედრაზე საშა მედვედი მე ვნახე 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. ტურნირი ტარდებოდა ამერიკის ქალაქ ტოლიდოში.

ამ ქალაქში საშა ცოტა პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი ჩამოვიდა (თუმცა ეს პრივილეგია დიდხანს არ გაგრძელებულა) — თითქოსდა დასაკარგი არაფერი ჰქონდა. მაგრამ იგი უკვე ოცდახუთი წლისა იყო და, როგორც რამდენიმე წლის შემდეგ გამოტყდა, ორმაგად ღელავდა.

თუმცა გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. უკვე იცოდა, რომ მოწინააღმდეგეს ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერ მოუშადა. მისმა მეტოქეებმა, რასაკვირველია, იცოდნენ, რომ ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე მან მოუგო ირანში ამხანაგური შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონს გოლამ ტახტის. მას უკვე პატივს სცემდნენ. ეს, ერთი მხრივ, კარგი იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, არცთუ ისე, რადგან მასთან შესახვედრად განსაკუთრებული გულმოდგინებით ემზადებოდნენ. თავისუფალი სტილის ქვემძიმე წონაში ის უეჭველად ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა იყო. ჯერ ერთი, თავისი აგებულებით სულ არ წააგავდა მოჭიდავეს; მაღალი, ხმელ-ხმელი, ძარღვიანი, უფრო კალათბურთელი გეგონებოდათ. მაგრამ მის გრძელ მკლავებში დაფარული ძალა ხშირად უწვნივითაა მეტოქეებს. მაშინ ის უკვე აღარ ელოლიავებოდა ოცნებებს, არ კეკლუცობდა ახალი, უცხო ილეთებით, სწამდა თავისი ძალებისა.

ამბობდნენ, არც ერთ ჩემპიონატს ასეთი მძაფრი გუნდური

ბრძოლა არ ახსოვსო. ტოლიდოს ფორტუნას სასწორს ოთხი ფიალა ჰქონდა — რომელი გადაძლევედა, რომელი გუნდი გავედოდა წინ. საბჭოთა კავშირისა, ირანისა, თურქეთისა თუ იაპონიისა, ეს დამოკიდებული იყო უკანასკნელი დღის ყველა შერკინებაზე. მედვედს ყველაზე ძალიან უჭირდა — დღის განმავლობაში ოთხი შეხვედრა ჰქონდა. და ყველა ეს შეხვედრა უნდა სუფთად მოეგო, რადგან იმის გვერდით მტკიცედ მიიწევდა გამარჯვებისკენ ირანელი გოლამ ტახტი. ეს ოცდაათი წლის მოჭიდავე — თავისი ერისა და შაჰის საყვარელი სპორტსმენი — საუკეთესო ფორმაში იყო და ღრმად სწამდა რევაწისა.

და აი ისინი შეებნენ ერთუროს. ამ შეხვედრას ვიგონებ არა იმიტომ, რომ ის იყო ღრამატული, უფრო სწორად ტრაგიკული, ერთ-ერთი მათგანისთვის. ამას იმიტომაც ვიხსენებ, რომ მაშინ მე პირველად ჩავწვდი მედვედის ხასიათს და მივხვდი, რას შეიძლება მიაღწიოს კაცმა, რომელსაც ასეთი ნიჭი გააჩნია.

ირანელსაც სამასავით ერთი საჯარიმო ქულა ჰქონდა, მაგრამ ის 600 გრამით მსუბუქი იყო და იცოდა, რომ ფრე მას ჩემპიონობას მოუტანდა. ისიც კარგად იცოდა ალბათ, როგორ უნდა გააკეთო ფრე როცა გინდა წაგებას თავი დააღწიო.

მედვედი თავდაუზოგავად იბრძოდა. თავზე ახვევდა მოწინააღმდეგეს თავის ტემპსა და მანერას, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ჩემპიონი კი მოხერხებულად გაუბობდა გართულებებს, როგორც მოჭიდავეები ამბობენ, „კენწლაობდა“, ურღვევდა მეტოქეს ჩანაფიქრს. ირანელი მწვრთნელი, თითქმის რცხვენიაო, ოდნავ დაბრეცდა ტუჩებს და მიაძახებდა ხოლმე: „ჰელი დუბ, გოლამ, ჰელი დუბ!“ (ძალიან კარგია, გოლამ, ძა-

ლიან კარგია!). მერე კი ისევ სოლიდურ და ღირსებით აღსავსე სახეს მიიღებდა.

ირანელი ღონიერი იყო, არც მოქნილობა და ექსტრა-აკლდა. საშამ ვერაფერი მოუხერხა მას და, სიგნალის ხმა რომ გაისმა, ყველას გუნება გაგვიფუჭდა, ტახტის კი მისცივიდნენ გახარებული თანამემამულეები, ხელში აიტაცეს, ვარდების გვირგვინით შეამკეს და გააქროლეს იმ ოთახში, სადაც სასწორები იდგა.

იქითვე გაეშურა თავჩაქინდრული მეღველიც.

და უცებ თხელი კედლის გადაღმიდან ტახტის სასოწარკვეთილი შეძახილი მოისმა. იგი სასწრაფოდ გამოვარდა ოთახიდან, გზადაგზა სველ სხეულზე მიკრულ ვარდის ფურცლებს იბერტყავდა და ცდილობდა, არავისთვის შეეხედა. საშას კი მეგობრები ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. აღმოჩნდა, რომ ამ ხანმოკლე შერკინების დროს, როცა მთელი ძალ-ღონის დაუზოგავად სჭედდა გამარჯვებას, საშას 800 გრამამდე დაეკლო და პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

სწორედ იმ დღეს ხომ არ შეიცნო საშამ ერთ-ერთი მთავარი ყოფითი და სპორტული კანონი — დაკარგული ძალ-ღონე არასოდეს უქმად არ ჩაივლის და თუ რაიმეს აკეთებ — კეთილსინდისიერად შეასრულე! კანონი, რომელსაც მისდევდი ქარხანაში შრომის, არმიაში სამსახურისა თუ ინსტიტუტში სწავლის დროს.

მედვედს ძველი მეგობარი და მწვრთნელი ჰყავს — ეს პ. გრიგორიევი. მაგრამ საშას გამარჯვებები ერთ მოჭიდავეს გვაგონებს, რომელმაც სამამულო ომს შესწირა თავი. გრიგორი პილნოვს, ქვეყნის ჩემპიონს, არაერთხელ მიუღია პრიზი საუკეთესო ტექნიკისთვის. საკავშირო პირველობაზე შეჯიბრებებ-

ბის წინ ის ყოველთვის ჩამოდიოდა მინსკში, რომ იქაურ მო-
ჭიდავეებს დახმარებოდა. სწორედ გრიგორი პილნოვმა გამო-
ზარდა ჩემპიონი მ. მირსკი, რომელიც ამჟამად სსრკ-ში მირსკის
დამსახურებული მწვრთნელია. მირსკიმ თავისი ცოდნა გრიგო-
რიევს გადასცა, მისგან კი ესტაფეტა საშა მედვედმა მიიღო.

ერთი სახელგანთქმული მოჭიდავე, სპორტის დამსახურე-
ბული ოსტატი არკადი კარაპეტიანი ასე ეუბნებოდა პირველ
მწვრთნაზე მოსულ ჭაბუკს:

— აი, ამ ხალიჩას ხომ ხედავ. თუ გონდა, რომ რაიმეს მია-
ღწიო, ეცადე მისი ყოველი ძაფი შენი ოფლით გაიჟღინთოს.
მხოლოდ მაშინ მიიღებ მისგან სამაგიერო საზღაურს. მე არ
ჩამოვითვლი, სახელდობრ, რას: ძალას, ამტანობას და ამდაგვა-
რებს, მე ვფიქრობ, ამას თვითონვე მიხვდები. მაგრამ ეს კიდევ
არ არის მთავარი. ხალიჩა გასწავლის, უკეთ შეიცნო შენი თა-
ვი, ირწმუნო შენი ძალები და ეს მარტო ჭიდაობაში კი არ გა-
მოგადგება, არამედ საერთოდ ცხოვრებაშიც.

თვით კარაპეტიანმა მშვენივრად იცის, რას მოითხოვს ადა-
მიანისგან ჭიდაობა და ყოველთვის ამჯობინებს არაფერი დაუ-
მალოს ახალბედებს მან ჭიდაობის გულისთვის შვიდასი თუ
რვაასი კილოგრამი წონა დაკარგა. არ შემშლია, მართალს მო-
გახსენებთ. კარაპეტიანი ხალიჩაზე გამოდიოდა თითქმის საუ-
კუნის მეოთხედი, ყოველწლიურად მონაწილეობდა ხუთ-ექვს
შეჯიბრებაში და ყოველი შეჯიბრების წინ შვიდ-ცხრა კილო-
გრამს იკლებდა, რათა ყველაზე მსუბუქ წონით კატეგორიაში
გამოსვლის უფლება მიეღო.

— ახლა ჩემგან ერთი მეათედი ნაწილია დარჩა, — ოხუნ-
ჯობს კარაპეტიანი და ვფიქრობ, ეს ნაწილი იმაზე უარესი არ
არის, რაც დავკარგე.

დაახლოებით იგივე შეეძლო თავის თავზე ეთქვა მედველს, თუმცა ხალიჩაზე მხოლოდ თხუთმეტიოდე წელია გამოდის, საერთაშორისო შეჯიბრებების წინ იგი შვიდი, ზოგჯერ კი ათი კილოგრამამდე იკლებდა, რათა შესაძლებლობა მიეცა თავისი ძველი მეგობრისა და სეხნია საშა ივანიცკისათვის ეჩვენებინა მთელი თავისი შესაძლებლობანი, ე. ი. გამოსულიყო მძიმე წონაში და აღარ ეჯახირა წონის დაკლებაზე, რაც ძალიან უჭირდა და არც გამოსდიოდა ყოველთვის. მარტო ამ ორმა ადამიანმა მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე იმდენი ოქროს მედალი მოიპოვა, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა რომელიმე გუნდისთვის, რათა მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს შორის მოხვედრილიყო.

რა იმალება ყოველი ოქროს მედლის უკან, რაზე მეტყველებს მისი მოპოვება?

დიდი სპორტი აღიარებს და გამოარჩევს მხოლოდ იმათ, ვინც სულთ ხორცამდე მისი ერთგულია. დიახ, სპორტი თავისთავად გართობაა, დასვენება, სანახაობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაფასოთ ძალა, საზრიანობა და სიმარდე. დიახ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ იქ, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს მაღალ დონეზე, სადაც თანამედროვე ადამიანის ძალისა და შესაძლებლობათა გამოცდა წარმოებს, თავისი კანონები, თავისი მკაცრი წესები მოქმედებენ.

ამჟამად ისეთ მოჭიდავესაც კი, რომელსაც საოლქო ჩემპიონის ტიტულის პრეტენზია აქვს, მოეთხოვება ივარჯიშოს არა ისე, როგორც ივარჯიშობდნენ ათი წლის წინათ, ე. ი. კვირაში სამჯერ საათ-ნახევრის განმავლობაში, არამედ ყოველდღე და ისიც რამდენიმე საათი, რათა მიაჩვიოს კუნთები, გული, ნერვები ახალ დატვირთვებს.

კი მაგრამ, სადღაა დრო სწავლისა, მუშაობისა და საოჯახო საქმეებისთვის? აი, ჩვენ მივადექით საკითხს, რომელსაც მთავარი ადგილი უჭირავს მედვედის ხასიათში. მას შეუძლია ყველაფერი დაუქვემდებაროს შორეულ მიზანს. შეუძლია ისწრაფოს მისკენ ისე, რომ არ შეუშინდეს ცხოვრების მიერ დაგებული სარმას, ისე როგორც ეს შეპფერის ნამდვილ მოჭიდავეს. აფასებს და უნარი შესწევს გაანაწილოს დრო ისე, რომ იგი არა მარტო თავისთავისთვის ეყოს, არამედ სხვებისთვისაც.

სპორტული ცხოვრება პირველ ხანებში არ ანებივრებდა მას. მარცხს ვაუკაცურად, ამაყად ხვდებოდა, გულში ბოლმას არ ჩაიხვევდა ხოლმე. არ იტანჯებოდა ზომას გადასული თავმოყვარეობითა და პატივმოყვარეობით, არავის ელაქუცებოდა და ეპირფერებოდა. ორმოცდათექვსმეტში, ჯარში რომ გაიწვიეს, ასმეთაურმა ჰკითხა ახალწვეულებს:

მოჭიდავე ხომ არავინაა თქვენ შორის?

მოჭიდავენი არ აღმოჩნდნენ. საშამ იგრძნო, რომ მეთაური მას მისჩერებოდა. ყველაზე მაღალი მაინც იყო, სხვა თუ არაფერი. იძულებული გახდა, ერთი ნაბიჯით წინ გასულიყო, თუმცა მანამდე ერთ-ორჯერ თუ გამოსულიყო ხალიჩაზე.

— ძალიან კარგი, — უთხრა მეთაურმა და უბრძანა საღამოთი სპორტულ დარბაზში გამოცხადებულიყო.

მერე შეიტყო საშამ, თურმე მეთაურს თანრიგი ჰქონოდა და უნდოდა ეპოვა ვინმე, რომ წაეგარჯინა. ვარჯიშზე საშამ რამდენჯერმე ისე გააკრა ხალიჩას თავისი მეთაური, რომ ამ უკანასკნელმა შურით შენიშნა:

— რა ღონიერი ყოფილხარ, ჯარისკაცო!

ამის შემდეგ ასმეთაურმა უფრო მსუბუქ და სასიამოვნო პარტნიორებს დაუწყო ძებნა. მაგრამ საშას ურჩია, ვარჯიში

განეახლებინა. ამხანაგები კი, როცა პირველად მიდიოდა მე-
თაურთან საჭიდაოდ, წინდახედულად ურჩევდნენ:

— აბა, ძმობილო, ფრთხილად იყავი. იცი, რა მაგარი კაცი
ჩვენი მეთაური? არ გაბედო მისი დამარცხება, თორემ მერე
ყველაფერი შენს თავს დააბრალო.

მაგრამ საშა საგნებსა და ადამიანებს ცოტა თავისებურად
უყურებდა. ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საშა უკვე ახალ-
ბედა კი არა, ჩვენი გუნდის იმედი და სასოება იყო. ტურნირის
წინ კვლავ დაიკლო დაახლოებით რვა კილოგრამი. ტოკიოში
ძველ ნაცნობებს შეხვდა, ისინი თავაზიანად ესალმებოდნენ.
თანაგრძნობით ეკითხებოდნენ საქმეებზე, მეგობრულად უთა-
თუნებდნენ მხარზე ხელს, გუნებაში კი თითქოს მუშტრის თვა-
ლით წონიდნენ, ნეტავი ისევ ისეთი ღონიერია და მაგარი მკლა-
ვი აქვს თუ არაო? ქვემძიმე წონაში ძლიერმა შემადგენლობამ
მოიყარა თავი: შვედი ერიქსონი, ბულგარელი მუსტაფოვი,
რუმინელი ბალო, თურქი აიიკი, ისევ ის ირანელი ტახტი. ყო-
ველი მათგანი გამოცდილია, ცნობილი და იმედებით აღსავსე.

საერთოდ საშა მედვედს ეშმაკურად მოჭუტული თვალები
აქვს, მაგრამ როცა დამარცხებულ მეტოქეს უყურებს, მისი
თვალები თანაგრძნობას გამოხატავენ.

აიიკთან შეხვედრამდე ყველაფერი ნორმალურად მიდი-
ოდა. აიიკი ნამდვილი მებრძოლი აღმოჩნდა, გარკვეულ დრო-
მდე ინახავდა ძალებს, მერე კი უცბად, რამდენიმე წუთში
გამოაჩინა ერთბაშად. ჩანს, საშას ჯერ კიდევ არ შეეძლო
განწყობილიყო მთავარი გამოცდისათვის, არ იყო მომზადე-
ბული შემოტევისათვის. ამიტომ დიდი გაჭირვებით მოიშორა
მეტოქე და თავისი საუკეთესო თვისებები ვეღარ გამოამჟღავნა.
უქნელეს ფრეს მიადწია და ეს ფრე სამუდამოდ დაამახსო-

ვრდა. არც ის სტვენა დავიწყებია, დიდხანს რომ აყრუებდა დარბაზს: თურქები თხოვდნენ მსაჯებს, გამარჯვება აღიქმისათვის მიენიჭებინა. სანამ მსაჯები თათბირობდნენ, საშასტაქმოდ გაუფუჭდა ნერვები, მაგრამ ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ღიახ, საბედნიეროდ, მას არაფერი დავიწყებია.

მაშინ, ტოკიოში, ჩემპიონი რომ გამხდარიყო, საშას მუსტაფოვი უნდა დაემარცხებინა. საშამ აჩვენა, რა ძალ-ღონის პატრონიც იყო და საერთოდ როგორ უნდა ჭიდაობდეს ოლიმპიური ჩემპიონი.

მახსოვს, მაშინ უბის წიგნაკში ჩავიწერე აზრი, რომელმაც უნებლიეთ გამიელვა თავში: მედველი არა მარტო ნიჭიერი სპორტსმენია, ის საერთოდ ნიჭიერი ადამიანია.

სწორედ მაშინ ვიფიქრე, სხვა მხრივ რომ წარემართა თავისი ნიჭი, ალბათ იქაც დიდ სიმაღლეებს მიაღწევდა-მეთქი.

მას რაღაც სცხია გამომგონებლისა. უყვარს ხალიჩაზე ახალ-ახალი ფანდების იმპროვიზაცია, ეჯავრება შტამპები, უყვარს „მაღლიანი“ ადამიანები. საშას ორი ბავშვი ჰყავს და მისი კონსტრუქტორული აზროვნება ათასგვარ საბავშვო სათამაშოებსა და საოჯახო გარდაქმნებშიც მოჩანს.

აქვს რაღაც არტისტიულიც — ესაა უნარი, არასოდეს არ უღალატოს თავის თავს, თავისი შრომა შეუხამოს ანსამბლს, გამონახოს საერთო ენა რეჟისორთან, რომელიც მწვრთნელის სახით წარმოუდგება.

იქნებ მომღერალიც კი გამხდარიყო. ტოკიოში, ოქროს მედლის მიღების მეორე დღეს, საშა სამ შეხვედრას დაესწრო ტოკიოს ხვდასხვა უბნებში, გამოდიოდა და უპასუხებდა შეკითხვებზე, ხოლო კაფეში, სადაც „მომღერალი ხმები“ შეიკ-

რიზენს, ამდერეს კიდევ. მიკროფონის წინ სასიამოვნო, ცოტა ხრიწიანი ბარიტონით შეასრულა „მოსკოვეური საღამოები“. ის იყო დაიწყო სიმღერა, რომ შავხალათიანმა იაპონელმა ახალგაზრდამ მეორე მიკროფონით რაღაც უთხრა დარბაზში მსხდომთ. და ყველამ, ვინც დარბაზში იჯდა, ხუთასამდე კაცმა, თხელი წიგნაკების დასტაში ამოარჩია წითელყდიანი წიგნაკი და საშასთან ერთად დაიწყო სიმღერა, რომელიც ასე უყვართ იაპონიაში. საშას დიდხანს არ ეშვებოდნენ, ხოლო როცა ჩვენს მაგიდას მოუახლოვდა, კონცერტი კარგა ხნით შეწყდა, რადგან საშასკენ ყოველი მხრიდან წამოვიდა ბლოკნოტები, ღია ბარათები, ცხვირსახოცები, წიგნები და ფანქრები. ჭეშმარიტად იაპონური მოთმინებით იცდიდა ყველა მსურველი, როდის მიიღებდა ჩემპიონის ავტოგრაფს.

ერთხელ კიდევ შევხვდი საშა მედვედს ოლიმპიადაზე, მეხიკოში.

ეს იყო უჩვეულო ოლიმპიადა, უჩვეულო დონეზე, რომელიც აქტიური მზის წელს ტარდებოდა, როცა ჩვენი პლანეტიდან დაშორებით წარმოშობილი იდუმალი ძალები ისევე მოქმედებდა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე, როგორც ღამით მთვარე მოქმედებს ოკეანეთა მოქცევასა და უკუქცევაზე. რაც უფრო მეტი დრო გადის თამაშების შემდეგ, მით უფრო მეტს ვგებულობთ იმის შესახებ, თუ რა ტიტანური ძალის დახარჯვად დაუჯდათ გამარჯვება სპორტის იმ სახეობებში, რომლებიც დიდ და ხანგრძლივ დაძაბულობას საჭიროებენ. მექსიკის სიმბოლოები თავისი გაიშვიათებული ჰაერით სპრინტერებს უღიმოდა, მარათონელებს კი მახეს უგებდა.

მარათონი მარტო მეხიკოს ქუჩებში როდი მიმდინარეობდა. ოლიმპიადის მოჭიდავეთა ტურნირიც მარათონს წააგავდა.

იგი ჩამოვიდა მეხიკოში ოთხგზის ჩემპიონის ტიტულით. მთავარი გამოცდა სწორედ აქ ელოდა მას. ის ძალიან ნელა ეგუებოდა სიმაღლეს და სხვებზე ძალიან უჭირდა. მთავარი როლი იმჩნევდა. თავის საქმეს ვაჟკაცურად, პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა.

მედველი მძიმე წონით კატეგორიაში გამოდიოდა.

ახლა, ოლიმპიადის წინ და თვით ოლიმპიადის განმავლობაში საშა ნებას აძლევდა თავის თავს ეჭამა და ესვა, რამდენსაც მოისურვებდა. აღარ სჭირდებოდა ბალერინასავით ეზრუნა თავის წონაზე. ის თავის საყვარელ წონით კატეგორიაში გამოდიოდა და არავისი არ შეეშინდებოდა, ტურნირი ასეთ სიმაღლეზე რომ არ გამართულიყო. „არ შეეშინდებოდა-მეთქი“, იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი, საშა ცოტა ფრთხილად აკვირდებოდა ბულგარელ მოჭიდავეს ოსმან დურალიევს, რომელსაც მეტრ-ნახევარი სიგანის მხრები და ას ოცდაათი კილოგრამი წონა ჰქონდა, ახლა ღონე...

ბულგარელებს ჰიდაობის ბრწყინვალე სკოლა აქვთ. დიდხანს გულმოდგინედ სწავლობდნენ, ამ ათიოდე წლის წინათ კი თავისი ძალა ამცნეს ქვეყანას და აიძულეს ანგარიში გაეწიათ მათთვის — ზედაზედ მოიპოვეს სხვადასხვაგვარი პრიზები და ჩემპიონის წოდებები, მძიმე წონაში კი მხოლოდ ვერცხლი ჰქონდათ. საშა ივანაცი, რომელიც 1962 წლიდან გამოდიდოდა ამ წონაში, ძალიან ძუნწი იყო — მთავარ პრიზებს არავის ანებებდა.

მწვრთნელი პეტროვი უკვე კარგა ხანია ამზადებდა დურალიევს ამ ორთაბრძოლისათვის. დიდა ფიზიონომისტობა არ უნდოდა იმის მიხედვრას, რამდენ იმედს ამყარებდა იგი ამ



შეხვედრაზე, როგორ სჯეროდა თავისი ახალგაზრდა გოლიათისა.

მოჭიდავეები ნელა მოძრაობდნენ ხალიჩაზე, ნელა ლაზნებოდა დროც. ორივენი გრძნობდნენ, რომ თანაბარი ძალისანი იყვნენ. ბულგარელი ცდილობდა მოექანცა მეტოქე, რომ ბოლოს გადაამწყვეტი ილეთით ეცადა ბედი. მედვედი სულ სხვა მიზანს ისახავდა: დასაწყისშივე მოეგო ქულები, რადგან მერე და მერე უფრო გაუძნელდებოდა.

დრო დურალიევის მხარეზე იყო. საშამ რამდენჯერმე სცადა კომბინაცია წამოეწყო, ერთხელ კინალამ აიტაცა მეტოქე, მაგრამ მიხვდა, რომ ეს არც ისე იოლი საქმე იყო. დურალიევმა საკმაოდ გულგრილად მოიგერია ეს შეტევა.

დრო კვლავ ნელა მიიზღაზნებოდა. იქვე იჯდა საშა ივანიცკი და შიშით ადევნებდა თვალს წამმზომს. ყველაზე კარგად მას ესმოდა, თუ როგორ უჭირდა ამწუთას მის ამხანაგს. დროდადრო ივანიცკი ამა თუ იმ რჩევას სთავაზობდა მედვედს, მაგრამ მისი ხმა საერთო აურზაურში იკარგებოდა.

ცოტას თუ ვინმეს სჯეროდა, რომ ამ შეხვედრას საშა მოიგებდა. ისე ჩანდა, რომ მან უკვე დახარჯა მთელი ენერჯია და ახლა უკანასკნელ ძალღონეს იკრებდა, რათა ბოლომდე გაეძლო. მაგრამ დასასრულამდე სულ ცოტა ხნით ადრე მედვედმა იმარჯვა, ზაზაბარასავით დაიძაბა, დაასწრო შეტევა მეტოქეს, ასწია და ჩოქბჯენში გადაიყვანა. ამაოდ ეძებდა დურალიევი ხსნას ხალიჩიდან გაქცევაში, საშამ ბოლომდე მიიყვანა ილეთი ერთმა მოიგო, ხოლო მეორემ დაკარგა ქულა, მხოლოდ ერთი ქულა, მაგრამ ყველას ესმოდა, რას ნიშნავდა ქულა ასეთ კილიში.

რამდენიმე წამის განმავლობაში ორივენი მძიმედ სუნთქა-

ვდნენ, თითქოს ამ ძნელი შერკინების შემდეგ ვინს ეკრებენო.

ამის მეტი ილეთი აღარ ყოფილა. მსაჯმა სპორტსმენები ხალიჩის შუაგულისკენ იხმო.

მედვედი ხალიჩის შუაგულამდე მივიდა.

მსაჯმა ხელი ააწევიანა.

ნელა დაუკრა თავი გულშემატკივრებს.

და გადადგა ნაბიჯი ხალიჩიდან.

ამის შემდეგ რა მოხდა, აღარ ახსოვს.

ვიღაც მიუახლოვდა ივანიცკის და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. „შეუძლებელია!“ თქვა მან და სასწრაფოდ სადღაც გაქრა. ოციოდე წუთის შემდეგ მობრუნდა ფერმიხდილი და დაბნეული:

— მედვედი გულწასულია! სანამ ხალიჩაზე იყო, უძლებდა. გესმით ეს რას ნიშნავს?

— კი მაგრამ, მას ხომ კიდევ ორი შეხვედრა აქვს ჩასატარებელი...

— სადამომდე გაუვლის... გამოვა და მოიგებს.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, დაუმაღეს მოწინააღმდეგეებს.

დღის მეორე ნახევარში მედვედი ისე გამოვიდა ხალიჩაზე, ვითომც არაფერი მომხდარაო. გამოვიდა, რათა დაეცვა თავისი წოდება.

ამერიკელ კრისტოფს შეხვდა. ძალები არათანაბარი იყო და შეხვედრა ვადაზე აღრე დამთავრდა.

ახლა ოლიმპიური ექს-ჩემპიონი ლიტრიხი გავიდა ხალიჩაზე დასავლეთ გერმანიიდან. იგი მშვიდი, აუჩქარებელი და გამბედავი მოჭიდავე გახლდათ. მასთან მედვედს ძველი ანგარიშები ჰქონდა. მაშინ, სამოცდაერთში, იოკოჰამაში საშამ მტკი-

ვანი მუხლით დაასრულა ტურნირი. მაშინაც ძნელი იყო ბრძო-
ლა, მაგრამ ახლანდელზე ძნელი მაინც არა. ის კია, მაშინ უფ-
რო ახალგაზრდა იყო — ეს სიმაღლეც არ აჭირებდა საჭივს.
თუმცა განა დიტრიხს არ მოემატა წლები?

ალბათ საშასთვის ყველაზე კარგი წამალი ისევ და ისევ
საჭიდაო ხალიჩაა: ბრძოლის წყურვილი, მისი დაძაბულობა,
სრულიად გარდაქმნიან ხოლმე მას. ყველა ეჭვი და სატკივა-
რი ხალიჩის პირამდე მიჰყვება და მერე ქრება ხოლმე.

დგას სპორტსმენი და მეტოქეს ელოდება.

დიტრიხი დიდხანს ისწორებს წვივსაკრავს და დროდადრო
ქვეშიდან გამოხედავს ხოლმე საშას. გერმანელს თავისი სტიმუ-
ლი აქვს. მოგება მას მესამე საპრიზო ადგილზე გაიყვანს: გა-
ნა სასახელო არ არის ხანგრძლივი და დიდებული კარიერის
დასასრულს ოლიმპიური მედლის მოპოვება?

მაგრამ, აი, იწყება შეხვედრა და დიტრიხი ალბათ უკვე
გრძნობს, რა შორეული ოცნებები ჰქონია. გაუბედავად სცა-
და აეწია მედვედი, არაფერი გამოუვიდა. მერე ძლივს დააღ-
წია თავი შეტევას. იგრძნო, რომ ვერაფერს გახდებოდა, იტაცა
ფეხზე ხელი და ხალიჩაზე დაეცა.

თურმე ხალიჩაზე ფეხმტკივანი გამოვიდა. დიტრიხი საკა-
ციტ გაიტანეს.

საშა კი ხელში აიტაცეს და ციმციმ გაიყვანეს დარბაზიდან.

ბელორუსი მოჭიდავის ახალ ოლიმპიურ გამარჯვებაზე მა-
შინ ბევრი დაიწერა. სხვებზე უკეთესად დაწერა იმან, ვინც ყვე-
ლაზე კარგად იცოდა, რა ფასი ჰქონდა ამ გამარჯვებას — ეს
იყო ალექსანდრე ივანიცკი.

„როცა ალექსანდრე შეტევაზე გადადის, მასში პირდაპირ
ჩქეფს წინაპართა საბრძოლო შემართება, ამტანობა, სისადა-

ვე, სტოიციზმი ადამიანისა, რომელიც მიჩვეულია, იმედებს მუდამ თავის შრომაზე ამყარებდეს.

მძიმე წონის მეტოქეები დაშინებული არიან მინსკელის დაუოკებელი სწრაფვით გამარჯვებისაკენ. და ალბათ სულით და გულით სწადიათ, თუ ის ჭიდაობასაც მიატოვებს და მათაც მოასვენებს... ნეტა რას ფიქრობს ამაზე ბელორუსი ჭაბუკი? ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია. იქნებ საშამაც ისე „გადაადგოს ნაჯახი“, როგორც ერთმა ოსტატმა ქნა, საუკეთესო ეკლესია რომ დაანგრია და ნაჯახი უძირო ტბაში გადაისროლა“.

არა, საშა მედვედს თავისი „ნაჯახი არ გადაუგდია“. მან მეხუთეჯერ, მერე კი მეშვიდეჯერაც დაამტკიცა, რომ უფლება აქვს მსოფლიოში უძლიერესის სახელი ატაროს და ჭიდაობის ისტორიაში ყველა დროის ოსტატთა გვერდით იქნეს მოხსენიებული.

მან მიიღო მიწვევა 1969 წლის ევროპის ჩემპიონატზე სოფიაში. როგორც საპატიო სტუმარმა. ის კვლავ შეხვდა თავის ძველ მეგობრებს უნგრეთიდან, რუმინეთიდან, იუგოსლავიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. შვეციიდან. მას იწვევდნენ ბულგარელი მუშები და მოსწავლეები. მრავალი წლის შემდეგ ის პირველად ესწრებოდა ჩემპიონატს როგორც მაცურებელი და ცდილობდა დაემახსოვრებინა ის ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებსაც ჯერჯერობით, მართალია, მაღალი შედეგები არ ჰქონდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, „მაღლი ეცხობ“ მოჭიდავისა.

სამოცდაათი წლის დასაწყისში საშა გამოვიდა საერთაშორისო ტურნირზე კუბაში.

ამ შეჯიბრებაზე თავისუფალ ჭიდაობაში კიდევ ერთი მე-

დვედი მონაწილეობდა. პეტრე მედვედზე ამბობენ, სულ თავის უფროს ძმასა ჰგავსო.

ორივე გამარჯვებულნი დაბრუნდნენ.

* * *

მიუნხენის ოლიმპიადაზე უკანასკნელი ბრძოლა რომ მოიგო, მედვედი მუხლებზე დაეცა და ხალიჩას აკოცა. მე მომეჩვენა. რომ თვალზე ცრემლი აუკიაფდა. იქნებ ეს არც იყო ცრემლი, მარილიანი ოფლის წვეთი იყო მხოლოდ, უკანასკნელი წვეთი. რომელიც პატიოსნად შესწირა სპორტს პატიოსანმა სპორტსმენმა .

თანამეგობრობა

ილია ჩხარტიშვილს ერთი ისეთი დასაფასებელი თვისება აქვს. რომელიც ასე იშვიათია ჩვენს მჭევრმეტყველებით განთქმულ საუკუნეში. არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. გვეგონებათ აღთქმა აქვს დადებული, ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ რამეზე ილაპარაკოსო.

სამაგიეროდ მოსმენა უყვარს. სწორედ ამიტომაც გაუჩინა ბუნებამ ადამიანს მხოლოდ ერთი ენა და ორი ყურიო.

თვალყურის დევნებაც ეხერხება.

ჩხარტიშვილს ქვეყანა აქვს შემოვლილი და თანამედროვეობის თითქმის ყველა გამოჩენილი მოჭიდავე უნახავს. იგი ყოველთვის ცდილობდა დაემახსოვრებინა და განევითარებინა ყოველივე კარგი, რასაც ნახავდა სხვებთან. ღრმად სწამს, რომ ჭიდაობის ქართული სკოლა კარგად იგუებს ბევრ რამეს ისეთ მხარეებში შექმნილი სკოლებიდან, სადაც არც ისეთი მცხუნვარე მზეა, როგორც ჩვენთან, და არც ჩვენებური მცხუნვარე ტემპერამენტი.

ილია ჩხარტიშვილმა მწვრთნელის უმაღლეს წოდებას მიაღწია, მაგრამ თვითონ ღრმად არის დარწმუნებული, რომ მწვრთნელის მაღალი ცოდნა მხოლოდ მთელი სიცოცხლის მანძილზე შეიძლება შეიძინო. ადამიანი გამოუცნობი არსებაა. სპორტში, სპორტულ შეტაკებებში ზოგჯერ ისეთ თვისებებს გამოავლენს, რომლებზედაც მას, ცხოვრებაში გამოცდილ მასწავლებელს, წარმოდგენაც არა ჰქონდა. ხშირად ეს მისთვის სასიამოვნო აღმოჩენაა, ხანდახან კი არასასიამოვნო ამბავიც — გჯეროდა მოწაფისა, მისი კუნთებისა, მისი გულისა. ჰერკულესის კუნთები ჰქონდა, მაგრამ აი, გული აღმოაჩნდა კურდღლისა. ეს პირველსავე შემოწმებაზე გამომჟღავნდა, სულ უბრალო შეჯიბრებაზე. ადრე, როცა უფრო ახალგაზრდა იყო და უფრო ფიცხი, ასეთებს არ გააჭაჭანებდა თავის მოწაფეებს შორის. მერე და მერე უფრო დამთმობი გახდა — დარწმუნდა, რომ ასეთებისგანაც შეიძლება მოჭიდავე დადგეს. მხოლოდ მეტი ღროისა და ძალების დახარჯვა დაგჭირდება.

საერთოდ კი მის გარშემო ყოველთვის ტრიალებდნენ მამაცი ადამიანები და განუხრელად ერთგულნი იმ სპორტისა, რომელიც ძველთაგანვე დიდ პატივშია საქართველოში.

მას სურს იცოდნენ მასთან მისულმა ახალგაზრდებმა, რომ გამარჯვების კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა ია-ვარდით როდია მოფენილი. ამ გზაზე ბევრი იმედის გაცრუება, სიმწარე და წყენა შეხვდებათ, ამ გზაზე გავლა ყველას როდი უწყრიბა. „აბა, რომელია თქვენში ყველაზე ძლიერი, გამოდით ამ ხალიჩაზე, გვიჩვენეთ, რა შეგიძლიათ!“ — თითქოს ეუბნება იგი ჭაბუკებს, რომელთაც ჯერ არ იცნობს. მრავალი თვე გაივლის, სანამ გაიგებს ის, ვის რა შეუძლია და ვისგან რა არის მოსალოდნელი. თუ შეცდა, ეწყინება, მაგრამ არ შეიმჩნევს, თითქოს

მის აღთქმაც აქვს მიცემული, არასოდეს არავის გული არ გაუტეხოს. იქნებ შენი შეფასება ნაჩქარევია. კარგად რომ გავიხსენოთ ადამიანი, ზოგჯერ ერთი სიცოცხლე არც კი კმარა.

მაგრამ ვინ არის ის ბედნიერი, ვინც მას მოეწონება, რომელი მოჭიდავეა მისთვის ნიმუში, ეტალონი, იდეალი? არის კი ქვეყნად ასეთი ვინმე? რა უნდა გააჩნდეს მას, რით უნდა განირჩეოდეს სხვებისგან?

უპირველეს ყოვლისა, ილია ჩხარტიშვილის თვალსაზრისით, ამ მოჭიდავეს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ გამოსახული თავისი ხელწერა, მანერა, თავისი სტილი, ილეთები. მხოლოდ მაშინ შეუძლია რაიმეს იმედი იქონიოს სპორტში.

მეორეც, ამ მოჭიდავეს უნდა ჰქონდეს უნარი, ვაჟაკურად გადაიტანოს ის სარმები და აკრძალული ილეთები, რომლებსაც ასე ხშირად მიმართავს ხოლმე სპორტული ფორტუნა. „დამარცხებები მხოლოდ იმითაა კარგი, რომ ჭკუას გასწავლიან. საერთოდ კი ისინი ძალიან ხშირად არ უნდა გაიხსენოთ“.

მესამე — მოჭიდავე ფანტასტიკურად ერთგული უნდა იყოს სპორტის იმ სახეობისა, რომელიც აირჩია. ის უნდა აკეთებდეს ყველაფერს — მუშაობს თუ სწავლობს — სინდისიერად, შეეძლოს ძალებისა და დროის განაწილება.

ყველაფერი ეს მთავარია. ამას გარდა, მოჭიდავეს კიდევ ბევრი რამ მოეთხოვება. ვინ პასუხობს ამ იდეალს მისი მოსწავლეებიდან?

ამასობაში უკვე ზოგი რამ გვიამბეთ მსოფლიოხა და ოლიმპიურ ჩემპიონ რომან რურუაზე. ის არა ჰგავს სხვებს არა მარტო ხალიჩაზე, ცხოვრებაშიც. საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენი იმდენად მოკრძალებულია, არავისი შეწუხება



არ უყვარს. საკუთარი კუთხეც კი არ გააჩნდა და კარგა ხანს მწვრთნელის ოთახში ცხოვრობდა, როგორც სხვადასხვა დროს ჩხარტიშვილის სხვა მოწაფეები.

ცხოვრებაში მოკრძალება კარგია, მაგრამ ხალიჩაზე რომ მაგას მიჰყვე, დაგლუბავს. აქ ფიცხი და შემტევი უნდა იყო, აზარტული და შეუპოვარი, სპორტულად გულგრილი. არ დაუშვა კომპრომისები. ხალიჩაზე მოჭიდავე სრულიად გარდაიქმნება, მაგრამ ვინ იცის, სად არის იგი ნამდვილი და სად თამაშობს როლს?

ხალიჩაზე რომანი არასოდეს არ ებუება მოწინააღმდეგეს, რა ძალისაც არ უნდა იყოს იგი და რა ტიტულებიც არ უნდა გააჩნდეს. რომანს ეჯავრება მყვირალა სახელები. ჯერ კიდევ ყმაწვილობისას ტიტულიანებს უფრო მეტი გამძაფრებით ებრძოდა. მისი დევიზი შეტევაა. ყოველ ბრძოლაში იგი აქსოვს მეტს, ვიდრე ცოტა უფრო წინდახედული მოჭიდავე ჩააქსოვდა მის ადგილას. მაგრამ მას სხვანაირად არ შეუძლია. ეს მისი მანერაა, მისი სტილია. იმიტომ, რომ იმდენი ილეთი აქვს რეზერვში, რამდენიც არავის და უზადოდაც იყენებს მათ.

ახლა როგორ ვაყვაცურად უმკლავდება მარცხს!

1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზე მისი მოწინააღმდეგე იყო ერთი კარგი მოჭიდავე. მასზე ამბობდნენ ხალიჩას ტოვებსო. ეს სპორტსმენი საერთაშორისო შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა, მაგრამ არასოდეს არ გამხდარა ჩემპიონი. რეფერიმ, რომელსაც მიჰყავდა ეს შერკინება, ალბათ გადაწყვიტა ახლა მაინც ესია მოგვინა ამ მოჭიდავისთვის, მაშინ რით უნდა ახსნილიყო მსაჯის უცნაური გადაწყვეტილებანი?

ორჯერ გადაიყვანა რომანმა მოწინააღმდეგე ჩოქბჯენში,

მაგრამ რეფერიმ არც ერთი ქულა არ ჩაუთვალა. რომანმა მესამეჯერ იგივე გააკეთა, მაგრამ ისევ ამაოდ. მხოლოდ მაშინლა მიიხედა თავისი მწვრთნელისკენ, რომელიც მწუხარებისგან ფეხზე ძლივს იდგა, და ხელის გაშლით ანიშნა — რა ხდებაო? მსაჯმა ორივეს ხელი ასწია და ფრე გამოაცხადა. რურუამ გულგრილად მოისმინა განაჩენი, რომელიც მას მხოლოდ ოლიმპიურ ვერცხლის მედალს ანიჭებდა, ნაცვლად იმისა, რის უფლებაც მას ნამდვილად ჰქონდა. აუჩქარებლად ჩამოვიდა ხალიჩიდან და გაემართა გასახდელისკენ. აქ კი თავი ველარ შეიმაგრა და ატირდა.

— დამშვიდდი, რომან, რას იზამ, ასეთია სპორტული ცხოვრება, ცრემლებით ველარაფერს უშველი... მეორე ოლიმპიადაზე მაინც გახდები ჩემპიონი.

მწვრთნელს მგონი თავის დღეში არ წარმოეთქვა ამ სიგრძე სიტყვა. ცდილობდა მშვიდად მოეჩვენებინა თავი, მაგრამ სახეზე შეატყობდით, რად უღირდა მას ეს „სიმშვიდე“ და ეს გამამხნევებელი სიტყვები.

მე მოწმე გახლდით ტოკიოში ფინალური შეხვედრის სამწუხარო წუთებისა, მაგრამ იმის ბედნიერებაც მერგო, ოთხი წლის შემდეგ მეხიკოში ოლიმპიადაზე ფინალური შეხვედრის სასიხარულო წუთებში მეხილა რომან რურუა. სანამ რომანი გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გამოვიდოდა იაპონელთან, მე მას შევხვდი მარტოდმარტო მოხეტიალეს სპორტული სასახლის ბაღში, ნელა დასეირნობდა ხეებს შორის, დასცქეროდა მიწას და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. განაწყობდა თავისთავს. ამქვეყნად ყველაფერი დავიწყებოდა და მხოლოდ თავის მეტოქე იაპონელზე ფიქრობდა. ცდილობდა წინასწარ წარმოედგინა, როგორ დაიჭერდა თავს იგი დაცვაში,

როგორ დაესხმოდა თავს, როცა მას მეტი აღარაფერი დას-
ჩებოდა, გარდა იმისა, რომ თავგანწირული შეტევით მოეგო
ქულები.

ეს სწორედ ის იაპონელი იყო, რომელსაც ერთი წლის წი-
ნათ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომანმა ცამეტი ქულით მოუ-
გო. მწვრთნელმა გააფრთხილა რომანი — ვახსოვდეს, რომ
იაპონელ მოჭიდავეებს ერთი შესაშური თვისება აქვთ — შე-
სანიშნავად სწავლობენ წარსულ მწარე გაკვეთილებზეო.
რაკი იგივე მოჭიდავე გამოიყვანეს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი
ის აღარ არის, რაც ერთი წლის წინათ იყო. მას უფრო მეტი...
მეტი სიფრთხილით უნდა მოეპყრა. ამაზე უკეთესი სიტყვა
ვერ მოძებნა მწვრთნელმა, მაგრამ მიხვდა, რომ ესეც საკმა-
რისი იყო.

დაე, ახლა, შეხვედრის წინ განმარტოვდეს რომანი თავის
თავთან, თავის ფიქრებთან და შეეცადოს გაისიგრძეგანოს
სიტყვა „სიფრთხილით“.

დიახ, ეს მართლაც სულ სხვა მოჭიდავე იყო. რომანმა შეხვე-
დრის პირველი წუთებიდანვე იგრძნო, რომ მისი მწვრთნელი
მართალი იყო. მის წინ იდგა ძლიერი, ჯიუტი, ეშმაკი მე-
ბრძოლი. ეტყობოდა, გადაწყვიტა, შეენარჩუნებინა ძალები
შერკინების დასასრულამდე. ჯერჯერობით კი არ მიეცა მო-
წინააღმდეგისთვის არც ერთი ილეთის ჩატარების საშუალე-
ბა, ხელ-ფეხი შეებოჭა მისთვის და ამავე დროს უკან არ და-
ეხია... და უცებ რომანმა, რომელიც მიჩვეული იყო თავისი
ნება მოეხვია მოწინააღმდეგისთვის და რომლისგანაც მოე-
ლოდა ყველა, და მათ შორის მოწინააღმდეგეც, მძვინვარე
დასაწყისს, ჰკითხა თავის თავს: ვისთვის იქნება სასარგებლო
ასეთი ტაქტიკა?

პირველ წუთებში არც ერთს არავითარი ილეთი არ ჩაუტარებია. ამიტომ ორივემ გაფრთხილება მიიღო. რაც მე მახსოვს, მგონი ეს იყო რურუას პირველი გაფრთხილება. თბილისელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ „მიისწრაფოდა მისკენ“, შეგნებულად, რადგან იაპონელზე ნაკლებად როდი ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი ხანგრძლივი და ძნელი ოლიმპიური ტურნირის ბოლოსთვის ძალების შენარჩუნებას.

მაგრამ აი, რომანმა გადაწყვიტა, რომ დადგა მოქმედების დრო. ფიქრობდა, რომ მოატყუა მოწინააღმდეგე, რაკი მას წამის რაღაც ნაწილი გამოსტაცა და დააპირა ილეთი, მაგრამ მოწინააღმდეგემ, თითქოს ამას ელოდაო, დაასწრო რომანს და დაავდო ხალიჩაზე ისე, რომ რომანი რაღაც სასწაულით ამოტრიალდა და გადარჩა დამარცხებას. იაპონელმა ორი ქულა მოიგო და ახლა რომანს უნდა გაექვითა ეს ქულები. როგორ შეძლებს იგი ამას? შეძლებს კი საერთოდ?

მე ჩხარტიშვილს შევხედე — იგი მშვიდად იდგა.

მაგრამ იქნებ მხოლოდ ჩანდა მშვიდი?

მე ვიცნობ ერთ იაპონელ მწვრთნელს, რომელიც ასეთ წუთებში შემდეგნაირად იმსჯელებდა: „მე მჯერა ჩემი მოწაფისა და, ვფიქრობ, ის შეძლებს გარდატეხა შეიტანოს შერკინებაში. მაშასადამე, ასაღელვებელი არაფერი მაქვს. მაგრამ იქნებ მან ვერ შეძლოს ბრძოლაში გარდატეხის შეტანა? მაშინ, მით უმეტეს, არ ღირს მის მაგიერ ავღელდე“.

რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო, ჭკუადამჯდარ იაპონელს ასეთ წუთებში გაცილებით მეტი წარმატებით შეუძლია უბრძანოს თავის თავს არ იღელვოს, ვიდრე ფიცხსა და მგრძობიარე ქართველს.

ჩხარტიშვილი მშვიდად იყო, თითქოს იცოდა, რომ დადგებოდა წამი, როცა რომანი აიყვანდა იაპონელს, დაადგებდა ხალიჩაზე და ის ძლივს დააღწევდა თავს ტუშეს. მსაჯები ამოიღებენ ფირფიტას წარწერით „2“, რაც იმას ნიშნავს, რომ რომანმა გაქვითა 2 წაგებული ქულა. მეტი კი მას არ სჭირდება: ყაიმი ჩემპიონობას მოუტანს...

რაც შეეხება მესამე თვისებას, რომელსაც ილია მოჭიდავისთვის ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ესაა ერთგულება, ერთგულება შენი არჩეული სახეობისადმი, კლუბისადმი, გუნდისადმი. ამ თვალსაზრისით რურუა ხალასია. არ ყოფილა შემთხვევა, რომანს გაეცდინოს, ან თუნდაც დაეგვიანოს წვრთნაზე. ამასთანავე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბოლო კურსზე სწავლაც როდია ადვილი. თანამედროვე ინჟინერი რომ გახდეს, ბევრი უნდა იცოდეს, ბევრი უნდა შეგეძლოს... სხვათა შორის, ისიც უნდა შეგეძლოს, განაგებდე შენს ღროს, მკაცრად გქონდეს განსაზღვრული არა თუ საათები, არამედ წუთებიც კი. დიახ, მასაც, როგორც სხვა სახელოვან სპორტსმენებს, ყველა ხელს უწყობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — უნიშნავენ დამატებით კონსულტაციებს, ეხმარებიან სესიების ჩაბარებაში ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით, მისი სწავლით ძალზე დაინტერესებულები არიან ინსტიტუტის რექტორიც და მწვრთნელიც. და გვინდა გვჯეროდეს, რომ მართო სპორტში როდი გამოიჩინეს თავს რომან რურუა, თუმცა ვიცი, რომ სპორტს ის არასოდეს არ მიატოვებს.

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, რურუას, ისე როგორც ფეხბურთით გატაცებულ ქართველ ბიჭუნებს, ყურადღება მიაქცია მწვრთნელმა ნერსეს აკოფოვმა. სწორედ მან დააინტე-

რესა ბიჭუნა ჭიდაობით და დაეხმარა გადაედგა პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები. 1928 წელს აკოფოვი ამერიკაში კასიის აბსოლუტური ჩემპიონი იყო და უეჭველ ავტორიტეტად ითვლებოდა. საერთოდ თვითონ კარგი მაგალითი იყო ახალგაზრდებისთვის: მეეზოვის ცოცხით დაიწყო და ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელი გახდა. რიგითი ჯარისკაცი დაიწყო ომი და პოდპოლკოვნიკმა დაამთავრა.

ცამეტი წლის რომანი უკვე ჩხარტიშვილთან მეცადინეობდა, მაგრამ პირველი მასწავლებლის სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე თან გაჰყვა. ჩხარტიშვილიც არასოდეს არ უკარგავს დამსახურებას იმ კაცს, ვინც გააკეთა თითქმის უმთავრესი — პირველმა შეამჩნია ტალანტი. როცა ილია ჩხარტიშვილს აძლევდნენ პრემიას ოლიმპიური ჩემპიონის მომზადებისთვის, მან თქვა: „მე უფლება არა მაქვს მარტომ მივიღო იგი, ნახევარი ნერსეს აკოფოვს ეკუთვნისო“. „კი, მაგრამ ინსტრუქციით ეს არ არის გათვალისწინებულიო, — უთხრეს მას. — პრემიას ღებულობს მხოლოდ ის, ვინც ოლიმპიური ჩემპიონის მწვრთნელია მოცემულ მომენტში“.

— რა უნდა ველაპარაკო ამ შეუსმენელ კაცსაო, — თქვა გულში ჩხარტიშვილმა.

დაბრუნდა თბილისში, შეხვდა აკოფოვს და ძლიერ ტაქტიანად გააკეთა ის, რაც არ იყო ინსტრუქციით გათვალისწინებული, მაგრამ თავისი სინდისი და მოვალეობა უკარნახებდა ადამიანს.

1970 წელს კანადის ქალაქ ედმონტოში, როცა რურუამ მეხუთეჯერ დაამტკიცა, რომ ტოლი არა ჰყავს, ერთი მექსიკელი ტელეკომენტატორის სიტყვები გამახსენდა. მან თქვა:

„თუ თქვენ არ იცით ჭიდაობა და არც გიყვართ იგი, მი-

გაჩნიათ წარსული საუკუნეებიდან შემორჩენილ გასართობად, მობრძანდით ოლიმპიადაზე და უცქირეთ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ჭაბუკს, მას რურუას ეძახიან მგ. მგონი, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეს ყველაზე ნათელი და მიმზიდველი მოვლენაა ოლიმპიური ტურნირისა“.

მაგონდება კიდევ ერთი ლაკონიური ატესტაცია, რომელიც მისცა რომანს საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა: „ეს არის ისეთი კაცი, ვისიც შეგიძლია გწამდეს“.

ამ რამდენიმე სიტყვაში იმ ადამიანის საუკეთესო დახასიათებაც ხომ არ გამოსჭვივის, ვინც ასეთი სპორტსმენი აღზარდა?

...თბილისში მას ილიას ეძახიან. მოსკოვში, ლენინგრადსა და მინსკში ილია ვარლამოვიჩს. იგი მასწავლებელია. ასწავლის კლასიკურ ჭიდაობას. უკვე რამდენიმე წელი გავიდა იმ დროიდან, რაც ის ოცნებობდა ეხილა თავისი მოწაფეები თბილისის ნაკრებში, მერე კი საქართველოს ნაკრებშიც შევიდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყოველ მათგანს უღვიოდა იმედი სსრ კავშირის ნაკრებში მოხვედრისა და მართლაც მალე შევიტყვეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონების ნოდარ ხონაშვილისა და ევროპის უძლიერესი მოჭიდავის ანდრო ცხოვრებოვის ამბავი.

ახლა კი ილია ჩხარტიშვილის მოწაფე მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში გამოჩნდა.

ილია ჩხარტიშვილი მუშაობს ჭიდაობის მკაცრსა და კეთილშობილურ სამყაროში: ძლიერი ადამიანები ყოველთვის პატიოსანი და გულდია ხალხია. ძალდაუტანებლად, დაინტერესებითა და კეთილმეგობრულად მიჰყავს მას თავისი ბიჭუნები და ჭაბუკები სპორტული ოსტატობის მწვერვალისკენ.

ეს არ არის მთლად ზუსტი სახელწოდება, რადგან ყოველი ახალი აღებული მწვერვალის შემდეგ სადღაც შორს, ახალბ, ახალბ, ახალბ, უფრო მიმზიდველი გამოიკვეთება ხოლმე.

რომან რურუას, ერთ-ერთს იმ ოცდახუთიდან, რომლებიც გამოზარდა ილია ჩხარტიშვილმა საზოგადოება „კოლმეურ-ნეში“, მიღებული აქვს ყველა უმაღლესი ტიტული და წოდება, რაც კი სპორტში არსებობს. რაღას ესწრაფვის იგი? რისი გულისთვის უთმობს ჭიდაობას ყოველდღიურად ამდენ დროს?

ო, რამდენი ხელუხლებელი რამ არის კიდევ სამყაროსავით უძველეს სპორტში, რომელსაც „ჭიდაობა“ ჰქვია! ხოლო როცა გვერდით ისეთი კაცი გყავს, რომელსაც თითქმის მამა გინდა დაუძახო, ყველაზე მაღალ მწვერვალზე ასვლასაც არ შეუშინდები!

— რატომ ეძახი ილია ვარლამის ძეს უბრალოდ ილიას? ის ხომ შენი მასწავლებელია და თითქმის მამად შეგფერის?

— იმიტომ, რომ ის ჩემი მეგობარია.

ქველი მაისური

როშჩინმა უკვე თქვა თავისი სათქმელი. ახლა უნდა დალოდებოდა. ხალიჩაზე მიმდინარეობდა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის უკანასკნელი შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში. ორი ვეება, დაღლილი ვაჟკაცი მთავარ ძალებს ზოგავდა... უფრო სწორად, უნდოდათ დაეზოგათ, მაგრამ ვერც კი შეძლეს... ამ შერკინებაში მხოლოდ ორი მოწინააღმდეგის ბედი როდი წყდებოდა. მასზე იყო დამოკიდებული როშჩინის ბედიც. ამათი ფრე მას მსოფლიო ჩემპიონობას მოუტანდა.

ხალიჩაზეა უნგრელი კოზმა, აუღელვებელი ანაღაზრდა, რომელსაც სჯერა თავისი ძალისა. პირისპირ დიტრიხია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ჩვენ მას უკვე ვიცნობთ. ეს ერთი იმ მცირერიცხოვან მოჭიდავეთაგანია, რომელიც გამოდის თავისუფალშიც და კლასიკურ ჭიდაობაშიც. ბრძოლა მიმდინარეობს უმაღლესი წოდებისთვის მძიმე წონით კატეგორიაში. მათ, ვინც ამ ბრძოლაში გამოდის, ხანდახან გულივერებს ეძახიან ხოლმე ძველი ჩვეულების თანახმად. იმიტომ, რომ 180 სანტიმეტრის სიმაღლე გულივერი ამ გოლიათების გვერდით ჯუჯა გამოჩნდებოდა.

შეხვედრის დასასრულამდე ოთხი წუთი დარჩა. არც ერთი ილეთი არ ჩანს. ბრძოლას ფრეს პირი უჩანს.

ტოლია როშჩინს საფეთქლებზე ლამის დაუსკდეს ძარღვები. იგი გულახდილად ამბობს:

— მეტი აღარ შემიძლია, წავალ, ცოტას გავივლი.

— მეც წამოვალ.

— არა, ჯობია, შენ აქ დარჩე, შორს არ წახვიდე. მე შენ გიყურებ, თუ ჩემპიონი გავხდი, ხელი დამიქნე, კარგი?

ძლივს მივიკვლევთ გზას გასასვლელისკენ. ბრბოში ამერიკელი ჯარისკაცებიც არიან, უახლოესი ყაზარმიდან მოსულან, შეჯიბრების ბოლო დღეა და ისინი უბილეთოდ შემოუშვებს. მათ უკან ვდგავარ და ძლივს ვარჩევ, რა ხდება ხალიჩაზე. აქ ისევ მშვიდი, „უკონფლიქტო“ შერკინება გრძელდება.

ეტყობა, ჯარისკაცებს დიდად არ აინტერესებთ მათი ამბავი, ცდილობენ გამოელაპარაკონ ლამაზ გოგონებს, რომლებიც რეკლამას უკეთებენ ბუსუსიან პირსახოცებს. გოგონები ჩუმჩუმად უცქერიან როშჩინს. ერთ-ერთი მათგანი

უახლოვდება მას და სუვენირის ყიდვას სთავაზობს. გოგონას ტანზე პირსახოცი აქვს შემოხვეული. ტოლიას ლოყები შეეფეაკლა და შეცბუნებული უხსნის, რომ სულ სხვა სუვენირს ელოდება. გოგონა ვერაფერს იგებს, ლამაზად უღიმის და მეგობრებთან ბრუნდება. როშჩინი თანდათან მშორდება და ხანდახან გადმომხედავს ხოლმე. მერე წუთით ბრუნდება, რათა გულწრფელად გამომიტყდეს:

— ეჰ, რომ იცოდე, როგორ მინდა ჩემპიონობა!

ხალიჩაზე მყოფნი სულს ძლივს ითქვამენ. სულ ცოტადა დარჩა. ვეებერთელა საათის „ლონჟინის“ ისარი აუჩქარებლად უვლის წრეს. მოჭიდავეებს ჯერ კიდევ არც ერთი ილეთი არ ჩაუტარებიათ. როშჩინი ისევ სადღაც შორსაა. ვიცი, რა ნელა მიიზღაზნება ახლა მისთვის დრო. მგონი უკვე დარწმუნებულია, რომ შეხვედრა დამთავრდა და რაკი მეც არ მივეცი ნიშანი...

დარჩა ერთი წუთი... წუთზე ნაკლები...

უცებ რეფერი წყვეტს ბრძოლას. მიდის გვერდით მსაჯებთან და რაღაცას ჩასჩურჩულებს მათ. ორივენი თავს უქნევენ თანხმობის ნიშნად. თუმცა სპორტული ჟურნალისტების საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების თანახმად, მე ვალდებული ვარ შევინარჩუნო ობიექტურობა ასეთ სიტუაციებშიც კი, მაინც მთელი არსებით ვგრძნობ, რომ ამ რეფერიზე უსიმპათიო კაცი არ არსებობს ქვეყნად. რა უღირდა, ერთი წუთიც მოეცადა?

რეფერი მალლა სწევს დიტრიხის ხელს. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელი ლებულობს გაფრთხილებას და მასთან ერთად საჯარიმო ქულას. ამ წუთს იმაზე კი აღარ ვფიქრობ, რა ყოჩაღია ეს კოზმა — პირველად ჩამოვიდა ჩემპიონატზე და

შამინვე პირველი პრიზი მიიღო. არა, მე ის მაწუხებს, რომ ამხანაგს უსიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყო.

მან ჯერ კიდევ არ იცის, როგორ წარიმართა საქმე.

მახსოვს, მიყვებოდა, მტვირთავად ვმუშაობდი და სანად-
ლეოს გულისთვის სამი ცენტნერი წონის სახურავის თუნუქი
გადავიტანეო ზურგით. მომეჩვენა, რომ ის, რაც ახლა შეი-
ტყო, ამაზე გაცილებით მძიმე ტვირთად დააწვა ზურგზე. ტო-
ლიამ შავი სათვალე გაიკეთა და ისე შემოვიდა დარბაზში.
წარმოდგენა არა მაქვს, ასე რად მოიქცა. იქნებ მე მომეჩვენა
მხოლოდ? ეს ცრემლი კი არა, ოფლის წვეთი ჩამოუგორდა
სახეზე. ცხელოდა.

ხალიჩაზე კი ექვსიოდე სიხარულისგან გაგიჟებული უნგ-
რელი ამარდ ცდილობდა ჰაერში აესროლა კოზმა. ის მორ-
ცხვად იღიმებოდა. მერე ნელა ასწია ყველაზე თავგამოდე-
ბული ენთუზიასტი და ასე ხელში ატატებული ჩამოიყვანა
ძირს.

— უნდა მივეულოცოთ კოზმას, — მითხრა ტოლიამ. კა-
მეჩივით ღონიერია და ბედნიერი.

ეს იყო 1962 წელს.

როშიჩინი დაბრუნდა ლენინგრადში თავისი პირველი
მსოფლიო ჩემპიონატიდან ვერცხლის მედლით. მოიგო სამი
ორთაბრძოლა, ორი ფრედ დაამთავრა. მწვრთნელებს უხა-
როდათ. ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე
კურსელის როშიჩინის ფოტოსურათი გამოჩნდა ინსტიტუტის
კედლის გაზეთში. როშიჩინი ინსტიტუტში საპატიო კაცი გახ-
და. მწვრთნელებიც განსაკუთრებულად ექცეოდნენ — მეტს
ესმარებოდნენ და მეტსაც სთხოვდნენ.

ეს იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან მოჭიდავეთაგან,

ვინც დიდი ხნით დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის ნაკრებში. მაგრამ მაშინ ის ასე შორს ჯერ კიდევ არ იყურებოდა. მე მასს შეეხვდი ერთი წლის შემდეგ შვეციის სამხრეთით, კატარა საკურორტო ქალაქ ჰელსინგბორგში, სადაც მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი მიმდინარეობდა.

წინ იყო უკანასკნელი შეხვედრა შვედ ბერტოლ სვენსონთან.

ტოლია მიუახლოვდა თავის ჩანთას, ამოიღო ძველი მაისური, დაიღო მუხლებზე და ხელით გაასწორა. ყოფილ ბალტიელ მენაღმეს არასოდეს არაფერი უთქვამს, მაგრამ რაღაც აკავშირებდა ამ ძველ მაისურთან. ის მას განუშორებლად თან ატარებდა და ყველაზე ძნელი ორთაბრძოლის წინ იღებდა ხელში. ალბათ ეს მაისური აგონებდა მას ერთ გერმანულ ნაღმს, რომელსაც კინალამ შეეწირა...

თანაგუნდელმა ამხანაგებმა იცოდნენ ამ თილისმის ამბავი, მაგრამ გახუმრებას ვერ უბედავდნენ — ჯერ ერთი, მისი გულკეთილი ხასიათი ამის საშუალებას არ აძლევდათ, გარდა ამისა, ყველას ესმოდა — სულაც არ არის ცუდი, გადამწყვეტ მომენტში თან გქონდეს რაღაც ისეთი, რაც შთაგებერავს რწმენას და გამარჯვების იმედს ჩაგინერგავს გულში.

რამდენიმე დღის წინ ჩვენ ჰელსინგბორგში დავხეტიალობდით. ქალაქის რატუშის შესასვლელში, სადაც ჩვეულებრივ ლომების ქანდაკება დგას ხოლმე, ჩვენ დავინახეთ ვეებერთელა მრგვალი ნაღმი. ამბობდნენ, ეს ნაღმი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ზედ სანაპიროსთან დაიჭირეს, გააუფნებლეს და რატუშის წინ დადეს — დაე, ბედნიერება მოუტანოს ხალხსაო.

ტოლია ყურადღებით ათვალეირებდა ნაღმს — ასეთი მხოლოდ ძველ სახელმძღვანელოებში თუ უნახავს.

იგი ჩამოვიდა ამ მშვიდობიან ქალაქში ერთი დამატკიცოს, რომ სწორედ ის და არა სხვა ვინმე არის მსოფლიოში უძლიერესი. ვიღაც სხვა ფიქრობს, რომ ეს ასე არ არის. ძალიან კარგი. რა საჭიროა ქადილი. აი ხალიჩა, მობრძანდით, ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი, როგორც ძველად ცოდნენ, რათა ვაჩვენოთ, რომ მათში არაფერია დამალული, და დაე, მსაჯებმა გადაწყვიტონ...

ვახსოვს, ტოლია, მაშინ ტოლიდოში როგორ ვოცნებობდით ამ დღეზე?

— ო, მან არ იცის, რას ვუზამ დღეს, — თქვა ჩურჩულით ტოლიამ. მგონი უფრო თავის თავს უთხრა, ვიდრე ვინმე სხვას — მან არ იცის, რას ვუზამ!..

მერე თითქოს გაახსენდა, რომ გასახდელში რამდენიმე კაცი იყო, დარცხვენილმა მიმოიხედა, მაგრამ იქ მყოფებმა ისეთი სახეები მიიღეს, თითქოს არაფერი გაუგონიათო. ყველა თავისებურად განაწყობს თავის თავს ორთაბრძოლისთვის. ჰოდა, როცა კაცი ამ სერიოზული საქმიანობა გართული, მას ხელი არ უნდა შეუშალო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მას მიიწვევენ ხალიჩაზე. მის პირდაპირ დადგება ბერტილ სვენსონი: ას ოცდაათ კილოგრამს მიუმატეთ გამბედაობა და აუღელვებლობა. დარბაზში შვედები არიან. ტოლიის რატომღაც ისეთი ხალხი ეგონა შვედები, ვისაც თავისი გ'რძნობების მოთოკვა შეუძლია. კარგი იქნებოდა ამ წუთას აქ მოგვეყვანა ის, ვინც ასე წერს მათზე — სწორი წარმოდგენა შეექმნებოდა შვედებზე. მაგრამ განა ძნელია მათი მღერევალების ახსნა. მათი თანამემამულე


შეიძლება დღეს უმაღლესი კატეგორიის ჩემპიონი გახდეს და ყველა მის მხარესა, რადგან მას, სვენსონს, ფრე ჰყოფნის.

მეზობელ ოთახში სვენსონი ემზადება გამოსასვლელად. დიდი ხელები მუხლებზე დაუწყევია და თვალებით ერთ წერტილს მიშტერებია, არავითარ ყურადღებას არ აქცევს ფოტორეპორტიორებს, რომლებსაც თითო-თითოდ უშვებენ პატარა ოთახში.

ფრე რომ მოიპოვოს, მან უნდა გაძლოს ათი წუთი ისე, რომ არ მისცეს მოწინააღმდეგეს არც ერთი ილეთის ჩატარების საშუალება. ორი სიტყვა „შეტევა“ და „რისკი“ ამ ათი წუთის მანძილზე საერთოდ უნდა დაივიწყოს. მთელი თავისი ცოდნიდან და გამოცდილებიდან უნდა მოუხმოს მხოლოდ თავდაცვის ხელოვნებას.

როშინი შეტევაზე გადადიოდა, ახვევდა მოწინააღმდეგეს თავის ტემპს, მანერას. რომელიმე სხვა ორთაბრძოლა რომ ყოფილიყო, იცოცხლე, სვენსონი აჩვენებდა, რაც შეეძლო. როშინმა საშუალება მისცა შემოეხვია მისთვის მკლავები და შვედმა დაუფიქრებლად შემოაჭლო მკლავები ზურგზე — გააკეთა ის, რასაც ასწავლიან საჭიდაო სკოლის პირველ კლასში. გააკეთა, რათა აეწია მოწინააღმდეგე და თავის უკან გადაეგდო, როგორც არა ერთხელ გადაუგდია სხვები. მაგრამ მერე, ჩანს, გაიფიქრა: „არა ღირს რისკის გაწევა“, მოაშორა ხელები როშინს, თან მსუბუქად უბიძგა, თითქოს ეუბნებოდა: „ვერა, ამით ვერ გამაცურებ. ერთიც ვნახოთ და მე რომ ასე ვიზამ, შენ კონტრილეთი ჩამიტარო! არა, ჯობია, თავი შევიკავო“.

— ჰოდა, მაშინ მივხვდი, რომ, რაც მინდოდა, იმის გავაკეთებდი. — სულმოუთქმელად ჰყვებოდა ბედნიერი როშ-



ჩინი. — ღონიერია, კარგად ვიცი, მაგრამ სულ მეჩვენებოდა, რომ ის მთელი ძალ-ღონით არ იბრძოდა. ჯერ ვიფიქრებო, მაკობს-მეთქი. მერე კი...

— მას მხოლოდ ფრე სჭირდებოდა, — უთხრა ძველმა მწვრთნელმა.

იმისათვის, რომ სვენსონი ისე მოგექნია, როგორც ეს მეექვსე წუთზე გააკეთა როშიჩინმა (ეს იყო „ვალკირიის გაფრენა“ — მთელი ასოცდაათკილოგრამიანი სხეული აფრინდა ჰაერში და დაენარცხა ხალიჩაზე), ღონის გარდა კიდევ რაღაც იყო საჭირო. კარგი იქნებოდა, თუ ამ რაღაც-რაღაცეების გრძელ სიაში ჩავუერთავდით სიტყვებს „აღვზნება სულისა“. ერთი გამჭრიახი ფსიქოლოგი წერდა: „როცა ადამიანი სულიერი აღვზნების მომენტს განიცდის, მისი შესაძლებლობანი უსაზღვროა.“

შეიძლებოდა დაგვერქმია „სულიერი აღვზნების“ მომენტი იმ მდგომარეობისთვის, რომელშიც იმყოფებოდა მამაცი და ძლიერი მოჭიდავე სვენსონი, როცა მას მხოლოდ ფრე სჭირდებოდა?

ორთაბრძოლის დასასრულისთვის ტოლიას სამი მოგებულის ქულა ჰქონდა. როცა მსაჯის სასტვენმა დასასრულის ნიშანი მისცა, მე და ტოლია თვალებით შევხვდით ერთმანეთს. მე ხელი ავწიე მაღლა, როგორც უნდა გამეკეთებინა ერთი წლის წინ ტოლიდოში. როშიჩინმა გამიგო და თვალი ჩამიკრა. მის ფართო თვალებში ანთია რაღაც ახალი, უცნობი. გულკეთილ სახეზე კი მორცხვი ღიმილი დასთამაშებს. აქეთ-იქიდან ფოტოკორესპონდენტები შემოხვევიან და სურათს უღებენ. ის არ არის მიჩვეული ამდენ ყურადღებას და ამაოდ

ცდილობს სველი თმების ქვეშ შეაფაროს უკვე საკმაოდ შე-
პარული მელოტი.

მისი ცნობილი მაისური ერთხელ კიდევ ვიხილე მესხეთში
ოლიმპიურ ტურნირზე.

გავიდა წლები, როშჩინმა დაასრულა ინსტიტუტი, თვი-
თონაც გახდა მწვრთნელი და სპორტული ორგანიზატორი.
მთელი გუნდი განახლდა ამ წლების მანძილზე. მოდიოდნენ
ნაკრებში სხვადასხვა მოჭიდავეები, მოდიოდნენ და მიდი-
ოდნენ. ის კი დარჩა.

იმიტომ, რომ ძალზე სერიოზულად უდგება სპორტს. აფა-
სებს და აღმერთებს ჭიდაობას, ისე როგორც ეს შეუძლია
გააკეთოს ძლიერმა, ჭკვიანმა და პატიოსანმა კაცმა. მკაცრი
და მომთხოვნია თავის თავისადმი — აი პასუხი კითხვაზე,
როგორ მოახერხა, ამდენ ხანს არ დაეტოვებინა პოზიციები.

ორი ადამიანური გატაცება აქვს: მანქანა და თევზაობა.
საჭესთან მუდამ აზარტული, მაგრამ ფრთხილია: ხშირად
დილით წასულა მოსკოვში იმ ანგარიშით, რომ მეორე დილით
ისევ ლენინგრადში დაბრუნებულიყო. საჭესთან პირდაპირ
„თავზეხელაღებული მძღოლების“ გმირს გავონებთ. მხოლოდ
თევზაობის დროსა ჰგავს თავის თავს. ამაში ძალიან ეხმარება
უბოროტო და მშვიდი ხასიათი. შეუძლია საათობით უჯდეს
საყვარელ საქმეს და ყური აარიდოს ამხანაგების გადაკრულ
სიტყვებს. მათ ხომ დიდხანს არ შეუძლიათ ჯდომა — მოთ-
მინება არ ჰყოფნით. მენიკოში უკანასკნელი შეხვედრის წინ
იგი საუბრობდა მეზადურებზე, ფრინველებზე და კიდევ
ათას რამეზე, კრინტიც არ დაუძრავს ჭიდაობასა და თავის
მთავარ მოწინააღმდეგეზე. ამოიღო ოლიმპიური მოწმობა და
გვაჩვენა გამჭვირვალე ყდაში ჩადებული მტრედის ბუმბული.

ოლიმპიადის გახსნის დღეს, საზეიმო პარადის დროს რომ მტრედი გაუშვეს, მაშინ დაუჭერია ჰაერში. ასეთი უცნაური სუვენირები აქვს სხვადასხვა ქვეყნიდან წამოღებული. ეს ბუმბული მექსიკას მოაგონებს.

ოლიმპიადიდან ერთი წლის შემდეგ ლენინგრადში რომ ჩავედი, ილუმინაციით გაჩახჩახებულ ნევის პროსპექტზე შემხვდა. პროსპექტზე ხალხმრავლობა იყო — ზოგი სად მიიჩქაროდა და ზოგი სად — თეატრებში, კონცერტებზე. ტოლიაც გამომიტყდა — მეჩქარებაო.

ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა.

მივხვდი, წვრთნაზე მიდიოდა.

ამ ხანმოკლე შეხვედრამ საზეიმოდ მორთულ ნევის პროსპექტზე საშუალება მომცა, ცოტა უკეთ გამეგო, რა ეხმარება ტოლიას — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, გაუბოდეს საპატიო, მაგრამ არცთუ ყოველთვის სასიამოვნო სიტყვის „ვეტერანის“ მეგობრობას.

* * *

1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე როშჩინი ბოლოს და ბოლოს გახდა ჩემპიონი. მიაღწია იმას, რის უფლებაც დიდი ხანია ჰქონდა. სახეზე მორცხვი ღიმილი დასტამაშებდა, თითქოს გეუბნებოდათ: „გეფიცებით, არ ვიცი, როგორ შევეგუო ახალ როლს“.

მე გავიფიქრე: დალახვროს ეშმაკმა, რა სწრაფად გაიბინა ათმა წელმა. განა დიდი ხანია, რაც შორეულ ამერიკაში მითხრა: „გთხოვ, არ წახვიდე, თუ ჩემპიონი გავხდი, ხელი დამიქნეო“.



მოჭიდავე, რომელზედაც ახლა უნდა გიამბოთ, უკვე აღარ გამოდის ჩემპიონატებში და მისი სახელიც ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა. დავიწყებას ეძლევა მისი მწვრთნელის სახელიც. ის ერთხელ მსაჯიც იყო.

თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას მამა-შვილი და ისევ მესმის გაკვირვებული შეძახილი არმიელთა სპორტული დარბაზის უკანა რიგებიდან:

— რას შვრება ეს მსაჯი, ვის ართმევს მედალს?

• • •

მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. დასასრულს უახლოვდებოდა „კლასიკოსების“ ტურნირი.

ერთ-ერთ ხალიჩაზე საკავშირო კატეგორიის მსაჯს გიორგი თარგამაძეს მიჰყავდა მატჩი ქვესაშუალო წონის მოჭიდავეებს ესტონელ როოტსსა და ყირგიზ კოროლიოვს შორის.

ერთ-ერთი ისეთი ორთაბრძოლა იყო, რომელიც არც ისე ძალიან უყვართ მაყურებლებს და ძალიან არ უყვართ ტელეოპერატორებს: ორი ფრთხილი და დაღლილ-დაქანცული მოჭიდავე მხსნელი ფინალური სასტვენის მოლოდინში მიათრევდა წუთებს. შვიდი წუთის განმავლობაში მათ არც ერთი იღეთი არ ჩაუტარებიათ, მსაჯის შენიშვნებს საოცარი გულგრილობით ხვდებოდნენ. ოფლში გაწურულები სულს ძლივს ითქვამდნენ.

როცა შერკინების დამთავრებას ერთი წუთიღა უკლდა, გვერდითმა მსაჯმა კატეგორიულად აღმართა ორი ფირფიტა,

წითელი და მწვანე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის თხოულობდა ორივესთვის გაფრთხილება მიეცათ. იმ ტრიბუნიდან, სადაც ქართველთა გუნდი იჯდა, ალტაცების შეძახილები გაისმა.

— აკი გითხარით, ომარს ერთხელ მაინც გაუმართლებს-მეთქი, — თქვა რომელიღაც მწვრთნელმა:

რეფერიმ შეხვედრა შეაჩერა და ჟიურის უფროსი წევრის მაგიდასთან მივიდა.

რა მოხდებოდა, გიორგი თარგამაძეს რომ გვერდითი მსაჯის აზრი გაეზიარებინა?

ორივე სპორტსმენს ჩამოართმევდნენ კვალიფიკაციას, მათ საჯარიმო ქულებს კიდევ ოთხ-ოთხი დაემატებოდა და ტურნირიდან გამოვარდებოდნენ.

ეს ძალიან სასიამოვნო იქნებოდა ერთი ქართველი მოჭიდავისთვის (მას ომარი ჰქვია), რომელიც ამ შეხვედრის ასე მოულოდნელად დასრულების გამო პირდაპირ ფინალში ხვდებოდა.

ამ წუთებში ომარს უნდა დაესვენა, რათა არ გადაღლილიყო. ის კი იჯდა ამხანაგების გვერდით, ნიკაპი ხელებზე დაეყრდნო და თვალს არ აშორებდა გიორგი თარგამაძეს. რაზე ფიქრობდა ომარი?

თუ როტისი გამოვარდა, ომარი მეორე წრეში თავისუფალია. ამას ხომ ვერც ინატრებს კაცი — თავისუფალი იყო ფინალის წინა წრეში! შენი მოწინააღმდეგეები მთელ ძალღონესა და ნერვებს ხარჯავენ უკანასკნელ უკომპრომისო ორთაბრძოლაში. შენ კი ერთიც და მეორეც გენახება ფინალისთვის. ბრინჯაოს მედალი უკვე ჯიბეში ექნება ომარს. მაგრამ მას შეუძლია ოქროსთვისაც იბრძოლოს, თუკი რეფერი გვერდითი მსაჯის აზრს გაიზიარებს.

თვითონ არბიტრი რაღაზე ფიქრობდა ამ წუთებში?

ამ დღისთვის ხომ არ ცხოვრობდა მრავალი წლის მანძილზე ბათუმის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი აპოლონის ძე თარგამაძე? მას, ჭიდაობისთვის თავდადებულ ადამიანს, სურდა, რომ მისი შვილი ომარი მის კვალს გაჰყოლოდა. უხაროდა, როცა ხედავდა, როგორ ვაჟკაცდებოდა მისი შვილი და გამოცდილი მოჭიდავეებიც კი უკვე ანგარიშს უწყევდნენ მას. ბედმა ისე ინება, რომ მის მოსწავლეებს შორის და მის მოსწავლეთა მოსწავლეებს შორისაც ყველაზე ნიჭიერი მისი შვილი გამოდგა. ის ჯერ ბათუმის ჩემპიონი გახდა, მერე — საქართველოსი... ახლა შეიძლება სსრ კავშირის ჩემპიონი გახდეს ყველაზე საპატიო და ძლიერ მოწინააღმდეგეთა ტურნირში — სპარტაკიადის ტურნირში.

სწორედ ომარი იჯდა სადღაც ხალიჩიდან მოშორებით და მამამისი ზურგს უკან გრძნობდა მის მზერას.

როგორც მამა და მწვრთნელი, თარგამაძე ეთანხმებოდა გვერდითი მსაჯის აზრს.

მაგრამ ის, თარგამაძე, ამ წუთს არბიტრი იყო. მაშასადამე, ათჯერ უნდა აეწონა თავისი გადაწყვეტილება, რათა არასოდეს არავის არ ეფიქრა, რომ მან იეშმაკა, თავის სასარგებლოდ გამოიყენა უფროსობა ხალიჩაზე. მართლაცდა, რა მოხდება, თუ ის ორივე მოჭიდავის დასჯას მოითხოვს? განა ეს სამართლიანი გადაწყვეტილება არ არის? რას შევლის საქმეს ის, რომ სულ ცოტათი აქტიურობს როტსი? ასეთ ორთაბრძოლაში, ზედ ფინალის კარიბჭესთან მთლიანად უნდა აჩვენო, რა შეგიძლია. ფაქტი ხომ ფაქტად რჩება: მთელი ბრძოლის მანძილზე არც ერთი ილეთი და ორივეს თითო გაფრთხილება.

ის ერთი წუთითაც არ დაფიქრდებოდა, რომ საქმე მის
შვილს არ შეეხებოდეს.

ომარსაც ოთხი ქულა აქვს, იმდენივე, რამდენიც როტსს
თუ ის, გიორგი თარგამაძე, ახლა გაფრთხილებას მისცემს იმ
ორ მოჭიდავეს, თავთავიანთ კუთხეს რომ მიაშურეს და გულ-
ამოვარდნილები თვალს არ აშორებენ მას, როტსი, როგორც
მოწინააღმდეგე, იხსნება ანგარიშიდან. ფინალში გავლენ
ომარი, ბელორუსიის ჩემპიონი ფეფელოვი და კიდევ ვიღაცა.
ფეფელოვთან ომარს ფრე აქვს გაკეთებული, მაშასადამე,
დარჩება მხოლოდ ერთი შეხვედრა.

სპარტაკიადის მედალი — ეს არა მარტო ბათუმისა და
თბილისის სიხარულია, სადაც ჭიდაობას ძველთაგანვე ნომერ
პირველ სპორტად თვლიან, ეს არის აგრეთვე გზა საჭიდაო
სამეფოს უმაღლესი საზოგადოებისკენ... ესაა ადგილი საკავ-
შირო ნაკრებში... შესაძლებლობა ევროპის ჩემპიონატებში
(და იქნებ მსოფლიოს ჩემპიონატებშიც) ძალის გამოცდისა.
ეს კი მამისა და მწვრთნელის უმაღლესი ჯილდოა.

ის, მსაჯი, ადამიანი, რომელმაც მრავალი წელი შესწირა
ჭიდაობას, ხედავს იმას, რაც შეიძლება ვერ შეამჩნიოს ნაკ-
ლებად დახელოვნებულმა მაყურებელმა. მწვავე სიტუაციებს
გაუბრის არა ორივე მოჭიდავე, არამედ მხოლოდ კოროლიო-
ვი. თანაც ამას ისე ეშმაკურად და მოხერხებულად აკეთებს,
ვერ შეედავები. ჯიუტად არიდებს თავს პირისპირ შერკინე-
ბას, იცის, რითაც შეიძლება დამთავრდეს ეს: როტსი პირ-
ველი კლასის ტექნიკოსია. როგორც კი იოტისოდენა საფრ-
თხე გაჩნდება, კოროლიოვი ხალიჩის ნაპირისკენ მიისწრაფ-
ვის. ორივენი დაილაღნენ, მაგრამ როტსი კიდევ პოულობს

თავის თავში შეტევის ძალას. იქნება კია სამართლიანი, ისიც რომ დაისაჯოს?


მეორე მხრივ, ვისი ბრალია, რომ როტსს ძალები ეძარცვოფნის? როცა ქვეყნად უმაღლესი სპორტული წოდებისთვის საბრძოლველად ემზადები, ძალთა განაწილება უნდა ისწავლო. თუნდაც მარტო იმისათვის, რომ რეფერი ასეთ მდგომარეობაში არ ჩააყენო. როტსს რომ ცოტაოდენი ძალა ჰქონდეს შერჩენილი, კოროლიოვი ასე მოხერხებულად ვერ აარიდებდა თავს გამწვავებებს.

საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა მის ადგილას, მსაჯის ადგილას სხვა?

არბიტრიც არის და არბიტრიც!

ზოგი მათგანი ისტორიაში შევიდა.

ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა შვეციაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, სამოცდასამში, როცა ჩემპიონი გახდა თურქი მოჭიდავე თევფიკ კიში. მას მედალი გადასცეს, ის კი არც იღიმებოდა და არც ტრადიციულად მისალმებია ხალხს. ხოლო, როცა კვარცხლბეკიდან ჩამოვიდა, უარი უთხრა ყურნალისტებს ინტერვიუს მიცემაზე, არც მილოცვებს ღებულობდა. ის პატიოსანი მოჭიდავე იყო და გრძნობდა, რასაც ფიქრობდნენ მის გამარჯვებაზე. თევფრიკ კიშს ბედმა გაუღიმა, როგორც ხშირად უღიმის ხოლმე ძლიერებს: მისი ორი მთავარი მეტოქე ფინალის მისადგომებთან გამოვარდა ასპარეზობიდან, მაგრამ ბედი, რომელმაც მას გაუღიმა, კარგა ბოხი ხმით ლაპარაკობდა, ატარებდა პატარა ბაკენბარდებს და თვალების მაგივრად მკლავი ჰქონდა ახვეული. ერთი სიტყვით, „ბედი“ გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა იმ თურქ მსაჯს, რომელიც წინა დღით ატარებდა კიშის ძლიერი კონკურენტების ბულგარელი



ბიზნალოვისა და ჩვენი ჩუხალოვის შეხვედრას. ორთაბრძოლის დამთავრებას ზუსტად ორი წამი აკლდა, როცა არბიტრმა მთელი ძალით ჩაბერა თავის საყვირს, დააშოშინა მოკვირებები და ყიურის წვერებს აცნობა, რომ ორივე მოჭიდავეს დამარცხებულად თვლის. მაშინ ძველმა, გამოცდილმა მსაჯებმაც კი გაოცებისაგან პირი დააღეს.

— ხომ არ დაგვეცადა კიდევ ორი წამი? — მორიდებით ოკითხა ერთ-ერთმა.

— როგორ შეიძლება? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ბაკენბარდიანმა „ბედმა“, ყველაფრიდან ჩანდა, რომ მისი „პატიოსანი“ გული სადაცაა გასკდებოდა ამ კითხვისაგან.

მაგიდასთან მივიდა ზოგიერთი გუნდის ზოგიერთი წარმომადგენელი. ცოტა კიდევ და, ქვეყანა „ბედის“ გარეშე დარჩებოდა. მაგრამ აქ ჩაერია ერთი პიროვნება:

— ბატონებო, ჩვენ მხოლოდ გუშინ ვლაპარაკობდით ხალიჩის მსაჯის ავტორიტეტის ამალღებაზე. თუ ჩვენ მის ავტორიტეტს არ ავწევთ, ჩვენს საკუთარ ავტორიტეტსაც ვერ ავიმალღებთ... მაშინ ჩვენ, მაპატიეთ... არც კი მინდა ვთქვა, რა გამოგვივა... მაშინ ჩვენ ტურნირსაც კი ვერ მივიყვანთ ბოლომდე.

— სწორედ ასეა, — ბოხი ხმით კვერი დაუკრა „ბედმა“.

— ვინც მსაჯთა კოლეგიას არ ეთანხმება, შეუძლია გაასაჩივროს. იგი განხილული იქნება ჩემპიონატის წესდების თანახმად.

ბულგარელი მწვრთნელი ცოტა უფრო პირდაპირი გამოდგა, ვიდრე ჩვენი. მან ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა მთავარ მსაჯს: ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ბატონმა



თურქეთის მსაჯმა ეს მხოლოდ იმ მიზნით გააკეთა, რათა თავისი თანამემამულე ჩემპიონი გაეხადაო.

— როგორც მთავარი მსაჯი, მე ვალდებული ვარ ვახსენებ ხილო მსაჯთა საბოლოო გადაწყვეტილებანი და არა ამ გადაწყვეტილებათა მოტივები. ასე ჩვენ ძალზე შორს წავიდლოდით.

ბულგარელმა და საბჭოთა მოჭიდავემ ოთხ-ოთხი საჯარიმო ქულა მიიღეს და ტურნირიდან გამოცვივდნენ.

მეორე დღეს თეფერეკ კიში ჩემპიონი გახდა.

მსაჯს სალამს აღარავინ აძლევდა, მაგრამ ის მას აინუნშიც არ აგდებდა. ნამდვილ გმირად და პატრიოტად მიაჩნდა თავისი თავი.

ჩემპიონის სახეზე კი დამნაშავე კაცის ღიმილი აღბეჭდილიყო...

...როგორ იგრძნობს თავს ომარი, თუ ახლა მსაჯის მეშვეობით, მამის დახმარებით მიიღებს ფინალში გასვლის, მედლისთვის ბრძოლის უფლებას? ეღირება კია ასეთი მედალი?

ცხოვრება არაერთხელ დაუყენებს ომარს არჩევანს გადაწყვეტოს „ჰო“ თუ „არა“, ისევე როგორც დღეს მამამისს.

ვიღაცას უთქვამს „მინდა, რომ ჩემი შვილი ყველაფერში მე მგავდესო“. გიორგი თარგამაძეს სურს, რომ შვილს მარტო მისი დაკუნთული სხეული კი არ გამოჰყვეს, არც მარტო ილეთები, რომლებიც ამ კუნთებს ხალიჩაზე ლომის ძალას მიანიჭებდა. მთავარი ის კი არ არის, როგორი ხარ ხალიჩაზე, მთავარია რა ხასიათს გამოიჩენ ცხოვრებაში.

ზემო რიგებიდან კი კვლავ გაისმოდა მაყურებელთა შეძახილები:

— გაფრთხილება ორივე მოჭიდავეს, გაფრთხილება!

თუ შვილი მედალს მიიღებს, გაზეთებში გაწერენ, რადიოთი მთელ ქვეყანას მოეფინება ეს ამბავი. ბათუმელი მოჭიდავის მიერ სპარტაკიდაზე მიღებულ ამ ერთადერთ მედალს აჩვენებენ მშობლიურ ქალაქში ტელევიზიით და ვილას გაახსენდება მსაჯი, რომელმაც კოლეგების თანხმობით განაცხადა „გაფრთხილება ორივე მოჭიდავეს!“

— არა ვარ თანახმა! — თქვა არბიტრმა და მისცა სიგნალი განეგრძოთ ჭიდაობა. მაგრამ ოცდაათი წამის შემდეგ შეაჩერა მოჭიდავეები და კოროლიოვს გაფრთხილება მისცა.

სწორედ მაშინ გაისმა გაოცებული შეძახილები ტრიბუნიდან:

„რას შვრება ეს კაცი, ვის ართმევს მედალს?“

შერკინება როტსმა მოიგო.

მომდევნო წრეში ომარ თარგამაძეს მასთან შეხვედრამ მოუწია.

შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ქვესაშუალო წონაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ბელორუსი მოჭიდავე ფეფელოვი.

ომარ თარგამაძემ ფინალამდე ვერ მიაღწია და მეხუთე ადგილი დაიკავა.

მეხუთე ადგილისთვის კი მედლებს არ აძლევენ. მწვრთნელებსაც არაფრით გამოარჩევენ ხოლმე.

მას კი შეეძლო ერთი ხელის დაკვრით შვილიც და თავისი თავიც სახელგანთქმული გაეხადა. ამისათვის მას მხოლოდ ცოტა რამ უნდა დაეთმო თავისი სინდისის ხარჯზე. მან უფლება არ მისცა თავის თავს დაეკარგა ეს „ცოტა რამ“.

ცხოვრება ხშირად როდი აძლევს შესაძლებლობას ზამას, „ერთი ხელის დაკვრით“ ამდენი რამ უთხრას შვილს.

ჩემპიონებს სხვებზე ძნელი ცხოვრება აქვთ.

მათ სხვებზე ძალიან უჭირთ სწავლაცა და მუშაობაც.

გახურებული სესიების დროს უეცრად გეუბნებიან, რომ ძალზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ტარდება და უნდა იმტვირიო თავი იმაზე, თუ როგორ მოიქცე: წახვალ შეჯიბრებაზე — დაგრჩება კუდები, არ წახვალ და გუნდის ღალატი გამოდის.

მაშასადამე, საჭიროა გაიღო მსხვერპლი. რაღაც მოაკლო შენს თავს. შეიზღუდო სურვილები, შეიცვალო ჩვევები და უფრო მომჭირნედ მოეკიდო დროს.

ჰოდა, ნონასაც გაუჭიანურდა სწავლა უცხო ენათა ინსტიტუტში, როცა შეეძლო რამდენიმე წლით ადრე დაემთავრებინა და იქნებ დისერტაციაც დაეცვა.

ის კი კვლავ ჩაჰკირკიტებს სახელმძღვანელოებს და თარგმნის ტექსტებს, რომლებიც კარგა ხანია გაიარეს მისმა ამხანაგებმა.

ნონა მხოლოდ მაშინ გავა გამოცდაზე, როცა მზად იქნება, როცა შეძლებს დაამტკიცოს თავისი მზადყოფნა, თვალი გაუსწოროს ყველას. უამისოდ მას სინდისის ქენჯნა შეაწუხებს.

არა, ნამდვილად არა აქვთ იოლი ცხოვრება ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს. მეფეებსა და დედოფლებსაც როდი აქვთ „მეფური“ ცხოვრება.

ადრე, დიდი საჭადრაკო გზის დასაწყისშივე, სანამ ნონამ ერთი ძალიან სასარგებლო დევიზი არ მოუწახა თავის თავს—

„მოუსმინე, მაგრამ ყოველთვის ნუ გაუგონებ“, ბევრი წყენა და უსიამოვნება შეხვედრია.

სუფთა სპორტული დამარცხებებიც ჰქონდა. თუმცა კადრაკის ისტორიოგრაფები ცდილობენ ან საერთოდ არ გაიხსენონ ან მხოლოდ გაკვრით შეეხონ ხოლმე მათ. მაგრამ განა იმ სასკოლო და სარაიონო ტურნირებში ნაწვენევ დამარცხებებთან ერთად არ მოდიოდა ნაადრევი სპორტული სიბრძნე და ის თვისება, რამაც იგი გამოაცალკევა სხვა მოჭადრაკე გოგონებისგან.

განა მარტო სპორტსმენებს ეხება ანდაზა: „გამარჯვება და დამარცხება დები არიანო“. რა არის მუსიკოსის, გამომგონებლის, მწერლის ცხოვრება? „შემოქმედებით სიხარულს“ ყოველთვის უძღვის „შემოქმედებითი წვა“. საბედნიეროდ. ეს ორი ცნება ნონასთვის ერთმანეთს შეერწყა ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში.

ტალანტს ჩვეულებრივი საზომით ვერ გაზომავ. ზოგჯერ მრავალი წელი უნდა გავიდეს, სანამ სხვები არ განამტკიცებენ მის უფლებას, რომელიც დიდი ხანია დაიმსახურა — ესაა უფლება, არ ჰგავდე სხვებს. წაგებებმა და დანაკარგებმა ვერ მიაჩუმეს გოგონაში მთვლემარე ძალები. თავისი თავის დაძლევის რომ სწავლობდა, ნონა დროებით შეუმჩნეველი რჩებოდა. სწორედ ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ტალანტის მომწიფების გზაზე. და როცა მან სხვების დამარცხება ისწავლა, მხოლოდ მაშინ გაიოცეს: „ამ გოგონაში მართლაც არის რაღაც“.

პირველად ნონაზე დავწერე მრავალი წლის წინათ, როცა საქადრაკო კლუბში ვნახე ვაჟთა ტურნირში მოთამაშე გრძელნაწნავებიანი გოგონა. მაშინ ნონა თორმეტი წლისა

იყო. არ ვიცი, ვაყებმა გამოიჩინეს თავაზიანობა, თუ გოგონა თამაშობდა მართლა კარგად, ნონამ მაშინ სატურნირო ცხრილის შუაში დაიჭირა ადგილი.

მწვრთნელ ვახტანგ ქარსელაძეს ასეთი ტურნირები სასარგებლოდ მიაჩნდა. ის ამბობდა, რომ ასეთი ტურნირები სპორტსმენს აძლევს განცდების ახალ კომპლექსს და ასწავლის კიდევ უკეთესად იბრძოლოს, გაიხედოს წინ და შორს დაფის იქით.

იქნებ სწორედ ამის შემდეგ შეუყვარდა ნონას ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობა. გაკვეთილებს უქმად არ ჩაუვლია. მრავალი წლის შემდეგ უნებლიეთ გამახსენდა ის ტურნირი თბილისის საჭადრაკო კლუბში, შვეციიდან ერთი საინტერესო დეპეშა რომ მივიღე. დეპეშაში ნათქვამი იყო:

შვეციის ჩემპიონმა მამაკაცთა შორის (მოდით, შევიბრალოთ და ნუ დავასახელებთ გვარს) გადაწყვიტა ერთი პარტია ეთამაშნა ნონა გაფრინდაშვილთან. პარტიას მრავალი ჭადრაკის მოყვარული დაესწრო. მამაკაცმა გაუძლო მთელ ოცდაოთხ სვლას. ოცდამეხუთეზე ხმადაბლა, თითქმის **ჩურჩულ**ით, წარმოსთქვა: „გნებდებით“, მაგრამ მერე მოიკრიბა მთელი ვაჟკაცობა და საჯაროდ მიულოცა ნონას გამარჯვება.

თორმეტმა უძლიერესმა შეედმა მოჭადრაკე მამაკაცმა თავისი ჩემპიონი „პიჟონად“ მონათლა და ნონა ბლიც-ტურნირზე მიიწვია. ნონამ მათ თერთმეტ-ნახევარი ქულა წაართვა.

მალე ამ ტურნირის შემდეგ ერთმა მოსწრებულმა ჟურნალისტმა ქალმა ტიგრან პეტროსიანს, რომელიც მაშინ მსოფლიოს ჩემპიონი იყო, აუხსნა, თუ რატომ დააყენა იგი ტრადიციულ საახალწლო ინტერვიუზე ერთი საფეხურით დაბლა ნონა გაფრინდაშვილთან შედარებით:



— ეს იმიტომ, რომ გაფრინდა შვილმა არა ერთხელ და-
ამტკიცა თავისი ძალა მამაკაცებთან ტურნირებში. თქვენ კი,
მაესტრო, არასოდეს არ დაგიმტკიცებიათ თქვენი ოსტატობა
ქალთა ტურნირებში.

მიზეზი დამაჯერებელი იყო და პეტროსიანსაც რაღა დარ-
ჩენოდა, დაჰპირდა პირველი შესაძლებლობითვე ესარგებლა
ავტორიტეტის რეაბილიტაციისთვის.

მაინც რას ფიქრობს ჩვენი ჭადრაკის დედოფალი — შექ-
ლებს ოდესმე „ქალთა ჭადრაკი“ მიუახლოვდეს „მამაკაცთა
ჭადრაკს“?


— უბრალოდ ისინი ჩვენზე ბევრნი არიან, ცოდნა და
გამოცდილებაც მეტი დააგროვეს. მაგრამ არაფერია, ჩვენ
მათ დავეწვევით. უკანასკნელ წლებში ჭადრაკი უფრო და
უფრო იტაცებს ქალებს. თითქმის ყოველი ტურნირი ახალ
გვარს გვაცნობს. გამოჩნდნენ გოგონები, რომლებიც უკვე
ისე თამაშობენ, როგორც ცოტა ხნის წინათ მხოლოდ გამოც-
დილი ოსტატები თამაშობდნენ. კარგა ხანია გასცდა ჩვენი
ქვეყნის ფარგლებს ნანა ალექსანდრიას, ლენა რუბცოვას,
ნატაშა კონოპლიოვას და სხვათა სახელები. კიდევ რამდენი
ახალი გვარი გამოჩნდება, აი ნახავთ!

მსოფლიოს ჰყავს ჭადრაკის ერთი დედოფალი, თბილისს
კი ორი კუმირი — ყველა ელის მათ შორის მატჩს, სჯერათ,
რომ ის აუცილებლად გაიმართება და თანაც „უმადლეს დო-
ნეზე“.

იქნებ შემთხვევითი არც არის, რომ ორივენი იმ ქალაქი-
დან არიან, სადაც ძველთაგანვე პატივს სცემდნენ ჭადრაკს!

* * *

ოდესღაც ზუგდიდში პატარა ნონა ნაპოლეონის მარშალ



მიურატის ნაქონი ჭადრაკის დაფაზე სწავლობდა თამაშს. ფიგურები სპილოს ძვლისა იყო და ძველი ზუგდიდელი თავადი, რომელსაც ღმერთმა უწყის, საიდან ჩაუვარდა ხელთ მარშლის ჭადრაკი, ალბათ ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ამ მხარეში წამოიზრდებოდა ერთი გოგონა, აგრონომ ტერენტი გაფრინდაშვილის ქალიშვილი, რომელიც უფრო კარგად წაუძღვებოდა არმიას, ვიდრე ნაპოლეონის სახელგანთქმული მარშალი. რას იფიქრებდა თავადი, რომ ეს სპილოს ძვლის ჭადრაკი ისევე ჩაბარდებოდა მუზეუმს, როგორც ის ჭადრაკი და მომცრო მაგიდა, რომელზედაც ტერენტი გაფრინდაშვილის ქალიშვილმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

მისი პირველი მასწავლებლები მამა, ბიძა და ძმები იყვნენ. მათი აზრით, თუ ქვეყნად რაიმე თამაში იმსახურებს ყურადღებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭადრაკია. ამ რწმენამ ბოლოს და ბოლოს სამი ძმა პირველთანრიგოსნობამდე მიიყვანა... მაგრამ სულ მალე მასწავლებლებმა და მოწაფემ როლები შეიცვალეს.

ხუთი წლისამ დაიწყო თამაში ნონამ, ცხრა წლისამ მონაწილეობა მიიღო სარაიონო ტურნირში, თერთმეტისა კი რესპუბლიკურ ტურნირზე თანაგუნდელებთან ერთად იცავდა ზუგდიდის ღირსებას.

ღრომ გააყვითლა „სოვეტსკი სპორტის“ ის ნომერი, სადაც ვიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი იყო დაბეჭდილი: მაგიდის ქვეშ მიტოვებული თოჯინა გდია, მისი პატრონი კი სკამზე აბობლებულა და სულ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი სათამაშოებით არის გართული. ეს შარჟი მაშინ დაიბეჭდა, როცა პიონერთა და მოსწავლეთა საჭადრაკო წრის აღზრდილმა, თხუთმეტი წლის თბილისელმა მოსწავლემ მოზრდილთა შორის საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.



მის საქადრაკო აკვანთან იღვა ჭადრაკის დიდი, მაგრამ მოკრძალებული და სიტყვაძუნწი პედაგოგი, ვახტანგ ქარსელაძე. სწორედ ის დაეხმარა გოგონას პირველი ნაბიჯების გადადგმაში. შემდგომში, სხვადასხვა დროს მისი მწვრთნელები იყვნენ ოსტატი მიხეილ შიშოვი, ოსტატი ივო ნეი, დიდოსტატი აივარ კიპსლისი, მაგრამ „მირონი“ მაინც ვახტანგ ქარსელაძემ მოაცხო.

მწვრთნელებმა მალე მიაქციეს ყურადღება ნონას ერთ სიმპათიურ თვისებას: უბრალო, ამხანაგურ შეხვედრაში მას შეუძლია მთელი პარტია ხუმრობაში ჩაატაროს, თითქოს ჭადრაკი მისთვის მხოლოდ გართობა იყოს და სხვა არაფერი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ რომ შემთხვევით სიტყვა ჩამოვარდეს განვლილ პარტიაზე, ნონა თქვენ თვალწინ აღადგენს მთელ პარტიას თავიდან ბოლომდე, თან გიჩვენებთ საინტერესო ვარიანტებს, რომლებიც შეიძლებოდა წამოჭრილიყო თამაშის დროს. მწვრთნელებს იზიდავდა ეს თვისება, ნონას კი დიდად არაფრად მიაჩნდა, რადგან ფიქრობდა, რომ ასეთი მეხსიერება შეუძლია განივითაროს ყველამ, ვისაც ცოტათი მაინც აინტერესებს ჭადრაკი.

მერე აღმოჩნდა, რომ მას მარტო რამდენიმე დღის წინ ჩატარებული პარტიები კი არ ახსოვს, არამედ რამდენიმე წლის წინ ჩატარებულებიც. ეს უკვე ბუნების მომადლებული ნიჭი იყო.

დიახ, ნონა მოჭადრაკეთა ოჯახში დაიბადა, ამან განსაზღვრა მისი მიდრეკილებაც და გატაცებაც. მაგრამ მოჭადრაკეებად როდი იზადებიან.

დიდი მოჭადრაკე უნდა გახდეს.

იმისათვის, რომ განაცხადო პრეტენზია მსოფლიოს უძლი-



ერესი მოჭადრაკის წოდებაზე, საკმარისი როდია სამოცდარეული თხი კვადრატის თუნდაც ყველა საიდუმლოს ცოდნა, პარტიულ-საჭადრაკო ნიჭიერებაა საკმარისი, რაოდენ მკვეთრიც არ უნდა იყოს იგი.

უნდა გვეროდეს შენი თავისა. და გქონდეს ამის უფლება.

... მიმდინარეობდა მატჩი ელისაბედ ბიკოვასთან.

ყოველი პარტიის შემდეგ ნონას გულშემატკივრები ისმენდნენ, რას გადასცემდა „უკანასკნელი ცნობებისათვის“ დიდოსტატი. იგი განსაკუთრებით მკაფიოდ კარნახობდა უკანასკნელ ფრაზას: „პარტია გადაიდო გაფრინდაშვილისათვის მოსაგებ მდგომარეობაში“.

მატჩი დამაჯერებლად მოიგო ნონამ: ანგარიში უფლებას აძლევდა კომენტატორებს ხაზი გაესვათ, რომ თამაშის ასეთი კლასი არ უჩვენებია ჯერ კიდევ არც ერთ მოჭადრაკე ქალს.

დიდი ზეიმი იყო ზუგდიდში. ზეიმობდნენ თბილისელებიც. მერე... მერე კი ნონას გამარჯვებებს მიეჩვივნენ, მაგრამ ნაკლები ზეიმიით როდი აღნიშნავდნენ ამ გამარჯვებებს.

ორი წლის შემდეგ ნონამ დაიცვა თავისი წოდება ალა კუშნირთან რიგაში.

დასაწყისში ნონას არ გაუმართლა. მახსოვს, მეორე დღეს, სადილზე, მწვრთნელმა მიხეილ შიშოვმა თითქოს ისე, სასხვათაშორისოდ უთხრა ნონას:

— ეცადე შენებურად, ნონა, და გახსოვდეს, ყაიმითაც რომ დამთავრდეს მატჩი, მაინც ჩემპიონი იქნები.

ნონამ გაცეცხებით შეხედა:

— როგორ თუ ყაიმით, მიხეილ ვასილევჩი? ეს ხომ შეუძლებელია, თქვენ ეს ჩემზე კარგად იცით, რაღად მეუბნებით? ზედმეტად ხომ არ აფასებდა ნონა თავის შესაძლებლობებს?

კუმნირიც ხომ ნიჭიერი მოჭადრაკეა. იგი დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდა ამ მატჩისთვის. ეს კარგად ესმოდა შიშოვს. ეს ნონამაც იცოდა. მაგრამ, როგორც მომეჩვენა, მწვრთნელის სიტყვებმა გაკენწლეს იგი.

მეორე დღეს ჩვენ გავემგზავრეთ რომელიღაც ძველ პატარა ქალაქში, მეგობრები ცდილობდნენ ნონა ენუგეშებინათ, ან უფრო სწორად „გაერთოთ“, მაგრამ მათი ცდა სრულიად შედეგითი იყო, ნონა დამარცხებას ისე უყურებს, როგორც ის ამას იმსახურებს.

მალე ნონამ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი წინ გაიჭრა და ვადაზე ადრე დაამთავრა მატჩი.

თბილისში რომ დაბრუნდა, ქართველმა მწერლებმა პატარა პურმარილი მოუწყვეს ნონას ზედაზნის მთაზე, მალე ამას დიდი პურმარილიც მოჰყვა — ნონა ცოლად გაჰყვა სპორტულ ექიმს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ანზორ ჭიჭინაძეს.

* * *

1970 წლის იანვარი. მოსკოვის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. მიმდინარეობს მატჩი იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის. სულ ექვსი დაფაა. პირველ დაფაზე თამაშობენ მილუნკა ლაზარევიჩი — ჩემპიონის მთავარი უცხოელი მეტოქე და თვითონ ჩემპიონი. მესამე პარტიაა. წინა ორი პარტია ნონამ მოიგო. მესამე პარტიაში ლაზარევიჩი თეთრებით თამაშობს, ცხადია, იბრძოლებს რეაბილიტაციისთვის. შუა პარტიაში იუგოსლავიის ჩემპიონმა პაიკი შეწირა და აი მისი მიძინებული ფიგურები უცებ გამოცოცხლდნენ და აბობოქრდნენ. გადამწყვეტი პოზიცია დაიკავეს კუე-

ბმა. მეფის პოზიციებს უმიზნებს მხედარი. ერთს სჭირდება შეტევის მკაფიოდ გარკვეული გეგმა. მეორეს — არანაკლებ მხედრობად გამოთვლილი დაცვის გეგმა. ფიქრისთვის კი მხოლოდ რამდენიმე წუთია. ლაზარევიჩი სიგარას სიგარაზე ეწევა. მისი ექვსი წლის ბიჭუნა დედისაგან ორი მეტრის მოშორებით მაგიდასთან დგას და მოუთმენლად აბრახუნებს პაწია მუშტებით, ვულშემატკივრობს დედას — აი, სადაცაა დაეშვება ალამი.

ნონას ალამიც მალე დაეშვება. ის ჯერ კიდევ არ გარკვეულა დახლართულ პოზიციაში. თვალწინ ალბათ თავისი თანაგუნდელის ტატიანა ზატულოვსკაიას ხვედრი უდგას: პირველი ორი შეხვედრა „მოსაგები ჰქონდა“ ივანოვიჩთან, მაგრამ ვერ მოასწრო ბოლო მეორმოცე სვლა, საათზე ალამი ჩამოუვარდა და ორი ერთეულის ნაცვლად ორი ნული მიიღო.


ლაზარევიჩმა ფიგურა შეწირა.

ნონამ არ უნდა აიღოს, — მეუბნება ჩემს გვერდით მჯდომი ოსტატი და მიჩვენებს რთულ ვარიანტს.

გაფრინდაშვილი იღებს შეწირვას. მას უკანასკნელი რვა სვლისათვის მხოლოდ ერთი წუთი დარჩა. მაგრამ მისი დამშვიდებული სახის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოასწრო ყველა ვარიანტის გათვლა და მგონი რაღაცას მიაგნო კიდევ. მიაგნო მოწინააღმდეგის მცირე შეცდომას კომბინაციათა ერთ-ერთ ვარიანტში და მოამზადა ეშმაკურად შენიღბული კონტრდარტყმა.

სანამ ნონა კონტრდარტყმას განახორციელებდა, ლაზარევიჩი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, რადგან ნონამ სრულიად მშვიდად გააკეთა სვლა და მიუხედავად ცაიტნოტისა, გაემართა სხვათა პარტიების სანახავად.

ლაზარევიჩმა გააკეთა რამდენიმე სვლა, დახედა საათს, გაა-



ჩერა და გამარჯვება მიულოცა ნონას. ნონაც ადგა მაგიდიდან, შეხვდა ძველ ამხანაგს და უთხრა:

— ახლა გაგაცნობთ ჩემს მულს, ერთად ჩამოვედით და ერთად ვცხოვრობთ. რა ჰქვია... ვაიმე, პარტიის გამო ყველაფერი გადამაფიწყდა! ოცდამეთერთმეტე სვლის შემდეგ ყველაფერი ნაჩქარევად მიმდინარეობდა. სხვებს რა მდგომარეობა აქვთ?

...ამ დღეს ნონას გვერდით დაფებს უსხდნენ ყველა მისი მთავარი — წარსული და მომავალი მეტოქეები.

მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც აკლდა. მას ნანა ალექსანდრია ჰქვია. ის გამოდიოდა საერთაშორისო ტურნირზე ვეიკანზეში. ექვსი ტურის შემდეგ ხუთნახევარი ქულა ჰქონდა.

ნანაც იმავე მწვრთნელის — ვახტანგ ქარსელაძის მოწაფეა.


სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს მათი საჭადრაკო ორბიტები.

1972 წელს გაფრინდაშვილი — კუმნირის მატჩზე, რიგაში, ერთ ძველ ნაცნობ მასწავლებელს შეეხვდი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გავიცანი სწორედ აქ, ასეთსავე მატჩზე. მან ულვაშებში ჩაიცინა და მითხრა:

— მისმინე, მეგობარო, ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა სამუდამოდ დაისაკუთრეს ოქროს ქალღმერთი. ხომ არ... თქვენი აზრით, დრო ხომ არ დადგა, ნონა მუდმივ ჩემპიონად ვალიაოთ?... აცალოს სხვებსაც თამაში...

გეორგი რაუნდი

მასხენდება 1940 წლის ზამთრის საღამო ბაქოს მეზღვაურთა სახლში, განათებული რინგი, უეცრად ჩამოვარდნილი სიჩუმე და რეფერის ხმა: ერთი... ორი... სამი...



ჩემს გვერდით მჯდომი კაცის სახეზე ძარღვიც არ შეტოკებულა თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს რინგზე დაგდებული სპორტსმენი, რომელსაც თავს დასდგომოდნენ რეფერის და უთვლიდა, მისი ძმა არ ყოფილიყოს.

ბახმან ღუსტარმა, ჩემმა ძველმა ამხანაგმა, გოლკიპერმა და ტანმოვარჯიშემ, წამიყვანა საქალაქო ჩემპიონის ფინალურ შეხვედრაზე კრივში, სადაც მისი ძმა უნდა გამოსულიყო.

მოკრივე, რომელსაც კავა ღუსტარი ხვდებოდა, „გოდნიკიდან“ იყო და მთელი დარბაზი თავგამოდებით გულშემატკივრობდა მას. რაუნდის დასასრულს ისეთი დარტყმა მიაყენეს ღუსტარს, რომ ამ უკანასკნელს უმაღვე მუხლთ მოეკვეთა. ყველაფერი ეს სწრაფად და ლამაზად მოხდა. ახლა დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

ბახმანმა ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ახლავე ადგება... აბა, ჰე, დროა...

მეხუთე დათვლაზე მოკრივემ თავი წამოსწია, მეშვიდეზე კი ჯერ მუხლებზე წამოიჩოქა, მერე ზეზე წამოდგა და კიდევ გაისმა გონგის ხმა. ძლივს მიითრია ფეხები სკამამდე. დავარდა ზედ და თვალები დახუჭა. გეგონებოდათ, ახლავე უარს იტყვის ბრძოლის გაგრძელებაზეო.

დარბაზი გუგუნებდა. მეზღვაურის სეკუნდანტს თავი გმირად მიაჩნდა და ლამაზად აქნევდა პირსახოცს, ღუსტარს კი სეკუნდანტი ვენტილატორივით უქნევდა პირსახოცს ცხვირწინ და ნახევრად მოხრილი ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა.

კავა თავს უქნევდა.

იქნებ უბრალოდ, ჩვეულებებისამებრ უქნევდა თავს, არა მგონია, მაშინ იმისი გაგების უნარი ჰქონდა, რასაც მწვრთნელი ჩასჩურჩულებდა.

გონგის ხმაზე მეზღვაური მოუთმენლობისგან ხტუნვა-ხტუნ-
ვით გამოვიდა შუაგულში.

ლუსტარი მიძიმედ მიიწევდა წინ.

პირველ წუთს იგერიებდა მოწინააღმდეგის დარტყმებს,
ხანდახან ხელთათმანით სახეს იფარავდა. მოწინააღმდეგე ხან
აქედან უვლიდა და ხან იქიდან. ახლოვდებოდა დასასრული.

ბახმანმა თითქოს ისევ თავისთვის წარმოთქვა:

— საერთოდ ამან ეს ბრძოლა არ უნდა წააგოს.

ბახმანი კარგად არ იცნობდა კრივს, მგონი არც უყვარდა.

ისინი ცნობილი ირანელი რევოლუციონერის შვილები იყ-
ვნენ. მამა ადრე დაკარგეს. საბჭოთა კავშირი გახდა მათთვის
მეორე სამშობლო, ბაქო — მშობლიური კერა. ძმებს პატივს
სცემდნენ დამყოლი ხასიათის, სპორტული სიყოჩაღისა და იმ-
ის გამო, რომ გაჭირვებაში ფარ-ხმალს არ ყრიდნენ ხოლმე.

მეორე რაუნდში კავამ პირველად უპასუხა კარგი დარტყმ-
ით. მოწინააღმდეგე ცოტა შეცბა, გაფრთხილდა.

მალე მეზღვაური ისევ გადავიდა შეტევაზე აშკარად იმ მი-
ზნით, რომ ჩაექრო კავას იმედი, მაგრამ მაგარი დარტყმა დახვ-
და, ამას მოჰყვა კიდევ დარტყმა და შევიდა კლინჩში. იდაყვ-
ით შეეხო მოწინააღმდეგის ხელთათმანს. მიიღო შენიშვნა და
მგონი გაუხარდა გონგი.

კავა დაბრუნდა კუთხეში, მაგრამ არ დამჯდარა, ხელები
თოკებზე გადააწყო და მთელი წუთის განმავლობაში ასე იდგა.
სახე ნიავისთვის ჰქონდა მიშვერილი. იგი არ დაჯდა, რათა და-
ერწმუნებინა თავისთავი, და მგონი სხვებიც, რომ ისევ ფორმა-
შია. სეკუნდანტი ჩუმად აქნევდა პირსახოცს. დასასრულს ცო-
ტალა უკლდა, როცა კავამ მეტოქე ნოკდაუნში ჩაავდო, მაგრამ

იგი სწრაფად წამოხტა და ნერვულად გაიწია წინ, თითქოს გრძნობდა, რომ გამარჯვება ხელიდან უსხლტებოდა.

მსაჯები დიდხანს თათბირობდნენ და ბჭობდნენ, ახლოს არ იკარებდნენ მწვერთნელებსა და საზოგადოებათა წარმომადგენლებს. არავინ არ იცოდა, ვის არგუნებდნენ გამარჯვებას. ბოლოს და ბოლოს დუსტარი გამოაცხადეს გამარჯვებულად. დარბაზში გაისმა უკმაყოფილო შეძახილები. მეზღვაურის სეკუნდანტი კი მთელი დარბაზის გასაგონად ლაჩქავდა მსაჯებს.

— ახლავე დავბრუნდები, — მითხრა ბახმანმა და რინგისკენ გაემართა

* *

ერთი მათგანი იყო მოკრივე, ქალაქის ჩემპიონი.

მეორე — ტანმოვარჯიშე — ქალაქის ჩემპიონი.

ფეხბურთს კი ორივე თამაშობდა.

ბახმანი „ლოკომოტივის“ მეკარე იყო. ერთხელ, თავისი კარიერის დასაწყისში, მან დინამოელ ვიქტორ პაცევიჩის დარტყმული პენალტი აიღო და თვით ეს ფაქტი უკვე მოვლენა იყო, რადგან თორმეტი თუ თხუთმეტი წლის მანძილზე ბაქოს „დინამოს“ კაპიტანს არც ერთი პენალტი არ გაუფუჭებია.

კავა თამაშობდა „სპარტაკში“ გარემარბად. მოქნილი და სხარტი იყო, არ ძუნწობდა ბურთზე. იმ ხანებში გარემარბებს მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე ახლა: არც ისე ახლო იყვნენ დამცველებთან და მანევრისთვის მეტი დრო და სივრცე ჰქონდათ. მაგრამ ისეთი მოთამაშე ჩვენს დროშიც გამოიჩინდა თავს.

ერთხელ ძმები ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. პატრიოტობმა კავა კართან გაიყვანეს...

საერთოდ, უმცროს ძმაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ძალიან დიდ პატივს სცემს უფროს ძმასო, მისი თანდასწრებით თავისთავს დაჯდომის ნებასაც არ აძლევსო. ყველას აინტერესებდა, როგორ მოიქცეოდა კავა მეკარის პირისპირ.

ბანმანი ფეხებში ჩაუვარდა, მაგრამ კავამ გვერდი აუარა მას და ბურთიანად შევარდა კარში. სირცხვილისგან თვალებში ველარ შეხედა ძმას, ის კი ადგა და ხუმრობით კისერში უთავაზა, თითქოს ეუბნებოდა — არ უშავს, ისევ შენ მაჯობე, სხვა ნუ მაჯობებსო.

ბანმანი ჩემი ახლო ამხანაგი იყო და მეგონა, რომ კარგად ვიცნობდი. მაგრამ მას თურმე თავისი პატარა საიდუმლო ჰქონია. ამის შესახებ მხოლოდ ორმოცდაერთის გაზაფხულზე შევიტყვე.

ერთხელ წვრთნაზე უჯრებიანი საერთო რვეული მოიტანა, წვრილი, საგულდაგულო ხელნაწერით შევსებული. მომცა და მითხრა:

— წაიკითხე და თუ არ მოგეწონოს მითხარი.

პირველ გვერდზე ეწერა „სკოლის წლები“, მოთხრობა.

მოთხრობაში ლაპარაკი იყო ფიზკულტურის მასწავლებელზე, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი საქმე და თავისი მოსწავლეები, მაგრამ პირად ცხოვრებაში არც ისე ბედნიერი იყო. ზოგიერთი მასწავლებლები მას ცხვირაბზუებით, ზემოდან უყურებდნენ. იყო ერთი მეთექვსმეტი გოგონა, რომელსაც შეუყვარდა ეს მარტოხელა, თავისზე ხნიერი ადამიანი. ერთ საღამოს მასწავლებელი აცილებდა იმ გოგონას სახლში, მათ თვალი შეასწრო სასწავლო ნაწილის გამგემ, ხანში შესულმა შინა-

ბერა ქალმა და „ფიზკულტურელს“ ახსნა-განმარტება მოსთხოვა. შეწუხებულმა ფიზკულტურის მასწავლებელმა ესღა უთხრა: „მეცოდებით, ვარვარა პეტროვნა, და ცოტა მრცხვენია კიდევ თქვენს მაგივრად“.

მოთხრობის პირველი ნაწილი თავდებოდა იმით, რომ მასწავლებელი ტოვებდა სკოლას და გადადიოდა სხვა ქალაქში.

როცა ბახმანს შეეხვდი, პითხრა, მასწავლებლის სახე თითქმის ნატურიდან გადმოვიღე, ეს ჩემი სკოლის მასწავლებელი იყო. მკითხა, ღირს თუ არა გავაგრძელო, აღარ ვიცი შემდეგ რა მოუვიდაო.

— მე მინდა, რომ ეს გოგონა წავიდეს მასთან, რომ ის კარგად მოეწყოს ახალ ადგილას, რომ ისეთი ხალხი აღარ შეხვდეს, როგორიც ის სასწავლო ნაწილის გამგე იყო.

— კი, მაგრამ ეს ხომ არ მომხდარა... გამოვიგონო?

ის დიდხანს ყოყმანობდა — გამოეგონა თუ არა, მაგრამ მოთხრობის გაგრძელება აღარ დასცალდა.

ერთ კვირა დღეს „ლოკომოტივის“ დარბაზში წვრთნა უნდა დაწყებულიყო. მაგრამ მანამდე, ჩვეულებად ჰქონდათ, ერთი-ორი „ელვისებური“ პარტია წაეთამაშათ ხოლმე შაშში ძია კოსტიასთან, ცალხელა და ცალფეხა დარაჯთან.

ძია კოსტია პირველი მსოფლიო ომის ინვალიდი და შაშის თავგამოდებული თვითნასწავლი მოთამაშე იყო. ტურნირები ეჯავრებოდა, ნერვები არ მყოფნისო. ისე კი მსუბუქი პარტიები თავდავიწყებამდე უყვარდა. უძლიერეს მოთამაშეებთანაც კი იშვიათად აგებდა. მან ერთბაშად შვიდიოდე მოთამაშეს მოუგო, მათ შორის მე და ბახმანსაც, მერე აიღო ყავარჯენი და ლუდის ჯიხურისკენ გაემართა — პირს გავისველებო. ნახევარ საათში დაბრუნდა სრულიად ფხიზელი და შემფოთებული.

— არაფერი გაგიგონიათ? ამბობენ ისევ დაიწყო ის ოხერ-რიო...

— რა, რა ოხერი დაიწყო? — ჰკითხა დაბნეულმა ბახმანმა თან სვლაზე ფიქრობდა.

— რა და ომი, — თქვა ძია კოსტიამ და შეივინა ისე, როგორც შეუძლია შეივინოს კაცმა, რომელმაც კარგად იცის რა იმალება ამ სიტყვის უკან.

* * *

ბახმან ღუსტარი ერთ-ერთი პირველი წავიდა ფრონტზე მენაღმედ.

იგი წავიდა წინა ხაზზე მაშინ, როცა მისი პროფესიის ადამიანებს მითითება ეძლეოდათ ჩაეწყოთ და არა გაეუვნებლებინათ ნაღმები. მენაღმეს, ისევე როგორც მეკარეს, უფლება არა აქვს, შეცდეს: მის შეცდომას ველარავინ გამოასწორებს.

არ ვიცი, სად და როდის შეცდა იგი პირველად და უკანასკნელად. ვიცი მხოლოდ ის, რომ ცნობა მისი დაღუპვის შესახებ „ლოკომოტივის“ დარბაზში შურიკ პოსტოენკომ შემოიტანა. შურა დაბალი, ჩასხმული ფრენბურთელი იყო, თვალები ცრემლებით ავსებოდა. რა ვიცოდით მაშინ, რომ სულ მალე ახლა შურას დაღუპვის ცნობას მოგვიტანდნენ.

მალე კავა ღუსტარიც ომში წავიდა.

* * *

კარგა ხანია აღარ გვინახა ერთმანეთი. ერთხელ, ეს იყო ორმოცდათორმეტში, იგი შემხვდა შავი ზღვისკენ მიმავალ მატა-

რებელში. მეზობელ კუბეში ვიღაც მღეროდა ხმადაბალი ტენორით. ხმა მეცნო. კარი ღრიჭედ იყო დატოვებული. შევიხედე შიგ და კავა შემრჩა ხელში. მაგიდაზე კონიაკის ნაკლული ბოთლი იდგა. კუბეში კიდეც სამი უცნობი მამაკაცი და ერთი ქალი იჯდა. კავა მღეროდა. მე კარებში ჩავდექი. მან რამდენჯერმე მოიხედა ჩემსკენ, მაგრამ ეტყობა, ვერ მიცნო. ის კი არა, მეც ძლივს ვიცანი. თმები შევერცხლოდა, მზერაც რაღაცნაირად უცხო ჰქონდა. მან ერთხელ კიდეც მოიხედა ჩემსკენ და მივხვდი, რომ ჩემს წინ ბრმა კაცი იყო. დავაცალე, სანამ სიმღერას დაამთავრებდა და გვერდზე მივუჯექი. მან მოძებნა თავისი ჭიქა, დაასხა კონიაკი, მომაწოდა და მითხრა: „აჰა, დალიე და ნურაფერს მეტყვი“. დავლიე. მან გამაცნო თავისი მეუღლე ტაისია. მითხრა, კიდეც ერთ ოპერაციაზე მივდივარ ცნობილ ქირურგთან, თუმცა დიდი იმედი არა მაქვსო.

სად დაკარგა მხედველობა, არ უთქვამს, არც მე მიკითხავს, ისედაც მივხვდი. მან მიაჩნო, რომ უკვე ორი ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ბევრი ვერაფერი ეშველა. მინდოდა მენუგეშებინა რითიმე, მაგრამ ყელში თითქოს რაღაც მქონდა გაჩხერილი და სიტყვის თქმას მიშლიდა. უცებ მე მომავონდა მეზღვაურთა სახლი ბაქოში, ნოკდაუნში მყოფი კავა, რეფერის ხელი, ქანქარასავით რომ ირხეოდა მის თავთან, და ბახმანის სიტყვები: „ახლავე ადგეზაო“. უფროს ძმას ყოველთვის სჯეროდა მისი.

კავამ მითხრა, საგასტროლო ბიუროში ვმუშაობ, რუსულ და აზერბაიჯანულ სიმღერებს ვასრულებ, მუსიკის თხზვასაც ვცდილობ, მაგრამ თვითონვე ვგრძნობ, ჯერჯერობით ხეირიანი არაფერი გამომდისო. თანამგზავრებმა კონიაკის ახალი ბოთლი ამოიღეს და კავასაც დაუხსხეს, მაგრამ მეუღლემ ხელზე ხელი

დაადო და უთხრა: „გეყოფა, ძვირფასო“. მე უნებლიეთ შევხედე მას, თვალი შევასწარი მის მზერას და მივხვდი, რა იყო კავასთვის ეს ქალი.

— ჰო, მეტი აღარ მინდა, — უთხრა კავამ და მორცხვად გაიღიმა, სწორედ ისე, როგორც მისი ძმა ილიმებოდა ხოლმე ოდესღაც.

ღილით დერეფანში გამოვედი. ღია ფანჯარასთან საუბარში ვუთხარი, მესამე ოპერაციამაც რომ არ გიშველოს, იმედს მაინც ნუ დაკარგავ, — ამბობენ, ადამიანში ბევრი რეზერვია, რომელიც ეხმარება მძიმე წუთებში.

— მაგრამ მე ხომ წუთები კი არა, წლები მჭირდება...

— ჰოდა, მეც სწორედ ამიტომ გეუბნები ამას.

საღამოთი ჩვენ კვლავ დავშორდით ერთმანეთს.
და კვლავ დიდი ხნით.

* * *

1969 წლის დასაწყისში კავას წერილი მივიღე. სქელი, დიდი კონვერტი მომივიდა. გავხსენი და რას ვხედავ — ნოტებია!

— „არ გაგიკვირდეს, — მწერდა კავა, — ეს „ჰოკეის მოწოდების ნიშანია“. თავის სიცოცხლეში არ უნახავს ჰოკეი (მისი თამაში ომის შემდეგ დაიწყეს), მხოლოდ რადიოთი მოუსმენია. და აი, შეუყვარდა და გადაწყვიტა დაეწერა მისი „მოწოდება“... ერთიც ვნახოთ და გამოდგეს გაზეთში დასაბეჭდად.

ოპერაციებმა ვერ მიშველეს. მარცხენა თვალით სრულიად ვერაფერს ვხედავ, მარჯვენაში — პროთეზი მაქვს, მაგრამ სულით არ ვეცემი.

ვწერ მუსიკას. ბაქოში ჩემი სიმღერების ორი კრებული

გამოვიდა, მალე გამოვა მესამეც — სიმღერები ქალაქებზე. თუ მოგეწონებათ „მოწოდებანი“, მომწერე.

მაგრამ „მოწოდებებზე“ მისწერა კაცმა, რომელსაც ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა მათი შეფასებისა. და მისწერა არა კერძო წერილში.

მალე დუსტარის მელოდია გამოაქვეყნა „სოვეტსკი სპორტმა“. ნოტების გვერდით კომპოზიტორ იან ფრენკელის მინაწერში ნათქვამი იყო: „არა ერთხელ მიფიქრია, განა სამართლიანობაა, რომ აქამდე არ შეგვიქმნია ჰოკეის „მოწოდებანი“, რომელიც ისევე ააძგერებდა ჩვენს გულებს, როგორც ფეხბურთის ბლანტერისეული „მოწოდებანი“? განა არ იმსახურებს თავის მუსიკალურ ემბლემას თამაში, რომელიც ასე პატივშია ჩვენს ქვეყანაში?“

ეს მელოდია რომ მაჩვენეს, გავიფიქრე: აი, სამხრეთელ კაცს დაუწერია ჩრდილოურ თამაშზე. საინტერესოა! ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, როგორ იმკვიდრებს ადგილს მზის ქვეშ ეს ზამთრის თამაში.

დავუკარი მელოდია და ავტორისადმი ინტერესი გამიცხოველდა.

მერე, როცა შევიტყვე, როგორ კაცს დაუწერია ეს მელოდია, მისდამი ღრმა პატივისცემითა და სიმპატიით გავიმსჯეალე.

...კავა დუსტარს დაუწერია სიმღერები მოსკოვზე, ბაქოზე. თბილისზე, კასპიანზე, ძლიერი სულის ადამიანებზე. ისინი სასიმღეროა, ლირიული და ვაჟკაცური.

და რა გასაკვირია, რომ სპორტსმენი სპორტზეც წერს. მის ერთ-ერთ ბოლო კრებულში საფეხბურთო ვალსია შეტანილი.

და აი, ახლა ეს ჰოკეის „მოწოდებანი“ გამოჩნდა. ის მე

თავიდანვე მომეწონა, მაგრამ მესამეჯერ რომ დავუკარი, გაცი-
ლებით უფრო კარგი მეჩვენა: ჟღერს თამამად და მომწოდებ-
ლად, მაგრამ, რაც მთავარია, მასში ჩანს, თუ შეიძლება ასე ით-
ქვას, „ჰოკეის განწყობილება“.

მინდა მჯეროდეს, რომ ეს მელოდია მოეწონებათ ჰოკეის
მოყვარულებს, რომ იგი მიიპყრობს სპორტული რადიოჟურ-
ნალისტების ყურადღებას და ისინიც გზას მისცემენ მას ეთე-
რში.

კავა დუსტარს კი ვუსურვებ ახალი სიმღერების შექმნას.
მჯერა მისი სპორტული ვაჟკაცობისა.“

კავა დუსტარს მუსიკალური ნიჭი გვიან გამოაჩნდა. სწო-
რედ მაშინ, როცა მან ბევრი გამოსცა და გადაიტანა. მას ჰქო-
ნდა სათქმელი სხვებისთვის და უფლება ჰქონდა თქმისა.

ამისთვის მუსიკის ენა აირჩია.

ამ ცოტა ხნის წინ კავას კულტურის მინისტრმა პიანინო
აჩუქა. მინისტრი ცნობილი კომპოზიტორია რესპუბლიკის ფა-
რგლებს გარეთაც. თვითონაც წერს სიმღერებს და იცის, რას
ნიშნავს ყოველი ახალი სიმღერა და რა ფასი აქვს მას. პიანინო
იყო ჯილდო სიმღერების ერთ-ერთი პირველი კრებულისათვის.
გაზეთი „ნა სტრაჟე“ კავა დუსტარზე წერდა:

„სახლში ათი მეტრძოლი იყო. ახლა ეს ათეული ყოველ სა-
ათში დნებოდა. ტყვიით თავგახვრეტილი სოკოლოვი კედელს
დაეჯახა და დაეცა, ის და კავა უკვე დამეგობრებულიყვნენ. მა-
რჯვენა მხარეს ვილაცამ დაიკვნესა და ჩაჩუმდა. დადუმდა
ტყვიამფრქვევიც... მხოლოდ ოცმეთაური განაგრძობდა გაშმა-
გებით სროლას ფანჯრიდან, მაგრამ მალე მისი სროლის ხმაც
მიყუჩდა. ზურგს უკან კავას მძიმე ქმენა და ვილაცის შეძახება
შემოესმა:

— მორჩა ვათავდა ვაზნები... უნდა ვნახო იქნებ რომელიმე მოკლულს დარჩა...

კავამ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო. უეცრად იელვა მერე ბათქი გაისმა და ყველაფერი უფსკრულში ჩაიძირა.

გონს მხოლოდ ვოლგის გადაღმა მოვიდა, მაგრამ უსიხარულო იყო გამოფხიზლებაც...

ეს მოხდა სტალინგრადთან, ორმოცდაორში...

ბაქოში კავას სანახავად ჩამოვედი. მოვეძებნე სახლი უზეირ ჰაჯიბეკოვის ქუჩაზე, სადაც არაერთხელ ვყოფილვარ.

შევედი ეზოში, სადღაც, მაღლა, პიანინოზე უკრავდა ვიღაც.

მერე კავას ხმაც მომესმა.

მივხვდი, რომ ის ახალ სიმღერაზე მუშაობდა.

იმ დღეს მისთვის ხელი არ შემიშლია.

ორჯერ დაბადებული

ომამდე ის იყო კარგი მორბენალი, უყვარდა გრძელი დისტანციები და გადარბენები, მიღებული ჰქონდა სიგელები და საპატიო ნიშნები.

თბილისის სამხედრო სასწავლებლის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენად ითვლებოდა. სიგელები გაყვითლდა, ომამდელი მელანი გაუფერულდა, მაგრამ საპატიო ნიშნები ისევ ისეთია. იგი მას ინახავს კოლოფში ორდენებთან ერთად.

რაჭომ? ისინი რომ არ ყოფილიყო, არც ორდენები იქნებოდა და შინ მოსული ცნობაც „სტალინგრადთან დაიღუპაო“ მართალი გამოდგებოდა.

იმას, რაც მან გადაიტანა ორი კი არა, სამი სიცოცხლე დასჭირდებოდა ადამიანისა.

1942 წლის 5 ნოემბერს გაზეთმა „კომსომოლსკაის ბრავდამ“ გამოაქვეყნა ფრონტული კორესპონდენცია — „სიმაღლე 115,4“. მასში მოთხრობილი იყო, როგორ დაეცა, მაგრამ მტერს არ დანებდა, საბჭოთა ადამიანების პატარა ჯგუფი, რომელიც ერთ უსახელო მაღლობს იცავდა სტალინგრადთან.

„ამ ახალგაზრდა გმირების ამბავი ყველამ იცის ჩვენს ნაწილში. დაე ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა ახალგაზრდამ იცოდეს მათ შესახებ“, — წერდა „კომსომოლსკის“ სამხედრო კორესპონდენტი.

„მტერმა უკან დაიხია, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ იგი არ შეუთრეფებოდა მოხერხებული საზღვრის დაკარგვას. ეს იცოდა ყველამ და მათ შორის იმ თერთმეტმა კაცმაც, რომლებიც გორაკზე გამაგრდნენ. მათ მეთაურობდა კომკავშირელი ლეიტენანტი მიხეილ კაბრიბოვი, წარმოშობით ბაქოელი. ის იყო მაღალი, მოყვანილი შავთვალა ვაჟკაცი.

ჯერ კიდევ არ შეშრობოდა წელანდელი შეტევის ოფლი.

— მოემზადეთ — გაისმა მოკლე ბრძანება. ისინი მზად იყვნენ. უფრო მაგრად ჩაბლუჯა ტყვიამფრქვევის სახელურები ბაბაიარ გაიაროვმა, ახალგაზრდა ყაზახმა, ფიცხმა და გაბედულმა მებრძოლმა. გერმანელები ნელა გამოვიდნენ ბორცვებს იქიდან.

-- დასცხე — დაიყვირა კაბრიბოვმა. ერთიანმა ზალბმა მოცელა გერმანელთა წინა რიგები.

კირქვიანი ბორცვები კვამლში გაეხვია, ასობით, ათასობით მტრის ტყვია ზუზუნითა და წივილით სერავს ჰაერს. გერმანელები კვლავ მოიწევენ. კაკანებს კაბრიბოვის ავტომატი. წითლად ვარვარებს ბაბაიარის ავტომატის ლულა.

უკვე მთელი საათია გრძელდება თავგანწირული ბრძოლა. და უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. გახურებული ბრძოლის დროს სიჩუმე ყოველთვის ავისძომასწავებელი გეჩვენება. ვაჟნები გათავდა. გერმანელებიც ჩაჩუმდნენ. ეტყობა, გაუკვირდათ. მერე მიხვდნენ და აღრიადდნენ: „რუს, სტაფაის!“

— ხიშტები!

მიხეილ კაბრიბოვი თავქვე დაეშვა და მწვანე მუნდირებში შეერია. ათივე უკან მიჰყვა თავის ლეიტენანტს.

მიხეილ კაბრიბოვისა და მისი მებრძოლი ამხანაგების სახელებს სიკვდილამდე არ დავივიწყებთ. ის გორაკი კი მომავალ თაობებს გადასცემს სამამულო ომის გამირთა დიდებასა და უკვდავებას!“

მაგრამ რა იყო მანამდე?

მანამდე ჩვენ გვიბრძანეს ამ წყეული გორაკის აღება. — გვიამბო მოგვიანებით მიშამ. — მასზე განლაგებული იყო ოთხსათოფურიანი საცეცხლე წერტილი. ჩემი ოცეული იდგა იქვე ახლოს, წარაფში. ოცეულში ორმოცი სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა ირიცხებოდა. ახლა კი ისინი ბრძოლაში უნდა ჩამება. არც კი დასცლიათ წესიერად ესწავლათ ხოხვა, ხელჩართული და ის, თუ როგორ არ უნდა შინებოდათ ტყვისა. იყვნენ სრულიად უწვერულვამო, ღიმილის ბიჭები კავკასიიდან და შუა აზიიდან. ბრძანება რომ მივიღე, რაღაც ხომ უნდა მეთქვა ბიჭებისათვის, გამემხნევებინა ისინი. მაგრამ რა მეთქვა? მე ხომ ვიცოდი, რომ ვერც ერთი ვერ გადარჩებოდა ცოცხალი. ესლა მოვახერხე:

— ბიჭებო, უკან სტალინგრადია. თუ ჩვენ მტერი არ შევაჩერეთ, ის აიკლებს ჩვენს სახლებს.

გორაკამდე ოცდახუთმა მიაღწია. გორაკზე თვრამეტი ავიდა.



სილით დატენილი ზურგჩანთებით დაფარეს სათოფურები, იჭრნენ საცეცხლე წერტილები. იქ მხოლოდ რამდენიმე გერმანელი იყო. როცა ისინი მოვიშორეთ, თერთმეტნილა დავრჩით.

არ ვიცი რატომ, მაგრამ თორმეტი დღე გერმანელებს აღარ შევუწუხებდით. მერე კი მთელი ასეული მოგვისიეს. სანამ ხიშტებით იერიშზე გადავიდოდით, ჩემი მანარა დავახურე შიშველ დაჭრილ ქვეგანაყოფის მეთაურს. ჯიბეში შინიდან გამოგზავნილი წერილები და მისამართი მედო. მალე ალბათ, სიმაღლეს ისევ ჩვენები დაეპატრონენ. გაზეთშიც დაწერეს და შინაც გაგზავნეს ცნობა ბაქოში.

მიშა კაბრიბოვს ჰყავს ვაჟიშვილი, ხანლარი ჰქვია. როიალზე უკრავს. მშობლებსაც მოსწონთ და მეც.

ერთხელ კომპოზიტორი ნიაზი მოვიყვანე, იქნებ ბიჭს მართლაც ტალანტი აქვს-მეთქი. სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნიაზი სადირიყორო პულტთან ჩანს მკაცრი და მიუდგომელი, თორემ ცხოვრებაში შესანიშნავი, გულკეთილი კაცია. მაგრამ, რაც არ უნდა კარგ გუნებაზე ყოფილიყო ნიაზი, თავის აზრს „იმედისმომცემ“ ახალგაზრდაზე პირუთენელად გვეტყობდა.

ხანლარი ძველ აზერბაიჯანულ მელოდიას უკრავს.

მშობლები გასუტულები შეჰყურებენ.

მე კი მეორე ოთახში ვზივარ და ფრონტულ წერილებსა და გაზეთებს ვათვალიერებ. უცებ ჩვენი სახელგანთქმული ტრაქტორისტი ქალის პაშა ანგელინას სურათს ვბოულობ. უკან აწერია: „ჩემს ძმას მიხეილ კაბრიბოვს“.

... 1942 წლის 5 ნოემბრის განთიადს, როცა ზემოთ ხსენებულ „კომსომოლსკაია პრაედას“ დასაბეჭდად ხელს აწერდნენ, კაბრიბოვი შეხვდა ეკლიანი მავთულდობის შიგნით, კრასნოდონის მახლობელ ხუტორ პერელაზოვსკში. მოისვა ხელი გიმ-

ნასტურაზე და ხელში შემხმარი სისხლი მოხვდა. იქვე გვერდით მწოლიარე კაცს შეეხმინა, მაგრამ ყელიდან რაღაც ბუყბუყის მსგავსი ამოუვიდა.

უცნობმა ტუჩები გიმნასტურის კალთით მოსწმინდა, თავი წამოუწია და პირთან ჯამი მიუტანა, თან ხმადებლა გააფრთხილა:

— მხოლოდ პირში ჩაიგუბე, ჩაყლაპვა არ გააკეთო, ყელი გაჭრილი... სიტყვა აღარ დაუმთავრებია. მაშინდა მიხვდა კაბრიბოვი, საიდან მოდიოდა ეს ტკივილი და უგრძობლად გატარებული გრძელი საათები.

— იქ, ტყვედ ყოფნისას, კაბრიბოვი ცდილობდა დაემახსოვრებინა ყველა, ვინც თავისი მცირე ულუფიდან იკლებდა დაჭრილისათვის პურის ლუკმას და ერთ კოვზ წვნიანს. მას მამაპაპური მეთოდებით მკურნალობდნენ — უწამლოდ და უბრალოდ — სალდათური სინაზის საშუალებით.

დადგა დღე, როცა მიშამ დამოუკიდებლად გადადგა ნაბიჯი. ერთს მეორე მოჰყვა.

კაბრიბოვი გაიქცა ღამით, როცა ქარბუქი მძვინვარებდა და ყარაულებს ჯიხურისთვის შეეფარებინათ თავი: ასეთ ამინდში სულ ერთია ვერავენ გაიქცევაო.

კაბრიბოვი ალაღბედზე გარბოდა. შორს, შორს, რაც შეიძლება შორს აქედან, სანამ არ შეიტყობენ და განგაშს არ ატეხავენ. ქარბუქი, ერთი მხრივ, შველოდა—სწრაფად შლიდა ნაკვალევს, მაგრამ ხელსაც უშლიდა სიარულში, სულს უხშუთავდა.

სადღაც, შორს, ახალი საფრონტო გზები ელოდა ბაქოელს. მაგრამ ასე მადლიერებით არასოდეს. მოუგონია ისინი, ვინც მას შთაბერა ძალა და ჯანი, ვინც შეაყვარა სპორტი. ახლა სპორტი, რომელსაც იგი ერთგულად და პატიოსნად ემსახურებოდა, სამაგიერო ვალს უბრუნებდა თავის რჩეულს.

მიდიოდა ტყეებზე და ხევ-ხუვებზე. მიდიოდა სამი დღე-
ღამე. თვალები უჭრელდებოდა, ჯიბეში ედო გამხმარი და გაყი-
ნული პურის ყუა. მაგრამ გულში... გულში იმედის ჩატყობე-
ლი ნაპერწკალი უღვიოდა.

მეოთხე დღეს, ალიონზე, ისე შეეშინდა, გული კინაღამ ამო-
უვარდა ბუდიდან, ეგონა, ზეზე ველარ ადგებოდა. საშინელი
თავბრუ ეხვეოდა. ხელით ხეს მოეჭიდა, წამოდგა და გადადგა
ნაბიჯი წინ...

...ქედელს იქით ხანლარი უკრავს, თან ნახევარი ხმით სიმღე-
რას აყოლებს. სიმღერა ნაღვლიანია, გაჭიანურებული. ცოტა
მხიარული მაინც დაუკრას რამე. ნიაზის სახე სრულ გულ-
გრილობას გამოხატავს. მიმას კი მღელვარებისგან ლოყებზე
ალმური ასდის. არ უნდა, რომ მისმა შვილმა სირცხვილი ჭამოს.

სავსებით გასაგებია, დელავს კაცი. მე კი მეგონა, რომ მას
უკვე ველარაფერი აღელვებდა. რას იზამ, ასეთია ცხოვრება.
ზოგისთვის საბედნიეროდ, ზოგისთვის კი — საუბედუროდ.

* * *

ისევ ვათვალისწინებ სურათებს და გაზეთებს. ხელში მომ-
ხვდა გაზეთი, სადაც კაბრიბოვის სიტყვებია დაბეჭდილი:

— პირველ დღეებში იმედი და ბუნების მონიჭებული ძა-
ლა მაძლებინებდა. მაგრამ დანარჩენი ყველაზე მძიმე დღეები
გადამატანინა სპორტმა. იმ წუთს რომ არ ავმდგარიყავი, ვერა-
სოდეს ველარ ავდგებოდი. გამოდის, რომ სიცოცხლე სპორტმა
მაჩუქა.

ერთ დღეს გადაწყვიტა, ადამიანებთან მისულიყო. შევიდა
რომელიღაც სოფელში პირველსავე ქოხზე დააკაუნა. პოლი-

ციელებისთვისაც რომ დაეძახნათ, ვერსად გაიქცეოდა — ფეხები აღარ ემორჩილებოდნენ.

ზღურბლზე მოხუცი ქალი გამოეგება, შეშფოთებულად მოსულა და ლიერებდა მოსულს.

მხოლოდ ეს ჰკითხა:

— ვანიასგანა ხარ?

— არა, დედი, ვანიასგან არა ვარ. ბანაკიდან გამოვიქეცი. თუ მიბოვნეს...

ქალი შეშფოთდა, აფუსფუსდა:

— რაღას უდგეხარ, სიცივე შემოდის, კარი მჭიდროდ მოიხურე, თორემ... ხომ ხედავ, ყინავს და, თანაც სანდო როდია.

წინკარში ხმადაბლა აჩურჩულდა:

— შეილი დამეკარგა, ჩემი ბიჭი, ვანია. მეგონა, იმისი ამბავი მომიტანე. შენი ხნისა იქნება, ოცდაათს გადააბიჯე ალბათ, არა?

— არა, ახლახანს ოცისა გავხდი.

ასე იბოვა ბაქოელმა მებრძოლმა მშობლიური მხარიდან მოშორებით, დონბასის სოფელ სტარო-ბეშევოში მეორე დედა — პელაგია პეტრეს ასული ბორლოვა.

მალე შეიტყო მიხეილმა, რომ იგი ჩვენი ცნობილი ტრაქტორისტი ქალის პაშა ანგელინას დეიდას შეუფარებია. არ ეგონა, რომ მრავალი წლის შემდეგ ამ სახლში შეხვდებოდა პაშას, რომ ზეიმზე მთელი სოფელი მოიყრიდა თავს და ის, სუფრის თავში, ორი მოხუცი ქალის — ფარი-ხანუმისა და პელაგია პეტროვნას შუა ჩამჯდარი ორივეს ერთ სახელს — „დედას“ დაუძახებდა.

...კედელს იქით მუსიკა შეწყდა. მოისმა უცნობი ხმები, თურმე კაბრიბოვებს მთელი ეზო სტუმრებია. ამ სახლში, შჩორ-

სის ქუჩაზე, ისევე კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ, როგორც ბაქოს მრავალ ძველ ეზოში — აქ ყველა იცნობს ერთმანეთს, იზიარებს ჭირსა და ლხინს, ესმარებიან დასაჯიროში და თანაბრად იყოფენ ბედნიერ წუთებსაც. მეზობლები მიდიან ნიაზისთან, ძველებურად ორი ხელით ართმევენ ხელს და ეკითხებიან:

— როგორაა ჩვენი ხანლარის საქმე?

— მომისმინეთ, მოდით სამ ცვლად დავსხდეთ და ვუსმინოთ, — ხუმრობს ნიაზი.

— არა უშავს, ყველანი დავეტევით, პირველად ხომ არა ვართ, — პასუხობს რომელიღაც.

ალბათ კომპოზიტორს „ვერ მოაჩვენა თავი“ ახალგაზრდა კაბრიბოვმა, თორემ სიტყვას ბანზე არ ააგდებდა. თუმცა მე ვიცი მისი ხასიათი: არ უყვარს დედიკოებისა და მამიკოებისთვის მათ „ვუნდერკინდ“ შვილებზე ქათინაურების თქმა. მაღლობა ღმერთს, ათასნაირი მშობელი უნახავს თავის სიცოცხლეში!

მიშა კაბრიბოვს ცოტა გუნება წაუხდება, მაგრამ როდი შეიმჩნევს; რა იცის მან, რომ ერთი კვირის შემდეგ დარეკავს ნიაზი და ისე, სასხვათაშორისოდ ეტყვის:

— მისმინე, მგონი ამ ბიჭიდან რაღაც უნდა გამოვიდეს. კარგი იქნება, ცოტა უკეთ გავეცნო. შემოიაროს ჩემთან...
...სტუმრებიდან ვილაცა ძველი კავკასიური ჩვეულებისამებრ პირველად მშობლების სადღეგრძელოს წარმოთქვამს. პელოგია პეტროვნას სადღეგრძელოსაც...

ბორლოვას სახლში „საძინებელ ოთახად“ კაბრიბოვს საქათმე მიუჩინეს. იქ ყოფნა უფრო საიმედო იყო. ქალიშვილმა

მარიამ და მისმა ავადმყოფმა ქმარმა საქათმე ცოტა დაამგვანეს საცხოვრებელ ადგილს.

ერთხელ ბორლოვამ მიხეილს ამბავი მოუტანა, სოფელში კიდევ რამდენიმე გამოქცეული კაცია შეფარებულიო. მან სცადა დაკავშირებოდა მათ, მაგრამ ამის შემდეგ ბორლოვასთან სიარულს მოუხშირა მამასახლისმა. — იგი შორიდან დაიწყებდა ხოლმე საუბარს, უჩიოდა მძიმე ცხოვრებას, კითხულობდა „ჩვენი პაშასი“ რა ისმისო და თან თვალებს კედელ-ყურეში აცეცებდა.

— ამბობენ, ახალი მდგმური გაიჩინესო, ოჰ, პელაგია პეტროვნა, უბედურებას არას გადაეყარო ამ სიბერეში, — უთხრა ერთხელ.

— განა ახლა ვინმეს რამე დაეჯერება? — მშვიდად უპასუხა პელაგიამ, ვისაც რა უნდა, იმას ლაქლაქებს.

— მე კი გამიფრთხილებიხარ და შენ იცი.

რამდენიმე დღის შემდეგ კაბრიბოვი აღმოსავლეთისაკენ გაემშურა. თბილად ჩააცვ-დაახურეს, გამოუკრეს საგზალი და ერთი ბოთლი თვითნახადი არაყიც გაატანეს. ისიც მიდიოდა და მიდიოდა. ღამლამობით ჯერ ნაცნობი გზით, მერე და მერე კი ტყე-ტყე. სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა თავისიანებს. მან უკვე იცოდა, რომ მტერს კისერი მოსტეხეს სტალინგრადთან, იცოდა, რომ გაუძლო მოსკოვმა და გმირულად იბრძოდა ლენინგრადი. მარტო ის არ იცოდა, რომ სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, რომ დედამისმა კარგახანია შავი ხილაბანდი დაიხურა თავზე.

1943 წლის გვიან გაზაფხულზე კაბრიბოვმა ფრონტის ხაზი გადაჭრა. თავდაპირველად ბევრი არაფერი დაუჯერეს. გაგზავნეს სასწრაფო ცნობა კაბრიბოვის დასახელებულ ნაწილში. თუ-

მცა ცოტა დაიგვიანა პასუხმა, მაგრამ მასში იყო ისეთი რამ, რამაც გვარდიული დივიზიის გენერალს უფლება მისცა ლეიტენანტი ასეულის მეთაურად დაენიშნა.

მწკრივში ჩამდგარი ჯარისკაცების წინ მას საზეიმოდ გადასცეს ლენინის ორდენი. კაბრიბოვს სამუდამოდ დაამახსოვრდა „კომსომოლსკაია პრავდას“ სამხედრო კორესპონდენტი ივან დავიდოვი, რომელმაც ოდესღაც 115,4 სიმაღლის ამბავი დაწერა. კაბრიბოვს უამბებს რომ პატაკთან ერთად გაგზავნილი იქნა ამონაჭერი „კომსომოლსკაიადან“.

ფრონტი დასავლეთით მიიწევდა. კაბრიბოვის დივიზია კრასნოდონს უახლოვდებოდა. სადღაც აქვე იყო სტარო-ბეშევო. კაბრიბოვმა პოლკის უფროსს სთხოვა სტარო-ბეშევოს აღების ნება მომეციო. პოლკის უფროსმა გაოცებით ასწია წარბები, მაგრამ, როცა შეიტყო, რას ნიშნავდა ეს სოფელი მისთვის, ნება დართო.

თითქოს ბედმაც ასე ინება — ბაქოელის ასეული პირველი შეიჭრა სტარო-ბეშევოში. სოფელი აიღეს საარტილერიო ცეცხლის გამოუყენებლად, მამაცური და გადამწყვეტი თავდასხმის შედეგად. როცა გერმანელები განდევნეს, კაბრიბოვი პელაგია პეტროვნას სახლისკენ გაიქცა. ქალი თვალებს არ უჯერებდა, ეხვეოდა და ჰკოცნიდა მიშას, ის კი ქალს სიხარულის ცრემლებს სწმენდდა.

მან მთელი თავისი ფრონტული ულუფა დაუტოვა ბორლოვას, თუმცა ქალმა სასტიკად იუარა:

— არა, რას ამბობ, რად გვინდა ამდენი რამ, შენ კი წინ დიდი გზა გაქვს, გამოგადგებაო.

— რატომ გინდათ მაწყენინოთ? ეს თქვენს შვილიშვილებს, დედილო, გთხოვ, დაიტოვო.

ასეული ტოვებდა სოფელს. ბორლოვას პატარა შვილოშვილები — სვეტა და ლიდა ძლივს ეწეოდნენ ჯარისკაცებს, სოფლის ბოლომდე გააცილეს კაბრიბოვი. განშორებისას მან ხელში აიყვანა გოგონები და უთხრა:

— დაიხსომეთ, ლიდა და სვეტა, მე კიდევ მოვალ თქვენთან. გათავდება ომი და ჩემთან წაგიყვანთ, ბაქოში. მხოლოდ დამელოდეთ, კარგად ისწავლეთ და ბებიას მოეხმარეთ.

არიან ადამიანები, ბოროტებას რომ გულში ჩაიღებენ ხოლმე. რას იზამ ხანდახან ესეც საჭიროა. თუმცა ეს ადამიანები თავისთავად ცოდვებიც არიან. მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა სიკეთეს არ ივიწყებს. სადღაც, გულის სიღრმეში, სამაგიერო სიკეთის გადახდაზე ფიქრობენ და ემზადებიან ამისთვის. ხოლო, როცა დრო მოვა, ისინი ზედმეტი მანჭვისა და მყვირალა ფრაზების გარეშე ისეთ რამეს გააკეთებენ, ახლობლებიც კი გოცებულები რჩებიან ხოლმე: — აი, თურმე როგორი კაცი ყოფილაო!

ოფიცერი კაბრიბოვი მონაწილეობდა ყირიმის განთავისუფლებაში, დაიჭრა სევასტოპოლთან, სევასტოპოლისთვის ბრძოლაში სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს, მერე იბრძოდა ბალტიისპირეთში და თავი გამოიჩინა ბრძოლებში. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ახსოვდა თავისი მეორე დედა.

* * *

რამდენიმე წელი აღარ მენახა კაბრიბოვი. ერთხელ ბაქოს სადგურში მიშა ვნახე ვიღაც გოგონასთან, საუბარზე ეტყობოდა, უკრაინელი უნდა ყოფილიყო.

— ეს ლიდაა, პელაგია პეტროვნას შვილიშვილი... ამჟამად ბაქოელია. ბებიასთან მიდის სტუმრად. დიდი ხანი არ არის ბებიაც აქ იყო. გვინდა კიდეც დავბატიყოთ...

მიხეილ კაბრიბოვს არც ისე მცირერიცხოვანი ოჯახი ჰყავს, მაგრამ უკრაინელი გოგონები ლიდა და სვეტა ბაქოში ჩამოიყვანა. გოგონებმა ისწავლეს ბაქოში, დაეუფლნენ პროფესიას. მამასავით იზრუნა და გაუყვალა მათ გზა ძველმა ფრონტელმა. თვითონ ოდესღაც ომმა შეუშალა ხელი ტექნიკუმის უკანასკნელი კურსის დამთავრებაში. ორმოცდახუთის შემდეგ საჭირო იყო განსაკუთრებული გულმოდგინებითა და შეუპოვრობით ძველი მასალის გახსენება, დარჩენილი ხარვეზების შევსება, შეძენა იმ ახლისა, რასაც ადრევე შეიძენდა, ომი რომ არ ყოფილიყო. ახლა ის მალაზიის დირექტორია, სოციალისტური ვაჭრობის მოწინავე მუშაკი.

მიდის წლები... მიხეილს ექვსი შვილი და ხუთი შვილიშვილი ჰყავს უკვე. მის ოჯახში ორი პიანისტია, ორი მომავალი ექიმი, ორიც მოწაფე. უფროსი შვილი ხანლარი, ოდესღაც მოკრძალებით რომ უკრავდა გამოჩენილი კომპოზიტორის წინ, კარგი მუსიკოსი გახდა — აზერბაიჯანის რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრის პიანისტია.

ერთხელ ხანლარს უბედურება შეემთხვა, დაეცა და ხელი მოიტეხა. სპეციალისტები ეჭვობდნენ, ოდესმე თუ კიდეც დაუკრავდა იგი. მამამ იგი კურგანელ ექიმ-ჯადოქარ გაბრიელ აბრამის ძე ილიზაროვთან წაიყვანა, სწორედ იმ ილიზაროვთან, კატასტროფაში მოყოლილი ბრუმელი რომ დაუბრუნა სპორტს. როცა შევიტყვევ, როგორ განკურნეს ხანლარი და ის, თუ რა როლი შეასრულა ამ მკურნალობაში სპორტმა, ვიფიქრე: აი, ოჯახი, სადაც არ შეიძლება განსაკუთრებით არ უყვარდეთ

სპორტი: მამას მან სიცოცხლე აჩუქა, შვილს კი ჯანმრთელობა დაუბრუნა.

პროფესორმა ილიზაროვმა მკურნალობის თავისებულებას რსი დაუნიშნა ავადმყოფს, ურჩია, სად წასულიყო და რა წამლები ეხმარა.

სიაში პირველ რიგში მითითებული იყო: ჰანტელები, ესპანდრონი, გირები.

ხანლარი ჰყვება:

— მე გავემგზავრე ყირიმში, საკიში. როდესაც პალატაში თითებს მისწორებდნენ, საშინლად მტკიოდა, მაგრამ წარბი არ შემისრია, მაგონდებოდა მამაჩემი, რომელმაც მძიმე გზა გამოიარა და ვეუბნებოდი ჩემს თავს: მე კიდევ დავუკრავ! აუცილებლად დავუკრავ! ასანთის კოლოფის აღება და ონკანის მობრუნებაც კი არ შემემძლო, მსუბუქი გირის აღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაგრამ მე ვვარჯიშობდი ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში. ნიჭიერი, გულკეთილი და ალერსიანი ექიმები მეხმარებოდნენ და მამხნევებდნენ, მათ სწამდათ, რომ მე კვლავ მივუჯდებოდი როიალს. ყველაზე ძალიან მიჭირდა რგოლში ზონარის გაყრა და ლურსმნის ჩაჭედება. მაგრამ ნელ-ნელა მივეჩვიე. ჯერ სამკილოგრამიანი გირებით ვვარჯიშობდი, მერე და მერე კი უფრო მძიმე გირებსაც იოლად ვუმკლავდებოდი. ერთხელ მუსიკალურ სკოლაში წამიყვანეს და მითხრეს დამეკრა პიანინოზე. დამტოვეს მარტო. მე სულ მარტივი მელოდია დავუკარი, მაგრამ ძარღვები ამტკივდა. მაინც მივიყვანე ბოლომდე. გირები და ჰანტელები ახლა ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა. ისე ვუკრავ ორკესტრში, თითქოს ბუზიც არ ამფრენოდეს...



კიდევ რამდენიმე სიტყვა, რომელიც შეიძლება ეხმარება დადგენას „კომსომოლსკაია პრავდას“ ერთი კორესპონდენტის მიხედვით და მივაგენით კორესპონდენტის ავტორს სამხედრო კორესპონდენტს ივანე თევდორეს ძე დავიდოვს, რომელიც კაბრიზოვის გმირულ დაღუპვაზე წერდა. ამჟამად ის ცხოვრობს რიაზანის ოლქში, ისევ გაზეთში მუშაობს. მიხეილმა მისი წერილი მაჩვენა: „რამდენი რამ არის დამარხული მიხსიერებაში. ჩვენ ხომ იქ დავტოვეთ ჩვენი ყველაზე საუკეთესო წლები, ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა, მე პირადად არ ვნანობ ამას, რადგან ყველაფერი ავგინაზღაურა გამარჯვებამ! არასოდეს არ მიცხოვრია ისეთი შინაარსიანი და სისხლსავსე ცხოვრებით, როგორც იქ, ფრონტზე.“

კაბრიზოვმა დავიდოვს მისწერა თავისი ცხოვრების შესახებ მეორედ დაბადების შემდეგ, თავის საქმიანობაზე უკანასკნელ წლებში. სიმაღლე 115,4-ს, რომელზედაც ბრძოლები მოხდა, თერთმეტი გმირის სიმაღლე უწოდეს. მალე მასზე მონუმენტი აღიმართება. ყოფილი ოცმეთაური მიიწვიეს ვოლგოგრადის ოლქის კლეტსკის მუშათა დასახლებაში, შეხვდნენ, როგორც მეგობარსა და გმირს, მოინახულეს ბრძოლების ადგილი, აირჩიეს საპატიო მოქალაქედ.

ყოველ წელიწადს, შვეებულებას რომ აიღებს ხოლმე, მიხეილი გაიყოლებს რომელიმე ბავშვს და ვოლგოგრადში მიემგზავრება.

პელაგია პეტრეს ასული ბორლოვა დაჯილდოებულ იქნა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით „დიდი სამამულო ომის



წლებში მტრის ზურგში გამოჩენილი სიმამაცისთვის და ფაშის-
სტთა ტყვეობიდან გამოქცეული დაჭრილი საბჭოთა ოფიცრის
გადარჩენისთვის.“

ბორლოვას ერთი შვილიშვილი სვეტა ცოლად გაჰყვა მა-
იორს და დარჩა ბაქოში, მეორე კი სტარო-ბეშეგოში დაბრუნდა
ავადმყოფ დედასთან.

კაბრიბოვებთან ხშირად მოდის წერილები სხვადასხვა ქა-
ლაქებიდან. არ ივიწყებენ, ვისთვისაც ოდესღაც მეგობრული
ხელი გაუწვდია, არც თვითონ ივიწყებს, ვინც მძიმე წუთებში
მხარში ამოუდგა.

თ ა ვ ი III

მწვრთნელის ხვედრი

დარწმუნებული ვარ, დიდების მწვერვალზე ასვლას დიდი აღმართის ავლა სჭირდება. უდიდეს ბედნიერებას მაღალი განცდების გარეშე ვერ მიიღწევ. ამქვეყნად ყველაფერი გაწონასწორებულია, ყველაფერს გააჩნია თავისი საპირისპირო მხარე. ოკეანეში არის თერთმეტიათასმეტრიანი ღრმული, მაშასადამე, არის სადღაც ამავე სიმაღლის მწვერვალი — ჯომოლუნგმაზე მაღალი და საჭიროა მისი აღმოჩენა. არსებობს ყველაზე დაბალი ტემპერატურის რაიონი, მაშასადამე, არის რაიონი, სადაც ასევე მაღალი ტემპერატურაა.

ბუნებაში ყველაფერი გაწონასწორებულია.

დიდება მოდის დიდი განცდების შემდეგ. ჰოდა, რაღა განცდები უნდა ჰქონოდა დამსახურებულ ოსტატსა და სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, პოლკოვნიკსა და უმაღლესი ორდენების კავალერს, ანატოლი ტარასოვს — გუნდი, რომელსაც ის და არკადი ჩერნიშოვი წვრთნიან, რამდენჯერ გამხდარა მსოფლიოს ჩემპიონი!

ფეხბურთელები ერთხელაც რომ გახდნენ მსოფლიოს ჩემ-


პიონები, მათი მწვრთნელის სახელი საუკუნოდ უკვდავოფი-
ლი იქნებოდა. აქ კი ისე შეაჩვიეს მოყვარულები გამარჯვებებს,
რომ ვერცხლის მედლებიც საშინელ იმედგაცრუებად იქნება
აღქმული.

ტარასოვი მოგზაურობს მრავალ ქვეყანაში, წერს წიგნებს,
გამოდის ტელევიზიით. მის გუნდს ცსკას, სამამულო ჰოკეის
ფავორიტს, თუ ვინმესთვის დაუთმია ლიდერობა, ისიც მცირე
ხნით. უკვე ძნელია ჩამოთვალო, რამდენჯერ გახდნენ ისინი
საკავშირო ჩემპიონები.

მწვრთნელთა ერთი ნაწილი, ისინი, ვისაც თავისი თავისა
სჯერა, ცდილობენ მიბაძონ მას.

მეორე ნაწილს, ვისაც თავისი ძალებისა არა სჯერა, ან გა-
დაჩვიეს თავისი თავისადმი რწმენას, შურთ მისი. ის კი მწვრ-
თნელია, ნამდვილი მწვრთნელი და უკვე მარტო ეს მოწმობს
იმას, რომ არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს უღრუბლო
ცხოვრება.


საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ჩაატარეს გა-
მოკითხვა: „რა თვისება უნდა გააჩნდეს რეჟისორს?“ ერთმა
უპასუხა — „აღუშფოთველობა“, მეორემ — „მოსაზრებულო-
ბა“ და ა. შ. პირველი ადგილი მიეკუთვნა ავტორს პასუხისა
„ლომის გული“. ამ პასუხის ავტორს ტელეინტერვიუ ჩამოარ-
თვეს. მან განაცხადა: „მე არ ვიცი სხვა პროფესია, რომელიც
ასეთ დაძაბვას საჭიროებდეს. რეჟისორს, რომელსაც გული არ
უვარგა, შეუძლია მოამზადოს ერთი-ორი სპექტაკლი, მეტს
ვერ გაუძლებს. „საკმაოდ კატეგორიული განცხადებაა, მაგრამ
არის გაცილებით ძნელი პროფესია, რომელიც მოითხოვს ერთ-
დროულად აღუშფოთველობასაც, მოსაზრებულობასაც და და-



მატებით ამტანობასა და ნებისყოფის წრთობას. საუბარია, ჰოკეისტთა მწვრთნელზე.

შემსრულებელს, რომელსაც აყალიბებს მწვრთნელი, აქვს რაღაც საერთო იმ შემსრულებელთან, რომელსაც სცენაზე გამოსასვლელად ამზადებს რეჟისორი. სპორტსმენი მსახიობივითაა: რაც მეტი როლი აქვს შესრულებული, უფრო მტკიცედ გრძნობს თავს და მეტი უნარი აქვს მაყურებელზე ზემოქმედებისა. მაგრამ ეს არის და ეს, მსგავსებაც აქ მთავრდება. ყველა მოძრაობა და ინტონაცია მსახიობისა წინასწარდამუშავებული და არაერთგზის გამეორებულია რეჟისორთან ერთ-დ. მსახიობმა იცის, როგორ მოიქცევა მისი პარტნიორი, საით მიიხედავს, რას იტყვის — აქ შემსრულებელს მთელი დასა ეხმარება. ჰოკეის „სპექტაკლზე“ კი, სადაც ერთი ბეწო რკინის ნაჭრის გარშემო ყოველ წუთს გაცხარებული ორთაბრძოლა იმართება, კარგი ბიჭი ხარ და გამოიცანი, წინასწარ განჭვრიტე, ვის რა მოუვა აზრად. „წარმოდგენის“ სხვა მონაწილეები მხოლოდ იმას ფიქრობენ და ცდილობენ, ხელი შეგიშალონ და ნამსხვრევებად აქციონ შენი ჩანაფიქრი. ამიტომ კარგად უნდა იცნობდე ჯერ შენიანებს, მაგრამ არანაკლებ კარგად უნდა იცნობდე მოწინააღმდეგესაც, რათა ისე არ დაგეშართოს, როგორც მაშინ მოხდა ვენაში.

კანადელებს ეთამაშებოდნენ. მიმდინარეობდა უკანასკნელი და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მატჩი. ამ წუთამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა და ჩვენებს თითქმის ჩემპიონებად თვლიდნენ, მაგრამ უეცრად რაღაც შეიცვალა. ამბობდნენ, კანადელებს არა მარტო ჩვენი მოთამაშეების მატჩების ვიდეოჩანაწერები აქვთ, არამედ ყველა ჩვენი მოთამაშის ფსიქოლოგიური დახასიათებებიცო, როგორც ჩანს, ისინი უკეთ გვიცნობდ-



ნენ ვიდრე ჩვენ ვიცნობდით მათ. კანადელებმა პირველებმა გაიტანეს შაიბა და არ იყო ძალა, რომელიც მათ კარში საპასუხო გოლს გაიტანდა. ჩვენს გამოჯეკილ თავდამსხმელებს, რომელთა თავზე მგონი წისქვილის ქვაც კი დატრიალებულა, ველარ იცნობდით. ამოდ აწყდებოდნენ კანადელების კარს, რომელშიც გოლიათივით ჩამდგარიყო აულელებელი, საბრძოლველად შემართული სახენაიარევი დამცველი ბრეგერი. მატჩი მიჰყავდათ კანადელებს.

უნდა გენახათ ამ წუთებში ტარასოვი. ვინა თქვა, მწვრთნელს მშვიდი გული უნდა ჰქონდეს და უსიამოვნებას ისე ირეკლავდეს, როგორც შაიბას ბორტიო? სათქმელად ადვილია, მაგრამ თუ ბიჭი ხარ, მისდევ ამ დებულებას; როცა იქ, მოედანზე, შენები თითქმის ჩაფლავდნენ, თითქოს მოუჯადოებიათო.

აღზნებული ტარასოვი წინ და უკან დადის, ხანდახან წუთით სულისმოსათქმელად შეჩერდება ჰოკეისტების წინ. ხან ერთთან დაიხრება, ხან მეორესთან, ჩასჩურჩულებს რაღაცას. ჰოკეისტიც თავს უქნევს, მაგრამ ვინ იცის, გააგო კია, რა უთხრა მწვრთნელმა? მისი გონება ხომ იქ, მოედანზე ჰქროდა? ჩერნიშოვი ცდილობს, რაღაც ჩაიწეროს, მაგრამ ცოტა ხელი უკანკალებს (თუ მხოლოდ მე მეჩვენება ასე) და თავს ანებებს წერას. ჩვენებიც მიყუჩდნენ ტრიბუნაზე, დაიქანცნენ. სულერთია, ველარაფრით უშველიან.

ჩვენებმა თუ წააგეს, ყველაფერი მწვრთნელებს დაბრალდებათ. აქ ჰოკეი არაფერ უშაშია. ტარასოვი არ არის ნაჩვევი, თავისი დანაშაული სხვას გადააბრალოს. ამიტომ ამავე მოთხოვნს სხვებისგანაც. მისი „ჰოკეის ბიჭები“ (ხანდახან ის ნებას აძლევს თავის თავს ასე დაუძახოს ხოლმე თავის მოწაფეებს) უკეთილსინდისიერესი მუშაკები არიან. მაგრამ განა ვარ-



ჯიშებზე დახარჯულ ენერგიაშია საქმე? ჩანს მან, ერთ-ერთმა მწვრთნელმა, რაღაც ვერ გაითვალისწინა, სადღაც შეცდომა დაკრიპოწინა აღმდეგეს თამაშის სადავეები დაანება.

იმ წუთს ბევრი არ ინატრებდა მის ადგილას ყოფნას.

მაგრამ რაღას იზამს, უნდა შეინარჩუნოს სულის სიმხნევე ამ „ილბლიანმა მწვრთნელმა“, მან მარტომ უნდა გადაიტანოს დამარცხების ნაღველი, რომელსაც გუნდის თვრამეტი წევრი თანაბრად გაიყოფს. იგი თავის მეწყვილესაც კი ვერ გაუზიარებს ამ ნაღველს: ნაკრების უმრავლესობას ხომ მისი აღზრდილები შეადგენენ—მან იცის, ვინც იქნება დამნაშავე, კიდევ მეტი, იქით უნდა გაამხნევოს ყველაზე ახალგაზრდა და მგრძობიარე ჰოკეისტი. მას კი ვერავინ გაამხნევებს.

მაგრამ მატჩი ხომ ჯერ არ გათავებულა, წინაა შესვენება, შეიძლება ცოტა ამოისუნთქო, დამშვიდდე, გონი მოიკრიბო და მწვრთნელებსაც მოუსმინო. მათ კი იციან, რომ ახლა მრავალსიტყვაობის დრო არ არის. საჭიროა ცოტა თქვა, მაგრამ ისე თქვა, რომ... ერთი პედაგოგი წერდა, სიტყვა „ყოჩაღად“ ათნაირი ინტონაციით შეიძლება წარმოითქვასო. არა, ახლა ამ სიტყვის თქმა უადგილოა. გუნდში არ არიან მხდალები. აქ სულ სხვაა საჭირო, რაღაც ისეთი, რაც დაეხმარება გუნდს, ყოველ მოთამაშეს, გამოავლინოს მთელი შესაძლებლობანი.

რა უთხრეს მაშინ მწვრთნელებმა თავის გუნდს? სად მოძებნეს სიტყვა, რომელიც ოქროდ საღირალი აღმოჩნდა? რით დაეხმარნენ ჰოკეისტებს, ჩაექსოვათ თამაშში იმაზე მეტი, რაც თითოეულს შეეძლო. კანადელებს ჯერ სუნთქვამ უმტყუნა, მერე სიჩქარეს უკლეს, ბოლოს კი გამძლეობამაც უღალატა.

ანატოლი ფირსოვის გოლი — შაიბამ ნახევარწრე შემოხაზა მოედანზე და ბადეში გაეხვია. მეკარეს მოულოდნელობისაგან

ენა ჩაუვარდა, იფეთქეს ტრიბუნებმა — აღტაცების შეძახილები და ბოლშევიკი სტვენა ერთმანეთში აირია. ამას მოჰყვა გოლი ვიაჩესლავ სტარშინოვისა და ბორის მაიოროვის საერთო ავტორობით. კანადელთა მწვრთნელმა სიმწრისგან ხელები სახეზე აიფარა და დიდხანს ვერ შეძლო მოედნისკენ გაეხედა.

ხოლო როცა თამაში დამთავრდა, პოლკოვნიკმა ტარასოვმა, რომელიც აქამდე ვაჟაკურად იკავებდა თავს, ცრემლი ველარ შეიმაგრა. კიდევ კარგი ამ დროს მას ბევრი არავინ უყურებდა, რადგან მოედნის ცენტრში ფირსოვის ჰოკიჯოხას გულისთვის ხელჩართული ბრძოლა გაემართა ორ ავსტრალიელ მოქალაქეს. დარბაზიც ორ ბანაკად გაიყო და რითაც შეეძლო ეხმარებოდა მოჩხუბრებს.

ახლა კი ალბათ ბევრი შენატროდა ტარასოვს.

* * *

ახლოვდებოდა ზამთრის ოლიმპიური თამაშები გრენობლში. ჩვენს მოციგურავეებზე დიდ იმედებს არ ვამყარებდით. მათ უკვე მიგვაჩვიეს ბრწყინვალე წარმატებებს თავიანთ საციგურაო მოედანზე და „ბრწყინვალე“ ჩავარდნებს სხვის მოედანზე. მოთხილამურეებისგანაც არ მოველოდით „დიდ აღმოჩენებს“, იმედის თვალი ისევ ჰოკეისკენ გვექონდა მიპყრობილი.

— მე შეგონა, მოსკოვში ექვს-ნახევარი მილიონი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, გაცილებით მეტია, — ამბობდა ტარასოვი, როცა რჩევა-დარიგებებით აღსავსე წერილებს ათვალეირებდა. რაღას არ იწერებოდნენ — ვინ შეეყვანათ გუნდში, როგორ ეთამაშათ ჩეხოსლოვაკიის გუნდთან, შევდებთან, კანადელებთან. რჩევა-დარიგების პრეტენზია ჰქონდა მესა-

მე კლასის მოსწავლეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, გადამდგარ ოფიცერსა და დიასახლისსაც კი, რომელიც „კვლევი შკინას“ გვარს აწერდა — წადი და იმტვრიე თავი, ნამდვილი გვარია თუ „ჰოკეიზირებული“ ფსევდონიმი.

მწვრთნელმა გაიხსენა, როგორ არჩევდნენ ერთხელ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების კანდიდატებს: პირველი და მეორე ნაკრების მატჩის ასი ათას მაყურებელს დაურიგეს ფურცლები, რომლებზეც კანდიდატების გვარები იყო ჩამოწერილი. მათ უნდა დაესახლებინათ საუკეთესო ეროვნულ ნაკრებში შესაყვანად. მაგრამ ურნები რომ გახსნეს, მწვრთნელებმა თავში ხელები წაიშინეს: თითქმის ყველა პასუხი სხვადასხვანაირი იყო. ძველი ანდაზა — „ერთი თავი კარგია, მაგრამ ორი უკეთესია“ — ყოფნა-არყოფნის წინაშე აღმოჩნდა.

ათასგვარ რჩევას იძლეოდნენ მწვრთნელები, ყურნალისტები, ჩერნიშოვი და ტარასოვი თავაზიანად უსმენდნენ: „პასუხი ჩვენ უნდა ვაგოთ, ასე არ არის? მაშინ ნება გვიბოძეთ, ჩვენი აზრი ვიქონიოთ“.

მაგრამ აი, წავაგეთ ჩეხოსლოვაკიის გუნდთან. წავაგეთ პირველად მრავალი წლის მანძილზე, თან ოლიმპიადაზე, სადაც უიმისოდაც ცუდად გვქონდა საქმე. ოლიმპიადის დღეებში დაგროვილი მთელი განცდები, მთელი ბოღმა გამოიხატა ერთ ფრაზაში, რომელიც ტარასოვმა გაიგონა, როცა ჯერ კიდევ „გახურებული“ ყინულის სასახლიდან გამოდიოდა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ისღა დაგვრჩა, ჰოკეიშიც წავაგოთ და ყველაფერი რიგზე იქნება!

მწვრთნელებმა ღირსეულად გადაიტანეს ის მწარე დღეები, არავისთვის გადაუბრალებიათ დანაშაული. ჩატარდა ხანმოკლე ვარჯიშა და „მიზეზთა ძიება“.

ალბებში მოვიდა გაზეთები. ჩვენი დამარცხება ყურადღების ცენტრშია. ტარასოვი კითხულობდა და იგონებდა გამონათქვამს: „იგებს გუნდი, აგებს მწვრთნელი“. სპეციალური კორესპონდენტთა შორის მგრძობიარე ხალხიც აღმოჩნდა, მაგრამ მალე სულ სხვა ჰანგზე მოუხდათ ამღერება — ახალი ეპითეტების ძებნა დასჭირდათ მწვრთნელებისა და მოთამაშეების შესამკობად.

ისევ კანადელებთან მატჩი წყვეტდა ყველაფერს. მატჩი დაშვებული ფარდის უკან. მოგება ჩვენებს ჩემპიონობას ანიჭებდა.

შეიძლება გაიზომოს რაიმე საზომით იმ მატჩის დაძაბულობა? დიახ, შეიძლება.

ორი წუთის შემდეგ, რაც დამთავრდა ტელერეპორტაჟი ამ შეხვედრისა, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ენერგოსისტემის დატვირთვა თითქმის ორი მილიონი კილოვატით შემცირდა.

ჩვენებმა დაამარცხეს კანადელები.

მშობლიურ მხარეში ნათელი ღამე იყო.

ქვეყანა მშვიდი ძილისთვის ემზადებოდა. გრენობლშიც დიდი ხანია დაიძინეს. მხოლოდ საბჭოთა მწვრთნელების ნომერში გვიანობამდე ენთო სინათლე.

რაზე მსჯელობდნენ ისინი?

... 1969 წლის სტოკჰოლმის ჩემპიონატის შემდეგ კვლავ გახმაურდა „ილბლიანი მწვრთნელის“ ამბავი. ჩვენებმა წააგეს მთავარ მეტოქესთან და ისევ გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ.

გარეშე კაცი იფიქრებდა, თვითონაც ირწმუნა თავისი ილბლიანობაო.

არა, სულაც არ არის ცუდი, როცა ადამიანს სჯერა თავისი ძალისა და შესაძლებლობისა, მაშინ ის უფრო იმედით შეჭვავდება რებს ხვალინდელ დღესა და შეუძლია ზუსტად განსაზღვროს მომავალი. ის რა კაცია, ვინც წინ არ იხედება? მაგრამ განა ცოტაა მწვრთნელი და სპორტსმენი, ვისი გუშინდელი დღეც გაჭრილი ვაშლივითა ჰგავს დღევანდელს, კვირა — კვირას და წელი — წელს?.. მერე ცოტა უკვირთ კიდევ, როცა მიიღებენ პირველ გაფრთხილებას ისეთი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მსაჯულისაგან, რომელსაც „დროს“ ეძახიან, და გულწრფელად ბრაზობენ, საზოგადოებრიობას შესჩივიან, როცა ეს მსაჯული თხოვს — გზა დაუთმონ სხვებს, უფრო ღირსეულთ.

კარგია, როცა ადამიანს თავისი ძალებისა სჯერა. ეს მას ეხმარება ღირსეულად ატაროს პასუხისმგებლობის ტვირთი. ცხოვრება ხშირად აყენებს დიდ სპორტსმენსა და დიდ მწვრთნელს ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც ყველაზე შორსმჭვრეტელი გონებაც კი ვერ გაითვალისწინებს. და როცა ვერავის ჰკითხავ რჩევას. პასუხისთვის კი წუთებია მოცემული... მრავალი გადაწყვეტილებიდან ერთი უნდა აირჩიო... ყოველთვის სწორია, თუ არა ეს გადაწყვეტილება?

აი იმ, სამწუხაროდ, ცნობილი შაიბის ამბავიც, „სპარტაკისა“ და ცსკა-ს გუნდების მატჩის ბოლო პერიოდის უკანასკნელ წუთებში რომ გაიტანეს არმიელებმა. სწორად ეჭირა თავი იმ წუთებში მწვრთნელს? ხომ არ დაავიწყდა მას, რომ თამაშს თითქმის მთელი ქვეყანა უყურებდა. შეჩერებული იქნა მატჩი. ნახევარი საათის განმავლობაში ტელეკომენტატორები ხან მთისას უყვებოდნენ მაყურებელს და ხან ბარისას. ზოგი რამ ეხებოდა ჰოკეის და ზოგი არა.

მსაჯებმა თავისი გაიყვანეს. გოლი არ ჩათვალეს. არმიელე-

ბმა დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი. ქვეყნის ჩემპიონი გახდა „სპარტაკი“.

მალე ტარასოვს ჩამოართვეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

იმ დღეს ნაშუალამევს დაბრუნდა სახლში. მეგობრის უფლებით ვისარგებლე და, მიუხედავად იმისა, რომ გვიან იყო, დავურეკე:

აი რა მითხრა მან:

— იცი, რა გითხრა? მე არ შემძლია ვიყო სხვა ვინმე — გენერალიც კი. ჰოკეის მწვრთნელი ვარ და ესაა ჩემი ცხოვრება. ვცოცხლობ ჰოკეის მოედანზე და ამავე მოედანზე უნდა მოვკვდე. დღეს რაც ყველაზე ძვირფასი გამაჩნდა, ის დავკარგე... რას ვიზამ ამის შემდეგ, არ ვიცი.

ძალიან უმძიმდა „იღბლიან მწვრთნელს“ იმ დამეს. მას ხომ ყველაზე კარგად ესმოდა, რაც დაკარგა.

„...რაც უფრო მაღლა აფრინდები, მით უფრო მტკივნეულია დაცემა“. რამდენი ნაცნობი მყავს, ვინც ვერ შეძლო ამ ტკივილის გაყუჩება და უკანასკნელ დღეებამდე ჩრდილში დარჩა. მხოლოდ ვიწრო წრეში თუ გაიხსენებდნენ ხოლმე წარსულ დიდებას. ზოგიერთები ჩუმჩუმად სასმელს მიეძალნენ, ერთი მათგანი მოგონებების წერას შეუდგა. ეს ადამიანები რომ მახსენდებოდა, მტკიცე ბუნებისა და წრთობის ადამიანები, მეშინოდა, ვაითუ ასეთივე ბედი ელის-მეთქი ტარასოვსაც, ვაითუ მოტყდეს, დაეჭვდეს თავის თავში.

იგი ჰოსპიტალში დაწვა, მაგრამ ვერ გაუძლო. დროზე ადრე გამოვიდა. ორ ათეულამდე ახალგაზრდა ჰოკეისტს მოუყარა თავი და სანამ მისი მთავარი გუნდი ისვენებდა, ავარჯიშებდა ახალბედებს.

აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ზურგი შეაქციეს მწვრთნელს, მაგრამ ისეთები უფრო ბევრნი იყვნენ, ვიდრე მძიმე წუთებში მხარში ამოუდგა და მისი ჭირი გაიზიარა.

...შემოდგომაზე პოლიტექნიკურმა მუზეუმმა სპორტული წლის გამრები მიიწვია საღამოზე. მოწვეულთა შორის იყო სარკავშირის ნაკრების წევრი იგორ როაიშევსკი. მას იმაზე არ უღაპარაკნია, როგორ დაიბრუნა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონობა. მან თავის თანაგუნდელებზე მოუთხრო დამსწრეთ.

— მე ვფიქრობ, დამიჯერებთ, თუ გეტყვით, როგორ გვიძიდა „სპარტაკთან“ წაგების შემდეგ. მწვრთნელიც გვეცოდებოდა. ძნელი ღღეები იყო ჩვენთვის, მაგრამ თითოეულმა ვუთხარით ჩვენს თავს: აღდგომა და ხვალაო. ახალ ჩემპიონატსაც ხომ მოვესწრებით! პირადად მე ასე არასოდეს მივარჯიშნია. მწვრთნელსაც ვამხნევებდით როგორც შეგვეძლო. გვინდოდა, რომ იმედიანად ყოფილიყო.

იგორი ღელავდა, ყოველ შემთხვევაში, იგი ყინულის მოედანზე უფრო მშვიდი და თავშეკავებული ჩანდა ხოლმე. მისი სიტყვებიდან ცოტა უკეთ გაიგებდით, რა დაეხმარა არმიელებს დიდი ანგარიშით მოეგოთ ჩემპიონებისთვის ახალი სეზონის პირველსავე მატჩებში. ეს იყო ჭეშმარიტი სპორტული პასუხი ალაღბედზე ნაწვნივ დამარცხებაზე.

ცსკა ლიდერობდა საერთაშორისო ჩემპიონატში და თითქმის თორმეტი ქულით უსწრებდა უახლოეს კონკურენტს. გამოვიდა ტარასოვის ახალი წიგნი ჰოკეიზე. ორი დამსახურებული მწვრთნელი არკადი ჩერნიშოვი და ანატოლი ტარასოვი საბჭოთა კავშირის ნაკრებს ამზადებდნენ მსოფლიოს ახალი ჩემპიონატისთვის.

ჩერნიშოვი სხვებზე უკეთესად გრძნობდა, რომ დრო ყვე-

ლას თავის ადგილს მიუჩენდა. როცა მოქმედების დრო დადგა, მას ღირსეულად და თავისი ძალების შეგნებით ეჭირა თავი. ასე გაიცნო ორმა ძველმა მეგობარმა, რომლებმაც მთელი ცხოვრება ჰოკეის მიუძღვნეს, ერთმანეთი უკეთესად.

ასეთებს სპორტული ბედი იშვიათად თუ შეაქცევს ზურგს. მომავალმა მსოფლიო ჩემპიონატებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ეს.

* * *


ჰოკეი ყოველთვის როდი იყო ისეთი მკაცრი თამაში, როგორც ახლა, ჩვენს დროშია. უყურებ კინოში, როგორ თამაშობდნენ ასე ოციოდე წლის წინათ და ფიქრობ: რა ლაღად ცხოვრობდნენ თავდამსხმელები! შაიბით მიმავალი თავდამსხმელი რომ წაგექცია, სასჯელი გელოდა.

ჰოკეი გახდა უფრო მკაცრი, მოქნილი და მიმზიდველი. იგი კარგად გრძნობს საუკუნის მაჯისცემას და სინანულის გარეშე ეთხოვება წარსულის გადმონაშთ პირობითობებს.

ღიახ, ჰოკეი გახდა უფრო მკაცრი. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მკაცრი გახდა ურთიერთობა გუნდებში, ურთიერთობა მოთამაშეებსა და მწვრთნელებს შორის?

ტარასოვზე ამბობენ, მკაცრიაო. ამბობენ, უყვარს, როცა მოთამაშის ნებისყოფასა და აზრს იმორჩილებსო და თუ ჭინჭყლი და დაუმორჩილებელი ჰოკეისტი შეხვდა, გინდაც ნიჭიერი იყოს, ცდილობს თავიდან მოიშოროსო.

შეიძლება თუ არა ვენდოთ მითქმა-მოთქმას? შეიძლება თუ არა ჩვენს დროში შეკრა გუნდი სიმკაცრითა და უფლებამოსილებით?



ტარასოვს ხშირად გვიჩვენებენ ტელევიზორში. როცა ჩვენებს ბედი წყალობთ და საქმე კარგად მიდის, მწვრთნელს ისლა დარჩენია სხვებთან ერთად იმხიარულოს. ის კი მაინც დაკუმტულია. დადის თავისი უბის წიგნაკითა და მგონი ბურტყუნებს კიდეც.

მაგრამ თუ გუნდის საქმე ცუდად მიდის, მწვრთნელმა იცის, ვის დაჰკრას მხარზე ხელი, ვის გაუღიმოს, ვინ დაამშვიდოს და ვინ წააქეზოს. უნარი შესწევს თვრამეტი სხვადასხვა ხასიათი წარმართოს ერთი მიზნისკენ.

ტარასოვის, როგორც მწვრთნელის ჰუმბრატი ფასს მაშინ გავიგებთ, თუ მოვიგონებთ, რა მდგომარეობაში წავიდა და დაბრუნდა იგი არმიელთა გუნდში.

როცა 1970 წელს არმიელებმა მეთხუთმეტეჯერ მოიპოვეს ქვეყნის პირველობა, ტარასოვმა უთხრა თავის თავს: „მამ ასე მოვიდა განშორების დროს. ის არა სჯობია, ეს მოხდეს მაშინ, როცა გუნდი წესრიგშია და შენზე კარგ მოგონებას დატოვებ ხალხში!“

მან დაიკავა პოსტი ადამიანისა, რომელიც ხელმძღვანელობდა მთელ არმიელთა ჰოკეის, დაიწყო წიგნის წერა ჰოკეის მომავალზე და პარალელურად დისერტაციაზეც მუშაობდა.

დისერტაციის თემა იყო „საერთაშორისო კლასის ჰოკეისტების მოსამზადებელი საბჭოთა სკოლის საფუძვლები.“ ან განზოგადებული იყო ტარასოვის შრომები. განა მისი შრომის შედეგად არ დაიბადა და დავაჟაკდა სამამულო ჰოკეი? განა მის „კათედრაზე“ არ დამუშავდა თემები: „ოთხეულის აქტიური დაცვა“, „მოხეტიალე მცველი“, „წვრთნის ნაკადურ მეთოდი“?

მეცნიერებთან ერთად ოფიციალურ ოპონენტებს შორის

იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი არკადი ჩერნიშოვი. ამაზე უკვე ვთქვამთ თეს ოპონენტს ვერც იბოვიდა — ჩერნიშოვი ხომ დინამიკურად მწვრთნიდა — არმიელთა გუნდის მეტოქეებს! ასეთი ადამიანის ნათქვამ სიტყვებს — „ანატოლი ტარასოვის თავდადებული შრომის შედეგად ჩვენი ჰოკეი მოწინავე საერთაშორისო პოზიციებზე გავიდაო“ განსაკუთრებული წონა აქვს.

...ჩვეულებრივ, დაცვის წინ დისერტანტი ცდილობს ოპონენტის გული მოიგოს. ჩვენი დისერტანტიც ასე მოიქცა, მაგრამ სულ სხვანაირად, ტარასოვისებურად.

1970 — 71 წლის საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებამ დიდი წარმატება მოუტანა ჩერნიშოვის აღზრდილებს. არმიელებთან დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ დინამოელთა გუნდმა უფრო თამამად და გაბედულად დაიწყო თამაში და ლიდერთა რიგებში აღმოჩნდა. ტარასოვის მოქიშპეები იქედნურად ჩურჩულებდნენ: „იცოდა, როდის უნდა მიეტოვებინა გუნდი, იცოდა, რომ უკვე ვეღარ გასწევდნენ ძველებურად ჭაბანს“ — ახალ მწვრთნელს ყველაფერი რიგზე ვერ მისდიოდა.

ტარასოვი გულს არ იტეხდა და იცდიდა. მან უკვე თხუთმეტჯერ შთააგონა თავის თავს არ დაებრუნდებოო...

1970 წლის 18 ნოემბერს, დიდი წუწუნისა და ბუზღუნის შემდეგ თავის ბედისადმი, რომელიც მოსვენების საშუალებას არ აძლევდა, ტარასოვი დაუბრუნდა არმიელთა გუნდს. მეორედღეს ლიდერებს — დინამოელებს უნდა შეხვედროდნენ, რომელთაც ტარასოვის ოფიციალური ოპონენტი წვრთნიდა.

პირველი პერიოდი 2:1 ანგარიშით მოიგო ოპონენტის გუნდმა. არმიელთა გულშემატკივრები, რომლებიც უკვე შეეჩვი-

უნენ თავისი გუნდის დამარცხებებს, ფიქრობდნენ: „ახლა ტარასოვიც კი ველარას გახდებაო.“

მაგრამ დანარჩენ ორ პერიოდში არმიელებმა გაიტანეს. საინტერესოა, რით აღწევს ტარასოვი ასეთ შედეგს? გუნდმა შიგ ქოჩორში წაავლო ხელი მათგან ზურგშექცეულ ბელს, მოაბრუნა და აიძულა, გაეღიმა მათთვის, ჯერ ძალით, მერე კი გულიანად.

მე მგონია, ამაზე რომ ოდესმე დაეწერა ვისმე, სადოქტორო დისერტაცია გამოვიდოდა, რადგანაც ფარდას ახდიდა საიდუმლოებას ადამიანში დაფარული ხელუხლებელი რეზერვების შესახებ.

მოთამაშეებს სწამთ თავიანთი მწვრთნელისა. ისიც ამითვე პასუხობს. ენდობა ახალგაზრდებსა და ვეტერანებს, ენდობა არა მარტო ბედნიერ წუთებში, არანაკლებ ენდობა მძიმე წუთებშიც.

როდესაც 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, ტარასოვმა თქვა:

— მკაცრი, მძიმე ბრძოლა იყო. ამ ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში მრავალი ვეტერანი თამაშობდა. ჩვენ გვწამდა მათი, მათი უნარისა და შესაძლებლობებისა, მათი მორალური ძალისა.

ანატოლი ფირსოვმა თითქოს უპასუხა მას:

— მე საუკეთესო თავდამსხმელად მაღიარეს. ამისთვის პირველ რიგში ჩვენი მწვრთნელების მაღლობელი ვარ. ისინი მაიძულებდნენ მეკეთებინა ის, რის უნარიც ჩემი აზრით უკვე აღარ შემწევდა. მე ხომ უკვე ვემზადებოდი დამეტოვებინა ჰოკეი. მაღლობა მწვრთნელებს, მაღლობა!



ის თხემით ტერფამდე მოსკოველია. ეს იმას ნიშნავს, რომ იცის თავისი საქმე და დროის ზუსტად განაწილება. ახლა სტუდენტები და მოსკოვში დროს ნუ გაუფრთხილდები — ვერც კი შეამჩნევ, ისე გავიძვრება ხელიდან დღე, მთელი თვის მანძილზე კი შეიძლება მთელი კვირაც დაკარგო: გეშინოდეს, მწვრთნელო, დაკარგული დროისა — იმას ვეღარ დაეწევი!

მას დღე მკაცრად აქვს განაწილებული. ახლა, როცა დისერტაციაზე მუშაობა დამთავრებულია, ყოველდღიურ საზრუნავს ლიტერატურული საქმიანობა დაემატა. მისი წიგნები ჰოკეის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე მრავალათასიანი ტირაჟებით გამოდის. ტარასოვი სიტყვითაც ისევე ემსახურება ჰოკეის პოპულარიზაციას, როგორც საქმით. და ამას ჭკვიანად და ტაქტიანად აკეთებს. მე დაუფრთხილდი — მხატვრულადაც ასეთი ადამიანები ძალიან სჭირდება სპორტს.

მასთან საქმიანობა არასოდეს არ მოგწყინდებთ.

ეს მოსკოველია, ეს იმას ნიშნავს, რომ ზომიერად მკაცრია და ზომიერად გულკეთილი, ამასთან მომთმენიც არის და თან ყველასთან გულახდილი როდია. სიყვარულიც იცის და სიძულვილიც. შეუძლია შეურიგდეს ადამიანურ სისუსტეს, მაგრამ საქმის დალატს არასოდეს გააბტიებს. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით აზარტულ და სხარტ სპორტს ემსახურება, გუნდი ხელში უჭირავს და არ აძლევს უფლებას თუნდაც ყველაზე მძიმე სპორტული ბრძოლის დროსაც კი გამოიყენონ კრივისა და სამბოს ილეთები. მგონი მისი გუნდი პირველი არასოდეს იწყებს. ზოგიერთი მეტოქე, რომელიც კარგად არ იცნობს მის ჩვევას, ამ თვისებას ყოყმანს მიაწერს.

გავეცნოთ ანატოლი ტარასოვის ნარკვევს „უბის წიგნის

ორი გრაფა“, რომელშიც მოთხრობილია ამერიკელებთან მატჩის ამბავი საერთაშორისო ტურნირზე კოლორადო-სპრინგში.

ამერიკელები აგებდნენ 1:7-ზე პირველ პერიოდში და გადაწყვიტეს განსაკუთრებული ტაქტიკა გამოეყენებინათ. მოვეუსმინოთ ტარასოვს:

„ჩვენ ბევრი წაგვიკითხავს და გაგვიგონია ხელჩართულ ბრძოლებზე, რომლებიც მალიმალ იფეთქებს ხოლმე ოკეანის-გაღმელთა გუნდების მატჩებში. ჩვენთვის უცხოა ასეთი ჰოკეი. მაგრამ ყოველგვარ მოთმინებას აქვს საზღვარი. შეუძლებელია უღრტვინველად აიტანო გაუთავებელი დაჯახებები, სახეში ნიდაყვების ცემა, ჰოკიჯოხას ტრიალი ვანგებ „დაბრმავებული“ მსაჯების ცხვირწინ.

და აი, როცა ამერიკელი მაყურებლისთვის უკვე ნაცნობი მორიგი ინციდენტი წამოიჭრა — ორი ჰოკეისტი ჯოხებით მისცვივდა ჩვენს ბლოხინს, მე ნება მივეცი, „ხურდა დაებრუნებინათ“ მოწინააღმდეგისთვის. ორივე მხარეს სასწრაფოდ წამოეშველნენ ამხანაგები. შეტაკება, რომელშიც ორივე მხრიდან 8—8 კაცი მონაწილეობდა, გაგრძელდა ოთხ წუთზე მეტს და ისე დამთავრდა, რომ რვავე ამერიკელი ყინულზე ეგდო, ზემოდან კი ჩვენი ბიჭები ასხდნენ.


საინტერესო იყო მაყურებელთა რეაქცია: თავდაპირველად ისინი ხმაურით თანაუგრძნობდნენ და აქეზებდნენ თავისიანებს, მაგრამ მერე, როცა მდგომარეობა მათი თანამემამულეებისთვის არცთუ ისე სასარგებლოდ შეტრიალდა, როგორღაც მიყუჩდნენ და, როცა ყველაფერი დამთავრდა, მაყურებელმა ფეხზე ადგომით ოვაცია გაუმართა ჩვენს ჰოკეისტებს.

ამ გაკვეთილს ჩვენი მოწინააღმდეგისათვის უქმად არ ჩა-
უვლია. ნიუ-იორკში, ჩვენი ტურნეს უკანასკნელ მატჩში, ამე-
რიკელთა გუნდის კაპიტანი შეეცადა კვლავ წამოეწყო ჩხუბი.
მაგრამ ევგენი მიშაკოვს (რომელიც ავადმყოფობის გამო არ
თამაშობდა მინეაპოლისში) გადააწყდა და როცა საჭირო პა-
სუხი მიიღო, არც ერთმა თავის პარტნიორმა არ დაუჭირა
მხარი.“

...მე მგონია, რომ ამ ეპიზოდში საუკეთესოდ ვლინდება
მოსკოველის ხასიათი. თვით ამ ეპიზოდის გადმოცემის მანე-
რაშიც.

ზემოთ ვახსენე — ტარასოვს ადამიანური სისუსტის პა-
ტიება შეუძლია-მეთქი. ეს სუფთა მოსკოვეური თვისება სტუ-
დენტის მერხიდან თვალშისაცემი იყო მის ხასიათში. მაგრამ
ამის შესახებ ბევრმა ჰოკეის მოყვარულმა როდი იცის. ყვე-
ლა კი ვერ ხვდებოდა, რატომ მოექცა მწვრთნელი ასე მკაც-
რად თავის ნიჭიერ მოწაფეს — ჯერ ყველასთვის უცნობი
ჭაბუკი მსოფლიოს ჩემპიონად და სპორტის დამსახურებულ
ოსტატად აქცია მერე კი თავიდან მოიშორა, ვითომც აქ არა-
ფერიაო. მგონი კიცხავდნენ კიდეც გუნებაში — ამაზე კარგი
პედაგოგიური ხერხი ვერ იბოვა და გულგრილად მოიკვეთა კა-
ციო. მხოლოდ ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რამდენი მოთმინება
და გამძლეობა გამოავლინა მან, რომ სპორტისთვის შეენარ-
ჩუნებინა ეს ახალგაზრდა. მაგრამ, რაკი დარწმუნდა, რომ
ყოველი ცდა და იმედი ამაო იყო, მოიშორა თავიდან.

არა, მე არ ვაპირებ, ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი, ჩემი
აზრით, უნაკლო ადამიანად დაგიხატოთ. ხანდახან იგი (ისევ
ჩემი აზრით) ზედმეტად მკაცრია შეფასების დროსაც და მოქ-
მედებაშიც. ერთხელ ძალზე შევცბუნდი, როცა წინასაოლიმ-



პიადო ინტერვიუში ერთ მშვენიერ და პატიოსან ჰოკეისტზე, რომელიც მრავალი წელი ემსახურებოდა სპორტს, დაეწყო დადევნებით, სუსტები არ გავაჩეროთ გუნდში“.

ისტისათვის ნუთუ „სუსტის“ მეტი სიტყვა ვერ მოძებნა-მეთქი? თუმცა აქაც ტარასოვის ხელწერა ჩანს. მისთვის საქმე ყველაზე მაღლა დგას. მას ესმის თავისი პასუხისმგებლობის სიმძიმე და ემსახურება საქმეს. კი არ ვამართლებ ამით, უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავ.

საქმეში არც სხვებს ზოგავს და არც თავის თავს. ძალიან ახლო მიაქვს გულთან ყველაფერი. ამ გაგებით მას თავისმა პროფესიამ ბევრი ვერაფერი ასწავლა. დამარცხებას ნელა და მძიმედ გადახარშავს ხოლმე. მთელი ღამეები არ სძინავს. „თავის თავს გვემს“. ასეთი ხასიათი აქვს. მაგრამ პირველსავე წვრთნაზე... თეორეტიკოს-მწვრთნელებისგან განსხვავებით, თვითონვე გამოდის გუნდთან ერთად ყინულზე. დიახ, ციგურებით და ჰოკეიჯოხათი. კარგად ახსოვს, ვისი ბრალიც იყო წაგება და ცდილობს რაღაც „გამოუსწოროს“ ან „შეუცვალოს“ მას. ბევრი რამ შეუძლია აპატიოს მან დამნაშავეს — ცუდი გადაწყობა, უვარგისი ტყორცნა კარში, უაზროდ გაშვებული შაიბა. მაგრამ ერთ რამეს ვერ აპატიებს — ეს არის სულმოკლეობა, სიმბდალე. თუმცა მხდლები და სულმოკლენი არცა ჰყავს გუნდში. ჰოკეის ისინი არ სჭირდება. ყველა, ყველა, მაგრამ ღირსებასა და ვაჟკაცობას მისი ბიჭები ვერავის დაესესხებიან.

რაც ვინდათ თქვით, მაგრამ ტარასოვი ბედნიერი მწვრთნელია. არა იმიტომ, რომ მისი გუნდი კარგად თამაშობს, და უფრო ხშირად იგებს, ვიდრე აგებს. საქმე ისიცაა, როგორ ექცევიან თვითონ მას — მწვრთნელს განსაკუთრე-

ბით დამარცხების შემდეგ თავის კლუბში, რომელსაც იგი ამდენი წელია ემსახურება.

ჰოკეის კანონები, ისე როგორც ყველა სპორტული თანამშრომლისა, მკაცრია. ყველა მწვრთნელს როდი აქვს საშუალება იმუშაოს მშვიდ, კეთილსასურველ და ამხანაგურ გარემოში და რწმენით შეჰყურებდეს მომავალს. ამას ხომ ვერსად გაექცევი — მწვრთნელისგან თხოულობ მხოლოდ გამარჯვებას, ყველგან და ყოველგვარ გარემოებაში. ხომ არ ეწირება ხოლმე ხანდახან ამ წუთიერ გამარჯვებებს უფრო დიდი რამ — გუნდის ჭეშმარიტი ინტერესები. ძალიან ხშირად ერთი ქულის დაკარგვის შიში ბორკავს მწვრთნელს, არ აძლევს საშუალებას ეძიოს ახალი მანევრი, ან შეიყვანოს გუნდში ნიჭიერი, მაგრამ ნაკლებგამოცდილი მოთამაშე. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რამდენი კლუბი შეიცვალა ერთმა ჩვენმა ნაცნობმა მწვრთნელმა, რამდენი მეორემ, რამდენი მესამემ...

გამწვავებული და გამძაფრებული სპორტული ბრძოლა სპორტის მთელ ფრონტზე მოითხოვს სპორტსმენისა და მისი მწვრთნელისგან განსაკუთრებულ უნარსა და თვისებებს. ტარასოვი, რომლის თვალწინაც და რომლის უაქტიურესი მონაწილეობითაც ვითარდებოდა ჩვენი ჰოკეი, ერთ ძალზე მნიშვნელოვან უნარს ფლობს, რომელზეც ცალკე მინდოდა მესაუბრა.

ეს არის წინასწარხედვის ხელოვნება. იმ გზათა ძიება, რომლებითაც წავა ჰოკეის განვითარება მომავალში. განა ღირს იმის მტკიცება, რომ მკაფიო, სერიოზული, მეცნიერულად დასაბუთებული წარმოდგენის გარეშე სპორტზე, დღეს ვერც ერთი მწვრთნელი ვერ გაძლებს?

მე მგონია, რომ ჰოკეი ეხმარება ტარასოვს დაინახოს, რა

შორს შეიძლება მიდიოდეს ადამიანთა შესაძლებლობანი სპორტში, ბრძოლაში „ზღვარზე“ იგი აღმოაჩენს ხოლმე თავის აღსაზრდელებში ისეთ თვისებებს, რომლებზეც ადრე წარმოდგენაც არა ჰქონდა. მას ახარებს ყოველი ახალი აღმოჩენა და ესმის, რა ბევრია დამოკიდებული მასზე, მწვრთნელზე, რომ ასეთი აღმოჩენები უფრო მეტი და მეტი იყოს.

იგი ძალიან შორს იყურება წინ.

სწორედ ის ხელმძღვანელობს საკავშირო პიონერულ თამაშს „ოქროს შაიბა“. აი, უკვე ათი წლისაა ეს თამაში და ვინ მოთვლის, რამდენმა მილიონმა ბიჭუნამ გაიარა იგი და რამდენი ოსტატი მისცა მან ჩვენს დავაუკაცების გზაზე დამდგარ ჰოკეის!

სწორედ ტარასოვი ატარებს თავის ასისტენტებთან, არმიელთა გუნდის მოთამაშეებთან ერთად ყოველწლიურ კონკურსებს საბავშვო ჰოკეის სკოლაში. ჩაკირკიტებით არჩევს მათ თამაშებს. ბევრი ვერ უპასუხებს კითხვაზე — რატომ ასე იშვიათად ცდება ტარასოვი? თუ ზეგარდმო მადლია ეს მიხვედრის უნარი? რატომ აქვთ სხვა მწვრთნელებს ჩავარდნების დიდი პროცენტი? იმაში ხომ არ არის საიდუმლოება, რომ იგი უმაღლესი კლასის ოსტატია?

მან იცის, იმან, ვინც ჰოკეის ითამაშებს 5—10 წლის შემდეგ, უფრო უკეთ და სრულყოფილად უნდა ითამაშოს, დღეისთვის უჩვეულო სისწრაფით. ამიტომ ასწავლის ის მოწაფეებს სხვანაირად და არა ისე, როგორც ასწავლიდა, მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ. თვითონაც უფრო ბრძენი გახდა, სწამს, რომ ჰოკეი ისეთი თამაშია, რომლის სიბრძნესაც შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობდე და მაინც ვერ შეიცნო იგი.

მას სჯერა, დადგება დრო, როცა ყინულის მოედანზე ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა და ოკეანესიქითა პროფესიონალური გუნდები.

ამიტომ საჭიროა იცოდეთ მოწინააღმდეგის სუსტი ადგილები. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მის ძლიერ ადგილებსაც იცნობდე.

ერთხელ კიდევ დააკვირდა იგი პროფესიონალებს. და აი, რას ამბობს:

„პროფესიონალები უნარიანად, მთელი სხეულით იბრძვიან ჰოკეიჯოხათი შაიბის ადების დროს. შეტევის დასკვნით ფაზაში და დაცვისას პირდაპირ დაუნდობელნი ხდებიან. დასკვნით ფაზაში განსაკუთრებული სისწრაფე იმარჯვებს ანგარიშიანობაზე, ჰოკეისტები მოქმედებენ თავდავიწყებით, გაბედულად, მამაცურად. მეკარეებიც აქტიურად რეაგირებენ შექმნილ გარემოებაზე: მარჯვედ იჭერენ შაიბას პირით ბორტისკენ და კარგად ფლობენ მას. სწრაფად იცვლებიან თამაშის პროცესში მოწინააღმდეგის ჯარიმების დროს. მოთამაშეებს უნარი შესწევთ, ახლო ბრძოლაში არ მიაქციონ ყურადღება მოწინააღმდეგის დარტყმებს. საოცრად სიცოცხლისუნარიანები არიან (არ ვიცი, ეს ჩვევაა თუ კარგი ნებისყოფის ნიშანი), ძალზე მდიდარი საშუალებანი აქვთ ინდივიდუალური თამაშისათვის. განსაკუთრებით კარგად ახერხებენ შაიბის მიღებას, მის მოპოვებას მოწინააღმდეგესთან უახლოეს ბრძოლაში...

ყველაფერი ეს დადებით გრაფაში მოვათავსე. მეორე მხარეს სულ სხვა ხასიათის ცნობები ჩავინიშნე:

საოცრად სუსტად, დროდადრო კი ინერტულად დასრიანდებიან უშიშოდ ახლო ბრძოლაში, ძალიან ხშირად, სხეულით

კი არ იბრძვიან, არამედ ხელებით და ჰოკიჯოხათი, ე. ი. წესის დარღვევით, სამი მსაჯი კი თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევს. ჩვენ თვალწინაა: მოთამაშეთა უმაღლესი ტექნიკური მომზადება და... გუნდის ტაქტიკური პრიმიტივი. მცველები ნშირად არც კი ცდილობენ, მიეხმარონ შეტევას, „ადრე“ უხსნიან ზონას მოწინააღმდეგეს, სამაგიეროდ, დიდხანს ატრიალებენ შაიბას თავის ზონაში. არც თუ ისე დიდია სიჩქარეთა ჯამი ჰოკეისტების დროის ერთეულში...

მე არც ქედის მოხრას ვაპირებ პროფესიონალების წინაშე, არც მათი გაკრიტიკება მაქვს მიზნად. დაე, მათ თვითონ განსაჯონ თავიანთი ჰოკეი. ჩვენთვის მთავარი იყო, ობიექტურად „ჩაგვეხატა“ მათი თამაში, რათა გვცოდნოდა, რა უნდა გავაკეთოთ, თუ მათთან პირისპირ შეხვედრა დაგვჭირდება, რით გავანეიტრალოთ მათი ძლიერი მხარეები და გამოვიყენოთ სუსტი.

ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, არსებითი იყო ის, რომ პროფესიონალთა მატჩის ნახვის შემდეგ ბევრი რამის გარშემო დაფიქრების სურვილი გამიჩნდა, კერძოდ, ჰოკეის მინდვრის მაკეტზე დაფიქრებისაც; გარდა ამისა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების პრობლემებზე, ტაქტიკური იდეების დაპირისპირებაზე და სხვა. იმაზეც, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი საუკეთესო მოთამაშეები და გავანეიტრალოთ საუკეთესო მოთამაშეები მოწინააღმდეგის გუნდში.“

* * *


ხედავს ღმერთი — იაპონიის კუნძულ ხოკაიდოს მფარველი ვიწროშუბლა-გაუცინარი, რა ძნელია ჩვენს დროში სპორ-

ტული გამარჯვების მოპოვება, რა უმნიშვნელოდ მცირე სი-
დიდეები განასხვავებენ საპიროს ზამთრის ოლიმპიადის გა-
მარჯვებულებს მეორე და მესამე პრიზიორებისგან — ბალის
მეასედი, წამის მეასედი ნაწილები.

ღიას, ამ გაუცინარმა-ვიწროშუბლამ უნდა იცოდეს სპორ-
ტული ორთაბრძოლის ფასი. გადმოცემის თანახმად, განა მან
არ მოუგო სუმოში კუნძული ხოკაიდო სხვა ღმერთს, მოუგო
და აჩუქა თავის რჩეულთ — იაპონელებს.

სუმო — მოჭიდავეთა ორთაბრძოლაა პაწაწინა თიხის მოე-
დანზე. ვინ ვის გამოაგდებს წრიდან. იაპონელებს შესაშური
უნარი აქვთ სულ უბრალო მოვლენებს მისცენ საზეიმო ხასია-
თი — ჩაის სმა იქნება, ნაცნობთან შეხვედრა თუ სუმოში შე-
ჯიბრება. ყველაფერ ამას წინ უძღვის აუჩქარებელი რიტუალი:
ასისტენტების გამოსვლა, მსაჯების გამოსვლა, მებრძოლთა
გამოსვლა. მერე სულების განდევნა... მოჭიდავე ცალ მუხლს
მოღუნავს, მასზე ხელით დაეყრდნობა და რაც ძალი და ღონე
აქვს, ურტყამს ფეხს მოედანს, რათა ბოროტი სული განდევ-
ნოს. მერე ამავე მიზნით, იღებს რამდენიმე კვნიწ მარილს და
მოედანს აფრქვევს. მე ვნახე, ერთხელ როგორ უხვად აფრქ-
ვევდა მარილს ერთი მოჭიდავე, რომელსაც თურმე წინა დღეს
ბედმა არ გაუღიმა.

... კარგი ოთხღერძიანი ვაგონი მარალი მართლაც და არ
აწყენდა ჩვენს ჰოკეისტებს შვეციასთან ოლიმპიური მატჩის
წინ, როცა ჯერ ერთით ნოლით მიჰყავდათ ანგარიში, მერე
ორით ნოლით, მერე... სამით ერთით და ბოლოს მაინც თავჩა-
ქინდრულებმა და ცხვირიჩამოშვებულებმა დატოვეს მოედანი
ისე, რომ თვალეზში ვეღარ უყურებდნენ თავიანთ მწვრთნე-
ლებს ჩერნიშოვსა და ტარასოვს. ერთი წუთით დაიჯერეს თა-



ვიანთი დაუმარცხებლობა და დაისაჯნენ, გაუშვეს ორი შაიბა, გაუშვეს გამარჯვება და დაკარგეს ქულა. ეს ქულა კე შეეფლება ძალიან ძვირი დაჯდომოდათ უკანასკნელ მატჩში ჩეხოსლოვაკიასთან. აქამდე ჩეხოსლოვაკიის გუნდმა წააგო ამერიკელებთან და უკანასკნელ წუთებში გამოსტაცა გამარჯვება შვედებს. არ იყო საჭირო დიდი წინასწარმეტყველი ყოფილიყავი, რათა გამოგეცნო, რა ძალები შემატა ამ მოულოდნელმა, მაგრამ ყველაფერ ამასთან, დამსახურებულმა გამარჯვებამ ჩეხებს და რა საბრძოლო სულით გამოვიდნენ ისინი უკანასკნელ მატჩში ჩვენებთან. ორი ქულა ამ მატჩში ჩეხოსლოვაკიის გუნდს აიყვანდა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, რომელიც დიდი ხნიდან ჩვენს ჰოკეისტებს ეპყრათ. ჩეხოსლოვაკიელებს გამარჯვება სჭირდებოდათ, ეს აძლევდა მათ მორალურ უპირატესობას, განაწყობდა მათ საბოლოო შეურიგებელი ბრძოლისთვის. ჩვენებს კი ფრეც ჰყოფნიდათ.

ძნელი მისახვედრი არ არის, როგორ აშინებდა ჩვენს მწვრთნელებს ყაიმიკენ მისწრაფების საჭიროება. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, ჰოკეიშიც, ჭიდაობაშიც, ჭადრაკშიც, როცა სასურველი და ადვილად მისაღწევი ყაიმიკენ სწრაფვა ყველაფერს აფუჭებდა და მარცხითა და იმედგაცრუებით მთავრდებოდა.

გამარჯვებისკენ სწრაფვას მოძრაობაში მოჰყავს ნებისყოფა. ყაიმიკენ სწრაფვა კი განმუხტავს მას. სწორად მოიქცნენ კალათბურთელები და მოკრივეები, რომ სამუდამოდ განდევნეს თავისი ლექსიკონიდან სიტყვა „ყაიმი“. ისეთ ორთაბრძოლაში, როგორიც ჰოკეია, ადვილი არ უნდა ჰქონდეს მას. განსხვავება ოსტატობაში, ნებისყოფაში, შეუპოვრობაში,

თუნდაც სულ მცირე, ყოველთვის არის გუნდებს შორის და იგი აუცილებლად უნდა იქნეს შემჩნეული და გამოყენებული.

„დაივიწყეთ ფრე, დაივიწყეთ ფრე, ითამაშეთ ვამპირებისთვის!“ წარმოდგენილი მაქვს, რამდენჯერ გაიმეორეს ეს ფრაზა ჩვენმა მწვრთნელებმა, სანამ ჩვენები ყინულზე გამოვიდოდნენ.

და აი, გამოვიდნენ.

მე მგონია, არც ერთ კვირა დღეს არ ყოფილა ასე ცოტა ხალხი მოსკოვის (და არა მარტო მოსკოვის) ქუჩებსა და მოედნებზე, როგორც კვირას 13 თებერვალს, დილის ათ საათზე. რა დიდი ვნებები იყო ჩაქსოვილი ამ დღეს ამ პატარა რკინის ნაჭერში. რა გამოძახილი ჰქონდა საპოროდან ათასობით კილომეტრის დაშორებით თითოეულ გოლს! რამდენ გულს აძგერებდა ხან სიხარულითა და ხან შეშფოთებით!

თქვენ გახსოვთ, რა ქარიშხალი ტრიალებდა ბრძოლის დასაწყისშივე ჩვენს კართან. რა დაუცხრომელი ენერჯითა და შეუპოვრობით უტევდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი. მოგება მას ჩემპიონის წოდებას ანიჭებდა; ეხმარებოდა ამერიკელებთან სამარცხვინო წაგების რეაბილიტაციაში. მთელი თავისი ქცევით, უკომპრომისო აზარტული თამაშით ჩეხოსლოვაკიის გუნდი თითქოს ამბობდა: „უნდა გავიმარჯვო!“

წარმოდგენილი მაქვს, რამდენჯერ გადაუქანდა გული გარეგნულად მშვიდ და აუღელვებელ ჩერნიშოვს, ტარასოვი რაღა დღეში იქნებოდა! ის ტარასოვი, რომელზეც ბორის მაიოროვმა თქვა: „მე იგი დამშვიდებული არასოდეს მინახავსო“. განა არ ესმოდა მას, რომ პირველივე გოლი ჩვენს კარში გაათამამებდა მეტოქეს, სხვა ელფერს მისცემდა მთელ მატჩს. თუ ჩვენ წავაგებთ, რა დასამალია, წამსვე გახუნდება

“შვიდი ოქროს მედალი, რომლებიც საპროზოში საბჭოთა ოლიმპიელებმა მოიპოვეს. ჩვენ ველოდით გამარჯვებას მოციგურავეთაგან და ტრამპლინიდან მსტომელთაგან. შევწუხდით, როცა მათ წააგეს, თუმცა გული არ გავიტყხეთ. მაგრამ მგონი ერთადერთი სახეობა არის სპორტისა, რომელშიც წაგების უფლებაც არა გვაქვს. ეს არის ჰოკეი! ამას წარსული გვაგაღებულებს! არადა ჩვენს კართან სულ საპირისპირო მდგომარეობაა.

მე ვფიქრობ, ჩვენი გუნდისა და მისი მწვრთნელების ხასიათი მაშინ კი არ გამოვლინდა, როცა ანგარიში გახსნა და, ჩვენდა სასიხარულოდ, მსუბუქად და დამაჯერებლად ააწყო თამაში, თითქოს ამბობდა — ახლა უკვე აღარაფერი არ შეიძლება მოხდეს, უკვე აღარაფერი მოხდებაო, არამედ დასაწყისშივე, ამ მიმე წუთებში, როცა საჭირო იყო ეპოვნათ თავის თავში ძალები, რათა თამაშში გარდატეხა შეეტანათ.

გახსოვთ მათი ღიმილი? ღიმილი ადამიანებისა, ვინც კარგად შეასრულა თავისი საქმე. მეორე დღეს ბედნიერი ღიმილით გაციკროვნებული ჰოკეისტების სურათებმა მთელი გაზრდები შემოიარა.

რა იყო ამ ღიმილის უკან? მოვიგონოთ, რა იყო ასახული ჩვენი სპორტსმენების სახეებზე, როცა მათ უკანასკნელი ძალების დაძაბვით გამარჯვება გამოსტაცეს ყველაზე სერიოზულ მოწინააღმდეგეს, ვისთანაც აქამდე არა ერთხელ წაუგიათ მსოფლიოს ჩემპიონატებზეც და ოლიმპიადებზეც. ამის დანახვა იმას ნიშნავს, დაინახო სპორტსმენის ხასიათი. ან იქნებ მეტიც? — ხასიათი უშიშარი, შემოქმედი ხალხისა, რომელსაც არ აშინებს შრომა დასახული მიზნის მისაღწევად!

ყოველი ჭეშმარიტი ოსტატის ცხოვრებაში, მხატვარი იქნე-



ბა ის, კომპოზიტორი თუ სპორტსმენი, არის წუთები უმაღლესი გასხივოსნებისა, რომელსაც შტეფან ცვაიგი ვარსკვლავიერს უწოდებს. ასეთ წუთებში ვლინდება წლობით დაგროვილი საუკეთესო თვისებები და იქმნება ფასეულობანი, რომლებიც დიდ ხანს ცოცხლობენ.

აი, რა თქვა ანატოლი ტარასოვმა ოლიმპიადაზე გაფრენის წინ:

— წინ ძნელი გზა გვაქვს. მაგრამ ვიცი, ჩვენი ბიჭები არავის შეარცხვენენ!

* * *

სწრაფად გადის სპორტული ხანა. არც მწვრთნელისთვისაა იგი უსასრულო. ანატოლი ტარასოვი — ბედნიერი გამო-ნაკლისია. 1973 წელს არმიელი ჰოკეისტები მეთვრამეტეჯერ გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელის პოსტი ვსევოლოდ ბობროვმა დაიკავა. მაგრამ ვინ დაიწყებს მტკიცებას, რომ ამ გუნდის გამარჯვებაში 1973 წლის მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე ტარასოვის წვლილიც არ ურევია?

რატომ დაფრინავს გზიკი?

„ეცადე დაივიწყო“

ელენე გოკიელმა დიდი, ნათელი და კინაღამ წამომცდა, ბედნიერი გზა განვლო-მეთქი სპორტში, მაგრამ „ბედნიერისაგან“ თავი შევიკავე. მაქვს კი უფლება დამატებითი განმარტების გარეშე ვიმსჯელო ამაზე? საქმე ისაა, რას დავარქმევთ

ბედნიერებას! ბედნიერ კენჭს? კარგ სამსახურს? თუ იმ პატივს, რაც მას მოაქვს? მაშინ სადღა წავილოთ წარუმატებელი ვაჭარ-ბენის შემდგომ უძილო ღამეები? სხვებსაც სჯეროდათ შენი, შენც გწამდა შენი თავისა და გარბოდი თავგამეტებით, ფინის შემდეგ კი მწვრთნელის შემოხედვაში ეძებდი გამხნეებას, მაგრამ მან თვალი აგარიდა და მაშინ მიხვდი, რომ ფინალში ვერ გახვედი. არა და ის წუთები, რომლებიც მან აჩვენა მაშინ, 52-ში, ოლიმპიური თამაშების ნახევარფინალში, ფინალის მეორე ადგილს იძლეოდნენ. სად, რომელ გრაფაში შევიტანოთ რბენის შემდგომი უძილო ღამე?

იქვე უზრუნველად ეძინათ მის მეგობარ ქალიშვილებს, ისინი ვალმოხდილად თვლიდნენ თავს. მათ ულოცავდნენ, ართმევდნენ ავტოგრაფებს და ინტერვიუს, თვითონაც აღზნებულნი იყვნენ, ქვეყანა მშვენიერი ეჩვენებოდათ, გულშემატკივრებიც ასე ალერსიანები, ცაც კი განსაკუთრებით ლაევარდოვანი დაჰყურებდა დღეს სტადიონს. მეგობარ ქალიშვილს, რომელიც სხვა ნახევარფინალში ელენესთან შედარებით წამის მეათედით გვიან მივიდა ფინიშთან, უკვე მერამდენევერ დაურეკეს ტელეფონით და ისიც ღებულობდა მილოცვებს. ელენესთვის კი არავის დაურეკია. რატომღაც მას არავინ აქცევდა ყურადღებას, თითქოს არც კი ყოფილიყოს გვერდით. მხოლოდ ერთ-ერთმა მწვრთნელმა გაუღიმა ისიც ნაძალადევად და მხარზე მოუთათუნა:

— არა უშავს, არა უშავს, გული არ გაიტეხო, ხდება ხოლმე. ეცადე, რაც შეიძლება მალე დაივიწყო ყველაფერი.

აი, უკვე ორი ათეული წელი გავიდა, მან კი ვერა და ვერ დაივიწყა.

ჰოდა ძალიანაც კარგია, რომ ვერ დაივიწყა. რომ დაე-

ვიწყა, ალბათ მწვრთნელიც ვერ გახდებოდა. სამდვილო მწვრთნელი იმით განსხვავდება უბრალო მწვრთნელისგან, რომ ყველა ემოცია, რომლითაც სჯის ან აჯილდოებს ადამიანს სპორტი, თავისთავზე გამოუცდია. იცის, რას ნიშნავს ტკივილი და სიხარული, როგორ უნდა გაუძლო ყველაფერ ამას, რა სიტყვა სჭირდება სპორტსმენს ბედნიერ ან მძიმე წუთებში.

ბარიერები

მასსოვს ის დრო, როცა მას ლენას ეძახდნენ.

იმ ხანებში გაზეთებში ფართო პლანით სურათების მოთავსება არცთუ ისე პოპულარული იყო. ფოტოგრაფები ცდილობდნენ ახლოდან გადაეღოთ იგი. ლენა ლამაზი და საოცრად მოხდენილი ტანისა იყო. დიდი, ჭკვიანი და მხიარულად მოციმციმე თვალები, ჩამოქანდაკებული სახე, ნეფერტიტის ნიკაპი. სახეზე მუდამ გულღია ღიმილი დასთამაშებდა და ნაღველს ვერასოდეს შეატყობდი.

ცხოვრებაშიც ხომ ძალზე ლამაზი იყო, მაგრამ მაშინ უნდა გენახათ, როცა ბარიერებს ახტებოდა ლალი ირემივით (ეს სიტყვა მე არ მომიგონია, ასე წერდნენ მასზე). სპეციალისტები ამბობდნენ: „აქვს კარგი რიტმი და გაბედულად უტევს ბარიერს. სწრაფად იღებს სიჩქარეს სტარტზე, წინააღმდეგობას რომ გადალახავს, როდი ვარდება. გრძნობს ბარიერს და დისტანციას. გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ხასიათი და კიდეც... პატივმოყვარეობა“..

იყო სარბენი ბილიკის მონაკვეთი, ეს მონაკვეთი ოთხმოც მეტრს შეიცავდა და მასზე რვა ბარიერი იდგა. არ ვიცი, რამდენი ათასი დაბრკოლება გადალახა ელენემ იმ ორი ათეული

წლის განმავლობაში, როცა საქართველოს, ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონად და ევროპის პირველობის მქონე პრიზიორად ითვლებოდა. მაგრამ რამდენიმე განხილვებში ლად უფრო რთული წინააღმდეგობა გადალახა მან ცხოვრებაში, შემოძლია განვსაჯო. სხვა მის ადგილას თავს დაიძვრენ და და იქნებ ბილიკს გადასცდენოდა კი არა, სულაც არ გასულიყო სტარტზე.


ბავშვობაშივე მიზნად დაისახა, სრულყოფილად შეესწავლა უცხო ენა. საშუალო სკოლა დაასრულა გერმანულ ენაზე. კარგად იცნობს გერმანულ მხატვრულ ლიტერატურას, არანაკლებად იცნობს სპეციალურ სპორტულ ლიტერატურასაც. ეს მას მაშინაც ეხმარებოდა, როცა სპორტსმენი იყო, ახლაც ეხმარება, როცა მწვრთნელია.

ოცდამეორე წლისამ დაამთავრა თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მაშინ იგი უკვე ცნობილი სპორტსმენი იყო. როგორც „სწავლის წარჩინებულმა და სირბილის რეკორდსმენმა“, მესამეკურსელმა მიიღო საპატიო ნიშნის ორდენი. ჩვიდმეტი წლის შემდეგ კი დაამთავრა მეორე უმაღლესი სასწავლებელი — ფიზკულტურის ინსტიტუტი, სხვათა შორის, ისიც წარჩინებით.

ელენეს ჩვეულებად აქვს, რასაც აკეთებს, გააკეთოს კეთილსინდისიერად, თუ არა და, სხვებს რომ თავი დაანებო, შენს საკუთარ თვალში დაკარგავ ფასსა და რაღა ეღირება შენი ცხოვრება?

სპორტული საუკუნე ელვის სისწრაფით მიჰქრის. მაგრამ თუ შენ ჰემმარტად ერთგული ხარ სპორტისა, იბოვნი ძა-

ლებს და ბოლომდე გაჰყვები მას. და როგორც არ უნდა მოგეჩქეს ხანდახან სპორტი, ბოლოს მაინც დაგიფასებს ერთგულებას.



მოწაფე

ორმოცდათორმეტში ელენე გოკიელი საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი იყო. ოლიმპიურ თამაშებამდე მისი მაჩვენებელი იყო 11,3, თამაშებზე ორი მეათედზე მოხსნა, მერე კი თხუთმეტი წელი დასჭირდა, რათა დახმარებოდა თავის მოწაფეს ლუდმილა იევლიევას — მიედწია 10,5-სთვის.

თხუთმეტი წელი და წამის 6 მეათედი?

იგი განაგრძობდა ვარჯიშს თვითონაც, მაგრამ თან მოწაფეებს ეძებდა, არ უნდოდა, რომ ყველაფერს, რაც მან იცოდა და ახსოვდა, მასთან ერთად დაეტოვებინა სარბენი ბილიკი. მას არ ჰყოლია ბევრი მოწაფეები. საშუალება რომ ჰქონოდა, საერთოდ გადავიდოდა სწავლების სოკრატესეულ მეთოდზე: ერთი მოწაფე — ერთი მასწავლებელი. მასწავლებლის მიზანი, — აიყვანე მოსწავლე შენს დონემდე, მერე კი გაუშვი წინ, რომ გავისწროს და გაჯობოს. სამოცდაშვიდში გოკიელის მოწაფე ლუდმილა იევლიევა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. ასე შეიქმნა გოკიელის სკოლა და წარმოდგენა ამ სკოლაზე. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ: თხუთმეტი წლის ვარჯიშის შემდეგ ელენემ შეძლო თავისი მოწაფის მეშვეობით თავისი საუკეთესო შედეგისთვის მოეკლო მხოლოდ 6 მეათედი წამი.

რაღა სასწაული მოხდა სამოცდაათიან წლებში? როგორ შეძლო ელენე გოკიელის მეორე მოწაფემ ანატოლი მოშიაშვილმა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში თავისი შედეგი

ნ მეთადი წამით გაეუმჯობესებინა, გათანაბრებოდა ქვეყნის რეკორდს და ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატების რიგებში ჩამდგარიყო? ასეთი რამ ხომ ჯერ არ მომხდარა მძლეოსნობის ისტორიაში? იქნებ ყველაფერი ახალგაზრდის უჩვეულო ტალანტით აიხსნება? დიახ, მას მართლაც გააჩნია ყველაფერი, რაც სჭირდება ბარბერისტს: ვრძელი ფეხები და აზარტი, „ბარბერის გრძნობა“ და თავმოყვარეობა. მაგრამ ვანა სხვებს ცოტას ჰქონდა იგივე თვისებები? ყველაფერი ელენე გოკიელის ლაბორატორიაში დამუშავებული წვრთნის მეთოდისაზე ხომ არ არის დამოკიდებული?

პირდაპირ გეტყვით — არაფერი ახალი და სენსაციური არ არის ამ მეთოდისაში.

მაშინ რაშია საქმე?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდე, ცოტა უკან მივინდა დავიხიო და ერთი საკანდიდატო დისერტაცია გავიხსენო, რომელიც დაცულ იქნა ორიოდე წლის წინათ თბილისში.

დისერტაცია

ელენე გოკიელის ვაჟი გურამი დისერტაციას იცავდა. დისერტაციის თემა იყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და მათი გამოყენება თანამედროვე მშენებლობაში.

ერთ-ერთმა ოპონენტმა ფრთხილად და ტაქტიკურად განაცხადა — დისერტაციაში გამოთქმული აზრი მეტად გაბედულიაო. მაშინ სიტყვა მოითხოვა მეორე ოპონენტმა — ეს იყო მოსკოველი სტუმარი, სამშენებლო მეცნიერებაში ფრიალ

ცნობილი პროფესორი. მან დისერტანტის ნაცვლად გასცა პასუხი პირველ ოპონენტს და თავისი სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, ბზიკის მაგალითი გაიხსენა: მეცნიერმა-ენტომოლოგებმა, მათემატიკოსებმა და ფიზიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ბზიკს, რომელსაც ამოდენა ძონძროხა სხეული და სულ პაწაწინა ფრთები აქვს, სულაც არა აქვს უფლება იფრინოს. ის კი, არ სცნობს ამ კანონებს და არხეინად დაფრინავს თავისთვის. იცით, რატომ ახერხებს ფრენას? იმიტომ, რომ ძალიან უნდა ფრენა.

ყველამ, ვინც რაიმეს მიაღწია ცხოვრებაში, მეცნიერებაში, სპორტში, იმით შეისრულა მიზანი, რომ ძალიან მოისურვა. გააჩნდა უნარი იმისა, რომ დაესახა შორეული მიზანი და ევლო მისკენ, თუ საკირო იქნებოდა, ეფორთხა, გადაეყვლინა ტყავი ხელეებზე და მუხლებზე. ჩვენს დროში ყოველი ფასეულობა ადამიანისგან მოითხოვს მთელ მის უნარსა და ძალას — უდანაკლისოდ. სპორტულ ფასეულობათა შემქმნელი იმითაც განსხვავდება საშუალო სპორტსმენისგან, რომ განსაკუთრებული ნებისყოფა აქვს. მარცხი, რომელიც სხვას წყობილებიდან გამოიყვანდა, მას მხოლოდ ახალი წარმატებებისკენ უბიძგებს, ის ყურადღებას არ აქცევს, რას ლაპარაკობენ მასზე სხვები, თვითონვე იცის თავისი ჭეშმარიტი ფასი! არ გადაუხვევს არჩეული გზიდან. სწამს თავისი თავისა, ისევე როგორც მწვრთნელს სწამს მისი.

მწვრთნელის მაგალითი თვალწინ უდგას ანატოლი მოშიაშვილს.

— ქალბატონო ელენე, უკვე გვიანაა, შინ წადით, მე ცოტას კიდევ ვივარჯიშებ უთქვენოდ.



— არ მიყვარს ლაქლაქა და მკვეხარა ხალხი. გამგონე მოწაფეები მიყვარს, რომლებიც ბრმად ასრულებენ ყველაფერს, რასაც ეუბნები. სპორტსმენი შემოქმედებითი პროცესის მონაწილე უნდა იყოს. ამავე დროს თავმოყვარეობაც უნდა გააჩნდეს. უამისოდ ძალიან გაუჭირდება ცხოვრებაში, მით უმეტეს სპორტში.

ტოლია ამაყი და გულმართალი ბიჭია. ეს ორი თვისება მასში თანაბარი პროპორციითაა შერწყმული. ბარიერისტიკის თვის ამ პროპორციასაც ისევე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვა პროპორციებს — სიმაღლე 190, წონა — 84; გითხრათ კიდევ, რომ გამბედავი, მარჯვე და მოქნილია? დიახ, ყველაფერი ასეა. მაგრამ მე მჯერა, რომ რასაც მან მიაღწია, ბუნებრივი მონაცემების ბრალი როდია. ტოლიამ თვითონ, თავისი შრომით მიაღწია წარმატებას. მე კი მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ ყველაფერი კარგი, რაც მას ახასიათებს, ერთი მიზნისკენ წარვმართო. ადრე, სანამ საკავშირო რეკორდამდე — 13,7 მივიდოდით და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გავიმარჯვებდით, უფრო იოლი იყო ყველაფერი. ახლა? ახლა სულ სხვა საქმეა. მეტი პასუხისმგებლობაა და არა მართო თავის თავის წინაშე, ქვეყნის წინაშეც. შენი სჯერათ, შენგან მეტს ელიან, მეტ უფლებებს გაძლევენ. აქ ყველაფერი სხვა საზომით იზომება. პასუხისმგებლობა ერთს თრგუნავს. მიწასთან ასწორებს, ადამიანი გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი ხდება. არა ერთი და ორი მინახავს ასეთი. არასოდეს არ მომწონდნენ ისინი და არც მჯეროდა მათი. სხვებს კი პასუხისმგებლობა ძალას მატებს, ეხმარება ისეთი რეზერვები.

მონახოს თავის თავში, რომლებზე ადრე წარმოდგენაც არა
ჰქონდა. ასეთებთან მუშაობა ძალზე სასიამოვნოა. ტოლია
სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის.

მე ვფიქრობ, რომ ადამიანი, რომელმაც სპორტში თავისი
თავი გამოავლინა, არ შეიძლება უბრალო კაცი იყოს. ძალიან
ბევრს თხოულობს დღეს ადამიანისგან სპორტი, ამიტომ სა-
შუალო მომზადების ადამიანი სპორტში ვერ იზეიმებს. მჯერა,
რომ ტოლია კარგი იურისტი გამოვა, სწავლაშიც ნიჭიერია,
ასეთივე იქნება საქმეშიც. განა ძნელი არ არის იურიდიულ
ფაკულტეტზე სწავლის შეთავსება სპორტთან? უდავოდ ძნე-
ლია. მაგრამ ჩვენს უნივერსიტეტში ნიჭიერი სპორტსმენები-
სათვის ყველა პირობაა შექმნილი. სხვებზე ნაკლებს კი არ
თხოვენ, მათ მეტს ეხმარებიან, მათ სწავლას უფრო მეტი
ყურადღებით ეკიდებიან. იციან, რომ მძლეოსანს, რომელმაც
უნდა დაიცვას საქართველოს ღირსება, საბჭოთა კავშირის
ღირსება და ამის გულისთვის თვითონაც ბევრ სიამოვნებას
თმობს, უფლება აქვს განსაკუთრებული ზრუნვით იყოს გა-
რემოსილი. და მე მსიამოვნებს, რომ უნივერსიტეტის ხელ-
მძღვანელობა იზიარებს ჩვენს შეხედულებას ამ საკითხში.
ტოლია მოშიაშვილს უტარდება სპეციალური კონსულტაციე-
ბი და გამოცდებსაც აბარებს საგანგებო გრაფიკით, რომელიც
ითვალისწინებს მის მონაწილეობას სხვადასხვა შეჯიბრებებში.
ხოლო როცა საქმე გამოცდებამდე მივა, რაც არ უნდა კარგი
სპორტსმენი იყო, ვგრაფერი ვერ გიშველის ცოდნის გარდა.
ტოლიას ხასიათი რომ ვიცი, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ
რაიმე გამოსარჩლებას შეუარაცხოფადაც კი მიიღებდა.



ელენე გოკიელი ხელმძღვანელობს ფიზიკური კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სპორტი რომ ასე დიდი ყურადღებით სარგებლობს უნივერსიტეტში, ამაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვის კათედრის გამგეს. ის უნდა იყოს ტაქტიანი, მომთმენი, თავაზიანი, მაგრამ ხანდახან მკაცრი და შეუპოვარი, როცა პრინციპულობის გამოჩენა საჭირო. გოკიელი უნივერსიტეტში შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობს. ეს ავტორიტეტი მან მთელი თავისი დამსახურებით, სპორტთან, კოლეგებთან და სტუდენტებთან ურთიერთდამოკიდებულებით მოიპოვა.

ჩვენთვის უინტერესო არ იქნება, გავეცნოთ ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელის პედაგოგიურ პრინციპებს. თანამედროვე სპორტის რა პრობლემა აღელვებს მას ყველაზე მეტად?

— ტალანტის ძიება. ტალანტთან ურთიერთდამოკიდებულება.

ჩვენ უნდა წავახალისოთ არა მარტო ის მწვრთნელები, რომლებმაც მძლეოსანი უმაღლეს წოდებამდე მიიყვანა, არამედ ისინიც, ვინც ოდესღაც ეს ტალანტი აღმოაჩინა. რაც უფრო მეტი ხალხი მოძებნის ტალანტებს, მით უფრო ფართოდ გავშლით მუშაობას და გამოვასწორებთ ჩამორჩენას სპორტის ზოგიერთ სახეობაში, მათ შორის მძლეოსნობაშიც. მე მგონია, მთავარი მარტო სტადიონებისა და მოედნების სიუხვე კი არ არის, არამედ ისიც, თუ როგორ ვექცევით ჩვენ ამა თუ იმ ტალანტს, როგორ ვზრდით მას, როგორ ვებმარტობით მძიმე წუთებში და წლებში. ძალიან დიდ პატივს არ ვცემ

დადგენილ წესებს, რეკომენდაციებს. ისინი იქნებ კარგია ხოლმე, როცა საქმე გვაქვს ახალბედებთან. ყოველი თაგისთავად განუმეორებელია, ინდივიდუალური და ყოველი მათგანი თავისებურ, სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს. უნდა იცნობდე არა მარტო სიმადლეს, წონას და წამებს მძლეოსნისას, უფრო მნიშვნელოვანია იცნობდე მის ხასიათს, მიდრეკილებებს, ჩვეულებებს, სიმპათიებსა და ანტიპათიებსაც კი. რა უნდა დაძლიო და რა უნდა წააქეზო მის ხასიათში. ყველა ბარიერისტს ერთსა და იმავე საწვრთნელ გეგმას ვერ მისცემ, ერთსა და იმავე ფიზიკურ დატვირთვას... გარდა ამისა, უნდა ენდო მის ძალებს, სულს, სინდისს.

მე ვცდილობ, ჩემი ურთიერთობა სპორტსმენთან ურთიერთნდობაზე დავამყარო. სხვა დამოკიდებულება ჩვენს დროში პირდაპირ წარმოუდგენელია.

...კათედრაზე, რომელსაც გოკიელი ხელმძღვანელობს, ოცდათექვსმეტი მასწავლებელი და სამოცამდე მწვრთნელი მუშაობს. კათედრის გამგე მარტო მცოდნე და უნარიან მწვრთნელებს როდი ეძებს — მისი თანამშრომელი დამოუკიდებლად უნდა აზროვნებდეს! როგორცაა მასწავლებელი, ისეთი იქნება მოწაფეც.

ამგვარად, მე ვფიქრობ, დიდი ფანტაზიის მოკრება არ დაეკირდებათ, რომ წარმოიდგინოთ, რამდენ დროს ართმევს ელენე გოკიელს კათედრის გამგისა და მწვრთნელის მოვალეობანი და რამდენი დრო რჩება მას თავისი თავისა და ოჯახისთვის. ამას სულ ადვილად მიხვდებით, თუ მის ყველა ტიტულს ჩამოგიტვლით: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-

პუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

მეზობლებიც იცნობენ მას, როგორც მზრუნველ დედას, კარგ მეუღლეს და გულკეთილ ბებიას. შვილი გურამი დედის გზას გაჰყვა, გახდა მშენებელი, სპორტსმენი. მოწაფეთა შორის საქართველოს ჩემპიონი იყო თავის დროზე. დედ-მამის პატივსაცემად ქალიშვილს ელენე დაარქვა, ვაჟს კი — ვანო.

უფროს ვანოს, რომელიც მრავალი წელი ემსახურება ხელოვნებას და უფროს ელენესაც, რომელიც მრავალი წელია ცხოვრობს სპორტის სამყაროში, უამრავი ნაცნობ-მეგობრები ჰყავთ თბილისში.

— რა მიაჩნია ქალბატონ ელენეს უკანასკნელ ხანებში თავის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად?

ეშმაკურად მიღიმის:

— არავის არ უთხრა და წელს სამასი ქილა ხილი და ბოსტნეული დაეაკონსერვე. ძალიან მიყვარს ეს საქმიანობა. თუმცა ნათქვამს ნანახი სჯობია, მობრძანდი და გაგასინჯებ!

* * *

— მაშ, რატომ დაფრინავს ბზიკი?

— ძალიან უნდა და იმიტომ.

უფლება — არ ჰგავდა სხვას

თბილისის „დინამო“ აგებდა. ტაშკენტის გუნდის ზორბა მკველები საიმედოდ იცავდნენ კარს. თუ „დინამოელთა“ რომელიმე თავდამსხმელი შეიცვლიდა ადგილს და თავიდან მოი-

შორებდა აბეზარ „ჩამკეტს“, უმაღვე მის ამხანაგს უვარდ-
ბოდა ხელში. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. „პასტაკო-
რის“ მეკარე დიდად არავის შეუწუხებია.

— ხედავ, როგორ უადვილდებათ საქმე ტაშკენტის მცვე-
ლებს იმის გამო, რომ... რომ... ბორის პაიჭაძე საჭირო
სიტყვას ეძებდა, — რომ ჩვენი თავდამსხმელები გაჭრილი
ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს?

— არასოდეს არ მიფიქრია, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან.

— აბა ყურადღებით დააკვირდი. როგორღაც ძალზე
„გულახდილები“ გახდნენ. ტრიბუნებიდანაც კი შეგიძლია
წინასწარ განსაზღვრო, ვინ როგორ მოიქცევა. მგონი თანდა-
თან გვავიწყდება, რა არის მოულოდნელი კომბინაცია, მოტ-
ყუება, ანდა თუ გნებავთ, რისკი...

— ...და ის, თუ რას ნიშნავს „დენთი“ შეტევის დროს,
არა? — გამახსენდა ძველი ნარკვევი თბილისის „დინამოზე“.

— თუ გნებავთ, ეგეც. სად არის ახლა მიშა მესხი!..

თამაშის დასასრულამდე კარგა დრო იყო, მაგრამ სტა-
დიონი უკვე მიაგავდა (ერთი პოეტის თქმისა არ იყოს) მზეს-
უმზირას გვირგვინს, რომლიდანაც ნახევარზე მეტი მარცვლები
ამოყარეს. თუმცა რა, არც მატჩის დაწყებისას ყოფილა ტრი-
ბუნები მაინცდამაინც გაჭედილი. სტადიონს ნელ-ნელა ტოვებ-
და მაყურებელი.

— განა მათი ბრალია? — მითხრა პაიჭაძემ და მიმავალ
გულშემატკივრებზე მიმითითა. სხვა ქალაქებშიც ასეა. რა-
ტომ? გუნდები თანდათან დაემსგავსნენ ერთმანეთს, დაკარ-
გეს თავიანთი ინდივიდუალური სახე. გაიტანენ გოლს და
მორჩა, ყველა, როგორც ერთი, დაცვაზე გადადის. თავდამ-
სხმელებს, ვინც გოლის გატანაზე ოცნებობს, კი აქვთ კარგი

სურვილები, მაგრამ მათი განხორციელების უნარი... დღეს
დაცვა ზეიმობს შეტევაზე. იქნებ მიპასუხო, რატომ ხდება
ასე? ვუყურებ ტრიბუნიდან უცნობ გუნდს — გველთვებს
უცებ ვიმახსოვრებ, თავდამსხმელებს კი თმის ფერითა და
მაისურზე აღნიშნული ნომრით თუ მოვძებნი.

— იმიტომ, რომ ერთნაირად თამაშობენ?

— დიახ, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ვითომ მხოლოდ
ტელეხედვაა დამნაშავე იმაში, რომ სტადიონზე ხალხი აღარ
დადის?

საუბარი თანდათან წარიმართა იქით, თუ რას ნიშნავს
მსგავსება და ინდივიდუალურობა სპორტსა და ცხოვრებაში.
მართლაც საჭიროა თუ არა, „გქონდეს საკუთარი სახე“, ხელ-
წერა, საკუთარი შეხედულებები... ყოველთვის მოხერხებულ-
ლად იყენებს თუ არა მწვრთნელი ასეთ მოთამაშეს... თვითონ
ასეთ მოთამაშეს კი იოლი ცხოვრება აქვს?

რა თქმა უნდა, ალბათ ყოველთვის არა აქვს იოლი ცხოვ-
რება, — მიპასუხა პაიჭაძემ და კვლავ გაიხსენა მიხეილ მესხი.

ახლა არ ვნანობ, რომ იმ საღამოს სტადიონზე წავედი.
ბევრისგან განსხვავებით მე ეს საღამო უქმად დაკარგულად
არ ჩამითვლია. თვით ბორის პაიჭაძემ, ამ არაჩვეულებრივად
ნიჭიერმა მოთამაშემ, შთამაგონა ნარკვევის სათაური: „უფ-
ლება — არ ჰგავდე სხვას — მიხეილ მესხი გუშინ და დღეს“.

* * *

დიახ! მიხეილ მესხი არ ჰგავდა სხვებს. თბილისის „დინა-
მოს“ მარცხენა თავდამსხმელს გააჩნდა განსაკუთრებული თავი-
სებურებები. და რაც დრო გადის დიდი ფეხბურთიდან მისა


წასვლის შემდეგ, მით უფრო მეტად ვაფასებთ ჩვენ მის ამ თვისებებს.

უნებლიეთ მახსენდება, როგორ გადაინაცვლებდნენ ხოლმე შესვენების დროს თბილისელი გულშემმატიკერები. ისინი ცდილობდნენ ახლოს ყოფილიყვნენ იმ ადგილთან, სადაც თამაშებდა მიხეილ მესხი. უნდა გამოვტყუდე მე თვითონაც არა ერთხელ მიმიღია მონაწილეობა ასეთ „მიგრაციებში“ და მერე თავს ვიწონებდი ამხანაგებთან (რა თქმა უნდა, ცოტას შევალამაზებდი კიდევ მოვლენებს), რა დღეში აგდებდა მარცხენა გარემარბი თავის უბედურ მოწინააღმდეგეს, როგორ გაიჭრა მესხი წინ ბურთით, მოძებნა ხმელ-ხმელი კალოვეი და ზედ თავზე დაუსკუპა ბურთი, კალოვესაც მეტი რაღა უნდოდა — გოლი მზად იყო. მესხი მოედანზე თითქოს იმისთვის გამოდიოდა, რომ ეჩვენებინა, რამდენი სილამაზეა დაფარული ფეხბურთში, რომ ბურთი, მართალია, მრგვალია, მაგრამ სულაც არ არის მარტივი, რომ ამ უბრალო მრგვალი ბურთით ბევრ რამეს შეიძლება მიაღწიო.

ახასიათებდა მას რაღაც ანცი ბიჭისა, რომელიც თბილისის ერთ მყუდრო მოსახვევში ძველ ბურთს გამოსდგომია, და ბრძენი მებრძოლისაც, რომელმაც იცის, რომ მის ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებენ და მისგან ბევრს მოელიან.

ეთქვა, რომ მას ჰქონდა შემთხვევები, როცა ბურთი თითქმის „ბეწვზე ეკიდა“ ხოლმე? რამდენჯერ თქმულა და დაწერილა ამაზე! მესხი არავის არა ჰგავდა. ის კი არა, ხშირად თავის თავსაც აღარა ჰგავდა ხოლმე: დღევანდელი არ ჰგავდა გუშინდელს, გუშინდელი კი გუშინწინდელს.

ის მატჩები, რომლებშიც თავიდანვე ყველაფერი კარგად მიდიოდა, როცა მიშას ეწვეოდა ის, რასაც შთაგონებას ეძა-



ხიან, როდესაც თვითონვე იზრდებოდა თავის თვალში და უფრო მეტად კი მოწინააღმდეგის თვალში, დავიწყებას აძლევდა ცემა, ვიდრე თბილისში ფეხბურთის თუნდაც ერთი კვირისათვის დამფასებელი მაინც დარჩება. მაგრამ განა არა ყოფილა თამაშები, როცა ჩვენ თითქმის ველარ ვცნობდით მესხს და არ ვიცოდით, ვისთვის გვეკითხა — რა მოუვიდა მიშას? ვცდილობდით გაგვემართლებინა, გაგვეგო მისთვის. ვამტკიცებდით, რომ ის განწყობილების კაცია, აქვს აღზევებისა და დაცემის წუთები. ყველა რომ ყოველთვის შეუცდომლად თამაშობდეს ფეხბურთს, მაშინ გაცილებით უფრო მეტი ნულოვანი ყაიმები გვექნებოდა, ვიდრე დღესა გვაქვს. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი მოწყალებისგან!

ახლა, როცა ახლოს გავეცანი მიშას, ვიცი, რა იყო უპირველესი მიზანი მისი გამოსვლისა ყოველ შეხვედრაზე, რა მიაჩნდა უმთავრესად მატჩის დასაწყისშივე. თავის პრინციპულ ამოცანად თვლიდა, სპორტულად დაემცირებინა მასზე მიმაგრებული მოწინააღმდეგის მცველი. მოენახა, გაეკეთებინა რაიმე ეშმაკური ილეთი. პირშიჩალაგამოვლებული მეტოქისთვის და მშრალზე დაეტოვებინა. მისგან გაწბილებული მოთამაშე, რომელსაც ჯერ თავისი ბოღმა ეყრფოდა, მერე ამხანაგების საყვედურიანი გამოხედვაც გაკენწლავდა, რა თქმა უნდა, კარგად ველარ ითამაშებდა.

ხანდახან უცებ მიაღწევდა ამას, ხან კი გვიან. ზოგჯერ, თუმცა არცთუ ისე ხშირად, იყო მატჩები, როცა ეს საერთოდ არ გამოუდიოდა.

შორიდან ისე ჩანდა, თითქოს მესხი ცეცხლს ეთამაშებო — ცდიდა ერთხელ, მეორედ, მესამედ და მხოლოდ მაშინ, როცა იპოვიდა თავის თავს, როცა ააწყობდა თამაშს



ისე, როგორც თვითონ უნდოდა, იმარჯვებდა ამ უსიტყვო, ნერვულ და პრინციპულ ორთაბრძოლაში. სწორედ ამ „თავისი თამაშისთვის“ აპატიებდნენ ხოლმე მას მაყურებლებიცა და ამხანაგებიც, მწვრთნელებიც კი თვალს დახუჭავდნენ ზოგჯერ ისეთ რამეზე, რასაც სხვას არასოდეს აპატიებდნენ.

ლენინგრაღში იყო ერთი ცნობილი მეკარე ვიქტორ ნაბუტოვი. მას ხშირად უკიჟინებდნენ ეფექტებისთვის, ხალხის გასამხიარულებლად თამაშობსო. ვიქტორი გამოტყდა ერთხელ, რომ მართლაც აწვა სინდისზე ეს მცირე ცოდვა:

— როგორ გითხრათ, ჩემთვის სულაც არ არის სულერთი, რას ფიქრობს მაყურებელი ჩემზე: ტაშს დამიკრავს თუ დამისტვენს. მატჩის დაწყებისთანავე ვცდილობ ხოლმე მაყურებელი გადმოვიბირო, ჩემი მოკავშირე გავხადო, სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს ორთაბრძოლა — ჩემსა თუ მეტოქის მოედანზე — ბოლოს და ბოლოს კარგი ფეხბურთი თითქმის ყველგან ერთნაირად უყვართ და აფასებენ.

იყო ხოლმე შემთხვევა, როცა ნაბუტოვი არცთუ ისე ძნელ ბურთს ლამაზი ნახტომით იღებდა. ხანდახან სილამაზის გულისთვის (ასე მიაჩნდათ) გაუმართლებელ რისკზეც კი მიდიოდა. ზოგჯერ ყველაფერ ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, რომ მის გუნდს სცოდნოდა — მეკარემ კარგად ააწყო თამაში, რომ იგი მტკიცედ გრძნობს თავს, ჩვენ შეგვიძლია ვითამაშოთ გულდანდობილად და ზურგის დარდი აღარ გვაწუხებდესო.

შეიძლება გეფიქრათ, რომ მესხისთვის მაყურებელი არ არსებობდა. იყო მხოლოდ ერთი (ან ორი) მასზე მიმავრებული დამცველი — მგონია არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მესხს თავის განკარგულებაში ჰქონდა ფინტების ისეთი მდი-

დარი არსენალი მცველების დასამარცხებლად, როგორც მსოფლიოს არცთუ ისე ბევრ თავდამსხმელს ჰქონდა.

თავისი საქმის ნამდვილი პროფესორის (ასე ეძახიან მას თბილისელები), გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტ ზარგარიანის ლაბორატორიაში ექვსი კადრისგან შემდგარი პანორამა ჰკიდია. ესაა „მესხის ფინტები“. აი, მარცხენა გარემარბი პირისპირ გადის დამცველთან ბურთით, გვერდზე ცრუ გაჭრას აკეთებს — მეტოქე გარბის იმავე მხარეს, მესხი კი გასაოცარი ოსტატობით ატრიალებს ბურთს, მარცხენა ფეხით მარჯვენას ქვეშ აძვრენს მას დამცველის ზურგს უკან და თითქმის წაქცევამდე გადახრილი გვერდს უვლის მეტოქეს — გზა გახსნილია კარისკენ!

ერთი მისი ასეთი ფინტი და ზუსტი გადაწოდება, რომელიც ბრწყინვალე გოლით დაგვირგვინდა (1961 წელს პარიზში ევროპის თასის ფინალურ მატჩში), არასოდეს დაავიწყდებათ იმათ, ვისაც ახსოვს საბჭოთა კავშირის ნაკრების ტრიუმფი მისი არსებობის მანძილზე.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ხოსე ვილიალონგა ამბობდა 1965 წელს, არაფერს არ დავიშურებდი, ოღონდ მესხისთანა ფეხბურთელი მეშოვავო. მეორე არანაკლები „სპეციალისტი“ ფეხბურთისა, თბილისის სტადიონების მუდმივი სტუმარი, რომელსაც ტრიბუნები „საბურთალოელი ამბაკოს“ სახელით იცნობენ, დაახლოებით იმავე დღეებში ამხანაგებს შესჩიოდა: თუ კიდევ მესხი გამოიყვანეს, საერთოდ აღარ დავესწრები მატჩებსო. ბილეთს ვყიდულობ ფეხბურთზე, მე კი ბალეტს მიჩვენებენ. ბალეტი რომ მიწოდდეს, სტადიონზე კი არა, თეატრში წავიდოდლიო. როგორც ვხედავთ, მაშინაც კი

მესხზე ორი სრულიად საპირისპირო შეხედულება იყო გაბატონებული. ზოგიერთების აზრით, ეს ყოველი ნიჭიერი მწერლის ხვედრია.

* * *

ახლა მიხეილ მესხი მწვრთნელია. შორსმჭვრეტელმა ადამიანებმა მას შესთავაზეს უხელმძღვანელოს სკოლას, რადუნდა დაიკარგოს, დავიწყებას მიეცეს ყველაფერი ის, რაც მან ნახა, დაიხსომა, შექმნა. ყველაფერი, რასაც ერთი სიტყვა „გამოცდილება“ შეიძლება ვუწოდოთ.

თავდაპირველად მას „მესხის სკოლა“ ერქვა. მერე კი უფრო მკლერი სახელი მოუძებნეს: „საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან არსებული სპეციალიზებული საბავშვო საფეხბურთო სკოლა“. პირველ ხანებში სიძნელებებს წააწყდნენ არა სპორტული ბაზის მშენებლობაში, ინვენტარის შეძენასა და პედკოლექტივის შერჩევაში. ყველაზე ძნელი ბავშვთა კონტინგენტის შერჩევა გახდა. ას ადგილზე ექვსასი მსურველი გამოჩნდა. ათას ორას მშობელს შორის თითქმის ნახევარი შორეული ან ახლობელი ნაცნობი იყო ან თვით მესხისა, ან მისი ნათესავებისა და ნაცნობებისა. მიხეილთან მოდიოდნენ ელჩები, დელეგატები, შუამდგომლები. მრჩევლები, მაგრამ თავის თანაშემწესა და ძველ მეგობარ მიწავეთან ერთად მან შეძლო გარკვეული ვადით უკუეგლო ქართული სტუმართმოყვარეობის ადათები და პირობითობანი. არ იშურებდნენ დროს, ცდილობდნენ დაენახათ, რა შეუძლია გააკეთოს ამა თუ იმ ბიჭუნამ დღეს და რის გაკეთებას შეძლებს იგი ხვალ. გადაწყვიტეს — „არავითარი ნაცნობობა, იმარჯვებს ღირსეული!“ და გაიტანეს თავისი. მაგრამ სკოლა-



ში მაინც ასის მაგივრად ას ორმოცდაათმა ბიჭუნამ მოიყარა თავი. მაშასადამე, ყოველ მწვრთნელს მეტი ოფლის ღირებულება. მაგრამ არც ერთ მათგანს ერთხელაც არ დაუწუწუნია, რადგან სკოლაში მუშაობენ ადამიანები, ვისაც ნამდვილად უყვარს ფეხბურთი და ესმის, რა დიდი როლის შესრულება შეუძლია ამ თამაშს ყოველი ახალგაზრდა ხასიათის ჩამოყალიბებაში.

რომელიმე ოქმებითა და ინსტრუქციებით თავგამოჭედული პედანტი-რევიზორი რომ მივიდეს ამ სკოლაში და მეცადინეობას დაესწროს, ალბათ გაცოდება და სარევიზიო ანგარიშში ჩაწერს, რომ ამ სასწავლებელში ძალზე თავისუფლად ექცევიან სასწავლო პროგრამას.

მაგრამ ბევრს ეს სითამამე (მოდით, ნუ შეგვეშინდება გამოვიყენოთ გაცვეთილი სიტყვათშეხამება „შემოქმედებითი სითამამე“) გამართლებულად მიაჩნია.

მოვეუსმინოთ თვით მიხეილ მესხს:

— ამბობენ, ქვეყანაზე ორი ერთნაირი ხასიათი არ არსებობსო. ვუყურებ ჩემს მოწაფეებს და ერთხელ კიდევ ვრწმუნდები ამ სიტყვების სიმართლეში. ერთი სწრაფად ითვისებს ყველაფერს, ფიცხია, ზოგჯერ დაუდევარიც, კარგად ფლობს ბურთს და თავმოყვარეა (არ ვიცი, სხვა სკოლებში როგორაა, მაგრამ ჩვენთან ასეთი ტიპი ჭარბობს... და სხვათა შორის ჩვენ, მწვრთნელები, ამას სრულიად არ ვნანობთ), მეორე უფრო ბეჯითია, მზად არის ოფლში გაწურვამდე იმეცადინოს, ყველაზე მოსაწყენ ვარჯიშსაც კეთილსინდისიერად ასრულებს — რაკი საჭიროება მოითხოვს!.. მესამე ძლიერ განიცდის მარცხს — ურჩევნია მიწა გაუსკდეს და ქვეშ ჩაიტანოს. მეოთხეს დამარცხება მხოლოდ უბიძგებს, საბრძოლ-



ველად შემართავს, უფრო მეტი თავგამოდებით იბრძვის. ასეთებთან მუშაობა ნამდვილად სასიამოვნოა. განა ყველა ჩემი ხასიათის გათვალისწინება შეუძლიათ ადამიანებს, ვინც მასწავლებლებს უწოდებენ? პროგრამა კარგია, როცა მას ჰქვია პროგრამა, თუ ბრმად მიყევი, ვერაფერ სარგებლობას ვერ გამოიჩენი.

მახსენდება ზოგიერთი ჩემი მწვრთნელი — გამოგვიძახებდნენ დღეს გადარბენაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველა უნდა წასულიყო. შოთა იამანიძესა და გიორგი სიჭინავას უყვარდათ გრძელ დისტანციებზე სირბილი. მათთვის ეს სიამოვნება იყო. მე კი ვერაფრით ვერ გამეგო, რაში მჭირდებოდა ამდენი სირბილი... გარემარბი მოკლე დისტანციაზე რბენაში უნდა ვარჯიშობოდე, ეუფლებოდე სასტარტო გაჭრის საიდუმლოებას. მე ამას ვეუბნები მწვრთნელს, ის კი თვალს მარიდებს და ცივად მპასუხობს, რომ ინსტრუქცია არ ითვალისწინებს არავითარ გამოწვევას. ვეფიცები, რომ ორჯერ მეტ ძალას დავხარჯავ. ის კი მეკითხება: მერე ამას ვინ შეამოწმებსო. რა თქმა უნდა, იყვნენ სხვა მწვრთნელებიც — მიხეილ იაკუშინი, გავრილ კაჩალინი, არჩილ კიკნაძე, რომლებიც სხვანაირად უყურებდნენ საქმეს, ესმოდათ, ვის რა შეუძლია და ვის რა სჭირდებოდა... სწორედ ამ ადამიანებმა ბევრი რამ მასწავლეს როგორც მოთამაშესა და როგორც მწვრთნელს.

— საერთოდ კი ჩვენ გვინდა, რომ ყოველ ახალგაზრდა ფეხბურთელს, ვინც ჩვენს სკოლას დაამთავრებს, ჰქონდეს თავისი საკუთარი სახე, საკუთარი ხელწერა.

საუბარში ერევა მიხეილ მინაევი:

— ჩვენ ბედნიერები ვიქნებოდით, რომ შევძლებდეთ ყო-

ველ მათგანში განვავითაროთ თავისი ინდივიდუალური ხა-
სიათი. გვყავს ისეთი ბიჭები, არა უშავსო რომ იტყვიან.

— რატომ „არა უშავს“, პეტროვიჩ, ისეთი ბიჭები მო-
დიან, გაგიჟდები.

ეს „გაგიჟდები“ იქნებ ყველაზე უკეთ მეტყველებს იმაზე,
თუ რას ნიშნავს მესხისთვის მისი სკოლა. იგი სულ ახალი შექ-
მნილია, მაგრამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იც-
ნობენ. საიდან არ ჩამოჰყავთ თავიანთი შვილები — ჭიათუ-
რიდან, გაგრიდან, ყაზბეგიდან...

„ტალანტის ძიება!“ — დაუწერელი კანონია მესხისა და
მისი თანამემწეებისთვის. ცნობილია, რა ძნელია „ტალანტის
აღმოჩენა“ სპორტში და ცხოვრებაში საერთოდ — დაეხმარო
ახალგაზრდას, იპოვოს თავისი თავი, თავისი მოწოდება, რო-
მელსაც იგი ემსახურება და რომლითაც ყველაზე დიდ სარ-
გებლობას მოუტანს ქვეყანას. ვერ გავბედავ ვიკისრო და
ვთქვა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს მესხის სკოლა-
ში. იყო, არის და იქნება ალბათ ჩავარდნები, რადგან არც
ერთი მწვრთნელი არ არის ამისგან დაზღვეული, მაგრამ მა-
ინც მინდა მჯეროდეს, რომ სკოლაში გამეფებული ნდობისა
და კეთილგანწყობილების ატმოსფერო მის ბედნიერ მომა-
ვალს განაპირობებს.

თბილისში ერთ ცნობილ მწვრთნელს ჰყავდა 15 წლის ფეხ-
ბურთელი ონისე წიკლაური. მთაში გაზრდილ ჭაბუკს სწრაფი
და ღონიერი ფეხები ჰქონდა. ორი წელი თამაშობდა, მაგ-
რამ არ მოეწონა მწვრთნელს და ერთხელ უბოროტოდ,
მეგობრულად ურჩია, სპორტის რომელიმე სხვა სახეობაში
ეცადა თავისი ბედი: „დიდხანს ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა ეს
შენთვის, მაგრამ მერე გადავწყვიტე, რომ შენთვისვე აჯობებ-

და, თუ გეტყვოდი. ნუ გაჯავრდები და გულთან ნუ მიიტან ამ ამბავს, გავა დრო და შენ თვითონვე მადლობელი დამჩქები.


ონისე მესხთან მივიდა. ახალმა მწვრთნელებმა ბიჭი და დაასკვნეს, რომ ამ ყმაწვილში რაღაც არის, მხოლოდ საჭიროა დაეხმარონ მას აარჩიოს ახალი ამკლუა და გამოუმუშაონ ინდივიდუალური მეცადინეობის განრიგი. ყაზბეგელი ბიჭის მონდომებამ, თავმდაბლობამ და სიბეჯითემ ყველას ყურადღება მიიქცია სკოლაში. ერთი წლის შემდეგ ონისე შეიყვანეს საქართველოს ნორჩთა ნაკრებში. უყურა მის თამაშს ძველმა მწვრთნელმა და კინაღამ ბოღმისგან იტირა, თურმე რა ფეხბურთელი გაუშვია ხელიდან!

რას ეძებს მესხი, რისკენ მიისწრაფვის? ნათელია. მას უნდა, რომ მისი მოსწავლეები უკეთესად თამაშობდნენ, ვიდრე თვითონ თამაშობდა. დრო წინ მიდის, ფეხბურთიც ვითარდება, მდიდრდება. მესხმა იცის: მათ, ვინც მას შვილად ერგება, განსაკუთრებული გამოცდა ელის. როცა დიდ ფეხბურთში მივლენ. დაე, იყვნენ მზად!

წახი — მთელი სიცოცხლის ღარი

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც მე და ჩემი ამხანაგი „სოვეტსკი სპორტიდან“ მთელი ღამე, თითქმის გათენებამდე ვწერდით რეპორტაჟს ერთ-ერთ ოლიმპიურ შეჯიბრებაზე. გათენებისას, როცა რომის საერთაშორისო სადგურის ტელეფონისტმა ქალმა თავაზიანად მოგვმართა „მოსკოვი გთხოვთ“, კიდევ არ ვიყავით მზად გადაცემისთვის.

უგერგილობისთვის გაგვიცხეს, მაგრამ ჩემი ამხანაგი არ დაიბნა, უღვაშებში ჩაიცინა და თავაზიანად, მაგრამ საკმაოდ



მტკიცედ უპასუხა: „გთხოვთ შეინარჩუნოთ ოლიმპიური სიმ-
შვიდე. ჩვენ არ გვძინებია, ვმუშაობდით, მასალები საათ-ნა-
ხევრის, ორი საათის შემდეგ იქნება. გთხოვთ გამოგვიძინაოთ
განმეორებით“.

მაგრამ საათ-ნახევარიც გავიდა და ჩვენ კიდევ ვერ მო-
ვასწარით ყველაფრის მომზადება — ვწერდით, ვათეთრებ-
დით, ვასწორებდით, ვშლიდით, კვლავ ვასწორებდით და ა. შ.
ჩემს სიცოცხლეში ასე არ გამჭირვებია წერა და ასე ცუდად
არ ღამიწვრია.

გამოგვიძახა მოსკოვმა. ჩვენ გადავეცით პირველი ოთხი,
ასე თუ ისე გამზადებული გვერდი, მერე კი დაიწყო იმპრო-
ვიზაციები... ძალიან ბევრის თქმა გვინდოდა, გესურდა მიახ-
ლოებით მაინც გადმოგვეცა ის, თუ რა განვიცადეთ პირველი
სექტემბრის იმ დაუფიწყარ დღეს რომის ოლიმპიურ სტადი-
ონზე, როდესაც ელექტროტაბლოზე აციმციმდა და მერე მთე-
ლი მსოფლიოს საგანგებო გაზეთების ფურცლებზე გადაი-
ნაცვლა სიმადლეზე ხტომაში ახალი ოლიმპიური ჩემპიონის
რობერტ შავლაყაძის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილმა გვარმა.

კარგად მახსოვს, ასე დავწერეთ მაშინ:

„გაივლის მრავალი წელი და მოვლენა, რომლის ხილვაც
გვხვდა წილად, მოგვაგონდება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე
ნათელი და სასიხარულო სპორტული შთაბეჭდილება“.

* * *

და აი, მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა... რა მოუტანა
ამ წლებმა რობერტს? როგორ გადაიტანა მან ეს თავისი არა-
ჩვეულებრივი წარმატება? ცოტათი, ოდნავ მაინც ხომ არ და-

ახვია თავბრუ, გააყოფოჩა, მეგობრებსა და ამხანაგებს ჩამო-
შორა? დიდებას ზოგი მწვერვალზე აჰყავს, ზოგს კი... ეროვნული
მეცნიერებათა

მთელი ამ წლების მანძილზე თითქმის არ შევხვედრივარ
რობერტს. მხოლოდ მესმოდა სხვებისგან: საქართველოს ნაკ-
რების მწვრთნელიაო, მერე ქვეყნის ნაკრების მწვრთნელიო,
ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორიაო და სხვ.

ბოლოს, ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. სწორედ იმ
ღამეს, როცა მგონი მთელი ქვეყნის ტელევიზორები ერთად-
ერთ პროგრამაზე იყო გადართული — იუგოსლავიიდან გად-
მოსცემდნენ მატჩს მსოფლიოს პირველობაზე კალათბურთ-
ში — საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის გუნდებს შორის.

თავდაპირველად თამაში ჩვენების სასარგებლოდ მიმდი-
ნარეობდა. ვიღაცამ ბურთი შორიდან ტყორცნა, ბურთი შე-
მოველო რგოლს, თითქოს ყოყმანობს, ჩავვარდე თუ არაო,
მერე ჩავარდა.

რობერტმა იღბლიანობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

ღიახ, იმ დღის შემდეგ მას ცოტა მეტი სჯერა იღბლისა —
მისი უკანასკნელი ნახტომის შემდეგ ხომ თამასა შეიჩხა,
მთელ სტადიონს სუნთქვა შეეკრა. იწვა ქვეშ სულგანაბული,
შეჰყურებდა და ნატრობდა — არ ჩამოვარდეთ. ასე მეგონა,
გული გამისკდება-მეთქი. ის წუთი არასოდეს დამავიწყდება...
ღიახ, მას შემდეგ უფრო მეტი სჯერა იღბლისა და უფრო კარ-
გად ესმის, ვის სწყალობს ბედი, ვისა აქვს ამისი უფლება.

— ჩვენს სპორტში სრულიადაც არ კმარა სიმაღლის აღე-
ბა საწვრთნელი ვარჯიშების დროს. ნამდვილი სპორტსმენი
ისაა, ვინც სარეკორდო შედეგებს მიაღწევს დიდ შეჯიბრებებ-
ზე, როდესაც მის უკან გუნდია, წინ კი სერიოზული, გამოც-
დილი, მოხერხებული კონკურენტები. აი, სწორედ აქ მოწმ-

დება ადამიანი — ვინ არის, რას წარმოადგენს თვითონ და მისი მწვრთნელი. გული უჩვეულოდ ძვრს, ყელი იფრთხება, მუხლებიც გლალატობს. ეჰ, რა სალაპარაკოა, ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც თვითონ გამოუცდია... აჰ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას. მაგრამ ბევრია დამოკიდებული სპეციალურ ფსიქოლოგიურ შემზადებაზეც. ჩვენ ყოველთვის როდი გვესმის იგი სწორად. ერთხელ რომელიღაც ცნობილი მწვრთნელის გამონათქვამი წავიკითხე: ნამდვილ სპორტსმენს უნდა შეეძლოს ყველაზე ურთულეს ბრძოლაში აჩვენოს თავისი საუკეთესო შედეგებიო. მე ეს რაღაც იდეალისტურ სურვილად მომეჩვენა. სპორტსმენი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანია, რომელსაც გააჩნია ყველაფერი ადამიანური, მათ შორის სისუსტეც. თუ ოდესმე რობოტს ჭადრაკის თამაშს ვასწავლით, მხოლოდ ის შეძლებს არ მიაქციოს ყურადღება ტურნირის დროს რა სიძლიერის მოჭადრაკეს ხვდება, არ განიცდის წაგების სიმწარეს. მაგრამ ეს არ იქნება სპორტი. ჯერჯერობით კი ჩვენ ვლაპარაკობთ სპორტსა და სპორტსმენებზე. მაშასადამე, შენ გამოდიხარ შეჯიბრებაზე, ამხანაგებს ახსოვთ შენი შედეგები წვრთნისას, სჯერათ შენი და მხოლოდ მაშინ გეტყვიან მადლობას თუ დამტკიცებ, რომ კი არ შეკრთი ბრძოლაში, პირიქით, გაკაყდი... თუ არა და სულ სხვა სიტყვებს დაიმსახურებ და სამართლიანდაც.

ტელეეკრანზე კი ამასობაში მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. ბრაზილიელები შმაგად და გაბედულად თამაშობდნენ. ჩვენებმა ჯერ ერთი უმნიშვნელო შეცდომა დაუშვეს. ამას მოჰყვა ორი უფრო დიდი შეცდომა. რაც უფრო ცუ-

დად თამაშობდნენ ჩვენები, მით უკეთესად თამაშობდნენ მოწინააღმდეგენი.

— აჰა, რამდენი მილიონი უყურებს ახლა ამათ... რას იფიქრებენ, თუ მათ ნერვების მოთოკვა ვერ ისწავლეს? აჰა-ტიონ შეცდომები, არ მიაქციონ მათ ყურადღება? როცა საშიში მეტოქე გყავს, აქ სულ სხვა კანონებია. უნდა იცოდე, ეს კანონები. მე მგონია, ეს ჩვენი დღევანდელი სპორტის ერთ-ერთი მთავარი საქმეა.

ამასთან დაკავშირებით კარგა ხანია ვაპირებდი რობერტისთვის ერთი კითხვის მიცემას:

— ხომ ვერ გაიხსენებთ, რას განიცდიდით იმ წუთს, როცა მსოფლიოს ჩემპიონი ჯონ თომასი უკანასკნელი ნახტომისთვის ემზადებოდა და მალე თქვენი ჯერი უნდა დამდგარიყო? როგორ განაწყობდით თავს „216“-იანი სიმაღლისთვის? რას იგონებდით, რაზე ფიქრობდით?

— როგორ გითხრათ, გამოცდილება გამოცდილებაა. მე მგონია, უკვე მივეჩვიე, ნახტომისთვის გამზადებულ მოწინააღმდეგეს რომ შევხედავ, თვალებზე შევატყობ ხოლმე, აიღებს თუ ვერ აიღებს სიმაღლეს. ხდება ხოლმე, რომ მოემზადება ადამიანი, ერთი წუთით გაჩერდება, ყველაფერს დაივიწყებს თამასის გარდა, მაგრამ ამ დროს მის ყურადღებას მიიპყრობს რაღაც — ან სტარტერის გასროლა ან რადიოს ხმა, მაშინ წასულია მისი საქმე. უკვე სულ სხვა ადამიანი ემზადება ნახტომისთვის. ისიც მოქმედებს სპორტსმენზე, როცა საქმეები ცუდად მისდის და ვერ სძლევს დამარცხებას.

თომასმა ცუდად დაიწყო და თავი ვერ დააღწია ამ განწყობას, არ ჰქონდა იმედი, თითქოს გაქვავდა. ისე მიდიოდა უკანასკნელ ნახტომზე, თითქოს სამსხვერპლოზე მიპყავთო.

არ ვიცი როგორ, მაგრამ ამან ცოტა გამამხნევა. პირველი და მთავარი ამოცანა იყო ამერიკელთან არ წამეგო ჩვენებთან — ბრუმელთან და ბოლშოვთან თუ წავაგებდი ამას კედევ არა უშავდა რა, მაგრამ წაგება მაინც არ მინდოდა...

რაზე ვფიქრობდი? ამხანაგებსა და მეგობრებზე, რომლებიც ბევრი მყავს თბილისშიც და სხვა ქალაქებშიც. ვიცოდი, როგორ გაიხარებდნენ, თუ გავიმარჯვებდი. საშინლად დავილაღე. შეჯიბრება დღის ათ საათზე დაიწყო და თითქმის თორმეტ საათს გრძელდებოდა. ახლა რა უჭირთ მსტომელებს — დღეს რომ საკლასიფიკაციო შეჯიბრებაა, ხვალ ფინალია. მაშინ კი ყველაფერი ერთ დღეს ტარდებოდა. მაგრამ მე ვიცოდი, რომ არც სხვები იყვნენ ჩემზე ნაკლებად დაღლილი. ვწევარ ბალახზე და ვფიქრობ — ახლა ჩემი ჯერია. მართალია, იარაღი არ გვიჭირავს, მაგრამ ესეც ბრძოლაა, ახლა გამოჩნდება, რა ბიჭიცა ვარ. ამბობენ ქართველები ფიცხი ხალხიაო. სიფიცხეს ხანმოკლე ბრძოლაში კიდევ რა უშავს. მე კი ახლა ცივი განსჯა უფრო მჭირდება. ყველაფერი უნდა გავითვალისწინო. მსაჯი შეიძლება ნიშნის გვერდით დადგეს. როცა ნახტომისთვის მოვემზადები, იმას არ უნდა მივაქციო ყურადღება. შეიძლება დასაჯილდოებლადაც გამოიყვანონ ვინმე. დაუქრავენ ჰიმნს, ყველანი ფეხზე ადგებიან. როგორ მოვიქცე? გავჩერდები და ვეტყვი ჩემს თავს, რომ არაფერი არ მომხდარა, მოვიციდი და მერე გამოვალ მრავალჯერ წარმოვიდგინე, როგორ მოვწყდები ადგილიდან, როგორ შევმართავ ფეხს, გადავევლები თამასას. თითქოს ვილაც ჩამჩურჩულებდა, რომ მზად ვარ ბრძოლისთვის. მწამდა ბედისა.

...მრავალი წლის შემდეგ ვალერი ბრუმელი წერდა, რომ

რობერტ შავლაყაძე იყო და რჩება მისთვის ნამდვილი სპორტსმენის ნიმუშად.

მე მგონია, რომ ადამიანს, რომელიც მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენად ითვლება, ეს სახარბიელო სიტყვები რობერტზე მარტო იმიტომ კი არ დაუწერია, რომ მან ერთხელ რომში გაიმარჯვა და დაიკავა პირველი ადგილი, რომელიც მანამდე მხოლოდ ამერიკელებს ეჭირათ ხოლმე. არის რაღაც მის ხასიათში, მოქმედებაში, შეხედულებებში ცხოვრებასა და სპორტზე. ეს „რაღაც“ წუთებს კი არ შეუმოწმებია, ათეულ წლებს გაუძლო. თუ ამ „რაღაცის“ ერთი სიტყვით გამოხატვას შევეცდებით, „ერთგულლებაზე“ უკეთეს სიტყვას ვერ ვიპოვით.

ღიახ, მან უანგაროდ და სამუდამოდ მიუძღვნა სპორტს თავისი თავი. მან იცის, რას აძლევს სპორტი ყოველ ადამიანს, როგორ გარდაქმნის და ამალლებს, რა სიხარულს ანიჭებს. რომის შემდეგ რობერტის ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართა — გახდა უფრო სრული, სისხლსავსე, შინაარსიანი. უცებ აღმოჩნდა, რომ დღე-ღამე გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე აქამდე ფიქრობდა. მან შეამჩნია, რომ მას შემდეგ, რაც მისი სახელი ცნობილი გახდა, ძალიან ცოტა დრო რჩებოდა თავის თავისთვის. ეგოისტი ინანებდა, შეეცდებოდა, ნახევარი მაინც აეცდინა იმ საქმეებისგან, რაც ოლიმპიურ ჩემპიონებს აწევთ კისერზე. მას იწვევდნენ ქარხნებში, სამხედრო ნაწილებში, კოლმეურნეობებში. ცდილობდა, არავისთვის ეწყენინებინა. რა თქმა უნდა, არ დამიჯერებთ, თუ ვიტყვი, რომ ამ შეხვედრების შემდეგ არ იმართებოდა ძველი ქართული ჩვეულებისამებრ „მცირე სუფრა“ და არ ისმებოდა სადღეგრძელოები. ასეთ სუფრაზე ხანდახან ნამდვილი გა-

მოცდა ეწყობოდა — გაუძლებდა თუ არა სპორტსმენი ჩვენ-
ბური თამადის მოქარგულ ენას და თანამესუფრეთა დამაჯე-
რებელ არგუმენტებს. მაგრამ რობერტს ბევრი სპორტსმენი
უნახავს, ვისაც თავისი სპორტული კარიერა სწორედ ღვინის
გამო გაუფუჭებია — ადრინად ჩამოშორებია ხალიჩას ან
სარბენ ბილიკს.

რობერტ შავლაყაძე უმაღლესი დაოსტატების სკოლის
დირექტორია. ახლა მას მწვრთნელისა და პედაგოგის სიხა-
რული ახარებს: მის თვალწინ იზრდება, ვაჟკაცდება და სპორ-
ტულ გამოცდილებას იძენს ახალგაზრდობა. სკოლას საქარ-
თველოს თითქმის ყველა მოზრდილ ქალაქში აქვს თავისი გან-
ყოფილებები. საზრუნავი ყელამდეა. მათ შორის ადმინისტრა-
ციული საქმეებიც. ხანდახან ათასგვარი ხერხი გვჭირდება,
რომ საწადელს მიადწიო, ზოგან შეეხვეწო, დაარწმუნო, და-
უმტკიცო და იშოვო საჭირო მოწყობილობა. სკოლა ახლა მი-
სი მეორე ოჯახია.

აი, ნათელა ლაბაძე, ხაშურელი ბადროსმტყორცნელი გო-
გონა. 1955 წელს დაიბადა, 178 სანტიმეტრი სიმაღლისაა და
82 კილოგრამს იწონის, ამას მიუმატეთ გატაცება და დაულა-
ლავი შრომის უნარი. ახლავე 50 მეტრზე შორს ტყორცნის
ბადროს. მისი მწვრთნელი ვლადიმერ ზანერი ფიქრობს 1974
წლისთვის 55 მეტრს მიადწიოს. 1976 წელს ნათელა იბრძო-
ლებს ოლიმპიადაზე წასვლის უფლების მოსაპოვებლად. ფი-
ნალში მოსახვედრად მაშინ ალბათ 60 მეტრი მაინც იქნება
საჭირო, გამარჯვებისთვის კი — 70.


ამჟამად ეს შედეგი ფანტასტიკურად გვეჩვენება, მაგრამ
სპორტი ერთ ადგილას როდია გაყინული, არც ადამიანი დგას
ერთ ადგილას. რობერტი და მისი მრავალრიცხოვანი თანა-

შემწეებიც წინ იყურებიან და ახალგაზრდა ათლეტებს სამი და ხუთი წლის წინანდელი მეთოდებით კი აღარ ამზადებენ დრო თავის მოთხოვნებს უყენებს პედაგოგიური მეცნიერების ყველა უბანს. სპორტულ პედაგოგიკას კი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს.

ერთხელ რობერტმა თქვა:

ცხრა წელი დამჭირდა, რომ ორ მეტრსა და 10 სანტიმეტრს შეეკვიდებოდი. მაშინ ეს ნორმალური ჩანდა. ახლა კი ჩვენ უფლება არა გვაქვს ამდენი ხანი დავკარგოთ ამაზე. ეს დაუშვებელი მფლანგველობა იქნებოდა. მწვრთნელებს ახალი მეთოდები და ახალი ცოდნა აქვთ. რაც მეტს ვეცნობით, მით მეტად ვხვდები რა დიდი რეზერვებია ადამიანში, ახალგაზრდა სპორტსმენში. თბილისელი ვლადიმერ უზმორსკი 1952 წელს დაბადებული. სიმაღლე — 192 სმ. ფეხები თითქმის ილიებიდან ეწყება. 1968 წელს აიღო მეტრი და 60 სანტიმეტრი. ერთი წლის შემდეგ კი (რომ ვინმეს ეთქვა, არ დავიჯერებდი), მხოლოდ ერთი წლის შემდეგ 36 სანტიმეტრი მოუმატა. ვლადიმერი ახალი ტიპის სპორტსმენად მიმაჩნია. წარჩინებით დაამთავრა მათემატიკური სკოლა, შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, აქაც ფრიადოსანია. საერთოდ, ნიჭიერი ბიჭია. სწორედ ასეთები სჭირდება სპორტს. ისინი უნდა ვეძებოთ დაუღალავად, არ უნდა დავზოგოთ დრო და ენერგია. მათთან მუშაობაც სასიამოვნოა. ერთ წელიწადში გადიან იმას, რასაც ადრე ხუთ წელს ვანდომებდით.

— რას ფიქრობთ ხვალინდელ დღეზე, რობერტ, გაქვთ თუ არა რაიმე პირადი მიზანი?



— დიახ, ერთი პატარა მიზანი მაქვს. მინდა მოვხსნა ჩემი საკუთარი რეკორდი საქართველოში — ორი და თვრამეტეწიანი

— მაპატიეთ, მაგრამ მე მეგონა რომ თქვენ...

— დიახ, თქვენ მართალი ხართ, მე თვითონ უკვე რამდენიმე წელია აღარ გამოვდივარ. მინდა მოვხსნა ჩემი რეკორდი ჩემი მოწაფის თეიმურაზ მდივნის მეშვეობით. იგი უკვე იღებს ორსა და თხუთმეტს, როგორც ხედავთ, სულ ცოტაა დარჩა.

— გულახდილად მითხარით, ხომ არ დაგწყდებათ გული თქვენს რეკორდთან გამოთხოვებისას?

— სრულებითაც არა... ეს იმას ნიშნავს, რომ მე რაღაცას ვაკეთებ. ვაგრძელებ აქტიურ სპორტულ ცხოვრებას.

* * *

ოდესღაც მე და ჩემმა ამხანაგმა დავწერეთ რობერტზე:

„გაივლის მრავალი წელი და მოვლენა, რომლის ხილვაც გვერგო წილად, მოგვაგონდება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და სასიხარულო სპორტული შთაბეჭდილება“.

დღეს მხოლოდ შემიძლია გავიმეორო ეს სიტყვები.

სკილენძი და ჩილე

(მიშა კაკაბაძის ავტოგრაფი)

ისეთი არაფერი მომხდარა, მაგრამ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე მექსიკაში, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ჟურნალისტებსა და მწერლებს შორის, რომლებიც მოგ-

ზატრობდნენ მექსიკის ქალაქებში და აგარაკებზე, აღმოჩნდა ერთი პოეტი. მას ძალიან უყვარდა თავისი ლექსების კითხვა ძალიან კმაყოფილი იყო თავისი თავისა. ცდილობდა რაღაც რად ჩაეგდო 55 თუ 57 წელი და თავგამოდებით ეაშვიკებოდა ქალებს, მათ შორის ულამაზესთ უძღვნიდა ოდებს, სტანსებსა და სონეტებს. პუებლაში კი, მერიაში, ის-ის იყო სადილზე მიიწვიეს შიმშილისგან ღონემიხდილი მოგზაურები, პოეტი გამოვიდა დარბაზის შუაგულში, დამსწრეთ სთხოვა, ცოტა ხნით დანები და ჩანგლები გვერდზე გადაედოთ და დაიწყო პოემის კითხვა. კითხულობდა თითქმის 20 წუთი. ყველაზე ამადლებულ ადგილებში იშველიებდა ხელებს და საპაერო კოცნას უგზავნიდა ყველაზე ლამაზ გოგონას, რომელიც ეს წუთია გამოცხადებულ იქნა „მის მექსიკად“.

ცალი ყური იქით მეჭირა, საიდანაც გაისმოდა რეპლიკები გერმანულ, ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ და პოლონურ ენებზე. გადავხედე ჩემს ახალ ნაცნობს ხოსე ანტონიო რობლეს ფლორესს (ეს ყველაფერი ერთი კაცის გვარია) მექსიკის საინფორმაციო სააგენტოს ვიცედირექტორს. იგი მოხიბლული თვალს არ აშორებდა პოეტს და ფეხზე მდგომი უკრავდა ტაშს. დაჯდა თუ არა, ხმადაბლა წამჩუროჩულა: „რა საშინელი აბლაუბდაა“.

და მე ერთხელ კიდევ გავიფიქრე, რა უბოროტო, სიმპათიური და სტუმართმოყვარე ხალხია ეს მექსიკელები-მეთქი.

პოეტი სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი პატარა რესპუბლიკიდან იყო.

— ჩვენს ქვეყანაში მარტო ლექსებით, რაგინდ გენიალურ-ნაც არ უნდა იყვნენ ისინი, თავს ვერ გაიტან, ამიტომ სპორტულ ჟურნალისტობას მოვკვიდე ხელი, — სიჩანულით ამბობ-




და პოეტი და იმედოვნებდა, რომ გაუგებდნენ. მან ზედიზედ სამი პოემა წაგვიკითხა, მერე დამსწრეთ სთხოვა, თავიანთ ენაზე ჩაეწერათ ალბომში მისალმება. „ლელოს“ რედაქტორმა მიშა კაკაბაძემ ქართულად ჩაუწერა: „ღმერთო ჩემო, რამდენი დარტყმული ადამიანია ამ ქვეყანაზე!“ და ლამაზად მოაწერა გვარი. პოეტმა მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

* * *

თუ ვილაპარაკებთ „დიდი ანგარიშით“ (ახლა მოდაშია რეცენზიებში ასე წერა), მაშინ ჩვენც „ცოტა დარტყმულების“ რიცხვში მოვხვდებით. განა საოცარი არ არის, რომ სიტყვა „ფეხბურთის“ გაგონებაზე ვტოვებთ სახლს, საქმეს, მოვალეობას, ათას საჭირო და არასაჭირო რამეს ვციდულობთ, ვიკეთებთ საჭირო და არასაჭირო აცრებს, გავდივართ საგულდაგულო სამედიცინო შემოწმებას (ჩვენს გულებს კოსმონავტის გულივით გულმოდგინედ სინჯავენ). მოუთმენლად ველით ვიზებს და სააკრედიტაციო მოწმობებს და ბოლოს, ვხარჯავთ უამრავ ფულს, რათა აღმოვჩინდეთ პლანეტის მეორე მხარეს და ვიხილოთ... ვიხილოთ, როგორ შეფრინდება გოლი ჩვენს კარში, არა, უფრო სწორად, ჩვენს ცუდად გასინჯულ გულში, როცა ურუგვაელებთან მატჩის დასასრულამდე რამდენიმე წუთია დარჩენილი.

„ღირდა?“ — ეკითხები შენს თავს ამ წუთებში. მაგრამ გადის ორიოდღე დღე და შენვე პასუხობ: რა სულელური კითხვაა.

მექსიკაში მეორედ ჩამოვედი. საშუალება მეძლევა გავიცნო ეს ქვეყანა და ეს ხალხი უფრო კარვად, უფრო ახლოს.



გრძნობები გონებას დავუმორჩილო, თუკი შეიძლება საერთოდ მიზნად დაისახო ასეთი რამ ქვეყანაში, სადაც ასე ფიცხი მღელვარე და მგრძნობიარე ხალხი ცხოვრობს.

ინგლისელი ჟურნალისტი წუწუნებს: „ორი კვირა მაინცაა საჭირო, რომ აქაურ კლიმატს შევეგუო, და სულ ცოტა, ორი წელი მაინც, რომ აქაურ ხასიათს შეეწყო“. სამაგიეროდ, ჩემი ამიერკავკასიელი მეგობრები მშვენივრად გრძნობენ თავს: როგორც იქნა, მოხვდნენ ისეთ ქვეყანაში, სადაც ჭირივით ეჯავრებათ განცალკევება, მოღუნებულობა, სადაც ვერ წარმოუდგენიათ არსებობა ხუმრობისა და გაცხარებული კამათის გარეშე, სადაც თავიანთი გუნდის გამარჯვებებს მღელვარე მანიფესტაციებით გამოხატავენ.

პირველი მატჩის წინ

თუ რას ნიშნავს მოთმინებით აღსავსე ფიალა, ცოტა უკეთესად გავიგე იმ დღესა და იმ საათს, როცა „აქტეკას“ მინდორს ტოვებდნენ იაპონიისა და მექსიკის გუნდები, რომლებიც 1968 წლის ოლიმპიადაზე მესამე ადგილისათვის იბრძოდნენ.

ჩვეულებრივ დინჯი და თავშეკავებული იაპონელები პირდაპირ მაღაყებს გადადიოდნენ თავიანთი თავდამსხმელის კომპოტოს გარშემო, რომელმაც ორი გოლი გაიტანა, მექსიკელები კი თვალს ვერ უსწორებდნენ ტრიბუნებს.

უნდა შეგეხებათ მაშინ „აქტეკას“ სტადიონისთვის! საბრალო მექსიკელი ფეხბურთელების თავზე სომბრეროები როდი ცვიოდა: სომბრეროები ცვივა ხოლმე ტრიუმფის ნიშ-

ნად. ახლა კი ცვიოდა ფერადი გასაბერი ბალიშები, პირველი, რაც ხელში მოხვდათ სულის სიღრმეებზე შექრწუთაქრულ და შეურაცხყოფილ მექსიკელ გულშემატკივრებს.

ამაზე წინ მექსიკელებმა წააგეს ბულგარელებთან 2:3-ზე და დაკარგეს პირველი ადგილის იმედი. მატჩი დაიწყო გამაყრუებელ ღრიალში, მაგრამ ბულგარელებს თითქოს ბამბით ჰქონოდათ ყურები გამოტენილი, აინუნშიც არ ავდებდნენ ტრიბუნების ღრიალს და გულმოდგინედ, მონდომებითა და შეხმატკბილებით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს.

ბულგარელებთან მარცხი აპატიეს მექსიკელებმა თავიანთ ფეხბურთელებს, რადგან ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ისინა დაძლევენ იაპონიის არცთუ ისე ცნობილ გუნდს და ბრინჯაოს მედლებს მაინც მიიღებდნენ.

მაგრამ მექსიკელთა მეტოქეები თავდაუზოგავად თამაშობდნენ, მოიგეს 2:0 და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს, ხოლო სტადიონის აღვსებული ფიალა კიდევ დიდხანს ბრახით დუღდა და ქაფქაფებდა.

მექსიკის ტექნიკურ, მგრძნობიარე და თავმოყვარე ფეხბურთელებს ოლიმპიური ტურნირის დღეებში შეემთხვათ ის, რაც ხდება ხოლმე ჩვეულებრივ (და არა მარტო სტადიონზე), როცა ვიღაც დაამცირებს მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს და გააზვიადებს საკუთარს. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მექსიკის ნაკრების მწვრთნელები და ფსიქოლოგები განგებ არჩევდნენ მისთვის სხვადასხვა კლასის გუნდებს, დაე, ყოველგვარ გუნდთან ერთნაირი შემართებით ისწავლონ თამაში. სანამ სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები გამძაფრებულად იბრძოდნენ მექსიკაში წასვლის უფლებისთვის, მექსიკის გუნდი თავისუფალი იყო ამ ტვირთისგან და

შექლო საგულდაგულოდ, მიზანსწრაფულად მომზადებულიყო ფინალური ტურნირისთვის.

ვინც კი ამ გუნდის თამაშები ნახა, ყველა გრძნობდა: მექსიკის გუნდი ის აღარ იყო, იგი გახდა ძლიერი და საშიში.

მექსიკის გუნდი ჩვენი პირველი მეტოქეა.

საბჭოთა ნაკრებისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „აცტეკაზე“ 31 მაისის მატჩის მოგებას. მაგრამ ათჯერ უფრო საჭირო იყო, არ წაეგოთ იგი და შემდგომი შეხვედრებო ჩაეტარებინათ მშვიდად, არ ეფიქრათ იმაზე, რომ დაკარგულია ანაზღაურება დასჭირდებოდათ.

...მე მხოლოდ რამდენიმე დღით ვუსწრებ მოვლენებს და ვხედავ აბოზოქრებულ ვეებერთელა „აცტეკას“ მორთულ-მოკაზმულ სტადიონს. სტადიონის წინ მოედანი ფერადი ზოლებითაა აჭრელებული. მოედანზე ფეხბურთელებით გაჭედული ავტობუსები შემოიღიან. ჯერჯერობით არც ერთს არ არჩევს „ოქროს ქალღმერთი“, მაგრამ აი, გაივლის რამდენიმე მატჩი და გულგრილი ციფრები ყველა გუნდს თავის ადგილს მიუჩენენ მხოლოდ ორი გუნდი ოთხიდან, რომელიც კენჭისყრით ერთ ქვეჯგუფში მოხვდა, მხოლოდ ორი გუნდი ოთხიდან — გაავრძელებს ბრძოლას, გაიხარებს და იმედი ექნება, ვიღაცა კი თივის მწუხარებას წამალს ვერ მოუნახავს, თუნდაც „აცტეკასა“ და ვილა კონას შუაგზაზე აფთიაქს მიაღწიოს.

ვხედავ სტადიონის ლოჟებს, რომლებიც 99 წლითაა გაყიდული. ამ ლოჟებში პირდაპირ მანქანებით შედიან. მათ მფლობელებს ცხოვრებამ ასწავლა თავიანთი გრძნობების დაფარვა. რამდენად უფრო სიმპათიურები არიან არც თუ ისე მდიდარი და ამიტომ უბრალო და გულწრფელი მექსიკელი

ფეხბურთის გულშემატკივრები. მათ სახეებზე ამოიკითხავთ ყველაფერს, რაც მოხდება სტადიონზე.

რას ნიშნავს ჩვენთვის და მექსიკელებისთვის ეს მატჩი?

მოდით, გავიხსენოთ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი — ვინ შეადგენდა მაშინ ორ ნახევარფინალურ წყვილს? გუნდები, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს თავთავიანთ ქვეყნებში და მერე გამარჯვებულის უფლებით ატარებდნენ მეოთხედფინალურ შეხვედრას თავიანთ უკვე კარგად შეჩვეულ მოედნებზე. ესენი იყვნენ: ინგლისის, ფრანსის, პორტუგალიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. მათ არ სჭირდებოდათ შეგუება ახალ კლიმატთან და ახალ მინდორთან.

გუნდებს, რომლებიც მექსიკის ტურნირის ოთხ ქვეყნულში მეორე ადგილებს დაიკავებენ, მოუხდებათ კიდევ ახალ სიმაღლესთან შეგუება, რადგან მექსიკის სიმაღლეები ინგლისისას როდი ჰგავს.

რამდენად უფრო სასიამოვნოა მოიპოვო პირველი ადგილი მეხიკოში და ელოდო მეორე გუნდს პუებლოდან (რომელსაც ჩამოსვლისა და აკლიმატიზაციისთვის მხოლოდ სამი დღე აქვს), ვიდრე დაჯერდე მეორე ადგილს და გაემგზავრო მატჩზე სხვა ქალაქში, თუმცა... ამქვეყნად ყველაფერი შეფარდებითია და ალბათ იმ გუნდსაც, რომელიც მეხიკოში მეორე ადგილს მოიპოვებს, შენატრებენ ისინი, ვინც მესამე და მეოთხე ადგილზე გამოვიდა და მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლებენ.

აუცილებლად წინასწარმეტყველი როდი უნდა იყო, რომ მიხვდეს: მატჩი საბჭოთა კავშირი-მექსიკა მოიგებს ის, ვინც ფლობს არა მარტო ბურთს, არამედ თავისთავსა და თავის ნერვებსაც. ადვილი კი არ არის — იპოვო და ააწყო „შენი



თამაში“ ასეთ დიდმნიშვნელოვან ორთაბრძოლაში. ყოველგვარ სპორტულ თამაშში, მათ შორის ფეხბურთშიც, ოდენა ფსიქოლოგიურ უპირატესობას შეუძლია შეიტანოს გარდატეხა თანაბარი ძალის მქონე გუნდების ძნელ ორთაბრძოლაში. ასეთ შეჯიბრებაში მოსალოდნელი შედეგის წინასწარგანჭვრეტა გამარჯვების საწინდარია. და უნებლიეთ მახსენდება ერთი კარგი მაგალითი სპეციალური მომზადებისა „ამ თემაზე“.

გადამწყვეტი მატჩის წინ საბჭოთა კავშირის პირველობაზე 1964 წელს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის, თბილისელთა მწვრთნელი კაჩალინი თავის ფეხბურთელებს აიძულებდა ყველა საწვრთნელი შეხვედრის მეორე ტაიმი დაეწყოთ წაგებული ანგარიშით: 0:1. მას მიაჩნდა, რომ ტორპედოელები ყოველგვარ ძალას იხმარდნენ პირველსავე ტაიმში აეღოთ ინიციატივა და გაეხსნათ ანგარიში. კაჩალინმა მიაჩვია თავისი მოთამაშეები არ აპყოლოდნენ გრძნობებს, მიაჩვია შეენარჩუნებინათ არა მარტო ძალები — ნებისყოფის მარაგიც მთელი მეორე ტაიმისთვის. მაშინ, უკანასკნელ მატჩში ქვეყნის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. ტორპედოელებმა მოიგეს პირველი ტაიმი 1:0-ზე. მეორე ტაიმში კი თბილისელებმა გაიტანეს ოთხი ბურთი.

მწვრთნელი იცნობდა თავის მოთამაშეებს. მაგრამ არანაკლებ კარგად იცნობდა მოწინააღმდეგესაც. ამაში ხომ არ არის ბრძოლის ხელმძღვანელის მთავარი ხელოვნება?

...ოთხი წლის წინათ ინგლისში ჩვენი გუნდის შანსები შეფასებული იყო, როგორც 1:32-თან.

ახლა კი ბუკმეკერებმა ქათინაური უთხრეს მას, რადგან მისი შანსი ჩასთვალეს როგორც 1:10. ბუკმეკერებიც ხომ

აღამიანები არიან და, ისე როგორც ყველა მექსიკელს, სურთ
გაიმარჯვოს მათმა გუნდმა, თუმცა ფიქრობენ, არ მრავალს
დეთო.

ვერაფერს იტყვი, კარგი გუნდი ჰყავს მექსიკელებს. თა-
მაშობს ლამაზად, შემართებით, ცოცხლად. თუ კარგად ააწყო
თამაში — უფროსილდი! მე ძალიან მომწონს ეს გუნდი.

და მაინც, როგორ მინდა, რომ 31 მაისს, როცა „აცტეკას“
სტადიონზე 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი
მატიჩი დამთავრდება, ტრიბუნებიდან სომბრეროების ნაც-
ვლად ფერად-ფერადი რეზინის ბალიშები მოცვიოდეს!

თქმულება

ზღვის სანაპირო ქალაქებში ასეთი თქმულებაა: ვისაც
სურს, კვლავ მოხვდეს ამ ქალაქში, ზღვაში მონეტა უნდა გა-
დააგდოსო. იმან რაღა უნდა ქნას, ვისაც ზღვიდან საკმაოდ
დაშორებულ ქალაქში უნდა დაბრუნება?

მეხიკოში ამბობენ, რაღაცა უნდა ჩამარხო მიწაშიო.

რაკი ასეა, ჩავმარხოთ!

ოლიმპიიდა რომ დამთავრდა, მზის პირამიდაზე ავიდი და
ნაპრალში „აცტეკას“ სტადიონის პაწაწინა ლითონის მოდელი
დავმალე. გამომგზავრების წინ ეს ამბავი მოვუყვივი ჩემს ახალ
ნაცნობს, მექსიკელ კომკავშირელს არმანდო გურალას, რომე-
ლიც იულიუს ფუჩიკის სახელობის ადგილობრივ კლუბს
ხელმძღვანელობს. არმანდომ გაიღიმა და არცთუ მთლად კომ-
კავშირულად მითხრა „ღმერთმა ქნას!“ ჩვენ დავემშვიდობეთ
ერთმანეთს და თვითმფრინავისკენ გავემართეთ. უცებ ვხედავ

მანდორზე არმანდო გამორბის. იგი აქოშინებული მოვარდა და მითხრა:

— აჰა, ჩემი მისამართი და გასაღები. როცა ჩამოვალ, თუ შინ არ დაგხვდი, გააღე კარი და ისე მოიქეცი, როგორც საკუთარ სახლში, აი, ნახავ, საფეხბურთო ჩემპიონატი ოლიმპიადაზე ნაკლები როდი იქნება. ეცადე, ჩამოხვიდე, ძალიან გთხოვ...

— გმადლობთ, ძვირფასო არმანდო. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემს სურვილზე როდია დამოკიდებული. ეს ჩვენი ფეხბურთელების საქმეა.

თილისმას თითქოსდა ცუდად არ უმოქმედია: ჩვენმა ფეხბურთელებმა მეოთხეჯერ მოიპოვეს უფლება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობისა.

ასეთი რანგის საფეხბურთო ტურნირები იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიური თამაშების შუალედებში. თუმცა არიან ქვეყნად ადამიანები (ალბათ არმანდოც მათ რიცხვს მიეკუთვნება), ვისაც მიაჩნია, რომ სწორედ ოლიმპიადები იმართება საფეხბურთო ჩემპიონატების შუალედებში, რათა ცოტათი მაინც გაგვიადვილონ ნამდვილი სპორტული შივიბრების მოლოდინი. საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაცია აერთიანებს ას ოცდათხუთმეტ ქვეყანას. და თვით ეს ფაქტი თავისთავად ბევრს ამბობს. მსოფლიოში ისეთი მოგონა არ მომხდარა, რომლისთვისაც ამდენ ხალხს ედევნებინოს თვალყური — ჩემპიონატის ტელეგადაცემას რვაასი მილიონი კაცი უყურებს.

ფიხბორთი, მეცხრამეტე საუკუნის პირმშო, რომელიც თავის თავში ატარებს მის ერთ თვისებას, როგორც გადმონაშთს, ოფსაიდის წესს, საოცრად შეეგუა ჩვენს საუკუნეს,

მის მთავარ თამაშად და მთავარ გატაცებად იქცა. ოთხ წელიწადში ერთხელ ვლინდება არა მარტო მსოფლიოს უძლიერესი გუნდი, არამედ აღამიანები იგებენ, რომელმაც დააგროვა, რა აღმოაჩინა, რა ახალ გზებს გვთავაზობს. ორჯერ ზედიზედ ბრაზილიელები გახდნენ ჩემპიონები. თითქმის მთელმა მსოფლიომ აღიარა მათი ტაქტიკისა და ტექნიკის სრულყოფილება და „ბრაზილიურმა სტილმა“ მთელი დედამიწის ზურგი შემოიარა. მხოლოდ ერთ, არც ისე დიდ კუნძულზე თამაშობდნენ და სწავლობდნენ თავისებურად, ჯიუტად ავითარებდნენ თავის სტილს, ამავე დროს არ ერცხვინებოდნენ, აეღოთ ყოველივე საუკეთესო სხვებისგან. ეს იყო ბრიტანეთის კუნძული, რომელმაც 1968 წელს მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მისცა.

რას ვნახავთ მექსიკაში?

უმიღლესი კლასის ოსტატთა თანამედროვე თაობა სულ უფრო და უფრო უახლოვდება შესაძლებლობათა ზღვარს და იმისთვის, რათა გამომყდნენ თანაბართა ბრძოლაში ნამდვილად უძლიერესი, საჭირო ხდება ახალი ფანდების მოგონება, შეჯიბრებათა გართულება, თანდათან უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ იმათ, ვინც გაბედავს და იოცნებებს მსოფლიოს ჩემპიონობაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ფეხბურთის პირველობის ორგანიზატორებმა აჯობეს ამ მიმართებით იმათ, ვინც ატარებდა ავტორალებს ლონდონი-მეხიკო 26 500 კილომეტრზე. აქ 96 მანქანიდან ფინიშს მიაღწია 23-მა და ამით დამთავრდა ყველაფერი.

აქ კი 70 გუნდიდან, რომლებიც შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ დედამიწის სხვადასხვა ადგილას, ფინიშთან მივიდა 16. არსებითად ყველაფერი აქედან იწყებოდა. იწყებოდა



2300 მეტრის სიმაღლეზე, ქალაქში, სადაც ცხოვრობს ჯაფარიძე, რომელთა სიფიცხეს ზოგიერთები ჰაერში ყანგბადის პრობით ხსნიან, ოცდაათგრადუსიანი სიცხის პირობებში.

დადგა წუთი, როდესაც „ატეკას“ სტადიონის თავზე ფერადი ბუშტები აფრინდნენ და ჩემპიონატის გახსნა აუწყეს მსოფლიოს. ეს იყო ნათელი და მშვენიერი სანახაობა. მერე და მერე იმ ფერადი ბუშტების გაყვანილ გზაზე ხშირად მიფრინავდა საფეხბურთო ბურთი, ასევე სფეროს მოყვანილობის კამერა, ჰაერით გაბერილი, მაგრამ ეს ისეთივე ლამაზი სანახაობა როდი იყო. თავდამსხმელები ურტყამდნენ კარში, მაგრამ ბურთი მიქროდა 5—10 მეტრით კარს მალლა. იქნებ მართალს ამბობდნენ ისინი, ვინც ამტკიცებდა, რომ ამ გაიშვიათებულ ატმოსფეროში ბურთიც უცნაურად იქცევაო? თუ ბალისტიკა აქ არაფერ შუაშია და ყველაფერი ნერვების ბრალია?

პირველ მატჩზე მექსიკა-საბჭოთა კავშირი, ბევრი ითქვა და დაიწერა, ამიტომ ამაზე თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ მინდა გთხოვოთ, ერთი წუთით დაივიწყოთ ის განცდები, რომლებიც გტანჯავდათ რადიოსთან ან ტელევიზორთან ჩდომისას და უფრო გულისხმიერად შეხედოთ ამ მატჩს.

რა მიზანს ისახავდნენ ამ მატჩში ჩვენი მწვრთნელები?

ნათელი იყო, რომ თავისი გულშემატკივრების მხარდაჭერით ფრთაშესხმული და გამხნევებული მექსიკელები თავგანწირულ შეტევას დაიწყებენ, შეეცდებიან დაამარცხოონ მოწინააღმდეგე, ასიამოვნონ მაყურებელს, შეიმატონ ძალები. მაშასადამე, მატჩის პირველ ნახევარში ჩვენებს უნდა ეჩვენებინათ, რომ შეუძლიათ, არ მისცენ თამაშის საშუალება მოწინააღმდეგეს. მათ უნდა ეჩვენებინათ არა შემოქმედების,

არამედ დამანგრეველი მოქმედების უნარი. საყურებლად არც ისე სასიამოვნო ტაიმი იყო, მაგრამ განა ვინმეს შეუძლია თქვას, რომ მწვრთნელებმა შეცდომა დაუშვეს? აიოველ ნახევარში განსაკუთრებული სიმძიმე იმათ დააწვა კისერზე, ვინც ჩვენი კარის მისადგომებს იცავდა — შესტერნიოვს, კაპლიჩინის და კავაზაშვილს. ამ უკანასკნელმა მეცხრამეტე წუთზე მშვიდად აიღო ლობესის მიერ დარტყმული უძნელესი ბურთი (გაიხსენეთ, რას განვიცდიდით ჩვენ იმ წუთს). ისინი მართლაც იყვნენ სიმაღლეზე, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით: მათ არ წაუგიათ არც ერთი ორთაბრძოლა მაღალი ბურთისთვის ჭიდილში, ხოლო მძიმე წუთებში საიმედოდ მიმართავდნენ ურთიერთდაზღვევას.

მეორე ტაიმში ჩვენ უნდა გვეჩვენებინა, რით მოვედით ჩემპიონატზე. წინ გავიდნენ ნახევარმცველები, მცველებიც წინ გავიდნენ. უკან რომ შეტევისთვის მზადყოფი ძალები დაიგულეს, ჩვენმა თავდამსხმელებმა უფრო გაბედულად დაიწყეს თამაში. წარმოდგენილი მაქვს, როგორ უცემდათ გული მექსიკელებს ბიშოვეცისა და ასათიანის დარტყმებზე. მართალია, იყო შემთხვევები, როცა ბურთი ვარბოდა სარეკლამო წარწერებისკენ, რომლებიც სიდიდით კარგა მოზრდილ ჭიშკარს აჭარბებდნენ, მაგრამ მოდიოთ, შევთანხმდეთ, რომ ამას პირველი მატჩის ხარჯები ვუწიოდით.

იყო ერთი კაცი, ვინც ყველაზე მეტად ნატრობდა უწყინარ ანგარიშს 0:0. ეს გახლდათ არმანდო გურალა. ერთხელ გულწრფელად გამომიტყდა: „ალარ ვიცი, ვისი გულშემატკივარი ვიყო, როცა ჩვენი ორი გუნდი თამაშობსო“.

მეხიკოს გზა ლონდონზე გადიოდა. ლონდონის აეროპორტში მცირე ხანს შევჩერდით. ახალი გაზეთი ვიყიდე და მომცრო მაგიდას მივუჯექი, მაგრამ გაზეთი არც კი გადავიშლია. უნებლიეთ გამახსენდა, რომ ოთხი წლის წინათ სწორედ ამ პატარა მაგიდასთან მხრებში მოხრილი, მოღუშული და ხმაჩაკმენდილი ბრაზილიის გუნდის მწვრთნელი ვისენტე ფეოლა იჯდა და დაკოჟრებული თათები ყავარჯხისთვის ჩაევლო. უამინდობის გამო თვითმფრინავები იგვიანებდნენ, მგზავრები დელავდნენ და ნერვიულობდნენ, მხოლოდ ფეოლას არ ეჩქარებოდა, რადგან იცოდა, როგორც შეხვდებოდნენ სამშობლოში. ბრაზილიის გუნდმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ლონდონში დაკარგა თავისი ტიტული. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთებმა აუწყეს მსოფლიოს, რომ ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოქალაქის ფეოლას სახლის წინ მანიფესტანტებმა დაწვეს მისი ფიტული. ბრბოში გაისმოდა შეძახილები: „მოგვეციოთ ფეოლა, მან დაგვიკარგა გამარჯვება!“

ბრაზილიელი ფეხბურთელები სათითაოდ ბრუნდებოდნენ სამშობლოში. ყოველ მათგანს საიდუმლო პოლიციის გაძლიერებული დაცვა ელოდა. თვით ფეოლამ კი განაცხადა, რომ უახლოეს ხანში სამშობლოში გამგზავრებას არ აპირებს.

— ეს ძალზე დიდი თავზარია ჩემთვის და ბრაზილიელთათვის, — ხმადაბლა ამბობდა ის, — დაე, ცოტა მიწყნარდეს ყველაფერი.

მე შევყურებდი უპეებდასიებულ ხანში შესულ სქელ

მამაკაცს და ვგრძნობდი, რომ რამდენიმე დამე მის თავს რული არ მიჰკარებია. მეცოდებოდა იგი.

ყავონებ, რა ბედი ეწიათ ამ ოთხი წლის მანძილზე მწვრთნელებს, რომლებიც ლონდონის ჩემპიონატამდე მსოფლიოში გამოჩენილ ავტორიტეტებად ითვლებოდნენ.

იყო ხოსე ვილიალონგა, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი. 1965 წელს მე მას მადრიდში შევხვდი. მაშინ მან თქვა:

— ბრაზილიელების იარაღი საკმარისი იყო იმისათვის, რომ გამარჯვება მოეპოვებინათ 58-სა და 62-ში. ახლა ის დაჩაღუნდა — ტექნიკა, რა სრულყოფილიც არ უნდა იყოს იგი, არ არის საკმარისი პირველი ადგილის მოსაპოვებლად. საჭიროა კოლექტიური თამაშის ცოდნა. ასეთი თამაში ბრაზილიელებს არ ძალუძთ. აი, დაინახავთ, 1966 წელს ის ინი ნახევარფინალშიც ვერ გავლენ. ოთხივე პირველი გუნდი ევროპიდან იქნება.

— გჯერათ, რომ მათ შორის ესპანეთიც მოხვდება?

— სხვანაირად არც ღირდა ამ საქმეში მონაწილეობის მიღება. გამოიცნო ხოსე ვილიალონგამ. გამოიცნო კიდევ და შეცდა კიდევ! ბრაზილიამ მართლაც ვერ მიაღწია ნახევარფინალს, მაგრამ ვერც ესპანეთი მოხვდა ოთხეულში. ლონდონის ჩემპიონატის შემდეგ ვილიალონგა გადადგა. სად არის ახლა იგი? დიდი ხანია, მასზე აღარაფერი მსმენია.

იყო ედმონდო ფაბრიც — იტალიის ნაკრების მწვრთნელი. ლონდონის ჩემპიონატზე მის გუნდს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ ჩვეულებრივი და ელექტრომკითხავები. არც ერთ სხვა ნაკრებს არ ჩაუტარებია ასე წარმატებით ამდენი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. მაგრამ ერთია ამხანაგური თამაშები, სულ სხვაა მსოფლიოს ჩემპიონატი. იტა-

ლიელებმა ერთ-ერთი პირველი შეხვედრა ჩვენს ნაკრებთან წააგეს და ჩემპიონატში ბრძოლის გაგრძელების უფლება რომ შეენარჩუნებინათ, რაღაც არ უნდა დასჯდომოდეთ, უნდა და მოევით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკლებად ცნობილი გუნდისთვის.

მე ცოტაოდენი წარმოდგენა მქონდა კორეელთა გუნდზე, ვიცოდი, რომ ისინი თავგანწირულად იბრძოდნენ მოგებისთვის, იტალიელების საბრძოლო თვისებები ცოტა მაეჭვებდა და ამიტომ თამამად დავნაძღვედი მწერალ იური ტრიფონოვს იტალია წააგებს-მეთქი. მატჩის მეორე დღეს იტალიელმა ჟურნალისტებმა პრეს-ეგზეკუცია მოუწყვეს მწვრთნელს ედმონდო ფაბრის. ,

— ვერაფრით გამიგია, რა დამართათ ჩემს ფეხბურთელებს. მე მათ ველარ ვცნობდი. ისინი ფსიქოლოგიურ შოკში ჩაცვივდნენ და ჯერაც ვერ გამოსულან მდგომარეობიდან, — თქვა მან.

— მითხარით, თქვენი აზრით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას დასჭირდება კიდევ თქვენი სამსახური? — თავაზიანად ჰკითხა ერთმა ჟურნალისტმა ფაბრის.

ლონდონის ჩემპიონატიდან დიდ ხანს არ გაუგლია, რომ იტალიის ცნობილი ნაკრების სახელგანთქმულმა მწვრთნელმა ასპარეზი დატოვა.

მკაცრია ფეხბურთის კანონები. ბევრ მწვრთნელს როდი აქვს შესაძლებლობა. იმუშაოს მშვიდად და იმედიანი თვალთ შეჰყურებდეს მომავალს. ყოველი გუნდის ყოველი ხელმძღვანელისგან ყველგან და ყოველთვის, ყოველგვარ გარემოებაში გამარჯვებას და მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვენ. ხანდახან ამ წამიერ გამარჯვებას მსხვერპლად ეწირება საკ-

ლუბო გუნდების ჭეშმარიტი ინტერესები: ზოგჯერ ქულის დაკარგვის შიში ბორკავს მწვრთნელს და აიძულებს დიდხანს იფიქროს, რას მოუტანს გუნდს ახალი ნიჭიერი, მაგალითად მოუცდელი მოთამაშის შეყვანა ნაკრებში. მე ამას ვწერ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატიდან, იმიტომ, რომ თითქმის ყოველდღე ვხვდები უნიჭიერეს საბჭოთა მწვრთნელსა და სპინტერესო ადამიანს, რომელმაც თავისი სურვილის წინააღმდეგ ათამდე კლუბი გამოიცვალა და ერთი სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელსაც ვხვდები, რომელმაც უკანასკნელი თვრამეტი წლის მანძილზე თავისი წამყვანი გუნდის ოცამდე მწვრთნელი გამოიცვალა. რაღაც ხომ არ უნდა ვიღონოთ, რომ ოდესმე ბოლო მოეღოს ამას? განვამტკიცოთ მწვრთნელის უფლებები, მივცეთ მას მშვიდი შემოქმედებითი მუშაობის პირობები, კეთილმეგობრული ატმოსფერო, რათა ყოველი წაგებული მატჩის შემდეგ არ აციებდეს და აცხელებდეს სიტყვა „გარჩევის“ გაგონებაზე, რომელიც ზოგჯერ ღირსების შეურაცხმყოფელ დატუქსვამდე მიდის ხოლმე.

მინდა ერთ მწვრთნელზე ვიამბოთ, რომელიც 1970 წლის 6 ივნისის „მდგომარეობით“ შეიძლებოდა ბედნიერ კაცად მიგვეჩინა.

ბელგია-სსრ კავშირის მატჩის მეექვსე წუთზე, კავაზაშვილის მოგერიებული ბურთი მოწინააღმდეგის თავდამსხმელს მოხვდა კარიდან სამ ნაბიჯზე. დარტყმამ კადონი შეაზანზარა. ვინ იცის, რა მოხდებოდა, ბურთი რომ რამდენიმე სანტიმეტრით დაბლა მოხვედროდა. ალბათ, ადვილად მიხვდებოდა, რა მდგომარეობაში იქნებოდა იმ წუთს საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი გავრილ კაჩალინი.

ჩვენებმა ვერა და ვერ ააწყვეს თამაში. შეიძლება ბევრს

ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა საშიში მოწინააღმდეგე ჰყავდათ: მან შესარჩევ ტურნირში გაუსწრო იუგოსლავიისა და ეგვიპტის ძლიერ გუნდებს, მექსიკაში დიდი ანგარიშით მოუგო სალვადორის გუნდს. დამარცხება ყოველგვარ იმედს გვიკარგავდა. ჩვენებმა პირველი ხუთი წუთის განმავლობაში ოთხი უმნიშვნელო და ორი უხეში შეცდომა დაუშვეს. ბელგიელები წინ გაიჭრნენ. ჩვენებს თითქოს ხელ-ფეხი შეეკრათო და აი მეექვსე წუთზე შემოაღწერილი ეპიზოდი.

შეიძლება სწორედ მაშინ გაუჩნდა ახალი, ჩემთვის უცნობი ნაოჭები თვალბთან კაჩალინს, რომლებიც ვეღარ გააქრო იმ სასიხარულო მოვლენებმაც კი, მალე მინდორზე რომ დატრიალდა.

ოთხივე გოლი ლამაზად გაიტანეს ჩვენმა თავდამსხმელებმა. როცა ხმელნიცკიმ თავგანწირული თავური დარტყმით ბურთი კარის კუთხეში გაგზავნა, ჩემ გვერდით ერთმა მექსიკელმა ჟურნალისტმა წამოიძახა „ო, სანტა მარია!“. ხელები თავზე წაივლო და აღტაცებისგან აღარ იცოდა, რა ექნა.

პრესკონფერენციაზე პირველი ბელგიის ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი პასუხობდა შეკითხვებზე. მე ვიფიქრე, რა ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს ასეთი დამარცხების შემდეგ ასეთი აუღელვებლობის შენარჩუნება-მეთქი. ბელგიელებს სწამთ, რომ მექსიკელებთან მატჩში გაიმარჯვებენ. მაგრამ რა ძნელია მექსიკაში მექსიკელებისთვის მოგება!

მერე მოვიდა კაჩალინი. სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი კაჩალინი წააგავდა ოსტატს, რომელმაც კარგად შეასრულა თავისი საქმე და წინსაფრის მოხსნაც ვერ მოასწრო, ისე დაუძახეს. მის სახეზე აღბეჭდილიყო ყველაფერი, რაც ახლახან გადაიტანა და მე კვლავ გავიფიქრე, რომ სპორტში,

სპორტულ შერკინებაში სრულიად ნათლად მჟღავნდება ადამიანის ხასიათი. მხოლოდ ის აგებდა პასუხს გუნდის წინაშე. ჩვენი ქვეყნის წინაშე ყველა გადაწყვეტილებისთვის, ის უნდა ყოფილიყო მშვიდი ბრძოლის ყველა მიმე ეპიზოდებში და არ ჰქონდა უფლება წინასწარ სიხარულს მისცემოდა — ვინ იცის, როგორ დამთავრდება ყველაფერი!

თურქმა მწვრთნელმა გიუნდუზ კალიჩმა მითხრა:

— არა ერთხელ მინახავს საბჭოთა ნაკრების თამაში, მაგრამ ამას ვერც ერთი ვერ შეედრებაო. თქვენს მოთამაშეებს კარგად ესმით ერთმანეთისა.

ეს ყველაზე სასიამოვნო იყო ყველა გამომხატურებათა შორის ჩვენს მატჩზე, რადგან ჩემპიონატის წინ ბევრს ეჩვენებოდა, რომ შეთამაშება და ურთიერთთაგება ჩვენი გუნდის ცალკეულ რგოლებს შორის საკმაოდ შორს იყო სრულყოფილებისგან.

სწორედ ასეც ჰკითხეს კაჩალინს პრესკონფერენციაზე. რით ხსნით იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირის ნაკრები ორ თამაშში სულ სხვადასხვა სახით გამოვიდა?

მწვრთნელმა უპასუხა: „პირველი მატჩი ჩვენ ჩავატარეთ უჩვეულო სიმაღლეზე, შეუჩვეველ მინდორზე, უჩვეულო დროს, სიცხეში, უჩვეულოდ მღელვარე გულშემატკივრებით სავსე ტრიბუნების წინ. მეორე მატჩში კი ყველაფერი რიგზე იყო“.

მართალი აღმოჩნდა ლევ იაშინი, რომელმაც წინა დღეს ტელეინტერვიუში განაცხადა: „მე ვიცი, რომ ბელგიელები ძლიერად თამაშობენ, მაგრამ მე მჯერა ჩვენებისა, ისინი თავს არ დაზოგავენ“.

და მართლაც ჩვენებმა თავი გამოიჩინეს. მუნტიანი, ბიშო-

ვეცი, ხმელნიცკი, ასათიანი, შესტერნიოვი, კავაზაშვილი...
მექსიკამ გაიცნო ეს გვარები და ისწავლა მათი წარმოთქმა

მრავალი მაგალითის მოყვანა შემეძლო, რა მღელვარებით
ელოდნენ ამ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი მატჩის დასას-
რულს, რამდენი ზრუნვა დასჭირდა მას არა მარტო მოთამა-
შეებისა, მწვრთნელებისა და ტურისტების მხრივ. გვიან და-
მით, 6 ივნისს, ფეხბურთის მსაჯთა საერთაშორისო კოლეგი-
ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ლატიშევმა მკითხა,
ხომ არ გინახავს ბრაზილია-ინგლისის მატჩი და ხომ ვერა-
ფერს მომიყვები ამ შეხვედრაზეო. მას დაავიწყდა, რომ ამ
მატჩამდე ჯერ კიდევ მთელი დღელამე იყო დარჩენილი.

ბრაზილია-ინგლისის მატჩი, რომელიც გვადალაზარაში
ტარდებოდა, გვიჩვენეს ტელევიზიით. თამაში საინტერესო,
მაგრამ მშრალი იყო. გვეგონებოდათ, მსაჯებს ერიდებათ, შე-
ნიშვნები მისცენ ჩემპიონებსა და ექსჩემპიონებსო. პელემ
უკანასკნელად გადააწოდა ჟაირზინიოს პოზიციაზე. ამის
მეტი ამ მატჩში პელეს შესანიშნავი აღარაფერი გაუკეთებია.
მას მშვენივრად „კეტავდა“ მიუღერი.

მაგრამ თუნდაც ერთი ჩაწოდება, რომელიც მატჩის ბედს
წყვეტს, განა ცოტაა? ბრაზილიელებმა აჩვენეს, რა შეუძლია
კოლექტიურ თამაშს, აჩვენეს სწორედ ის, რაც აკლდათ ლონ-
დონის ჩემპიონატში.

თამაშის მსვლელობის დროს ტელეეკრანზე რამდენჯერმე
აჩვენეს ინგლისელთა მწვრთნელი ალფ რამსეი. მან არ იცო-
და, რომ მძლავრი ტელეკამერით უთვალთვალებდნენ და მძი-
მედ ოხრავდა: მსოფლიო ჩემპიონის ცაზე საავდრო ღრუბ-
ლები იკრიბებოდა. უნებლიეთ გავიფიქრე, რა მოელოდა ამ
მწვრთნელსაც კი...

სალვადორის, ჩეხოსლოვაკიის, ისრაელის, მაროკოს გუნ-
დები ემშვიდობებოდნენ ჩემპიონატს. ნაშუალამეფს ბრეს-
ცენტრში შევედი, საწერ მანქანას ერთი კაცი მისჯდომოდა. ეს
სალვადორელი ჟურნალისტი იყო. ძნელია წერა, როცა შენმა
გუნდმა წააგო. ჟურნალისტის სახეზე მსოფლიო სევდა აღ-
ბეჭდილიყო. ო, რა კარგად მესმოდა მისი. მე რა გუნებაზე
ვიქნები ერთი კვირის შემდეგ?

ერთი წუხს, აგერ მეორე ზეიმობს.

თითქმის მთელი ღამე არ შეწყვეტილა ავტომოტორიზებუ-
ლი დემონსტრაცია ქუჩებში, ისმოდა სროლის, დუღუკებისა
და ათასგვარი სატკაცუნების ხმა. ქალაქი ზეიმობდა თავისი
გუნდის გამარჯვებას სალვადორელებთან მატჩში, როცა ინ-
გლისის გუნდი გახდა ჩემპიონი, მაშინ გაცილებით უფრო
მკრთალი ზეიმი იყო. აქ მექსიკაა!

ურუგვაელებთან მატჩის წინ

„— მე ძალიან მაინტერესებს ხასიათების ურთი-
ერთშეთავსების პრობლემა, — ამბობს დასავლეთ
გერმანიის ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალის რედაქ-
ტორი. — დალახეროს ეშმაკმა, ტექნიკური პრობლე-
მა არ არის, მაგრამ უმნიშვნელოვანესი საკაცობრიო
პრობლემაა. თქვენ იცნობთ ჯეკ ლონდონს — თქვენს
ქვეყანაში ძალიან უყვართ იგი. ვახსოვთ, მას აქვს
მოთხრობა სამ ოქროსმადიებელზე, რომლებიც ქა-
რიშხალმა და თოვლმა მოსწყვიტა ხალხს. ისინი კარ-
გი ადამიანები და გულახდილი მეგობრები იყვნენ,
მაგრამ საშინლად შესძულდათ ერთმანეთი. ვახსოვთ
ეს მოთხრობა? ეს ურთულესი საკაცობრიო პრობ-



ლემბა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი კოსმოსური გაფრენებისთვის, ვარსკვლავებსა და მოგზაურობის საქმეში. ორი-სამი კაცი ერთად, ყაროდან მოწყვეტილი! მატარებლის ერთ კუპეში, მაგალითად ჰამბურგსა და ბერნს შორის, ერთი დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება შესძულდეს ერთმანეთი ორ ადამიანს. თქვენები კი დაფრინავენ, და თუ მათ გადმოცემებს დავუჭერებთ, მშვენივრად და მეგობრულად“.

(ბორის პოლევოი — „ნაბიჯები კოსმოსში“.
პრავდა, 3 ივლისი, 1960 წელი)

ღიახ, ჩვენები მიფრინავდნენ მშვენივრად და მეგობრულად და დედამიწა ეხმარებოდა მათ. შველიდა არა მარტო კურსის გამოთვლაში, არამედ ცდილობდა ჰყოლოდა ისინი ყოველივე სიახლისა და საქმიანობის კურსში, ცდილობდნენ, მიეწოდებინათ მათთვის ახალი ემოციები, შთაბეჭდილებები, განცდები. ყოველივე ეს გათვალისწინებული იყო ორი მამაკაცის მრავალდღიანი გაფრენის ურთულესი პროგრამით.

უამისოდ ვარსკვლავებამდე მისვლა ძნელია. უამისოდ დადგება სენსორული შიმშილი, რომელიც მოწყენილობისა და ერთფეროვნების შედეგია და რომელსაც შეუძლია ერთმანეთს წააჩხუბოს ცხოვრებაში ნაცადი, უგულითადესი მეგობრებიც კი.

ფსიქოლოგებს ეშინიათ სენსორული შიმშილისა.



მე დარწმუნებული ვარ, ჩვენმა ფეხბურთელებმა ურუგვაისთან მატჩი უფრო ადრე წააგეს, ვიდრე დადგებოდა ის

საბედისწერო წამი, როცა ჩვენი კარისკენ გაქცეულმა მსაჯმა ცენტრისკენ მიუთითა და მრავლისმნახველი „ატეკას“ სტადიონი წამით გაირინდა.

მე დარწმუნებული ვარ, ჩვენებმა ადრე წააგეს. ნაცნობი ფოტორეპორტიორი მიჩვენებს სურათს: მინდორზე დაღლილ-დაქანცული ფეხბურთელები ისვენებენ, ზოგი ზის, ზოგი დგას, დაღლილები თამაშისა, ვარჯიშისა და გარჩევებისგან. დგანან და სხედან და არ იციან, როგორ მოკლან დრო.

კარგა ხანია ამოიწურა ოჯახური თავგადასავლებისა თუ ანეკდოტების მარაგი. წვრთნამდე რამდენიმე მომქანცველი საათია. მერე კიდევ რამდენიმე გულისგამაწვრილებელი საათი წვრთნის შემდეგ.

ასე იყო ხუთი დღის წინ, ათი დღის წინ, და ოცდახუთი დღის წინათაც.

...მიუბრატიყებლად ვერავის ესტუმრები (არც ერთ საბჭოთა მწერალსა და ჟურნალისტს, რომელიც მექსიკაში ჩავიდა, არ მიუღია ასეთი მიწვევა ფეხბურთელებთან). მაგრამ როდესაც მოთამაშე, რომელიც მრავალი წელი გამოდიოდა ქვეყნის ნაკრებში, ასეთ სიტყვებს ამბობს: „როგორღაც უცნაურად ცხოვრობენ ისინი — ვერავის და ვერაფერს ვერ ხედავენ, თითქოს ტუსაღები არიანო“, უფიქრდები, რომ არის მომენტები, როდესაც უნდა უარყო პირობითობანი.

ზორბა პოლიციელი, რომელსაც გულზე პრიალა ბალთა უკეთია, გვერდზე კი ადამისდროინდელი კოლტი ჰკიდია, არავითარ ყურადღებას არ აქცევს პრესმოწმობას და უეშმაკოდ მიხსნის, შემიძლია თუ არა, ვაჩუქო მას სუვენირი. როცა იგებს, რომ შემიძლია, მიღებს ჭიშკარს, ესეც ასე... აკი ამბობ-

დნენ, გუნდში რომ მოხვდეს, ლამის პოლიციის დეპარტამენტის თანხმობა არისო საჭირო.

მოთამაშეებთან, მწვრთნელებთან, ექიმებთან პირველივე საუბრისას შევიტყვე, რომ არც ერთ ჩვენს ფეხბურთელს, რომლებიც უკვე რამდენიმე კვირაა აქ არიან, არ უნახავს ქალაქი, მისი თეატრები და მუზეუმები, პროსპექტები და მოედნებიც კი იმათ გარდა, სტადიონის გზაზე რომ ხვდებათ ხოლმე. ერთი შეხვედრა ჰქონდათ ცნობილ მხატვართან, კინოშიც ყოფილან ერთხელ. ესაა და ეს. ყოველი დღე-ღამე გაჭრილი გაშლივით ჰგავს ერთმანეთს.

რა აიძულებს ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეს, გამოუტყდეს თითქმის პირველსავე შემხვედრს:

— ასეთი ყოფა ჭირივით მომბეზრდაო.

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ ყველაზე ბედნიერი დღე შეიძლება გეწვიოთ, და მარტო თქვენ კი არა, მთელს ჩვენს ქვეყანას, თუ ურუგვაის მოუგებთ?

— სულ ერთია, მაინც მომბეზრდა, — საუბარში ერევა მეორე ფეხბურთელი. საინტერესოა, რომელიმე სხვა გუნდი თუ ცხოვრობს ჩვენსავით? — თანამოსაუბრის ხმაში ისეთი გაღიზიანება იგრძნობოდა, რომელსაც სულ არ მოველოდი.

რა უბედურებაა, ნუთუ არ შეიძლებოდა ისეთი პირობების შექმნა, რომ ბიჭები უფრო მხიარულად ყოფილიყვნენ? ფიქრობს ვინმე გუნდის განწყობილებაზე? ექიმი ფიზიკურ დაზიანებას უმკურნალებს — დაჟეჟილობას, მოტეხილობას, ნალრძობს. პირველი სამი მატჩის შემდეგ მას საქმე თავსაყრელად აქვს. მაგრამ ახლა ხომ ყველაზე მთავარი მატჩი აქვს წინ გუნდს. აგებს ვინმე პასუხს გუნდის გუნება-განწყობილებაზე? ვის ვკითხოთ, რატომ არსად არის პინგ-პონგის მაგიდა, ჭადრა-

კი (იმ კომპლექტის გარდა, რომელიც გავრილ კაჩალინმა ჩამოიტანა თან), რატომ არა აქვთ საინტერესო წიგნები? **წიგნები**
ლაპარაკობენ ერთ „ლონისძიებაზე, რომელიც **წიგნები**
ლია გუნდის საბრძოლო სულის განმტკიცებისკენ“.

ლონისძიებას ჰქვია კედლის გაზეთი, რომელსაც უშვებენ ფეხბურთის ნაკლებად გაცნობილი ტურისტი ენთუზიასტები. კედლის გაზეთის მთავარი აზრია — „როდესაც კარში კავაზაშვილი და იაშინია, არც პელესი და არც ზაირჟინოსი არ გვეშინია“.

კედლის გაზეთის მესვეურებმა ალბათ არ იცოდნენ არც-ტუ ისე იდეალური დამოკიდებულება ფეხბურთელებისა ჰოკეისტებისადმი, თორემ გაზეთს „შაიბას“ არ დაარქმევდნენ.

—არ ვიცი, ვის ასულელებენ გაზეთის ავტორები, — ამბობს ამ „ლონისძიებაზე“ კავაზაშვილი.

თითქოს სხვათა შორის ვეკითხები ჭადრაკის დაფასთან მჯდარ გავრილ კაჩალინს, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ასეთი კარჩაკეტილობა აღიზიანებს ფეხბურთელებს-მეთქი. ასეთ საშიშ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა გველის, განა არის საშუალება, რომ ადამიანი ასეთ დროს თავის თავსაც ებრძოლოს?

მწვრთნელი დიდხანს ფიქრობს სვლაზე, თუ პასუხზე ფიქრობს ამდენს? ახსენდება პოლიციის ერთი გაფრთხილება: საიდუმლო პოლიციამ გვთხოვა, ავრიდებოდით შესაძლებელ ინციდენტებს. ამბობდნენ, პოლიციაში ანონიმები რეკავენ, რომ ვიღაცა აპირებს ვილაცის მოტაცებასო. განსაკუთრებით გულმოდგინედ ავრცელებდნენ ამ ხმებს მექსიკის გუნდთან მატჩის წინ. იმისთვის ხომ არა, რომ ემოქმედათ მწვრთნელებსა და მოთამაშეებზე, დაეკარგვინებინათ რწმენა? გაფრთხილება სერიოზული იყო — მეხიკო არ არის. მშვიდი

ქალაქი... ვინ იცის, რა არის მოსალოდნელიო. მაგრამ ერთ მენახა ის საცოდავი მექსიკელი განგსტერები, ვინც ზურცი ლავას, შესტერნიოვის ან იაშინის მოტაცებას შეეცდებოდა. ეს ისე, სხვათა შორის. მაგრამ საქმე პოლიციის გაფრთხილებაში როდია. ყველა, ვისაც ფეხბურთელებთან ბევრი უმოგზაურია, ერთხმად აღიარებს, რომ ზუსტად ასევე კარჩაკეტილად ატარებენ ისინი დღეებს სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების დროსაც... ნაკლები ხათაბალაა მოსალოდნელი და პასუხისმგებლობაც ნაკლებია. ასე არ ჯობია?


აქ პოლიციის ხელზე დახვევა მხოლოდ უგემოვნებო ფარსია.

გუნდთან ერთად წვრთნაზე მივემგზავრები.

ჩვენს წინ გზას მიიკვლევს ერთი მოყვანილი, გაბღენძილი პოლიციელი. მკერდს უმშვენებს ფირფიტა წარწერით: „მოტოციკლისტი ანტონიო ზაული“. იგი მალიმალ უკავშირდება რადიოთი საიდუმლო პოლიციის ცენტრს და აცნობებს საბჭოთა გუნდის ადგილსამყოფელს. კორტეის აბოლოგებს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელების მანქანა.

როგორც კი გუნდი საწვრთნელ ბაზაში „ასტურიაში“ შევიდა, პოლიციამ ყველა ჭიშკარი და შესასვლელი ჩაკეტა. მისი თანამშრომლები ჩამწკრივდნენ ლობეების გასწვრივ და ეჭვის თვალთ გასცქეროდნენ სივრცეს. მერე რაკი დარწმუნდნენ, რომ მათ არავინ უყურებდა, მიანებეს თავი ამ საქმიანობას, გაიძრეს კოსტუმები, თავიანთი კოლტები იქვე, ჭიშკართან მიყარეს და ზოგი ჭადრაკს მიუჯდა; ზოგმა კი ფეხბურთის თამაში გააჩაღა.

შუადღეა. მზე უმოწყალოდ აცხუნებს. მწვანე მინდორს



ბული ასდის, ფეხბურთელთა გახვითქული სხეულებიდან თუ
ორთქლდება ოფლი. მათ აჩვევენ, ითამაშონ იმ საათებში, რა
დროსაც მატჩია დანიშნული. როგორ შეეძლო ფეხბურთის
საერთაშორისო ფედერაციას, მიეღო ჩემპიონატის ორგანიზა-
ტორთა ასეთი უაზრო წინადადება — პაპანაქება სიცხეში თა-
მაში. კორიდის მაგალითი აქ რა მოსატანია. რა შუაშია კო-
რიდა? მექსიკელმა ფეხბურთელებმა იცოდნენ ჩემპიონატის
თავისებური რეგლამენტი და მთელი წლით ადრე ემზადე-
ბოდნენ თამაშისთვის დღის ყველაზე ცხელ საათებში. მაგრამ
როგორ მიეჩვიონ ამას სხვები — განა ადვილი საქმეა, ეს?

ასეთ წვრთნაზე წერენ ხოლმე, ძალზე დაძაბულად მიმ-
დინარეობდაო. მგონი არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ და-
ძაბულად კი არა, ქანცის გაწყვეტამდე მიდის ხოლმე ასეთი
წვრთნა. თუკი იაშინი, რომელიც წვრთნის დროს მეტ ნაწილს
კარში ატარებს, ძლივსლა დგას ხოლმე ფეხზე, წარმოიდგინეთ,
რა დღეში იქნებიან სხვები.

აქ ვერავის დაადანაშაულებ. ასეთია ფეხბურთის კანონე-
ბი. ვიცი მხოლოდ, რომ ასეთი წვრთნის შემდეგ აუცილებლად
საჭიროა ნერვული განმუხტვა, გადახალისება. გუნდი ბრუნ-
დება სასტუმროში, ისევ იკეტება ჭიშკარი და გასასვლელები.
და ისევ ფეხბურთს დასტრიალებს მათი ფიქრი სადილზეც, ორ
ტელევიზორთანაც და მერე დილამდე — სიზმრებში.

ახლა ორიოდე სიტყვა შეთავსების თაობაზე.

მიაშვს, ერთი თავდამსხმელი ამხანაგს გაებუტაო. ამ მეო-
რემ თურმე ერთ კორესპონდენტთან საუბარში, ნაკრების თა-
ვისი ვარიანტი რომ წარმოადგინა, ეს თავდამსხმელი არ და-
ასახელა. განა ღირდა ამხანაგის საქციელის ასე გულთან მი-
ტანა? რამდენი კაციცაა გუნდში, იმდენი აზრია, მათ ანგარიში

უნდა გაუწიო და მოთმინება იქონიო. მე დარწმუნებული ვარ, იმ კორესპონდენტს რომ სცოდნოდა ოცდაორი ტუსადივით გამოკეტილი კაცის ნერვული მდგომარეობა, ასეთ პლების ციტს არ გამართავდა.

— ეს რა გვიქენით, ნახევარი გუნდი წაჰკიდეთ ერთმანეთს, — უთხრეს კორესპონდენტს მეხიკოში ჩასვლისთანავე.

მე კი ასე „დამამშვიდეს“ (მომყავს სიტყვასიტყვით):

— გარკვეული მუშაობის ჩატარება დაგვჭირდა თავდამსხმელებთან, რომ არ განაწყენებულიყო და კოლექტივთან ეთამაშა. მან ვალდებულება იკისრა ითამაშოს კოლექტიურად.

რაში გამოიხატა „გარკვეული მუშაობა“, არ შემიძლია ვითხრათ, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო. ეს ამბავი ურუგვაელებთან მატჩში გამახსენდა, სწორედ მაშინ, როცა ყველაფერი ბეწვზე ეკიდა და როცა ჩვენი თავდამსხმელი, რომელმაც „ვალდებულება იკისრა“, უეცრად აღმოჩნდა ბურთიანად მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. მის წინ მხოლოდ ერთი დამცველი იდგა, მარჯვენა მხარეს კი კარისკენ გარბოდა ჩვენი მოთამაშე, რომელსაც არავინ არ „კეტავდა“. მას რომ ბურთი მიელო, მეკარის პირისპირ აღმოჩნდებოდა.

მაგრამ ჩაწოდება არ ყოფილა.

თავდამსხმელმა, რომელიც ბურთს ფლობდა, დამცველზე მიიტანა იერიში და წაავო ორთაბრძოლა.

მოთამაშემ, რომელიც ბურთს ელოდა, გამწარებით ჩაიქნია ხელი. ეს სწორედ ის თავდამსხმელი იყო, ნაკრების ვარიანტი რომ წამოაყენა.

— რა მოუვიდა თქვენს გუნდს? — კითხულობდა ცნობილი ფრანგი საფეხბურთო მიმომხილველი ჟაკ ფერანი, რო-

მელმაც ბელგიელებთან მატჩის შემდეგ საბჭოთა კავშირის
ნაკრები ჩემპიონატის სამ პრიზიორში დაასახელა.

— რატომ გამოიყურებოდნენ თქვენები ასე
ლად? — კითხულობდა თურქი მწვრთნელი და კომენტატორი
გიუნდუზ კილიჩი, რომელმაც აგერ ერთი კვირის წინ დაწე-
რა თავის გაზეთში „თვალი ადევნეთ რუსებს!“


— მე მომეჩვენა, რომ თქვენი ნახევარმცველები და თავ-
დამსხმელები უცებ მოაჯადოვეს, — ამბობდა „რეიტერის“
სააგენტოს კორესპონდენტი ევანსი, რომელიც მექსიკაში გა-
დასვლამდე ხუთი წელი მუშაობდა მოსკოვში. — რატომ თამა-
შობდნენ ასე უნებისყოფოდ?

მინდოდა მეპასუხა:

— იმიტომ, რომ საშინლად დაილაღნენ ფეხბურთისა, კარ-
ჩაკეტილობისა და ერთმანეთისგან-მეთქი, მაგრამ უცხოელ
ჟურნალისტთან ამის თქმა არ შეიძლებოდა.

გუნდის ხელმძღვანელებს შორის იყვნენ ადამიანები, მრავალი
წლის მანძილზე რომ უანგაროდ ემსახურებოდნენ
სპორტს და იცოდნენ, რა სულიერი და ფიზიკური ძალების
დახარჯვას მოითხოვს ჩვენს დროში ყოველი სპორტული გა-
მარჯვება. რამ შეუშალა მათ ხელი, მოემზადებინათ გუნდი
არა მარტო კუნთებთან და ოსტატობასთან საბრძოლველად
არამედ ხასიათთა შეჯახებებისთვისაც? როგორ მოხდა, რომ უძ-
ნელესი გამოცდისთვის გუნდის მზადების პროცესში გაიმარ-
ჯვა დიდი ხნის დრომოკმულმა ნორმებმა და შეხედულებებმა,
იმაზე, თუ რა არის ხასიათი, განწყობა, საბრძოლო წრთობის
ხელოვნება?

გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ არა მარტო სხვა-
დასხვა კლუბის წარმომადგენლები, არამედ სხვადასხვა ეროვ-



ნებისა და, მაშასადამე, სხვადასხვა ტემპერამენტის, ჩვეულებებისა და ხასიათის მქონე მოთამაშეები. ერთნაირი ინტონაციები, ერთნაირი რეკომენდაციები და, რაც მთავარია, ერთი და იგივე რეჟიმი, რომელიც ერთნაირად ყელში ამოუვიდა სუყველას, — განა ყველაფერი ეს ძველი სახელმძღვანელოებიდან ამოკითხული მეთოდები არ არის? ფეხბურთელებზე ზრუნავდნენ მოფუსფუსე და ცოტა დაბნეული ბებიის გულსამაჩუყებელი და მოუქნელი სინაზით, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს მშვიდად, როცა შვილიშვილები იქვე, მის ცხვირწინ ტრიალებენ. მაგრამ თუ ამ შვილიშვილებმა დიდი ხანია გადააბიჯეს ორ ათეულს და საოცრად საინტერესო ქალაქში ჩამოვიდნენ, რომლის დათვალიერების უფლებასაც მათ არ აძლევენ? როგორ გუნებაზე იქნებიან ისინი?

მათ კერძებს ცნობილი მზარეულები ამზადებდნენ, მათ შორის მოსკოვიდან საგანგებოდ მივლინებული შეფ-მზარეული. ბიჭებს კი შიმშილი კლავდა. ეს შიმშილი განსაკუთრებული ხასიათისა იყო და მას სენსორული შიმშილი ერქვა. დედამიწის მოპირდაპირე მხარეს, სადაც უცხო ბუნებაა, უცხო ჰავა, სულ სხვა სიმაღლეზე იწევს ვერცხლისწყლის სვეტი და მხრებსა და გულზე გაწევს საფეხბურთო ჩემპიონატის უდიდესი მღელვარება და განცდები, ეს შიმშილი ორმაგად საშიში გახლდათ.

ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ ბრაზილიის ვაზეთის „ფოლია და მანიანას“ ურუგვაელ კორესპონდენტთან ანტონიო ჩეჩისთან საუბრის გარშემო. მას, რომელზეც ამბობენ, დიდი ხანია კარგად იცნობს სამხრეთამერიკულ ფეხბურთსო. ვეკითხები, როგორ ატარებენ საწვრთნელ შეკრებებს ბრაზილიელები-მეთქი.



ეროვნული ჩემპიონატის დროს ფეხბურთელები შეკრებაზე ატარებენ ოთხ-ნახევარ დღეს, ოთხშაბათიდან ორშაბათი შუადღემდე. ორ-ნახევარი დღე მათ ეძლევათ იმისთვის, რომ ნორმალურ, ჩვეულ გარემოში იცხოვრონ. თუ მოთამაშე ამ თავისუფალ დღეებში რეჟიმს დაარღვევს, მას დასჯიან, ამიტომ არავითარი აზრი არა აქვს რეჟიმის დარღვევას. რაც შეეხება ნერვულ განმუხტვას მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, ეს სხვა საუბრის თემაა. ეს რთული ხელოვნებაა. ვიტყვი მხოლოდ, რომ გუნდის ხელმძღვანელები ცდილობენ გაითვალისწინონ თითოეული მოთამაშის მიდრეკილებანი, ინტერესები და ჩვევები... ცდილობენ, კი არ წააქეზონ ისინი, არამედ ანგარიში გაუწიონ. ფეხბურთზე ბევრი ლაპარაკი მიღებული არ არის. მკაცრად არჩევენ ფილმებს, უმეტესწილად გასართობს, სასაცილოს. შეკრებებზე ყოველთვისაა მაგიდის ჩოგბურთი, გიტარები, ჭადრაკი. და, რა თქმა უნდა, ექსკურსიები — ბრაზილიელები ამის გარეშე ვერ გაძლებენ.

გამახსენდა, როგორ ეძებდნენ ჩვენები მთელ მსოფლიოში პინგ-პონგის მაგიდას, მაგრამ ვერსად იშოვეს: რომელიც საელჩოში ჰქონდათ, ბანაკში გაეგზავნათ, საკუთარი მაგიდის შეძენა კი ვათვალისწინებელი არ იყო მკაცრი ხარჯთაღრიცხვით.

...აი, რას მაგონებს ეს ფოტოსურათი. ვაკვირდები სახეებს. უკვე კარგა ხანია, ამოიწურა საყოფაცხოვრებო, თუ საფეხბურთო ამბები და ანეკდოტები. მეათეჯერ თუ მეოცეჯერ მოისმინეს შეგონებები და დარიგებები იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ურუგვალებთან მატჩის მოგებას, რას მისცემს ეს მოგება გუნდს და თითოეულ მოთამაშეს. მოწინააღმდეგეს ცუდად იცნობდნენ. ცუდად იცნობდნენ მათ

თამაშს, მკაცრსა და უკომპრომისო თამაშს, მაგრამ უბედურება მართო ეს როლი იყო. უბედურება ის იყო, რომ თავი სიანებსაც ცუდად იცნობდნენ.

უნებლიეთ ერთი კარტოთეკა მახსენდება, რომელიც შემოდებულ იქნა ამ შვიდიოდე წლის წინათ ერთ იაპონელ ძიუდოსტ ნაკატანიზე ოლიმპიურ ჩემპიონთა მომზადების ინსტიტუტში, ღიახ, არის იაპონიაში ასეთი სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის რეკომენდაციები მწვრთნელებისთვის თითქმის კანონს უთანაბრდება. ამ კარტოთეკაში იპოვიდით ყველაფერს, რაც შეიძლებოდა დაგჭირვებოდათ მოჭიდავისა და მისი სავარაუდო მოწინააღმდეგის შესახებ. ამ კარტოთეკის შევსებას ალბათ დიდი დრო, შრომა და ფული დასჭირდა, მაგრამ როცა საქმე ნაციონალურ პრესტიჟს ეხება, იაპონელები არ ძუნწობენ. ჰოდა, სწორედ ამ კარტოთეკაში სპეციალურ ბარათზე ეწერა ერთი თვისება ცნობილი მოჭიდავისა: „იაპონელისთვის უჩვეულოდ ფიცხია და მგრძობიარე, ვერ იტანს შეჯიბრების დროს მწვრთნელის რჩევებსა და შეგონებებს“. ხელმძღვანელებიც ანგარიშს უწევდნენ მის ამ თვისებებს. იმ დროს, როდესაც ნაკატანი ოლიმპიურ ხალიჩაზე გამოდიოდა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი მაცუმოტო სულ სხვა დარბაზში მძიმე წონის მოჭიდავეებს ავარჯიშებდა. ერთ-ერთ წიგნში მე მოვიხსენიე ეს ეპიზოდი. ცოტა ხნის შემდეგ ერთი ცნობილი მწვრთნელის წერილი მივიღე. მას მიაჩნდა, რომ სპორტი ბევრს ვერაფერს მოიგებს ასეთი მოჭიდავეებისა და ასეთი მწვრთნელებისგან. „თუ მოჭიდავე ასეთი პრანკიაა, მაშინ ურჩევნია ქარგვას მიჰყოს ხელი, ხოლო რაც შეეხება მაცუმოტოს, რომელიც თქვენ ასე მოგწონთ, მე იგი სანტიმენტალურ და უნებისყოფო კაცად მეჩვენებაო“—მწერდა ჩემი ნაცნობი.



რამ გამახსენა ეს წერილი მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში? ჩვენებს არ უნდა წაეგოთ ურუგვაელებთან. გარედან შემოტანილი ბურთის გატანა გოლად არ ითვლება. გუნდმა არ უნდა აგოს პასუხი მსაჯის მოუქნელობისა და ახლომხედველობის გამო. წაგება საწყენი და შეუტაცხმყოფელია. მძლეოსნობაში არასოდეს არ აცხადებენ გამარჯვებულად იმას, ვინც ფინიშთან მეორე მივა. ეს ბრძნული წესი ჯერჯერობით ფეხბურთზე არ ვრცელდება. ვიდეოჩანაწერმა აშკარად უჩვენა, რომ გოლი სამართლიანი არ იყო. ჩვენს გუნდს არ უნდა წაეგო. მაგრამ უნდა მოეგო კი? ამაში დარწმუნებული არა ვარ.

ო, ჰენრი გვთავაზობდა ასეთ ცდას — ერთ ქოხში ჩაგვეკეტა ორი გულითადი მეგობარი და არც ისე დიდი ხნის შემდეგ გვენახა, რა დარჩებოდა მათი მეგობრობისგან.

..ცხოვრობდა ოცდაორი ფეხბურთელი ერთ ჰერქვეშ, სახლში, რომელსაც შუა საუკუნეების ციხე-კოშკებიანი გალავანი ერტყა და თანამედროვე პოლიციელები იცავდნენ!! და აი, შედეგიც.

ჩეფორმის პროსპექტი

ჩემს ცხოვრებაში ცხენითაც მიმგზავრია, ურმითაც, აქლემითაც და უსწრაფესი თვითმფრინავებითაც, მაგრამ ვერც ერთი შთაბეჭდილება ვერ შეედრება იმას, რაც მივიღე ერთხელ, გვიან საღამოთი, მეხიკოში, როდესაც „შევროლეს“ მარკის მსუბუქი მანქანის რადიატორზე დასკუბულმა გავიარე ჩეფორმის პროსპექტი. ჩაფუარეთ რამდენიმე საპოლიციო



პოსტს, მაგრამ მანქანა არავის გაუჩერებია და ჩემთვისაც არავის შემოუხედავს, როგორც წესრიგის დამრღვევისთვის. პირიქით, მაშინ უფრო გაცელებული და საყვედურით სავსე თვალებით შემომცქეროდნენ, როდესაც ახმაურებულ ბრბოში ვიდექი და ვცდილობდი, თვალში არავის შევჩხირებოდი. თან გაკვირვებული ვუყურებდი ოცდახუთმეტიოდე წლის ქალს, რომელსაც დაეჭირა ხელში ჯოხი და მთელი ძალით ურახუნებდა ბიდონს, თან გაჰყვიროდა: „მეხიკო რა-რა-რა!“ მას ბანს აძლევდნენ თავისი სკოლამდელი ასაკის გოგონა და ქმარი, რომელსაც ორად გაყოფილი ნიკაბი და სასიამოვნო ბარიტონი ჰქონდა. ოჯახი ისე იყო გართული ამ საქმიანობით, რომ ვარშემო ველარაფერს ამჩნევდა. ასევე იქცეოდა ტროტუარებზე გამოფენილი ათი ათასამდე, და იქნებ ოცი ათასამდეც, მექსიკელი. ბიდონი დაჭეჭილი იყო და რალაციით მაგონებდა კონსერვის ქილას, რომელიც სამმა კაცმა ვერ გახსნა ჯერომ ჯერომის წავიდან. ეტყობოდა ბიდონზე ორ თუ სამ მილიონჯერ მაინც დაარტყეს. ქალმა თვალი შემასწრო, წამით დაფიქრდა, მერე კი გულკეთილად დამითმო ბიდონი და ჯოხი, მისმა ქმარმა მეგობრულად მიმიწვია მანქანაში, მაგრამ კაბინაში კი არა, რადიატორზე, სადაც მყუდროდ მოკალათებულ იყვნენ მისი ცოლი და ქალიშვილი.

ასე გავიარეთ რამდენიმე კვარტალი. ყველაფერი ძალზე სასიამოვნოდ და თავისუფლად მიდიოდა. მეორე დღეს ცნობილი გახდა, რომ ზეიმის დროს ოთხასამდე კაცი დასახიჩრა.

ეს მოხდა სწორედ იმ დამეს, როცა მექსიკელებმა ბელგიის გუნდს მოუგეს. ხმაურიანი მანიფესტაცია თითქმის დილამდე გრძელდებოდა. ვინ იცის, რამდენ უძილო დამეს გავატარებდით მეხიკოში, რომ მასპინძლებს იტალიელებთან არ

წაეგოთ მეოთხედფინალში. ამის შემდეგ დედაქალაქმა ისევ მშვიდი და სოლიდური იერი მიიღო.

მაგრამ, აი, ისევ - გუგუნებს და ხმაურობს პროსპექტი. ეს ბრაზილიის გუნდის გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმია. მაშინ გამიჩნდა სურვილი, გამომეტანა ქუჩაში ჩემი მთავარი მექსიკური სუვენირი — დაჭყლეტილი ბიდონი, მერახუნებინა ჯოხით და მივსალმებოდი ახალი ჩემპიონის დაბადებას.

დიდხანს არ დამავიწყდება იტალიელებისა და ბრაზილიელების ფინალური მატჩი. არ დამავიწყდება არაბრაზილიურად რაციონალური და სწორედ ამიტომ ორმაგად უფრო ლამაზი სტილი ახალი ჩემპიონისა. რა დამავიწყებს პელეს გასაოცარი ნახტომით გატანილ პირველ ბურთსა და ჟაირზინიოს, რომელმაც დაგვანახვა, თუ რა ოსტატურად შეიძლება ფლობდეს ბურთს ფეხბურთელი. სამწუხარო ისაა, რომ ფეხბურთის მოყვარულებს ხშირად არ უწერიათ ასეთი ორთაბრძოლის ხილვა.

ჯერ კიდევ გუშინ პრესცენტრი ჩემპიონატის აფიშებით იყო მოფენილი, ახლა ისინი სამახსოვროდ დაიტაცეს.

ეს-ესაა დამთავრდა გათამაშება, ალბიონის ნაპირებიდან კი უკვე აღწევს ენები, ხომ არ მოძველდა მწვრთნელი რამსეი, რომელმაც ოთხი წლის წინათ თავის გუნდს მსოფლიო ჩემპიონობა მოაპოვებინა. პირველობის საზეიმო დახურვის დროს ინგლისურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ერთი უქნარა დააბიჯებდა „ატტეკას“ მინდორზე, ხელში გოჭი ეჭირა. მას სურათებს უღებდნენ. ტელევიზიით აჩვენებდნენ. საოცრად ამაყად ეჭირა თავი.

ინგლისელი ჟურნალისტების უმრავლესობა დამარცხებას

ჭეშმარიტად ფილოსოფიური აღმშფოთველობით შეხვდა ისინი როდი ჰგვანან თავიანთ კოლეგებს, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა გუნდებისთვის თავს დატეხილი ყველა უბედურება ახსნან ჰავით, ამინდით, ტრიბუნების ნერვული ადგზნებით. „ბოლოს და ბოლოს, ეს თამაშია. თამაში კი ყველაფერი ხდება“.

ჯერ კიდევ გერმანელთა გუნდთან მატჩამდე რობერტ ევანსი დარწმუნებული იყო ინგლისელთა გუნდის დამარცხებაში. ჭეშმარიტად ჯენტლმენური კანონების თანახმად იგი არაფერს არ წერს მსაჯების მიერ დაშვებულ რამდენიმე შეცდომაზე. მაგრამ არიან მსაჯები, რომელთა შესახებაც ევანსი დაუფარავი აღმშფოთებით ლაპარაკობს. და არა მარტო ევანსი.

მე ვიზიარებ ბევრი საფეხბურთო ავტორიტეტის აზრს. იგი დაახლოებით შემდეგში მდგომარეობს: თუ უახლოეს მომავალში არ გადაისინჯა მსაჯთა კოლეგია, ჩემპიონატები ყოველგვარ აზრს დაკარგავენ, თამაში შეფასდება არა გუნდის ოსტატობის მიხედვით, არამედ იმ მიკერძოების მიხედვით, რომელსაც სხვადასხვა მიზეზების გამო ამა თუ იმ გუნდის მიმართ იჩენენ მსაჯები.

ფრანგი ფეხბურთელები არ იყვნენ ფინალში. ამიტომ პარიზის გაზეთების შეფასება შეიძლება ობიექტურად ჩავთვალოთ. „პარიჟურმა“ და „ეკიპმა“ მსაჯი გამარჯვებული გუნდის თანამზრახველად გამოაცხადეს. ეს შეურაცხყოფაა და ფრანგულივე კანონების მიხედვით შეურაცხყოფილს გასაჩივრების უფლებას აძლევს: მისი გამართლების შემთხვევაში გაზეთს დიდი ჯარიმის გადახდა ელის, მაგრამ მე ეჭვი შეპარება, რომ შეურაცხყოფილი სასამართლოს მიმართავს — ძალიან მცირე იმედი აქვს რეაბილიტაციისა. ეს მსაჯი იყო იგივე ჰოლანდიე-




ლი ბატონი, ვისაც მიჰყავდა ურუგვაი-სსრ კავშირის მატჩი, როდესაც ტელევიზორში აჩვენებდნენ შენელებულ ტემპში მატჩის ერთადერთი გოლის დეტალებს, პრესცენტრი აგუგუნი და ბურთი გატანილ იქნა მას შემდეგ, რაც პირით ხაზს იქით გადასული ბურთი ჩამოაწოდეს. ეს ყველამ დაინახა მსაჯის გარდა.

ეს ეპიზოდი იმისთვის კი არ გავიხსენე, რომ ჩვენს გუნდს ნამუსი მოეწმინდო. თავისი უკანასკნელი მატჩი მან ყველა წინანდელზე გაცილებით უარესად ჩაატარა. ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანე, რომ დამესვა კითხვა: არის გარანტია იმისა, რომ ამგვარი განსაკუთრებული შემთხვევები აღარ განმეორდება მომავალში? რატომ ასე ფლეგმატურად და აუღელვებლად რეაგირებს მასზე საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციის ხელმძღვანელობა?

დიახ, რაღაც უნდა მოეუხერხოთ მსაჯობას!

იტალია-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეხვედრის მეორე ტაიმის ბოლო ოცი წუთის განმავლობაში შეიდი წუთის მეტი თამაში არ ყოფილა. იტალიელები ყოველი ღონით ცდილობდნენ ანგარიშის შენარჩუნებას. მსუბუქი დაჯახების შედეგად იტალიელთა ნახევარმცველი მოცელილივით დაეცა და კარგა ხანს ეგდო გულშემოყრილი. მისკენ თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ მასაჟისტები და ექიმები. მსაჯი და მისი თანაშემწეები ცდილობდნენ არ შეეშვათ ისინი მიწაზე. ეს ამბავი თითქმის ორ წუთს გაგრძელდა. მერე დაზარალებული წამოხტა და პირველ რიგში წამმზომის ტაბლოს შეხედა, რის შემდეგაც საეჭვო სისწრაფით ჩაება თამაშში; თავისი საქმე გააკეთა: დროც გაიყვანა და სულიც მოითქვა.

ასეთ ეშმაკობას თამაშის დასასრულს თითქმის ყველა გუნ-



დი მიმართავს ხოლმე, ვისაც თამაში მიჰყავს. ამის გამო მატჩის დასასრული, ე. ი. სწორედ ის ნაწილი, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესოდ და დაძაბულად უნდა მიმდინარეობდეს, ამკარად დუნე და მომაბეზრებელი ხდება. გამარჯვების გულისთვის რაღას არ კადრულობენ გუნდები.

ხომ არ გადაეღო ფეხბურთის კალათბურთის ბრძნული წესი: შეჩერდა თამაში, შეჩერდა დროც. მექსიკის შემდეგ ჩვენ განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძენით, რომ ჩვენს ძველსა და საყვარელ ფეხბურთს რეფორმები არ აწყენდა!

იტალიელი ჟურნალისტი ამბობდა: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან გამარჯვებისთვის ყოველმა მოთამაშემ 5 მილიონი ლირა მიიღო.

ფეხბურთი უფრო და უფრო უახლოვდება ბიზნესს, ითვისებს მის კანონებსა და წესებს, თანდათან კარგავს იმას, რამაც აქცია იგი საუკუნის მთავარ თამაშად.

საფეხბურთო სამყარომ შეიძინა ახალი ჩემპიონი და... დაიბლდა. მან დაკარგა თავისი მფარველი „ოქროს ქალღმერთი“, რომლის მოსაპოვებლადაც ოთხი ათეული წლის მანძილზე გრძელდებოდა ბრძოლა. ბრაზილიელებმა მესამედ მოიპოვეს და სამუდამოდ დაისაკუთრეს იგი. ისევე როგორც ყოველ ოქროს, ამ პრიზსაც ჰქონდა თავისი „ლაქები“. დაე, ახალი პრიზი, რომელსაც დააწესებს ფიფა, გახდეს სიმბოლო ახალი ფეხბურთისა, მკაცრი, პატიოსანი და წარმტაცი სპორტული სანახაობისა.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა საბჭოთა გუნდზე. მასზე სხვადასხვანაირად შეიძლება დაიწეროს. შეიძლება გავიხსენოთ, რომ ჩვენ დავიკავეთ პირველი ადგილი ქვეჯგუფში და დავსვათ ძახილის ნიშანი. შეიძლება ისიც მო-

ვიგონით, რომ ყოველ ერთ გაშვებულ ვოლს სამით ვა-
სუხობდით და ორი ძახილის ნიშანი დაესვათ. შეიძლება გა-
ვისსენოთ, რომ ორ უკანასკნელ ჩემპიონატში ადგილების ჯა-
მით ჩვენ ვუტოლდებოდით ინგლისის სახელგანთქმულ გუნდს
და დაესვათ სამი ძახილის ნიშანი. მაგრამ რამდენად მეტ სარ-
გებლობას მოგვიტანდა ერთი კითხვა: როდის ვისწავლით
ჩვენ თანამედროვე ყაიდაზე მოვემზადოთ თანამედროვე
სპორტული ბრძოლისთვის. მისი ფიზიკური და ნერვული გა-
დატვირთვებისთვის?

ს ა რ ჩ ი მ შ ი

თ ა ვ ი I

შემთხვევა სანიჩბოსნო არხზე	3
შეხვედრა ფუტუროლოგთან	10
უხილავი რეზერვი	20
შტურმანი	24
შუშა „C“ ვიტამინით	33
როგორ გახდა ჩემპიონი ხორხე ალოსიო	40
ოთხნი	55
სტარტის წინ	75

თ ა ვ ი II

ალექსანდრე მეღვედის პორტრეტისთვის	102
თანამეგობრობა	119
ძველი მაისური	129
მსაჯის ცხოვრებიდან	139
ერთადერთი სვლა	147
მეოთხე რაუნდი	156
ორჯერ დაბადებული	167

თ ა ვ ი III

მწვრთნელის ხვედრი	182
რატომ დაფრინავს ბზიკი?	209
უფლება — არ ჰგავდე სხვას	220
	279

10 11296/864



წამი — მთელი სიცოცხლის დარი	231
სპილენძი და ჩილე	240
პირველი მატჩის წინ	248
თქმულება	248
გამარჯვებამდე ეკლიანი გზაა	253
ურთგვეალებთან მატჩის წინ	260
რეფორმის პროსპექტი	272

რედაქტორი დ. იუკურიძე, მხატვარი გ. გორდელაძე, მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე, ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე, კორექტორი ზ. გვიმრაძე, გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 7/V-73 წ. ხელმოწერილა დასაბეჭდად 18/III-74 წ. ქალაქი საბეჭდი №2. ზომა 70×108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,16. შეკ. № 08435. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 1158.

ფასი 86 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახკომის
სტამბა № 4. თბილისი 380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4 Госкомиздата Совета Министров
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 59.641/2

პარლამენტი
ბიბლიოთეკა